ამგვარად, [ბუნების] შემოქმედება ჩვენ მჭერეგელობად მოგვევლინა, რადგან მჭერეგელობის სისრულე [იმას ნიშნავს], რომ მჭერეგელობა მჭერეგელობად რჩება და სხვა რამეს კი არ აკეთებს, არამედ ქმნის იმით, რომ ის მჭერეგელობაა.

ხოლო [ბუნება], ვინმეს რომ მისთვის ეკითხა, თუ რისთვის ქმნის, თუ მოისურვებს, ყური მიუგდოს შეკითხვის დამსმელს და უპასუხოს, იტყვის: „შეკითხვა კი არ არის საჭირო, არამედ სწაელა და მღუმარება, როგორც მე ვარ მღუმარე და არ მჩვევია საუბარი. – რის სწაელაზეა საუბარი? – იმის, რომ რაც წარმოიქმნება, არის ის, რაც მე, მღუმარემ, ვჭვრიტე; ის, ჭვრეტის შედეგი, ბუნებით [იმაღ] იქცა, [რაც არის]. მეც ამგვარი ჭვრეტიდან მოვედი, [რაც იმას ნიშნავს], რომ ჭვრეტისმოყვარე ბუნება გამაჩნია. ჩემი მჭვრეტელობა ქმნის სანახაობას [ჭვრეტის საგანს – „თეორემას“], ისევე როგორც გეომეტრები ჭვრეტისას ხაზავენ. ხოლო მე არ ვხაზავ, არამედ ვჭვრეტ, და სხეულთა ხაზები წარმოიქმნება, როგორც [ჭვრეტის] გამონატყორცნი. ჩემში სუფევს დედის [ანუ კოსმიური სულის] და მშობლების [ანუ სულში არსებული გონისეული საწყისების, ფორმების] განცდა; რადგან ისინიც ჭვრეტიდან არიან, და ჩემი დაბადებაც მათგან – მათი უმოქმედობიდან მომდინარეობს: ისინი უფრო მძლავრი რაციონალური საწყისებია, რომლებიც თავის თავს ჭვრეტენ და [ამის შედეგად] მე ვიბადები“.

რას ნიშნავს ეს? ის, რასაც ბუნება ეწოდება, არის სული, უფრო უწინარესი სულის წარმონაქმნი, რომელსაც უფრო მძლავრი ცხოვრება ახასიათებს;<sup>5</sup> ის მღუმარებით თავისთავში ჭვრეტს, არც გემოთკენ და არც ქვემოთკენ [იყურება]. ის მკვიდრობს იმაში, რაშიც არის: საკუთარ სიმღვრადეში [ანუ პერმანენტულობაში]. თითქოსდა აღქმით, ერთგვარი

<sup>5</sup> შეიძლება, ეს ადგილი მიგვანიშნებს, რომ პლოტინი უშეებდა კოსმიურ სულზე მაღლა გეოსმიური სულის არსებობას, თუმცა საგანგებოდ ეს საკითხი მას არ დაუმუშავებია (ამ ფრაგმენტში, ფაქტიურად, კოსმიური სული ბუნებასთან არის გაიგივებული). გვიანდელ ნეოპლატონიზმში სულთა იერარქია სპეციალურ თემად იქცა, განსაკუთრებით იამბლიქოსთან და პროკლესთან.

გაცნობიერებით, მან იცის ის, რაც მის შემდგომ არის, რამდენადაც ეს ძალუძს. ის აღარ ეძიებს: მან სრულქმნა სანახაობა – [ჭვრეტის ნაყოფი], ბრწყინვალე და სიხარულის მომგვრელი.

თუკი ვინმეს უნდა, [ბუნებას] მიანიჭოს რაღაც ცნობიერება ან აღქმა, ეს არა იმ გაგებით [უნდა მოხდეს], როგორც სხეულის შესახებ ეხმარობთ [სიგყევებს] „მგრძნობელობა“ და „აღქმა“, არამედ ისე, მიზნარე გაღვიძებულს რომ შეეადართ. რადგან [ბუნება] ჭვრეტს თავის სანახაობას [ჭვრეტის საგანსა და ნაყოფს] და განისვენებს; ეს [სანახაობა ანუ ჭვრეტის საგანი ბუნებას] ექმნება იმისგან, რაც მასშია [ანუ ბუნებაშია]; ის რჩება [ბუნებასთან] და [მისივე, ანუ ბუნების] ჭვრეტის საგანია. [მისი] მჭვრეტელობა უხმოა, თუმცა უფრო ბუნდოვანია [ვიდრე მისი მშობელი სულისა].

მისგან განსხვავებულია [სხვა ჭვრეტა], რომელიც ხედვით უფრო ნათელია; [ბუნების ჭვრეტა მხოლოდ] ანარეკლია [ამ] სხვა ჭვრეტისა. ამიგომ მის მიერ წარმოქმნილიც სრულიად უძალოა, რადგან უძალო ჭვრეტა ჭვრეტის უძალო ნაყოფს ქმნის.

ასევე ადამიანებიც, როცა ჭვრეტისთვის მოისუსტებენ, ჭვრეტისა და განსჯის [მხოლოდ] ჩრდილს ქმნიან. იმიგომ რომ მათ არ გააჩნიათ საკმარისი მჭვრეტელობა, სულის სისუსტის გამო, არ შეუძლიათ საკმარისად დაეუფლონ იმას, რასაც ჭვრეტენ და ამიგომ [ჭვრეტის საგნით] კი არ ივსებიან, არამედ მისი ნახვა სურთ. ამიგომაც სამოქმედოდ აღიძვრებიან, რათა დაინახონ ის, რასაც გონებით ვერ მიაღწიეს. ნებისმიერ შემთხვევაში, როცა [ეს ადამიანები] რაიმეს ქმნიან, უნდათ, რომ ის თავადაც ნახონ და სხეულებაც ჭვრეტიონ და აღიქვან. ეს ასეა, მაშინაც, როცა მათ მიზანსწრაფვას, როგორც მათ ჰგონიათ, [მხოლოდ] ქმედება [„პრაქტიკა“] წარმოადგენს.

ყველგან აღმოვაჩინოთ, რომ შექმნა და ქმედება ან ჭკერეგის შესუსტებაა, ან მისი თანმხლები მოვლენაა. შესუსტებაა, თუკი ნამოქმედარის მიღმა კაცს არაფერი გააჩნია, ხოლო თანმხლები მოვლენაა, თუკი მას გააჩნია სხვა, ამაზე უფრო უწინარესი და საჭკერეტლად ნამოქმედარზე უკეთესი რამ. მართლაც და, ვისაც ჭემმარიგის ჭკერეტა შეუძლია, რატომ გადავა უპირატესად ჭემმარიგის ანარეკლისკენ? ამას მოწმობენ უფრო გონებასუსტი ბავშვებიც, რომლებსაც სწავლა და მჭკერეტელობა არ ძალუძთ და ამიტომ ხელობებსა და ხელსაქმეს მიმართავენ.

## 5

ჩვენ ვისაუბრეთ ბუნების შესახებ, თუ როგორ არის ჭკერეტა წარმოქმნა. ახლა გადავიდეთ სულზე, რომელიც მას წინ უსწრებს და ეთქვათ, თუ როგორ გახდა მისმა მჭკერეტელობამ, სწავლისმოყვარეობამ, მაძიებლობამ, მისმა სამშობიარო ტკივილებმა, რომლებიც იქიდან წარმოიქმნება, რაც მან შეიძინო, აგრეთვე [მისმა] სისავესემ ის, [თავადვე] მთლიანად ჭკერეტის ნაყოფად ქცეული, ჭკერეტის სხვა ნაყოფის შემოქმედად. ამის მსგავსად ქმნის ხელოვნება:<sup>6</sup> თითოეული [ხელოვნების] სისავესე ქმნის სხვა – ერთგვარად უფრო მცირე ხელოვნების [ნიმუშს], როგორც სათამაშოს, რომელიც ყოველმხრივ [წინა ხელოვნების] ანარეკლია. ისე კი, ეს უკანასკნელი ჭკერეტის დაბინდული და თავისთავად უსუსური საგანი და სანახაობაა.

მამ, [სულის] პირველი [ანუ უმაღლესი] ნაწილი, რომელიც ზემოთ მუდამ ივსება და ნათთება იმისგან, რაც ზემოთ არის [ანუ გონებისგან], იქ არის დამკვიდრებული, ხოლო სხვა [უფრო ქვენა] ნაწილი, რომელიც პირველი ზიარებით ეზიარება ზიარებულს [ანუ: უპირველეს ყოვლისა, ეზიარება გონებას,

<sup>6</sup> მაკკენას პლოტინის ინგლისურ ენაზე თარგმანში აქ τέχνη გადმოაქვს „მეცნიერებად“, რაც ასევე გამართლებულია.

რომელიც, თავის მხრივ, ერთს ეზიარება], გარეთ გამოდის. რადგან ცხოვრება მუდამ გამოდის ცხოვრებიდან. ხოლო [სული] მოქმედება [ენერგია] ყველგან წინ მიისწრაფვის და არსად ჩერდება. ის წინ მიემართება, მაგრამ მისი პირველი ნაწილი, რომელიც მან უკან მოიტოვა, მყარად რჩება თავის ადგილას. [გამოსული მოქმედება მას მთლიანად არ სწყდება], რადგან პირველი ნაწილის სრული მიტოვებით ის აღარ იქნებოდა ყველგან, არამედ მხოლოდ ბოლოში.<sup>7</sup> და მაინც, გამო-სული იგივე არ არის, რაც რჩება.

მაშ, თუ ეს ასეა, ენერგია ყველგან უნდა მოხედეს და არ უნდა იყოს [ადგილი], სადაც ის არ არის. წინამძეული მუდამ განსხვავდება მომდევნოგან, ენერგია გამომდინარეობს ჭერეტიდან ან ქმედებიდან, ხოლო ქმედება ჯერ სახეზე არ არის, რადგან ის ჭერეტიდან ეერ იქნებოდა. ამიტომ აუცილებელია, რომ ერთი [მდგომარეობა] მეორეზე სუსტი იყოს, თუმცა ყველაფერი [მაინც] არის ჭერეტი. ამიტომ მიაჩნიათ, რომ ჭერეტის შესატყვისი ქმედება ჭერეტის უსუსტესი სახეობაა. ის, რაც წარმოიქმნება, მუდამ იმგვარი უნდა იყოს [როგორც მისი წარმომქნელია], თუმცა ის უფრო სუსტი ხდება, რადგან დაბლა ჩამოდის.

ეს ყველაფერი მდუმარედ ხდება, რადგან არ საჭიროებს არაერთარ ხილულ და გარეშე მჭერეგელობას ან ქმედებას. სულს რაც შეეხება, ის მჭერეგელიც არის, და ასე ქმნის ის იმას, რაც აგრეთვე ჭერეტს, მაგრამ უფრო გარეგანისკენ

---

<sup>7</sup> ეს არის მინიშნება პლატონის ცნობილ შეხედულებაზე სულის (და ჩვენ) შესახებ, რომელიც მას სხვა პლატონიკოსებისგან განასხვავებდა: მაგურიალურ კოსმოსში შემოსული და ცალკეულ ადამიანებში დამკვიდრებული სული ამქვეყნად მთლიანად კი არ ჩამოდის, არამედ მისი „გენა ნაწილი“ მყარად რჩება ინტელიგიბილურ სამყაროში. ღმერთთან ანუ ერთთან ჩვენს ერთობის – არა მარტო იმ, არამედ ამქვეყნადაც – საწინდარი სწორედ სულის ეს მუდამ ზემოთ არსებული უმაღლესი „ნაწილია“, რომელიც ჩვენ, მისი შემეფობით, გონებასა და ერთთან გვაკავშირებს.

[არის მიმართული]; ამდენად, ერთი და იგივე არ არის ის, რაც წინ არის და რაც შემდეგ არის, თუმცა ჭერეგა ჭერეგას წარმოშობს, და არა აქვს საზღვარი არც ჭერეგას და არც ჭერეგის საგანს.<sup>8</sup>

ამიგომ არის [ჭერეგა] ყველგან. მართლაც და, სად არ არის? ის ყველა სულში არის ერთი და იგივე; ის ხომ სიდიდით არ გარშემოიწერება. და მაინც, [ჭერეგა] ყველაფერში ერთნაირად არ არის, იმიგომ რომ ის სულის ყველა ნაწილში ერთნაირად არ არის [მოცემული].

მეეტლე ცხენებს იმის [წილს] აძლევს, რაც ნახა. [ცხენები], რომლებიც [ამას] იღებენ, რა თქმა უნდა, იმისკენ მიისწრაფიან, რაც ნახეს: ისინი ხომ ყველაფერს ვერ მისწვდნენ.<sup>9</sup> და თუკი მათ სწრაფვას თან ახლავს ქმედება, ის მისწრაფების საგნით არის გამოწვეული; სწორედ ეს იყო ჭერეგა და ჭერეგის საგანი.

## 6

მამ, ქმედება მჭერეგელობისა და ჭერეგის საგნისთვის ხორციელდება. მათთვისაც, ვინც მოქმედებს, მჭერეგელობა მიზანია; ისინი თითქოსდა შემოვლთი გზით უდილობენ, იმას მიაღწიონ, რაც უშუალოდ ვერ მიიღეს.

და შემდეგ, თუ მიაღწიეს საწაღელს, რაც სურდათ, რომ მომხდარიყო, [ეს] იმისთვის კი არ ხდება, რომ ის არ შეიყნონ, არამედ რათა შეიყნონ და როგორც მოცემული იხილონ;

---

<sup>8</sup> ჭერეგა აქ უფართოეს გავებას იძენს. პლოტინისთვის ჭერეგა სულის მთლიანი მოქმედებაა, რომელიც, მეორე მხრივ, წარმოქმნასაც განაპირობებს. ა. პ. არმსტრონგის თანახმად, ყველაფერი, რაც არსებობს, სულის მოქმედების შედეგია. Plotinus, ed. Armstrong, გ. 3, გვ. 376.

<sup>9</sup> შტრ. პლატონი, „ფედროსი“ (Phdr. 247 e 5-6; 253 c 7; 254 b 4-6). ა. პ. არმსტრონგის განმარტების თანახმად, „ფედროსში“ მეეტლე ცხენებს აძლევს ნექტარსა და ამბროსიას. ეს ის წილია, რომელიც სულის უფრო მდაბალმა ნაწილებმა შეიძლება მიიღონ იმ ჭერეგისგან, რომელიც სულის უმაღლეს ნაწილს ერგება. Plotinus, ed. Armstrong, გ. 3, გვ. 377. აქვე გაიხსენოთ „ნექტარისა და ამბროსიას“ ხსენება პეტრიწის კომენტარში.

ცხადია, რომ [ის] სულში ძევს როგორც ჰერეტიკის საგანი. ადამიანები ხომ სიკეთის გულისთვის საქმიანობენ, არა იმიტომ, რომ [სიკეთე] მათ გარეთ იყოს, არც იმისთვის, რომ მას არ ფლობდნენ, არამედ იმისათვის, რათა გააჩნდეთ ქმედების კეთილი [შედეგი].

მაგრამ სად [უნდა ჰქონდეთ ის]? სულში. მაშ, ქმედებამ ისევ ჰერეტიკსენ წაგვიყვანა. რადგან რასაც კაცი სულში სწვდება, რომელიც არის რაციონალური საწყისი [„ლოგოსი“], სხვა რა იქნება, თუ არა მდუმარე სიჩყვა [„ლოგოსი“]? და ის მით უფრო მეტად [არის ასეთი], რაც უფრო მეტად [ღრმად ძევს სულში]. სწორედ მაშინ არის [სული] მშვიდად და არაფერს ეძიებს, რადგან აესებულება, და მჭერგულდება, რომელიც მას სწამს, რომ ~~გააჩნდა~~ შივნით ძევს. და რაც უფრო ცხადია რწმენა, მით უფრო მშვიდია ჰერეტიკა, რომელიც სულ უფრო მეტად წინ მიიწევს ერთიანობისკენ. და ამ დროს – ეს უკვე სერიოზული თემაა – შემეცნების უნარი, რაც უფრო მეტად შეიცნობს, მით უფრო უერთდება შემეცნების საგანს.

როცა [შემეცნებელი და შემეცნების საგანი] ორი [რამ არის], მაშინ ისინი სხვადასხვანი არიან [ერთმანეთის მიმართ]. [ისინი] ერთგვარად გვერდიგვერდ მდებარეობენ, და ეს ორობა [სულში] ჯერ არ არის გათავისებული; ასეა, როცა რაციონალური საწყისები სულში არიან, მაგრამ სრულიად უმოქმედოდ.

ამიტომ რაციონალური საწყისი გარეთ კი არ უნდა იყოს, არამედ შეერთებული უნდა იყოს მოსწავლის სულთან, ისე, რომ მან ის როგორც თავისი საკუთრება ჰპოვოს [და გაითავისოს].

ხოლო სული, როდესაც [რაციონალურ საწყისს] გაითავისებს და შეეწყობა, მას [კიდევ] გამოხატავს და მოიხმარს – თავდაპირველად მას ხომ [ეს საწყისი აქტუალურად – გაცნობიერებულად] არ გააჩნდა; [სული მას] შეისწავლის, და მისი

მოსმარებისას თითქოს სხვა [უცხო] ხლება მის მიმართ, მას, როგორც სხვას [უცხოს], დისკურსიული განსჯის მეშვეობით შესცქერის. თუმცა თავადაც [სული] რაციონალური საწყისი იყო და, გარკვეულწილად, ის გონებაც არის, მაგრამ [ისეთი გონება, რომელიც] სხვა რამეს შესცქერის. რადგან [სული] სრული არ არის, მას აკლია ის, რაც მასზე უწინარესია. რა თქმა უნდა, [სულიც] შესცქერის მშვიდად იმას, რასაც [თავად] გამოხატავს. რადგან რაც მან კარგად გამოხატა, იმის გამოხატვა აღარ სჭირდება, ხოლო რასაც [მან] გამოხატავს, გამოხატავს ნაკლოვანების გამო, დაკვირვების მიზნით, რათა შეისწავლოს ის, რაც გააჩნია. ხოლო პრაქტიკულ საქმიანობაში [სული] შეუსაბამებს იმას, რაც გააჩნია, გარეგან ვითარებებს. [სულს] უფრო მეტად [საკუთრივ] გააჩნია ის, რაც აქვს, ამიგომ უფრო მშვიდია; ის ამას უფრო სრულად ფლობს, ამიგომ უფრო მჭერეტელია.

მაგრამ [მთლად] სრულყოფილი [სული] არ არის, და ის მიისწრაფვის იმისკენ, რომ უფრო მეტად დაეუფლოს ჭერეტის საგნის ცოდნას და დაკვირვებიდან [მომდინარე] მჭერეტელობას. და როცა [სული საკუთარ თავს] მიატოვებს და სხვებში მოხედება, შემდეგ კი კვლავ დაბრუნდება, ის თავისი დარჩენილი ნაწილით ჭერეტს.<sup>10</sup> საკუთარ თავში დამკვიდრებულ [სულს] ეს ნაკლებად ახასიათებს. ამიგომ ბრძენს უკვე დამთავრებული აქვს განსჯა; ის სხვებს უმელავენებს იმას, რაც თავად მასშია. მაგრამ საკუთარ თავთან მიმართებაში [ბრძენი თავად] არის ხედვა. ის უკვე არის ერთისა და სიმშვიდისკენ [მიმართული], არა მარტო გარეშე [საგნებთან], არამედ საკუთარ თავთან და შინაგან [სამყაროსთან დამოკიდებულებაშიც]: ყველაფერი [მის] შიგნით [არის].

---

<sup>10</sup> ანუ სულის „გედა“, გონებასთან ახლო მყოფი „ნაწილი“.



[ცხადია შემდეგი:] ყველაფერი ჰერეტიდან [არის] და ჰერეტაა – როგორც ჰეშმარიტად არსებულები, ასევე ისიც, რაც მათი ჰერეტიდან წარმოიქმნება და თავადაც ჰერეტის საგანია, ზოგი შეგვრძნების, ზოგი შემეცნების და ზოგიც შეხედულების მეშვეობით. ქმედებას მიზნად აქვს შემეცნება და შემეცნებისკენ მისწრაფება. ჰერეტის პროდუქტები ფორმათა სრულყოფისკენ და ჰერეტის სხვა საგნის [წარმოქმნისკენ არიან მიმართული]. საერთოდ, თითოეული საგანი, რომელიც [მისი] შემქმნელის მიზნაბაძია, [თავის მხრივ], ქმნის ჰერეტის საგნებსა და ფორმებს. წარმოქმნილი სინამდვილე, მიზნაბაძი არსებული საგნებისა, აჩვენებს, რომ შემოქმედისთვის საგნების შექმნის მიზანი არა შექმნა და მოქმედებაა, არამედ [შედგის სახით მათი] დასრულებაა, რომელიც ერთ მიზანს – [მათ] ჰერეტას ემსახურება. ამის დანახვა განსჯასაც სურს და, მასზე უწინ, შეგვრძნებასაც, რომლის მიზანი შემეცნებაა, ხოლო მასზე კიდევ უფრო წინ – ბუნებას, რომელიც თავის თავში [ხედავს] ჰერეტის საგანსა და რაციონალურ საწყისს; ის [ასე] ქმნის და, ამასთანავე, სრულქმნის სხვა რაციონალურ საწყისს. აქედან ზოგი რამ თავისთავად ცხადია, ზოგი რამ კი ჩვენმა მსჯელობამ მოგვაგონა.

შემდეგ, ისიც ცხადია, რომ ისევე, როგორც პირველარსნი ჰერეტაში იმყოფებიან, ასევე სხვა დანარჩენიც აუცილებლად ამისკენ უნდა მიისწრაფოდეს, თუკი საწყისი ყველაფრის მიზანია.<sup>11</sup>

<sup>11</sup> ა. პ. არმსტრონგი წერს, რომ ეს არის ბერძნული ფილოსოფიური ამრის ერთ-ერთი ყველაზე უუნდამენტური პრინციპი. Θεσπία-ს ის აქცევს ყოველგვარი საქმისა და მოქმედების მიზნად და ამით მოხსნის (უდავოდ შეგნებულად, გაცნობიერებულად) არისტოტელესეულ განსხვავებას „პრაქტიკულ“ და „თეორიულ“ მეცნიერებათა შორის. ამდენად, პლოტინი აქცევს მთელ ცხოვრებას – არა მარტო აღამიანისა, არამედ უნივერსუმისაც – ფილოსოფიად, ამ სიტყვის არისტოტელესეული გაგებით. Plotinus, ed. Armstrong, გ. 3, გვ. 383.

როდესაც ეოცხალი არსებები შობენ, მათ შინაგანი რაციონალური საწყისები ამოძრავებენ; სწორედ ეს [ანუ შობა] არის ჭვრეტის ენერჯია [ანუ შინაგანი არსის გამოხატულება]. დაბადება მიდრეკილია მრავალი ფორმისა და ჭვრეტის მრავალი საგნის შექმნისკენ, ყველაფრის რაციონალური საწყისებით ავსებისა და, ასე ვთქვათ, მუდმივად ჭვრეტისკენ; რადგან შექმნა არის რაღაც ფორმის შექმნა, ეს კი ყველაფრის ჭვრეტით ავსებას ნიშნავს. შეცდომები, როგორც წარმოქმნილ, ასევე გაკეთებულ საგნებში, იმის შედეგია, რომ მჭვრეტელი ჭვრეტის ობიექტს ასცდა; და ცუდი ხელოსანიც, ალბათ, ის არის, ვინც ფორმებს – [თუნდაც] უმნოს – ქმნის; და სიყვარულიც ჭვრეტა და ფორმებისკენ მისწრაფებაა.

## 8

ეს ასეა. ხოლო ჭვრეტა მაღლდება ბუნებიდან სულისკენ, მისგან კი გონებისაკენ. ამ საფეხურზე ჭვრეტა უფრო გათავისებული ხდება და მჭვრეტელთან ერთიანი. შემეცნებული საგნები ბრძენ სულში სულ უფრო მეტად უიგივდება [შემეცნებულ] სუბიექტს, რადგან ისინი გონებისკენ [მასთან ერთობისკენ] მიილგვიან. გონებაში, ცხადია, ორივე ერთია, არა გათავისების საფუძველზე, როგორც ეს საუკეთესო სულის შემთხვევაშია, არამედ არსებისეულად, და „ერთი და იგივეა არსებობა და ამროვნება“<sup>12</sup>, რადგან [გონებაში] ეს ორი რამ სხვადასხვა არ არის; [წინააღმდეგ შემთხვევაში], კვლავ სხვა უნდა არსებობდეს, რომელშიც ეს ორი რამ სხვადასხვა არ იქნება.<sup>13</sup> ამდენად, მართლაც საჭიროა, რომ [გონებამ], როგორც ერთმა, ორივე მოიყვას.

<sup>12</sup> მდრ. Parm., fr. 3 Diels.

<sup>13</sup> ეს არის გიპიური პლატონური მსჯელობა: ორის წინ აუცილებლად უნდა იყოს ერთი, რომელიც ორობას უდევს საფუძველად და რომელსაც საფუძველი უკვე თავის თავში აქვს და არა სხვა, უფრო წინა საწყისში.

სწორედ ეს გულისხმობს ცოცხალ ჭერეგას, და არა ჭერეგის [ისეთ] საგანს, რომელიც სხვაშია. რადგან სხვაში მყოფი რაღაც [ერთი სახის] სიცოცხლეა, ის არ არის თვითცხოვრება. ჭერეგის საგანი და აზრი თუ ცოცხალია, ეს თვითცხოვრება უნდა იყოს, და არა ვეგეტატიური, მგრძნობელობითი, ფსიქიური ან სხვა სახის [სიცოცხლე].<sup>14</sup> სხვა სახის [სიცოცხლეებიც] ერთგვარად ამროვნებას წარმოადგენენ;<sup>15</sup> მაგრამ ერთია ვეგეტატიური ამროვნება, მეორე – მგრძნობელობითი, მესამეც სულიერი.

როგორ არიან ისინი ამროვნებათა სახეობები? იმიტომ არიან, რომ რაციონალურ საწყისებს წარმოადგენენ. ყველა სიცოცხლე ერთგვარი ამროვნებაა, მაგრამ ერთი [ამროვნება] მეორეზე უფრო ბუნდოვანია, ისევე როგორც ცხოვრება [არის ასეთი]. უფრო ნათელი ცხოვრება არის პირველი ცხოვრება და პირველი გონება, რაც ერთი და იგივეა. პირველი ამროვნება პირველი ცხოვრებაა და მეორე ცხოვრება მეორე ამროვნებაა, ხოლო უკანასკნელი ცხოვრება უკანასკნელი ამროვნებაა. ამგვარად, ყველა ცხოვრება ამ გვარს ეკუთვნის და ის ამროვნებაც არის.

---

<sup>14</sup> სიცოცხლის ეს სახეობები კერძო სახეებს წარმოადგენენ სიცოცხლის როგორც ასეთის, თავისთავადი სიცოცხლის, ანუ, ფსევდო დიონისე არეოპაგელის ტერმინი (ეუროპ მცირის თარგმანში) რომ მოვიშველიოთ, „თვითცხოვრებასთან“ მიმართებაში.

<sup>15</sup> პლოტინისტების ყველაფერი არსებული გარკვეულწილად გონისეულია, ანუ ამროვნებაა, შემეცნებაა („ნოესის“). თავის მხრივ, გონებაც (რომლის არსება ამროვნებას წარმოადგენს) ცხოვრობს, ანუ ის თავისი არსებით – შემეცნებით – სიცოცხლეა. ყველა გიჟისა და ღონის შემეცნება სხვადასხვა ხარისხით დამოკიდებულია მგრძნობად საყოველთაო გონებაზე; ამიტომ ისინიც არა მარტო ჭერეგას, არამედ სიცოცხლეს წარმოადგენენ, ოღონდ რაც უფრო დაბლა ჩამოედევართ ონგოლოგიურ იერარქიულ კიბეზე, მით უფრო ბუნდოვანია ამროვნება – ჭერეგა – მისი საგანი – სიცოცხლე. გვიანდელი ნეოპლატონიზმი უფრო მკვეთრ მღევარს გაავლევს გონისეულ და სასიცოცხლო (მესაბამისად, გონებისა და სულის) ფუნქციებს შორის.

ცხოვრებასთან დაკავშირებით ამ განსხვავებებს ადამიანებიც ადვილად ამჩნევენ, ამროვნებაზე კი ვერ ამჩნევენ; ისინი მხოლოდ იმას ამჩნევენ ხოლმე, რომ ამროვნება არის ან სულ არ არის. ეს ასე იმიტომ ხდება, რომ სრულიად არ იკვლევენ, ცხოვრება რა არის.

და ისევ, მსჯელობა მიგვანიშნებს, რომ ყველაფერი არსებული ჭერეგის თანმხლები მოქმედების შედეგია. თუკი უჭემ-მარიტესი ცხოვრება ამროვნების მეშვეობით არის ცხოვრება, და ის იგივეა, რაც უჭემმარიტესი ამროვნება, [აქედან ვასკენით, რომ] უჭემმარიტესი ამროვნება ცოცხალია; ჭერეგა და ჭერეგის საგანი ცოცხალია და არის სიცოცხლე, და ორივე ერთი და იგივეა.

ხოლო თუკი ორივე ერთია, როგორ იქნება ეს ერთი სიმრავლე?

იმიტომ, რომ ის ერთს არა ჭერეგს. და მაშინაც, როცა ერთს ჭერეგს, ამას არა როგორც ერთი ჭერეგს.<sup>16</sup> ასე რომ არ ყოფილიყო, გონება არ წარმოიქმნებოდა. ხოლო [გონებაამ] დაიწყო, როგორც ერთმა, მაგრამ არ დარჩა იმად, როგორც დაიწყო, არამედ – ისე რომ თავადაც ვერ შეამჩნია – იქცა სიმრავლედ, თითქოსდა დამძიმდაო, და გაიშალა, რადგან სურდა, ყველაფერი ჰქონოდა (რამდენად უკეთესი იქნებოდა მისთვის, ეს არ ნდომებოდა, რადგან ასე გახდა ის

---

<sup>16</sup> ჭერეგა და ამროვნება ყოველთვის გულისხმობს ორობას სუბიექტისა და ობიექტის, მაშინაც, როდესაც ისინი ერთი და იგივეა, როგორც ეს გონების შემთხვევაში გვაქვს. ამასთანავე, გონება, თავისი თავის ჭერეგით უმზავეს ერთს ჭერეგს. არმსტრონგი აღნიშნავს, რომ ერთის ჭერეგისას გონება მას ხელავეს როგორც სიმრავლეს და ასე იქცევა სიმრავლედ ერთიანობაში. საკმაოდ პესიმისტური ტონი, რომლითაც პლოტინი აღწერს გონების ჩამოსვლას, არმსტრონგის დაკვირვებით. მისთვის უჩვეულოა. სხვაგან პლოტინი გონების წარმოქმნას დაკნინებად არ მიიჩნევს (მიუხედავად იმისა, რომ ერთი მუდამ უფრო მაღალი საფეხურია გონებასთან შედარებით), განსხვავებით სულის წარმოქმნისგან. იხ. Plotinus, ed. Armstrong, გ. 3, გვ. 386.

მეორე);<sup>17</sup> წრესავეთ გაიშალა და გახდა ფიგურა, სიბრტყე, გარშემოწერილობა, ცენტრი და რადიუსები, ისე, რომ ზოგი რამ ზემოთ არის, ზოგი კი ქვემოთ; რაც უმჯობესია, ის არის ის, „საიდანაც“ [გონება მოდის], უფრო ცუდი კი ის არის „საითკენაც“ [მიემართება და სიმრავლედ იშლება]. ის, „რისკენაც“ არ არის იგივე რაც არის „საიდანაც“ და „რისკენაც“ [ერთად აღებული], არც „საიდანაც“ და „რისკენაც“ [ერთად] იგივეა, რაც მხოლოდ „საიდანაც“.

მეორე მხრივ, გონება ერთი რაღაცის გონება კი არ არის, არამედ საყოველთაოც არის, და როგორც საყოველთაო, ის ყველაფრის [გონება] უნდა იყოს. ის უნდა იყოს საყოველთაო და [იყოს] ყველაფრის [გონება], მის ნაწილს უნდა პქონდეს ყველაფერი და ყველა საგანი. წინააღმდეგ შემთხვევაში, რომელიმე ნაწილი გონება არ იქნება; მაშინ ის შედგენილი უნდა იყოს არა-გონებისაგან და ეს იქნებოდა რაღაც დახვეწებული გროვა, რომელიც ელოდება, რომ ყოველივე ამისგან გონებად იქცეს.

ამიგომ არის [გონება] ამ თვალსაზრისითაც უსაზღვრო და, თუკი რაიმე მისგან [მომდინარეობს], ის არ მცირდება – არც ის [მცირდება], რაც მისგან არის [ანუ ხილული, გრძნობადი კოსმოსი] (იმიგომ რომ ის თავად არის ყველაფერი), არც ის,

---

<sup>17</sup> რაც უფრო მაღალია საფეხური ონტოლოგიურ იერარქიაში, მით უფრო ერთიანია და უმჯობესია ის პლატონიკოსებისთვის ნებისმიერი გაცებით (ონტოლოგიურად, გნოსეოლოგიურად, ეთიკურად, ესთეტიკურად, რაც გარკვეულ სიმაღლეებზე ერთი და იგივეა). ამდენად, ქვესვლა და სიმრავლედ დამლა (თავის მხრივ, მესისრულითა და ზეკეთილობით გამოწვეული) ყოველთვის ნაკლად აღიქმებოდა. მაგრამ პლოტინი, სხვა პლატონიკოსებზე უფრო „კუმანურად“ უყურებდა ერთიანობის სიმრავლედ დამლას და მაგერიალური, გრძნობადი – ჩვენი კოსმოსისკენ უმუნავისი პრინციპის „ჩამოსვლას“: მისთვის ყველაფერი არსებული მშვენიერია. ჩვენი მიზანი გონისეული საწყისისკენ შეასვლაა, მაგრამ ამ შეასვლის პირობებში და ვმაზე ეს ხილული სამყარო და ჩვენი ბედი მასში, მთელი თავისი სირთულეებით, მშვენიერია და მისაღები.

საიდანაც ვამოდის [ანუ თავად გონება], იმიტომ რომ ის ნაწილითა სინთეზი არ არის.

9

ასეთია გონება. ამიტომ ის პირველი არ არის: მის მიღმა უნდა იყოს რაღაც სხვა,<sup>18</sup> რისი გულისთვისაც შედგა ჩვენი წინამაყალი მსჯელობა.

ჯერ ერთი, სიმრავლე ერთის შემდეგ არის. გონება არის რიცხვი, ხოლო რიცხვისა და ამგვარი რამის საწყისი არის ჭეშმარიტი ერთი. გონება, ამავე დროს, გონით საწვდომი საგანიც არის, ამიტომ ის ერთდროულად ორია. ხოლო თუკი ორია, უნდა ჩაეწედეთ იმას, რაც ორზე წინ არის.

რა არის ეს?

მხოლოდ გონება?<sup>19</sup>

მაგრამ ყველა გონებასთან ხომ გონებით საწვდომი საგანია დაკავშირებული. გონებით საწვდომი საგნის გონებასთან კავშირი საჭირო რომ არ ყოფილიყო, არც გონება იქნებოდა. ხოლო თუკი ეს [საძიებელი საწყისი] არ არის გონება და ის ორობას უსხლგება, მაშინ ის, რაც ამ ორამდეა, გონების მიღმა არის.

მაშ, რა უმლის მას, რომ გონებით საწვდომი საგანი იყოს?<sup>20</sup>

საქმე ის არის, რომ გონებით საწვდომი საგანიც გონებასთან არის შეერთებული.

---

<sup>18</sup> შლრ. Plat., R. VI, 509 b 9.

<sup>19</sup> იგულისხმება ე.წ. ინტელექტუალური გონება წმინდა სახით (ანუ ვინიერი გონება, ბერძნ. „ნუს ნოუროს“), რომელიც გულისხმობს გონების შემშესებელ ასპექტს, შესამეცნებელ ობიექტთან („ინტელიგიბილურ გონებასთან“, ანუ „გონით გონებასთან“, ბერძნ. „ნუს ნოეტოს“) ერთიანობის გარეშე წარმოადგენილს.

<sup>20</sup> ახლა პლოტინი გვაჩვენებს, რომ აბსოლუტური პირველსაწყისი ვერც გონების ის ასპექტი იქნება, რომელიც შესამეცნებელ ობიექტს – ინტელიგიბილურ გონებას წარმოადგენს (პეტრიწის ტერმინი რომ ვიხმართ, ეს არის „ვასაგონი“, ანუ, ბერძნულად, „ნოეტური“).

მაშინ რაღაა ის, თუ არც გონებაა და არც გონებით საწვდომი საგანი?

ჩვენ ვიგყოფით, რომ [ეს არის] ის, საიდანაც [წარმოდგება] გონება და მასთან ერთად გონებით საწვდომი საგანი.

რა არის ეს და როგორ შეგვიძლია ის წარმოვიდგინოთ?

ის უნდა იყოს ან მოაზროვნე სუბიექტი ან გონებით ვერ-საწვდომი საგანი. მოაზროვნე [რაც არის, ის] გონებაა, გონებით ვერ-საწვდომს კი, [როგორც ზოგადად შეუძმეცნებადს], საკუთარი თავი არ ეცოდინება. მაშინ რაღაა მასში ღირშესანიშნავი?

თუ ვიგყოფით, რომ ის არის სიკეთე და უმარტივესი საგანი, ვერაფერს ცხადს და ნათელს ვერ ვიგყოფით, მიუხედავად იმისა, რომ ეს სიმართლეა, [და ასე იქნება], სანამ არ გვექნება რაღაც, რაზეც, საუბრისას, განსჯას დავამყარებთ.

სხვა საგნების ცოდნას გონების მეშვეობით ვიძენთ, და გონება გონებით შეგვიძლია შევიმეცნოთ; მაგრამ რა უცაბელი ინტუიციით შეიძლება ჩავწვდეთ იმას, რაც გონების ბუნებას აღემატება?

მას, ვისაც უნდა მიუხიზნოთ, თუ როგორ არის ეს შესაძლებელი, ეუპასუხებთ: ეს ხდება იმის საფუძველზე, რაც ჩვენში არის [იმ გრანსცენდენტური საწყისის] მსგავსი; რადგან ჩვენშიც არის მისი რაღაც [წილი]. და არ არის არაფერი, სადაც ის არ არის, იმ საგნებში, რომლებიც მას ეზიარებიან.

ის ყველგან არის და როდესაც მის მისაღებად განაწყობ იმას, რასაც მისი მიღება შეუძლია, მიიღებ კიდევ იქიდან. ასეა ხმა, რომელიც სიცარიელეს აუსებს, სადაც აღამიანების არიან; სიცარიელის რომელ ადგილასაც არ უნდა იდგე, ყური მთელ ხმას გაიგონებს და თან არა მთელს.

მაშ, რას ვიღებთ, როდესაც გონებას ასე განვაწყობთ?

გონებამ თითქოსდა უკან უნდა დაიხიოს და, ასე ვთქვათ, იმას მიეცეს, რაც მის უკან არის; ამ დროს ის ორსახოვანია,

და თუკი მას სურს ის [ტრანსცენდენტური საწყისი] დაინახოს, ის მთლად გონება აღარ უნდა იყოს.

[გონება] თავად არის პირველადი სახით ცხოვრება, ენერგია, რომელიც ყველაფრის გამოსვლაში მდგომარეობს („გამოსვლაში“ ეგულისხმობ არა გამოშვებას, არამედ გამოსულს).<sup>21</sup> ხოლო თუკი ის არის ცხოვრება და გამოსვლა, და ყველაფერი აქვს მუსტად და არა განურჩეველ ზოგადობაში (რადგან მაშინ არასრულყოფილად და დაუნაწევრებლად ექნებოდა), ამიგომ ის უნდა [წარმოდგებოდეს] რაღაც სხვა [საწყისიდან], რომელიც გამოსვლაში კი არ [იმყოფება], არამედ გამოსვლის საწყისია,<sup>22</sup> ცხოვრების საწყისია, გონებისა და ყველაფრის საწყისია. რადგან ყველაფერი კი არ წარმოადგენს საწყისს, არამედ საწყისიდან არის ყველაფერი, თავად [საწყისი] კი სულაც არ არის ყველაფერი ან ყველაფერიდან რაიმე, იმიტომ, რომ მან უნდა წარმოქმნას ყველაფერი, და იმიტომ, რომ სიმრავლე კი არ იყოს, არამედ სიმრავლის საწყისი. რადგან ყველგან წარმოქმნილი უფრო მარტივია, ვიდრე წარმოქმნილი.

მაშ, თუკი [ასეთმა საწყისმა] წარმოქმნა გონება, ის გონებაზე უფრო მარტივი უნდა იყოს.

თუ დავეუშვებთ, რომ თავად ერთი ყველაფერიც არის, მაშინ ის ან ყველაფერიდან ერთ-ერთი იქნება, ან ყველაფერი ერთად. თუკი ის არის ყველაფრის ერთად კრებული, მაშინ ის [ამ] ყველაფრის შემდგომ უნდა იყოს; ხოლო თუკი ის ყველაფერს წინ უსწრებს, მაშინ [ეს] ყველაფერი და თავად [ის, როგორც ამ ყველაფრის საწყისი], ერთმანეთისგან უნდა განსხვავდებოდეს. ხოლო თუკი თავად ის და ყველაფერი

---

<sup>21</sup> როგორც ჩანს, იგულისხმება არა გამოშვებული სიმრავლე საგნებისა, რომლებიც გონების მიერ საკუთარი შინაარსის ჭკრეგის შედეგია, არამედ თავად გამოსვლა როგორც პრინციპი.

<sup>22</sup> ბერძნ. შესატყვისია „არხე“.



ერთად არის, მაშინ ის საწყისი ვერ იქნება.<sup>23</sup> მაგრამ ის უნდა იყოს საწყისი და იყოს ყველაფერზე უწინ, იმისათვის, რომ მის შემდგომ იყოს ყველაფერი. რაც შეეხება იმას, არის თუ არა ის ერთ-ერთი ყველაფრიდან, ასეთ შემთხვევაში, ჯერ-ერთი, ის იგივე იქნებოდა, რაც არის ნებისმიერი სხვა [ამ ყველაფრიდან], მეორეც, ყველაფერი ერთად იქნებოდა, და არაფერი იქნებოდა განსხვავებული.

ამგვარად, ის არის არა რაიმე ყველაფრიდან, არამედ წინ უსწრებს ყველაფერს.

## 10

მაშ, რა არის ეს? ეს ყველაფრის ძალაა;<sup>24</sup> ეს რომ არ ყოფილიყო, არც ეს „ყველაფერი“<sup>25</sup> იქნებოდა, და არც გონება იქნებოდა, რომელიც არის პირველი და საყოველთაო სიცოცხლე. მაგრამ სიცოცხლეზე მაღლა სიცოცხლის მიზეზია;

<sup>23</sup> ამ ტიპის მსჯელობა შემდგომში საფუძვლად დაედო პორფირიოსის ე.წ. „სენტენციებს“ და, კიდევ უფრო გვიან, პროკლეს „თეოლოგიის საფუძვლებს“.

<sup>24</sup> ერთი არის „ძალა“ არა პოტენციურობის არისტოტელესული გაგებით, არამედ როგორც აქტიური, მოქმედი ძალა: უფორმობა, რომელიც ფორმებს წარმოქმნის. იხ. Plotinus, ed. Armstrong, გ. 3, გვ. 394-395. „ძალის“ ორგვარი გაგება გვაქვს პროკლესა და იონე პეტრიწთანაც. პეტრიწი ხშირად განმარტავდა, რომ „ძალა“ ღვთაებრივ, გონით სფეროში არ არის ის ძალა, რომელიც ქმნალებს ახასიათებს და რომელიც შესაძლებლობიდან სინამდვილეში გადადის. განსხვავება, ერთი მხრივ, პლოტინს, მეორე მხრივ კი პროკლესა და პეტრიწს შორის, ალბათ, ის არის, რომ ეს ორი უკანასკნელი ფილოსოფოსი, პლოტინისგან განსხვავებით, გრანსცენდენტურ ერთზე არც იტყობა, რომ ის „ძალაა“. ლექსიონის ეს თავისებურებები საერთოდ ერთის „გრანსცენდენალიზაციის“ (მიუწვედომლად მიღმიერად ქსევის) ტენდენციას უკავშირდება, რომელიც პლოტინის შემდეგ უფრო გამოიხატა და პორფირიოსიდან პროკლემდე სულ უფრო ძლიერდებოდა. პლოტინის „ერთიც“ სრულიად გრანსცენდენტური იყო, მაგრამ შემდგომი დროის ნეოპლატონიკოსები ამის გამოხატვას უფრო გულმოდგინედ და დასაბუთებულად ცდილობდნენ.

<sup>25</sup> „ყველაფერი“ (τὸ πᾶν) პლატონიკოსთა ენაზე ნიშნავს აგრეთვე სამყაროს, კოსმოსს, უნივერსუმს.

სიციოცხლის მოქმედება, რომელიც ყველაფერია,<sup>26</sup> არ არის პირველადი, არამედ ის გამოედინება, თითქოსდა წყაროდან [მოდოდესო].

წარმოიდგინე წყარო, რომელსაც სხვა საწყისი არა აქვს, მაგრამ რომელიც მდინარეებს მთლიანად ეძლევა, თვითონ კი არ იხარჯება მდინარეებში, არამედ მშვიდად განაგრძობს ყოფნას. მისგან გამოძვავალი [მდინარეები], სანამ აქეთ-იქით გაედინებიან, ჯერ კიდევ ერთად არიან. ამ ღროს მათგან თითოეულმა უკვე იცის, სად წავა მათი ნაკადები.

ან [წარმოიდგინე] დიდი მცენარე, რომელსაც სიციოცხლე მთლიანად გაიელის, ხოლო საწყისი რჩება და არ ნაწევრდება მთელს [სხეულზე], თითქოსდა ფესვში დამკვიდრებულია. მცენარეს ის სიციოცხლეს ანიჭებს მთელ მის მრავალფეროვნებაში, თავად კი რჩება [უცუელი] არა სიმრავლის სახით, არამედ სიმრავლის წყაროდ. და ამაში არაფერია გასაკვირი.

თუ სწორედაც რომ საკვირველია, როგორ გამოდის სიციოცხლის სიმრავლე არა-სიმრავლიდან და [ის, რომ] სიმრავლე არ იქნებოდა, სიმრავლეზე უწინ არა-სიმრავლე რომ არ ყოფილიყო. საწყისი მთლიანობაზე არ ნაწილდება; ის რომ დანაწილებულიყო, მთელსაც დალუპავდა; [მთელი] აღარ წარმოიშვებოდა, საწყისი რომ მყარად არ არსებულებოდა, რომელიც მისგან განსხვავებულია.

ამიტომ არის ყველგან ზეასელა ერთისკენ. ყოველ ცალკეულ [შემთხვევაში] არის რაღაც ერთი, რომლისკენაც ახვალ, და ეს უნივერსუმიც [მიმართულია იმ] ერთზე, რომელიც მასზე წინ არის; თუმცა ეს [ჯერ კიდევ] არ არის მარტივი ერთი [უბნაეს] მარტივ ერთამდე მიმავალ გზაზე; ხოლო ეს უკანასკნელი სულ არაფერს არ მიემართება.

---

<sup>26</sup> „ყველაფერი“: უნივერსუმი, კოსმოსი, როგორც ასეთი, არის სიციოცხლის მოქმედება, „ენერჯია“. ის არის სიციოცხლის პრინციპის გამოედინება; ამდენად, ის მეორეულია პირველად სიციოცხლესთან, „თვითცხოვრებასთან“ შედარებით.

მაგრამ თუკი ავიღებთ მცენარის ერთს (სწორედ ეს არის მყარი საწყისი), ცხოველის ერთს და სულის ერთს -- ყველა შემთხვევაში ავიღებთ ყველაზე უფრო მძლავრ და საპატიო [საწყისს]. ხოლო თუკი ჭეშმარიტად არსებულთა ერთს ავიღებთ, „საწყისსა და წყაროს“<sup>27</sup> და შესაძლებლობას, ხომ არ დავეკარგავთ რწმენას და მასზე როგორც არარაზე ვიფიქრებთ?

რა თქმა უნდა, ის არ არის არცერთი იმათგანი, რისი საწყისიც არის, ანუ არის ის, რის შესახებ, გარკვეულწილად, ვერაფერი გამოითქმის: არც არსი, არც არსება, არც ცხოვრება: ის ამ ყველაფერზე აღმატებულია. ხოლო თუკი მას აიღებ ისე, რომ მოაცილებ ყოფნას, საოცრება დაგრჩება. მასთან მიჭრილი, მის წიაღში მოსვენებას პპოვებ და [მას] უკეთესად შეიყნობ, მიახლებული და თანამყოფი, როცა დაინახავ მის სიღიადეს იმათი მემვეობით, რაც მის შემდგომ და მის მიერ არის.<sup>28</sup>

## 11

და კიდევ ეს: გონება არის გარკვეულწილად ხედვა, მხედველი ხედვა, ამიგომ ის არის ძალა [პოტენცია], რომელიც მოქმედებისკენ [ენერჯისკენ] წაიღია.

ამდენად, ერთი მხრივ, იქნება მისი მაგერია, მეორე მხრივ კი ფორმა, როგორც ეს ენერჯის სახით არსებული ხედვისას

---

<sup>27</sup> მდრ. Plat., Phdr. 245 c 9.

<sup>28</sup> ასეთია პლოტინის ამ გრაქტაგის სტრუქტურა: მისი მიზანია დაგვანახოს, რომ ბუნებაც ჭერეგით ქმნის. ბუნება შემდეგი საფეხურია სულის შემდგომ. თავისთავად ისიც სულის ჭერეგის შედეგია. გრაქტაგის საბოლოო მიზანი ის არის, რაც საერთოდ პლოტინის ფილოსოფიის მიზანია: მივიღეთ ერთის „დანახვამდე“, „ვიერძნოთ“, რომ სამყაროს ყველა საფეხურზე - და, პირველ რიგში, ჩვენ გარშემო და ჩვენს საკუთარ თავში არსებული ერთი (ერთიანობა) არის ის საფუძველი, რომელზე კონსენტრაციით ჩვენ შეიძლება „შევეხოთ“ ყველაფრის გამოუთქმელ და მიუწვდომელ, სრულიად გრანსცენდენტურ აბსოლუტურ პირველსაწყისს: ერთს.

არის; ოღონდ მატერია [ამ შემთხვევაში] გონით სუეროში იქნება.<sup>29</sup> ენერგიის სახით არსებული ხედვაც ორმაგია, ხედვამდე კი ის ერთი იყო. ასე რომ, ერთი იქცა ორად და ორი ერთად.

ხედვა სისაესესა და სისრულეს გრძნობით აღსაქმელიდან [იძენს], გონების [თვალით] ხედვას კი სიკეთე აესებს. [გონება] თავად რომ ყოფილიყო სიკეთე, რაღა უნდა ეჭვრიტა ან, საერთოდ, რაღა უნდა ემოქმედა?

სხვა ყველაფერი სიკეთის გარშემოა და სიკეთის გამოა, სიკეთეს კი არაფერი სჭირდება. მას არაფერი აქვს, გარდა თავისი თავისა. ამიტომ, როცა იტყვი „სიკეთე“ – სხვას დამატებით ნულარაფერს იფიქრებ, რადგან თუკი რამეს დაუმატებ, რამდენადაც დაუმატებ, იმდენადვე დააკლებ.<sup>30</sup>

ამიტომ ნურც „ამროენებას“ [მიუმატებ], რათა სხვა რამედ არ აქციო და ორად [არ გახალო] – გონებად და სიკეთედ. გონებას სჭირდება სიკეთე, სიკეთეს კი გონება არ სჭირდება. ამიტომ, როცა [გონება] სიკეთეს აღწევს, ხდება კეთილსახოვანი<sup>31</sup> და სიკეთის მიერ განიცდის სრულქმნას: სიკეთიდან მასზე ფორმა ჩამოდის და მას კეთილსახოვანს ხდის.

[გონებაზე] ერთგვარად სიკეთის კვალი იჭვრიტება. [ამ ნიშნით] უნდა ვიფიქროთ მის ჭეშმარიტ არქეტიპზე: ის გონებაზე ასახული კვალით უნდა წარმოვიდგინოთ.

ამგვარად, [სიკეთემ] თავისი კვალი მისცა გონებას, რომელიც ჭვრეტს და ასე ფლობს მას. ამიტომ გონებას მისწრაფება სჩვევია: ის მუდამ ისწრაფვის და მუდამ აღწევს; ხოლო [უზენაესი სიკეთე] არც მიისწრაფვის – რადგან რისკენ უნდა [მიილტვოდეს?] – და არც აღწევს, რადგან არც [არას-

---

<sup>29</sup> ინგლიციზმულირ სამყაროში მატერიის საკითხს პლოტინი ეხება აგრეთვე II 4 (12) ენეაღაში. იხ. Plotinus, ed. Armstrong, გ. 3, გვ. 399.

<sup>30</sup> ამასვე გაიმეორებს პროკლე „თეოლოგიის საფუძვლების“ მე-8 თავში და შემდეგ იოანე პეტრიწის, ამავე თავის კომენტარში.

<sup>31</sup> მღრ. Plat., R. VI. 509 a 3.

დროს] მისწრაფოდა. ამიტომ ის გონებაც არ არის, რადგან გონებაში არის მისწრაფება და მისი<sup>32</sup> ფორმისკენ მიდრეკილება.

მშენიერი გონება, ის ყველაზე უფრო მშენიერია, წმინდა ნათელსა და წმინდა ბრწინვალებაში მდებარე<sup>33</sup> და არსთა ბუნების მომცეელი. ამქვეყნიური მშენიერი კოსმოსიც მისი მხოლოდ აჩრდილი და ხაგია. [გონება] სრულ ნათებაში იმყოფება, რადგან არაფერია მასში შეუმეცნებელი, ბნელი ან განუზომელი. ის ცხოვრობს ნეტარი ცხოვრებით. გაოცება შეიპყრობს, ვინც მას შესცქერის;<sup>34</sup> ის მასში ჩაიძირება და მასთან ერთი გახდება. როგორც ბეცის შემყურე და ვარსკვლავების ნათების მხედველი [მათ] შემოქმედზე ფიქრობს და მას ეძიებს, ასევე უნდა მან, ვინც გონითი კოსმოსი იხილა, მასში ჩაიხედა და [ამ ხილვით] განცვიფრდა, ეძიოს მისი შემოქმედი, თუ ვინ არის ის, ვინც ეს [გონითი კოსმოსი] წარმოაყენა, სად არის ის ან როგორ [შექმნა მან ის], მან, რომელმაც ასეთი ბავშვი გააჩინა – გონება, რომელიც არის მშენიერი ბიჭი<sup>35</sup> და მისგან წარმოქმნილი სისავსე.<sup>36</sup>

თავად ის [უზენასი ერთი] კი არც გონებაა და არც სისავსე; ის არის გონებამდე და სისავსემდე. გონება და სისავსე მის შემდეგ არიან: მათ სჭირდებოდათ ავსება და მოაზრება. ისინი ახლოს არიან იმასთან, რასაც არაფერი სჭირდება და სულ არ სჭირდება ამროვნება; [გონებას] კი გააჩნია ჭეშმარიტი სისავსე და ამროვნება, მას ის პირველადი სახით აქვს. ხოლო

---

<sup>32</sup> აქ „მისი“ შეიძლება გულისხმობდეს გონებასაც (უფრო სწორი იქნებოდა: „თავისი“) და სიკეთესაც. შინაარსობლივად ორივე შესაძლებელია და, ამ შემთხვევაში, ფაქტიურად ერთი და იგივეა.

<sup>33</sup> მდრ. Plat., Phdr. 250 c 4.

<sup>34</sup> მდრ. Homer., II, III, 342.

<sup>35</sup> ბერძნ. κῆρος. იხ. აგრეთვე მომდევნო მენიშენა.

<sup>36</sup> ბერძნ. κῆρος. აქ არის სიგყვების თამაში (პლოტინისტურის შინაარსობლივად გამართლებული): „ბიჭი“ (κῆρος) ბერძნ. ნიშნავს აგრეთვე „სისავსეს“, „სიმაძღრეს“.

ის, რაც მათზე [ანუ გონებასა და გონით სისავსებზე, ანუ იდეათა სიმრავლეზე] წინ არის, მას ეს არც აქვს და არც სჭირდება; წინააღმდეგ შემთხვევაში ის სიკეთე არ იქნებოდა. >

\*\*\*

## V 1 (10): „სამი საწყისი ჰიპოსტასის შესახებ“

შემდეგი ენადა ძალიან მნიშვნელოვანია პლოტინის ფილოსოფიის, კერძოდ, მისი ონტოლოგიის გასაგებად. აქ ჩამოყალიბებულია სამი ჰიპოსტასის: ერთის, გონებისა და სულის პრინციპები, მათი კავშირი ერთმანეთთან, ახსნილია მათი ერთმანეთიდან გამომდინარეობა. მეტაფიზიკური პოზიციის ვარდა, ეს თავი ჩვენთვის იმით არის საინტერესო, რომ მასში ასახულია სულის „ვამბელაობა“ თუ „თავებლობა“: მისი მოწყვეტა „მამისგან“ და ამქვეყნად „ჩამოსვლა“. პლოტინის ეს ტექსტი ერთგვარი ვაგრძელებაა „ჭერეგის“ შესახებ ზემოთ მოყვანილი ენადასა, რადგან აქაც პლოტინი აღწერს სულის შემოქმედებით „საქმიანობას“, მის მიერ სამყაროს და მისი ნაწილების შექმნას. ამდენად, სულის „ჩამოსვლა“ ქმნადობაში არ არის მარგო დაკნინება, მას დადებითი ვაგება აქვს. ტექსტი, ბუნებრივია, ეკლესიის მამათა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა, თუმცა პლოტინის „სამი ჰიპოსტასი“, ორთოდოქსული ქრისტიანული სამებისგან განსხვავებით, იერარქიულია. განსხვავება ამით არ ამოიწურება: პლოტინის ტრაქტატში ყურადღების ცენტრში სული დგას, კერძოდ, ადამიანური სულიც; სხვა ჰიპოსტასები თითქოს მის ახსნას ემსახურებიან. მეტაფიზიკური რეალიები და პიროვნული სულიერი განცდა გადაჯაჭვულია და ერთიანია ამ ენადაში, ისევე, როგორც პლოტინის მსოფლმხედველობაში საერთოდ. მოცემული ტექსტის მიზანი თითქოს მოწოდებაა, ჩვენკენ მომართული: ვაეხსენოთ ჩვენი (რაც

იგივეა: ჩვენი სულების) ნამდვილი წარმომავლობა, გავიხსენოთ, როგორ მოეწყდით ფესვებს; გავიგოთ, რა არის ჩვენი (ანუ სულის) ნამდვილი ბუნება, და ასე, მისი გაეცნობიერებით, „აღმოვაჩინოთ“ მასშივე ან მის გვერდით (ანუ ჩვენში ან ჩვენ გვერდით) გონება, და მისი მეშვეობით ერთისკენ ავმალდეთ. გზა ამისაკენ (რაც ჩვენი ხსნაა: ჩვენი ნამდვილი მე-ს აღდგენა და შენახვა) ჩვენს თავში ჩაღრმავებაა მხოლოდ, რომელიც მასში არსებულ ერთზე გონისმიერი კონცენტრაციით მთელ უნივერსუმს დაგვანახებს.

მოკლედ გადმოვცემთ ამ ენეადის შინაარსს.<sup>37</sup>

სულები მოსწყდნენ მამას თავისი გამბედაობისა და თავისთავადად ყოფნის სურვილის გამო. მათ დაივიწყეს თავისი ფესვები და მოიხიბლნენ მიწიერი გარემოთი. ორი რამ აძლევს სულებს საშუალებას, კელავ გააეცნობიერონ თავისი საწყისები: ერთი გზა ამქვეყნიურობის ამაოების დანახვაა, მეორე – სულებისთვის მათი წარმომავლობისა და ღირებულების ჩვენებაა.

სული ანიჭებს სამყაროსა და ცოცხალ არსებებს სიცოცხლეს, კოსმოსს – წესრიგს. ეს წარმავალი საგნებია, სული კი მათზე მაღლა დგას. უნივერსალური სული ანათებს კოსმიურ სხეულში, რომელიც მანამდე მკედარი და ბნელი იყო. სულს ყველგან განეფინა, ისე, რომ თვითონ არ დანაწილებულა. მან ეს ერთობა კოსმოსსაც მიანიჭა და ის (მთავარ) ღმერთად იქცა, ხოლო ქლანეგები – ღმერთებად. უნივერსალური, საყოველთაო სული – ღმერთია, და ადამიანთა სულებიც ღმერთები არიან მაშინ, როცა ისინი თავისი წმინდა სახით არსებობენ, ანუ თავისი არსების შესაბამისად არიან, სხეულისა და სხეულოვანის გარეშე, რადგან სხეულოვანს ღირებულება არ აქვს, ღირებული სულია. სულის მიერ მისი ღირებულების

---

<sup>37</sup> იხ. Plotin, ed. Beutler/Theiler/Harder, გ. 1b, გვ. 489-490, აგრეთვე Plotinus, ed. Armstrong, გ. V, გვ. 7-9.

გაცნობიერება მას უკან დაბრუნების, საწყისებთან ამალ-  
ლების სტიმულს აძლევს. მაშინ ის ხედავს, რომ ღმერთი  
იქვეა, ის შორს არ არის. სული ხატია, ასახვაა გონებისა,  
მისი ვაშლაა, ისევე, როგორც გამოთქმული სიგყვა („ლო-  
ვოსი“) აზრის გამოხატულებაა ან ცეცხლის მოქმედი ძალა  
ცეცხლის გამოხატულებაა. მაგრამ სული გონებიდან კი არ  
მომდინარეობს, არამედ გონება იქვეა, მის გვერდით. სული  
გონისეულია, მას გონება სრულქმნის. სულის ქმედება –  
გონების ჭერეგაა. მას გონება კიდევ უფრო ღვთაებრივად  
აქცევს.

სულზე მაღლა გონება დგას. ის მოღელია, პარადიგმაა  
სამყაროს წესრიგისა, მასში ყველაფერი წმინდა სახით არის.  
ის სამყაროს სისავსეა. მას არ სჭირდება ცვლილება. ის  
ფლობს იმას, რასაც ამროვნებს. რასაც სული დროის ვი-  
თარებაში მოიყავს, იმას გონება ერთბაშად ფლობს. მასში არ  
არის არავითარი დრო, მასში მხოლოდ აწმყო მარადიულო-  
ბაა. გონება და მყოფი მასში იგივეობრივია, თუმცა მათ  
განსხვავებული მიმღებები გააჩნიათ. ისინი ერთობაა და თან  
ორობა, ამროვნების სუბიექტი და ობიექტი. ამდენად, მასში  
მოცემულია ძირითადი კატეგორიები: გონება, მყოფი,  
სხვაობა, იგივეობა, მოძრაობა, უძრაობა, რიცხვი, რაოდე-  
ნობა, თვისება. ამიგომ გონება სიმრავლეც არის. სული კი  
კვლავ ეძიებს იმ ერთიანობას, რომელმაც ის წარმოიქმნა.  
რიცხვი ხომ, უპირველეს ყოვლისა, ერთიდან წარმოიქმნა,  
ხოლო სულში და მაგერიამში რიცხვი ფორმის სახით არსე-  
ბობს. მამ, რიცხვი ფორმაა; ორობა გაფორმდება, ერთი  
მხრივ, ერთის მეშვეობით, მეორე მხრივ კი გონების მო-  
ქმედებით.

როგორ წარმოიქმნა ერთიდან სიმრავლე? ერთს არ გააჩ-  
ნია მოძრაობის მიზანი, ის უძრავია. გონება ნათებასავით  
არის, რომელიც ერთიდან ისე გამოდის, რომ ერთი არ მოძ-  
რაობს. ასე ასხივებს ყველაფერი თავის მოქმედებას, იქნება



ეს სიტბო, სიცივე თუ სურნელი. ცოცხალი ორგანიზმების პროდუქცირება მაშინ ხდება, როცა ისინი მომწიფებულები არიან. უსრულესი არსება ხარისხით მეორე სრულ არსებას წარმოქმნის. გონება ერთთან ისეთივე მიმართებაშია, როგორც სული გონებასთან; თუმცა გონება უფრო ახლოს არის ერთთან, უფრო მჭიდროდ არის მასთან დაკავშირებული. გონება შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად უნდა კვალებს ერთს, ერთმა ის წარმოქმნა იმით, რომ საკუთარი თავისკენ მიემართა. მაგრამ მის მიერ თავისი თავის აღქმა განსხვავდება გონების მიერ აღქმისგან და შეგრძნებისგან. შეგრძნება სწორხაზოვანია, ხოლო გონება წრიულად იმეცნებს, თუმცა ეს წრიულობა ერთგვარად ერყეულია. რაც შეეხება ერთს, მის მიერ მისივე თავის წელობა გე-სიერცულია. ის არის ყველაფრის ძალა (პოტენცია, შესაძლებლობა). სწორედ ამ ძალის აღქმისას წარმოიქმნება გონება.<sup>38</sup>

ამგვარად, გონება არის ყველა მყოფის, იდეების, ღმერთების ერთობლიობა. ის წარმოქმნის სულს, შემდგომ საფეხურს. სულს გონებისგან გააჩნია ამროვნება. ამავე დროს, სული თავისი მშობელობითი ძალით ქვემოთქენაყ მიემართება.

სამი საწყისი პიპოსტასის შესახებ მოძღვრება, ამბობს პლოტინი, არაერთხელ დასტურდება პლატონის ნაშრომებში. პარმენიდეს მოძღვრება ერთს ეხებოდა, თუმცა არასაკმარისად ნათლად. არისგოგელე სამართლიანად ვეასწავლიდა გონების გრანსცენდენტურობის შესახებ.

სამსაფეხურიანობა ადამიანის არსებასაც ახასიათებს; იგულისხმება „შინავანი“ ადამიანი, ადამიანი თავისი არსებით, და არა შეგრძნების მქონე არსება. ადამიანის სული

---

<sup>38</sup> ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, არ არის დროში მიმდინარე პროცესი ან ერთჯერადი ხლომილება. პლოტინი აღწერს მიმეზ-მედეგობრივ მარადიულ მიმართებებს, სადაც „ახლა“ და „მედეგ“ კატეგორიები მხოლოდ არსებათა კუზმალური იერარქიის, მიმეზიდან მედეგის გამოსვლის მაჩვენებელია.

ღვთაებრივია. მისი მოაზროვნე ნაწილი ზენა სამყაროს მკვიდრია.<sup>39</sup> ადამიანის სული შეურეველია და სხეულზე ამაღლებულია. სული თავის თავში მოიკავს გონებას და ერთს, თუმცა ეს უკანასკნელი არ ნაწილდება.

მაგრამ სული თავის უმაღლეს მღვდმარეობას ყოველთვის ვერ აცნობიერებს. ის მხოლოდ მაშინ ვაცნობიერდება, როცა სული თავის აღქმას მთლიანად შინაგანი ხმისკენ მიმართავს და გარეგანს ჩამოიცილებს. ასე გაიგებს ის ხმებს „ზემოდან“.

**ბექსტი:**

## V 1 (10)

### ΠΕΡΙ ΤΩΝ ΤΡΙΩΝ ΑΡΧΙΚΩΝ ΥΠΟΣΤΑΣΕΩΝ

#### 1

Τί ποτε ἄρα ἐστὶ τὸ πεποικῶς τὰς ψυχὰς πατρὸς θεοῦ ἐπιλαθῆσθαι, καὶ μοίρας ἐκείθεν οὐσας καὶ ὅλως ἐκείνου ἀγνοῆσαι καὶ ἑαυτὰς καὶ ἐκείνον; Ἀρχὴ μὲν οὖν αὐταῖς τοῦ κακοῦ ἢ τόλμα καὶ ἡ γένεσις καὶ ἡ πρώτη ἑτερότητας καὶ τὸ βουληθῆναι δὲ ἑαυτῶν εἶναι. Τῷ δὲ αὐτεξουσίῳ ἐπειδήπερ ἐφάνησαν ἡσθεῖσαι, πολλῷ τῷ κινεῖσθαι παρ' αὐτῶν κεχρημέναι, τὴν ἐναντίαν δραμοῦσαι καὶ πλείστην ἀπόστασιν πεποικημένοι, ἡγνόησαν καὶ ἑαυτὰς ἐκείθεν εἶναι ὡσπερ παῖδες εὐθύς ἀποσπασθέντες ἀπὸ πατέρων καὶ πολὺν χρόνον πόρρω τραφέντες ἀγνοοῦσι καὶ ἑαυτοὺς καὶ πατέρας. Οὐτ' οὖν ἐτι ἐκείνον οὐτε ἑαυτὰς ὀρώσαι, ἀτιμάσασαι ἑαυτὰς ἀγνοίᾳ τοῦ γένους, τιμήσασαι τᾶλλα καὶ πάντα μᾶλλον ἢ ἑαυτὰς θαυμάσασαι καὶ πρὸς αὐτὰ ἐκπλαγεῖσαι καὶ ἀγασθεῖσαι καὶ ἐξηρτημένοι τούτων, ἀπέρρηξαν ὡς οἶόν τε ἑαυτὰς ἂν ἀπεσ-

<sup>39</sup> აქ, ისევე როგორ მრავალ სხვა ადგილას, პლოტინი ამბობს: ადამიანის სულის უმაღლესი ნაწილი მუდამ ღვთაებრივ სფეროს ეკუთვნის, ის არასდროს ჩამოდის დაბლა. ამით განსხვავდებოდა, როგორც ვთქვით, პლოტინი თავისი წინამორბედი (პლატონის ჩათვლით) და მომდევნო ეპოქების პლატონიკოსებისგან.

τράφησαν ἀτιμάσασαι· ὥστε συμβαίνει τῆς παντελοῦς ἀγνοίας ἐκείνου ἢ τῶνδε τιμῆ καὶ ἡ ἑαυτῶν ἀτιμία εἶναι αἰτία. Ἄμα γὰρ διώκεται ἄλλο καὶ θαυμάζεται, καὶ τὸ θαυμάζον καὶ διώκον ὁμολογεῖ χεῖρον εἶναι· χεῖρον δὲ αὐτὸ τιθέμενον γιγνομένων καὶ ἀπολλυμένων ἀτιμώτατόν τε καὶ θνητότατον πάντων ὧν τιμῆ ὑπολαμβάνον οὔτε θεοῦ φύσιν οὔτε δύναμιν ἂν ποτε ἐν θυμῷ βάλοιτο. Διὸ δεῖ διττὸν γίνεσθαι τὸν λόγον πρὸς τοὺς οὕτω διακειμένους, εἴπερ τις ἐπιστρέψει αὐτοὺς εἰς τὰ ἐναντία καὶ τὰ πρῶτα καὶ ἀνάγοι μέχρι τοῦ ἀκροτάτου καὶ ἐνὸς καὶ πρῶτου. Τίς οὖν ἐκάτερος; Ὁ μὲν δεικνὺς τὴν ἀτιμίαν τῶν νῦν ψυχῇ τιμωμένων, ὃν ἐν ἄλλοις διίμεν ἐπιπλέον, ὃ δὲ διδάσκων καὶ ἀναμιμνήσκων τὴν ψυχὴν οἶον τοῦ γένους καὶ τῆς ἀξίας, ὃς πρότερός ἐστιν ἐκείνου καὶ σαφημισθεὶς κάκεινον δηλώσει. Περὶ οὗ νῦν λεκτέον· ἐγγὺς γὰρ οὗτος τοῦ ζητουμένου καὶ πρὸ ἔργου πρὸς ἐκείνον. Τὸ γὰρ ζητοῦν ἐστὶ ψυχὴ, καὶ τί ὃν ζητεῖ γνωστέον αὐτῇ, ἵνα αὐτὴν πρότερον μάθῃ, εἰ δύναμιν ἔχει τοῦ τὰ τοιαῦτα ζητεῖν, καὶ εἰ ὄμμα τοιοῦτον ἔχει, οἶον ἰδεῖν, καὶ εἰ προσήκει ζητεῖν. Εἰ μὲν γὰρ ἀλλότρια, τό δεῖ; Εἰ δὲ συγγενῆ, καὶ προσήκει καὶ δύναται εὐρεῖν.

## 2

Ἐνθυμείσθω τοίνυν πρῶτον ἐκεῖνο πᾶσα ψυχὴ, ὡς αὐτὴ μὲν ζῶα ἐποίησε πάντα ἐμπνεύσασα αὐτοῖς ζωὴν, ἃ τε γῆ τρέφει ἃ τε θάλασσα ἃ τε ἐν ἀέρι ἃ τε ἐν οὐρανῷ ἄστρα θεία, αὐτὴ δὲ ἥλιον, αὐτὴ δὲ τὸν μέγαν τοῦτον οὐρανόν, καὶ αὐτὴ ἐκόσμησεν, αὐτὴ δὲ ἐν τάξει περιάγει φύσις οὕσα ἑτέρα ὧν κοσμεῖ καὶ ὧν κινεῖ καὶ ἃ ζῆν ποιεῖ· καὶ τούτων ἀνάγκη εἶναι τιμιωτέραν, γιγνομένων τούτων καὶ φθειρομένων, ὅταν αὐτὰ ψυχὴ ἀπολείπη ἢ χορηγῇ τὸ ζῆν, αὐτὴ δὲ οὕσα αἰεὶ τῷ μὴ ἀπολείπειν ἑαυτὴν. Τίς δὴ τρόπος τῆς χορηγίας τοῦ ζῆν ἐν τε τῷ σύμπαντι ἐν τε τοῖς ἐκάστοις, ὡδε λογιζέσθω. Σκοπεῖσθω δὲ τὴν μεγαλὴν ψυχὴν ἄλλῃ ψυχῇ οὐ σμικρὰ ἀξία τοῦ σκοπεῖν γενομένη ἀπαλλαγείσα ἀπάτης καὶ τῶν γεγοητευκότων τὰς ἄλλας ἡσύχῳ τῇ καταστάσει. Ἦσυχον δὲ αὐτῇ ἔστω μὴ μόνον τὸ περικείμενον σῶμα καὶ ὁ τοῦ σώματος

κλύδων, ἀλλὰ καὶ πᾶν τὸ περιέχον· ἥσυχος μὲν γῆ, ἥσυχος δὲ θάλασσα καὶ ἄηρ καὶ αὐτὸς οὐρανὸς ἀμείνων. Νοεῖτω δὲ πάντοθεν εἰς αὐτὸν ἐστῶτα ψυχὴν ἔξωθεν οἶον εἰσρέουσιν καὶ εἰσχυθεῖσαν καὶ πάντοθεν εἰσιούσαν καὶ εἰσλάμπουσιν· οἶον σκοτεινὸν νέφος ἡλίου βολαὶ φωτίσασαι λάμπειν ποιούσιν χρυσοειδῆ ὄψιν ποιούσαι, οὕτω τοι καὶ ψυχὴ ἐλθοῦσα εἰς σῶμα οὐρανοῦ ἔδωκε μὲν ζωὴν, ἔδωκε δὲ ἀθανασίαν, ἡγεῖρε δὲ κείμενον. Ὁ δὲ κινήθεις κίνησιν αἰδίου ὑπὸ ψυχῆς ἐμφρόνως ἀγούσης ζῶον εὐδαιμον ἐγένετο, ἔσχε τε ἀξίαν οὐρανοῦ ψυχῆς εἰσοικισθείσης ὧν πρὸ ψυχῆς σῶμα νεκρόν, γῆ καὶ ὕδωρ, μᾶλλον δὲ σκότος ὕλης καὶ μὴ ὄν καὶ ὁ *στυγέουσιν οἱ θεοί*, φησί τις. Γένοιτο δ' ἂν φανερωτέρα αὐτῆς καὶ ἐναργεστέρα ἢ δύναμις καὶ ἡ φύσις, εἰ τις ἐνταῦθα διανοηθεῖη, ὅπως περιέχει καὶ ἀγει ταῖς αὐτῆς βουλήσει τὸν οὐρανόν. Παντὶ μὲν γὰρ τῷ μεγέθει τούτῳ, ὅσος ἐστίν, ἔδωκεν ἑαυτὴν καὶ πᾶν διάστημα καὶ μέγα καὶ μικρὸν ἐψύχεται, ἄλλου μὲν ἄλλη κειμένου τοῦ σώματος, καὶ τοῦ μὲν ὠδί, τοῦ δὲ ὠδί ὄντος, καὶ τῶν μὲν ἐξ ἐναντίας, τῶν δὲ ἄλλην ἀπάρτησιν ἀπ' ἀλλήλων ἐχόντων. Ἄλλ' οὐχ ἡ ψυχὴ οὕτως, οὐδὲ μέρει αὐτῆς ἐκάστῳ κατακερματισθεῖσα μορίῳ ψυχῆς ζῆν ποιεῖ, ἀλλὰ τὰ πάντα ζῆ τῇ ὅλη, καὶ πάρεστι πᾶσα πανταχοῦ τῷ γεννήσαντι πατρὶ ὁμοιουμένη καὶ κατὰ τὸ ἐν καὶ κατὰ τὸ πάντη. Καὶ πολὺς ὧν ὁ οὐρανὸς καὶ ἄλλος ἄλλη ἐν ἐστὶ τῇ ταύτης δυνάμει καὶ θεὸς ἐστὶ διὰ ταύτην ὁ κόσμος ὅδε. Ἔστι δὲ καὶ ἡλῖος θεός, ὅτι ἐμψυχος, καὶ τὰ ἄλλα ἄστρα, καὶ ἡμεῖς, εἶπερ τι, διὰ τοῦτο· *νέκυες γὰρ κοπρίων ἐκβλητότεροι*. Τὴν δὲ θεοῖς αἰτίαν τοῦ θεοῖς εἶναι ἀνάγκη πρεσβυτέραν θεὸν αὐτῶν εἶναι. Ὁμοειδῆς δὲ καὶ ἡ ἡμετέρα, καὶ ὅταν ἀνευ τῶν προσελθόντων σκοπῆς λαβὼν κεκαθαρμένην, εὐρήσεις τὸ αὐτὸ τίμιον, ὃ ἦν ψυχὴ, καὶ τιμιώτερον παντὸς τοῦ ὃ ἂν σωματικὸν ἦ. Γῆ γὰρ πάντα· κᾶν πῦρ δὲ ἦ, τί ἂν εἴη τὸ καίον αὐτοῦ; Καὶ ὅσα ἐκ τούτων σύνθετα, κᾶν ὕδωρ αὐτοῖς προσθῆς κᾶν ἀέρα. Εἰ δ' ὅτι ἐμψυχον διωκτὸν ἐστὶ, τί παρείς τις ἑαυτὸν ἄλλον διώκει; Τὴν δὲ ἐν ἄλλῃ ψυχὴν ἀγάμενος σεαυτὸν ἀγασαι.

ძველი მოაზროვნებიდან ისინი, რომლებიც განსაკუთრებით ახლოს იდგნენ პითაგორასთან, მის მემკვიდრეებთან და ფერეკიდესთან,<sup>71</sup> ამ ბუნებას იკვლევდნენ. ზოგიერთმა ეს წერილობით გამოხატა, ზოგმა კი არა წერილობით, არამედ დაუწერელ საუბრებში,<sup>72</sup> ან სულ არ შესებია ამ თემას.

10

ახლა საქმეს ისე უნდა შევხედოთ, რომ არსის მიღმა არის ერთი (რომელიც ისეთია, როგორც ეს შეძლებისდაგვარად იყო წარმოდგენილი), ხოლო შემდეგ არის არსი და გონება, მესამე კი არის სულის ბუნება, რაც უკვე იყო ნაჩვენები. ხოლო ბუნებაში ეს სამი ხსენებული [პრინციპი] რადგანაც არსებობს, ამიგომ უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი ჩვენც გვახასიათებს. მე არ ვგულისხმობ გრძნობით აღსაქმელ სამყაროს, რადგან [ეს პრინციპები] გრანსცენდენტური არის, არამედ [მხედველობაში მაქვს ის, რაც] გრძნობით აღსაქმელთან მიმართებაში გარეთ [არის]; იმ გაგებით „გარეთ“, როგორც ის [შენა არსნიც] მთელი ცის გარეთ [არია]; ასევეა ადამიანის შემთხვევაში, როგორც, მაგალითად, პლატონი საუბრობს

71 შდრ. Pherecyd., fr. A 7, 29 DK.

72 შეიძლება, პლოტინი თავის მასწავლებელს, ამონიოს საკას გულისხმობდეს. იხ. Plotinus, ed. Armstrong, გ. V, გვ. 45.

„შიდა ადამიანის“ შესახებ.<sup>73</sup> ჩვენი სულიც არის ღვთაებრივი და სხვა ბუნების მქონე, როგორცაა სულის მთლიანი ბუნება; ხოლო სრულყოფილია [სული], რომელსაც გონება გააჩნია. გონება კი არის ის, რაც ამროვნებს და ის, რაც ამროვნებას ანიჭებს. სულის ამ მოაზროვნე [საწყისს] სააზროვნოდ არავითარი სხეულებრივი ორგანო არ სჭირდება; თავისი ენერჯიას ის სიწმინდეში ინახავს, რათა იაზროვნოს კიდეცაა შეძლებისდაგვარად წმინდად; ამიგომ არ შევცდებით, თუ დავუშვებთ, რომ ის პირველ გონით [სფეროში] განცალკავებით არსებობს და არა სხეულთან შერწყმით. ამიგომ რაღაც ადგილი კი არ უნდა ვეძიოთ ამ [საწყისის] დასაფუძნებლად, არამედ ის ყოველგვარი ადგილის მიღმა უნდა დავუშვათ. ამგვარად, ის არის თავისთავადი, [სხეულებრივი ადგილის] გარეთ მყოფი და არამატერიალური, ისეთი, რასაც არაფერი საერთო არა აქვს სხეულის ბუნებასთან. ამიგომ ამბობს [პლატონი] უნივერსუმის შესახებ, რომ [ღმერთმა] „სული გარედან შემოახვია“, რითიც აჩვენა, რომ სული გონით [სფეროში] რჩება. ხოლო ჩვენთან დაკავშირებით ის მინიშნებით ამბობს, რომ თავი „მწვერვალზე“ არის.<sup>74</sup> მოწოდება იმისკენ, [რომ სული სხეულს] გაემიჯნოს, რა თქმა უნდა, ადგილის მიხედვით გამიჯნვას არ გულისხმობს, რადგან ის ბუნებით არის გამიჯნული;<sup>75</sup> არამედ ეს იმას ნიშნავს, რომ არ უნდა მოხდეს [სულის] წახრა სხეულისაკენ და ის კი არ უნდა მიეცეს წარმოსახვას, არამედ სხეულისადმი გაუცხოებით სულის დანარჩენი სახეობაც უნდა აამაღლოს და აიგანოს მაღლა ის, რაც აქ არის დამკვიდრებული, და რაც ერ-

<sup>73</sup> შდრ. Plat., R. IX, 587 a 7, 589 a 7 – b 1.

<sup>74</sup> შდრ. Plat., Ti. 36 e 3, 90 a 5.

<sup>75</sup> შდრ. Plat., Phd. 67 cd. არმსტრონგი აღნიშნავს, რომ პლოტინი ამ ტექსტს ყოველთვის განმარტავდა როგორც შინაგან და არა სიერცემში განხორციელებად მოწყვეტას. იხ. Plotinus, ed. Armstrong, ტ. V, გვ. 49.



თადერთი დემიურგი და მოქანდაკეა სხეულისა და მასთან დაკავშირებული საქმეებით არის დაკავებული.

11

მოაზროვნე სული სამართლიანისა და მშენიერის შესახებ განსჯის და წყვეტს, ესა თუ ის რამ სამართლიანია თუ მშენიერი. ეს ნიშნავს, რომ აუცილებელია, იყოს რაიმე სამართლიანი, რომლისგანაც სულს განსჯა მიეცემა. რადგან [სხვაგვარად] როგორ შეძლებდა ის განსჯას? და თუკი სული ამის შესახებ ხან განსჯის და ხან არა, ეს ნიშნავს, რომ ჩვენში უნდა იყოს გონება, რომელიც კი არ განსჯის, არამედ სამართლიანობას მუდამ ფლობს, აგრეთვე [ჩვენში უნდა] იყოს გონების საწყისი და მიზეზი – დემერთი. ის არ არის დაყოფადი, არამედ რჩება იგივედ, მას ადგილზე მდებარეობა არ ახასიათებს; მისი ჭერეგა მრავალ [არსში] შეიძლება, რამდენადაც თითოეულს მისი მიღება ძალუძს, როგორც განსხვავებულ 'მე'-ს,<sup>76</sup> ისევე, როგორც ცენტრი თავისთავად რჩება [სადაც არის], და წრეში თითოეულ [რადიუსს] მასში აქვს წერტილი, და ხაზები მას გარკვეულ თავისებურებას სძენენ. ჩვენში [არსებული ამ საწყისით] ჩვენც ვუკავშირდებით [შენა სამყაროს], მასთან ერთად ვართ და მასზე ვართ დამოკიდებული; ჩვენ [იქ] ვართ დამკვიდრებული, რამდენადაც იქით მივისწრაფვით.

12

მაგრამ თუკი ასეთი [მნიშვნელოვანი] რამ ვაგვაჩნია, რატომ ვერ აღვიქვამთ ამას, და ამის ნაცულად ეს ენერგიები ძირითადად უქმად არის, ზოგიერთი კი სრულიად არ მო-

---

<sup>76</sup> οἷον ἄλλοις αὐτόν. არმსტრონგს ამ გამოთქმასთან დაკავშირებით მოჰყავს მეგობრის არისტოტელესეული განსაზღვრება: ἐστὶ γὰρ ὁ φύσις ἄλλοις αὐτός („მეგობარი არის იგივე სხვა“, EN IX, 4, 1166 a 31-2; 1169 b 6 - 7, 1170 b 6). იხ. Plotinus, ed. Armstrong, გ. V, გვ. 49.

ქმედებს? ის [საწყისები] თავის ენერგიებში მუდამ არიან; გონება და ის, რაც გონებაზეა, მუდამ არის თავის თავში, და ასევეა სული, რომელიც არის მარადმოძრაი.<sup>77</sup> ყველაფერი, რაც სულშია, თავისთავად მხოლოდ ამის გამო [ჩვენთვის] გრძნობით აღქმადი არ არის, არამედ ჩვენში ის მაშინ შემოდის, როდესაც შეგრძნებისკენ მიემართება. ხოლო სანამ თითოეული შემოქმედება არ გადაეცემა შეგრძნებას, ის მთელ სულს არ მოიფლის,<sup>78</sup> და მას ვერ შევიმეცნებთ, რამდენადაც შეგრძნებასთან ვართ დაკავშირებული და სულის ნაწილი კი არა ვართ, არამედ მთელ სულს განვეკუთვნებით. სულიერი სიცოცხლისთვის [დამახასიათებელი უნარებიდან] თითოეული მუდამ მოქმედებს თავისთავად, ხოლო მისი შეცნობა მაშინ ხდება, როცა შეგყობინებასა და აღქმას აქვს ადგილი. ამიტომ, როცა აღქმა უნდა მოხდეს, აღქმა შიგნითკენ უნდა იქნეს მიმართული და ყურადღება [შინაგანზე] მიაპყროს. ასევეა, როდესაც ვინმე ელოდება სხვა ხმათა შორის სასურველი ხმის გაგონებას, ის განუდგება სხვა ხმებს და ყურთასმენას ბგერათაგან საუკეთესოსკენ მიმართავს, რათა ის მიუახლოვდეს; ასევე აქაც უნდა მოვიცილოთ გრძნობადი ხმები, თუკი ეს შესაძლებელია, და წმინდად შევინახოთ სულისმიერი აღქმის უნარი, რათა მზად ვიყოთ, გემოდან მოსული ხმები გავიგოთ. >

\*\*\*

### III 5 (50): „ეროსის შესახებ“

*პლოტინის გექსტი „ეროსის შესახებ“ არის კომენტარი პლატონის „ნაღიშში“ ეროსის/სიყვარულის თემაზე. თავისთავად იშვიათია, რომ პლოტინი კომენტარს წერდეს. ნეოპლატონიკოსების მომდევნო თაობისგან განსხვავებით, პლოტინის*

<sup>77</sup> შტრ. Plat., Phdr. 245 c 5.

<sup>78</sup> ანუ სანამ სრული გაცნობიერება არ მოხდება.

მიზანი უშუალოდ კომენტარების წერა არ იყო. ამიტომ მისი გრაქტაგი „ეროსის შესახებ“ თავისუფალი მსჯელობაა პლატონურ თემებზე.<sup>79</sup>

პლოტინი განასხვავებს ეროსს, როგორც ღმერთს ან ღემონს, „ეროსისგან“, როგორც გრძნობის აღმნიშვნელი ცნებისგან. ისევე, როგორც „ჭკერეგის შესახებ“ ნაშრომში იყო ნათქვამი, ბუნება ქმნის მშვენიერების ჭკერეგით. შობა უკვდავებისთვის არის განკუთვნილი. პლატონის ნაღიმში საუბარია ამაღლებულ აფროდიტეზე (ის არის ღვთაებრივი სული), რომლის მოქმედება ეროსს წარმოქმნის.

მაშ, აფროდიტე გონების ჭკერეგით ეროსს წარმოშობს. მეორე ეროსი ამქვეყნად სულთან ერთად არსებობს. ცალკეულ სულსაც ჰყავს ასეთი ეროსი. ინდივიდუალური ეროსი ისეთივე მიმართებაშია უნივერსალურ ეროსთან, როგორც ცალკეული სული უნივერსალურ სულთან. სული სიყვარულის /ეროსის დედაა, წმინდა სულის ეროსი ღმერთია, ხოლო შერეული სულისა – ღემონი (პლოტინი ცდილობს შეათანხმოს პლატონის მიერ „ნადიმსა“ და „ყვდროსში“ გამოხატული წარმოდგენა ეროსის, როგორც ღმერთისა თუ ღემონის შესახებ).

ეროსის გრძნობით აღსაქმელ საგნებამდეა აღმოცენებული. სული შობს ეროსს ფორმიდან და განუსამღვრელობიდან. ეროსი წარმოიქმნება სულის ისეთი მისწრაფებიდან, რომელშიც სიბღიდრე და სიღარიბეა შერწყმული. სიღარიბე, რომელიც ნაკლებობას და რაღაცის საჭიროებას გულისხმობს, მაგერიალურ საწყისზე მიანიშნებს.

---

<sup>79</sup> „ეროსის შესახებ“ გრაქტაგის შინაარსისთვის იხ. Plotin, ed. Beutler/Theiler/Harder, ტ. Vb, გვ. 392-393. აქ შინაარსის გადმოცემისთვის ამ გამოცემაში მოცემულ რეზიუმეს ვიყენებ.

III 5 (50)

ΠΕΡΙ ΕΡΩΤΟΣ

1

Περὶ ἔρωτος, πότερα θεός τις ἢ δαίμων ἢ πάθος τι τῆς ψυχῆς, ἢ ὁ μὲν θεός τις ἢ δαίμων, τὸ δέ τι καὶ πάθος, καὶ ποῖον τι ἕκαστον, ἐπισκέψασθαι ἄξιον τὰς τε τῶν ἄλλων ἀνθρώπων ἐπινοίας ἐπιόντας, καὶ ὅσαι ἐν φιλοσοφίᾳ ἐγένοντο περὶ τούτων, καὶ μάλιστα ὅσα ὑπολαμβάνει ὁ θεῖος Πλάτων, ὃς δὴ καὶ πολλὰ πολλαχῆ τῶν ἑαυτοῦ περὶ ἔρωτος ἔγραψεν· ὃς δὴ οὐ μόνον ἐν ταῖς ψυχαῖς ἐγγιγνόμενόν τι πάθος εἶρηκεν εἶναι, ἀλλὰ καὶ δαίμονά φησιν αὐτὸν καὶ περὶ γενέσεως αὐτοῦ διεξῆλθεν, ὅπως καὶ ὅθεν ἐστὶ γεγενημένος. Περὶ μὲν οὖν τοῦ πάθος οὐ τὸν ἔρωτα αἰτιώμεθα, ὅτι ἐγγίεται ἐν ψυχαῖς ἐφιεμέναις καλῶ τιμι συμπλακῆναι, καὶ ὡς ἢ ἐφεσις αὐτῆ ἢ μὲν ἐστὶ παρὰ σωφρόνων αὐτῷ τῷ κάλλει οἰκειωθέντων, ἢ δὲ καὶ τελευτᾶν ἐθέλει εἰς αἰσχροῦ τινος πράξιν, οὐδεὶς ἀγνοεῖ δήπου· ὅθεν δὲ τὴν ἀρχὴν ἔχει ἕκαστος, τὸ ἐντεῦθεν ἐπισκοπεῖν διὰ φιλοσοφίας προσήκει. Ἀρχὴν δὲ εἰ τις θεῖτο τὴν αὐτοῦ κάλλους πρότερον ἐν ταῖς ψυχαῖς ὀρεξιν καὶ ἐπίγνωσιν καὶ συγγένειαν καὶ οἰκειότητος ἄλογον σύνεσιν, τιγχάνοι ἂν, οἶμαι, τοῦ ἀληθοῦς τῆς αἰτίας. Τὸ μὲν γὰρ αἰσχρὸν ἐναντίον καὶ τῇ φύσει καὶ τῷ θεῷ. Καὶ γὰρ ἢ φύσις πρὸς τὸ καλὸν βλέπουσα ποιεῖ καὶ πρὸς τὸ ὠρισμένον βλέπει, ὃ ἐστὶν ἐν τῇ τοῦ ἀγαθοῦ συστοίχια· τὸ δὲ ἄοριστον αἰσχρὸν καὶ τῆς ἐτέρας συστοιχίας. Τῇ δὲ φύσει γενεσις ἐκεῖθεν ἐκ τοῦ ἀγαθοῦ καὶ δηλονότι τοῦ καλοῦ. Ὅτω δὲ τις ἀγαταὶ καὶ ἐστὶ συγγενῆς, τούτου ὑκείωται καὶ πρὸς τὰς εἰκόνας. Εἰ δὲ τις ταύτην τὴν αἰτίαν ἀνέλοι, ὅπη τὸ πάθος γίνεται καὶ δι' ἄς αἰτίας οὐχ ἔξει λέγειν οὐδ' ἐπ' αὐτῶν τῶν διὰ μῖξιν ἐρώτων. Καὶ γὰρ οὗτοι *τίκτειν* βούλονται ἐν καλῷ· ἐπεὶπερ ἀτοπον βουλομένην τὴν φύσιν καλὰ ποιεῖν ἐν αἰσχροῦ γεννᾶν βούλεσθαι. Ἀλλὰ γὰρ τοῖς μὲν τῆδε γεννᾶν κινουμένοις ἀρκεῖ τὸ τῆδε καλὸν ἔχειν, ὅπερ πάρεστιν ἐν εἰκόσι καὶ σώμασιν, ἐπεὶ μὴ τὸ ἀρχέτυπον αὐτοῖς πάρεστιν, ὃ ἐστὶν

αἴτιον αὐτοῖς τοῦ καὶ τοῦδε ἔραν. Καὶ εἰς ἀνάμνησιν μὲν ἐκείνου ἀπὸ τοῦδε ἐλθοῦσιν ἀγαπᾶται τοῦτο ὡς εἰκῶν, μὴ ἀναμνησθεῖσι δὲ ὑπ' ἀγνοίας τοῦ πάθους ἀληθές τοῦτο φαντάζεται. Καὶ σῶφροσι μὲν οὖσιν ἀναμάρτητος ἢ πρὸς τὸ τῆδε καλὸν οἰκείωσις, ἢ δὲ πρὸς μῖξιν ἐκπτώσις ἀμαρτία. Καὶ ὅτῳ μὲν καθαρὸς ὁ τοῦ καλοῦ ἔρως, ἀγαπητὸν τὸ κάλλος μόνον εἴτε ἀναμνησθέντι εἴτε καὶ μὴ, ὅτῳ δὲ μέμικται καὶ ἄλλη τοῦ ἀθάνατον εἶναι ὡς θνητῷ ἐπιθυμία, οὗτος ἐν τῷ ἀειγενεῖ καὶ αἰδίῳ τὸ καλὸν ζητεῖ καὶ κατὰ φύσιν μὲν ἰὼν σπείρει καὶ γεννᾷ ἐν καλῷ, σπείρων μὲν εἰς τὸ ἀεὶ, ἐν καλῷ δὲ διὰ συγγένειαν τοῦ καλοῦ. Καὶ γὰρ καὶ τὸ αἰδίου συγγενές τῷ καλῷ καὶ ἡ αἰδίου φύσις τὸ πρῶτως τοιοῦτον καὶ τὰ ἀπ' αὐτῆς τοιαῦτα πάντα. Τὸ μὲν οὖν μὴ γεννᾶν ἐθέλον μᾶλλον αὐταρκέστερον τῷ καλῷ, τὸ δὲ ἐφιέμενον ποιῆσαι καλόν τε ἐθέλει ποιεῖν ὑπ' ἐνδείας - καὶ οὐκ αὐταρκές - καί, εἴπερ τοιοῦτον ποιήσει, οἶεται, εἰ ἐν καλῷ γενήσεται. Οἱ δ' ἂν ἐν παρανόμῳ καὶ παρὰ τὴν φύσιν ἐθέλωσι γεννᾶν, ἐκ τῆς κατὰ φύσιν πορείας ποιησάμενοι τὰς ἀρχὰς γενόμενοι παράφοροι ἐκ ταύτης οἶον ὁδοῦ ὀλισθήσαντες κείται πεσόντες οὔτε ἔρωτα γνόντες ἐφ' ὃ ἦγεν αὐτοὺς οὔτε ἐφῆσιν γεννήσεως οὔτε χρῆσιν κάλλους εἰκόνας οὔτε ὅ τι ἐστὶ κάλλος αὐτό. Ἄλλ' οὖν οἱ τε σωματίων καλῶν καὶ διὰ μῖξιν ἐρῶντες, ὅτι καλὰ ἐστὶν ἐρῶσιν, οἱ τε τὸν λεγόμενον μικτὸν ἔρωτα, γυναικῶν μὲν, ἵνα καὶ τὸ ἀεὶ, μὴ τοιούτων δέ, σφαλλόμενοι· οἱ δὲ ἀμείνους· σωφρονοῦσι μὲν ἄμφω. Ἄλλ' οἱ μὲν καὶ τὸ τῆδε κάλλος σέβουσιν ἀρκούμενοι, οἱ δὲ κάκεῖνο, ὅσοι ἀνεμνήσθησαν, καὶ οὐκ ἀτιμάζουσιν οὐδὲ τοῦτο ὡς ἂν καὶ ἀποτέλεσμά τι ὄν ἐκ ἐκείνου καὶ παίγιον. Οὗτοι μὲν οὖν περὶ τὸ καλὸν αἰσχροῦ ἀνευ, οἱ δὲ καὶ διὰ τὸ καλὸν εἰς αἰσχρὸν πεσόντες· καὶ γὰρ ἡ ἀγαθοῦ ἐφῆσις ἔχει εἰς κακὸν τὴν ἐκπτώσιν πολλάκις. Καὶ ταῦτα μὲν τῆς ψυχῆς τὰ παθήματα.

## 2

Περὶ δὲ τοῦ ὄν θεὸν τίθενται οὐ μόνον οἱ ἄλλοι ἄνθρωποι, ἀλλὰ καὶ θεολόγοι καὶ Πλάτων πολλαχοῦ Ἀφροδίτης Ἐρωτα λέγων καὶ ἔργον αὐτῷ εἶναι καλῶν τε ἐφόρον παίδων καὶ κι-

νητικὸν τῶν ψυχῶν πρὸς τὸ ἐκεῖ κάλλος, ἢ καὶ ἐπαύξειν τὴν ἤδη γενομένην πρὸς τὸ ἐκεῖ ὄρμη, περὶ τούτου μάλιστα φιλοσοφητέον· καὶ δὴ καὶ ὅσα ἐν Συμποσίῳ εἴρηται παραληπτέον, ἐν οἷς οὐκ < Ἀφροδίτης φησὶν αὐτὸν γενέσθαι, ἀλλ' ἐν> Ἀφροδίτης *γενεθλίοις ἐκ τῆς Πενίας καὶ τοῦ Πόρου*. Ἔοικε δὲ ὁ λόγος καὶ περὶ τῆς Ἀφροδίτης ἀπαιτήσῃν τι εἰπεῖν, εἰτ' οὖν ἐξ ἐκείνης εἴτε μετ' ἐκείνης γεγενῆσθαι λέγεται ὁ Ἔρως. Πρῶτον οὖν τίς ἢ Ἀφροδίτη; Εἶτα πῶς ἢ ἐξ αὐτῆς ἢ σὺν αὐτῇ ἢ τίνα τρόπον ἔχει τὸν αὐτὸν τὸ ἐξ αὐτῆς τε ἅμα καὶ σὺν αὐτῇ. Λέγομεν δὴ τὴν Ἀφροδίτην εἶναι διττὴν, τὴν μὲν οὐρα- νίαν Οὐρανοῦ λέγοντες εἶναι, τὴν δὲ ἐκ Διὸς καὶ Διώνης, τὴν τῶν τῆδε ἐφαπτομένην ἔφορον γάμων· ἀμήτορα δὲ ἐκείνην καὶ ἐπέκεινα γάμων, ὅτι μὴδ' ἐν οὐρανῷ γάμοι. Τὴν δὲ οὐ- ρανίαν λεγομένην ἐκ Κρόνου νοῦ ὄντος ἐκείνου ἀνάγκη ψυχὴν θειοτάτην εἶναι εὐθὺς ἐξ αὐτοῦ ἀκήρατον ἀκηράτου μείνασαν ἄνω, ὡς μὴδὲ εἰς τὰ τῆδε ἐλθεῖν μῆτε ἐθελήσασαν μῆτε δυ- ναμένην [ὅτι ἦν φύσεως], μὴ κατὰ τὰ κάτω φύσαν βαίνειν χωριστὴν οὐσάν τινα ὑπόστασιν καὶ ἀμέτοχον ὕλης οὐσίαν - ὅθεν αὐτὴν τούτῳ ἠνίττοντο, τῷ ἀμήτορα εἶναι - ἦν δὴ καὶ θεὸν ἂν τις δικαίως, οὐ δαίμονα εἶποι ἀμικτον οὐσαν καὶ καθαρὰν ἐφ' ἑαυτῆς μένουσαν. Τὸ γὰρ εὐθὺς ἐκ νοῦ πεφυκὸς καθαρὸν καὶ αὐτό, ἅτε ἰσχύον καθ' ἑαυτὸ τῷ ἐγγύθεν, ἅτε καὶ τῆς ἐπιθυμίας οὐσης αὐτῇ καὶ τῆς ἰδρύσεως πρὸς τὸ γεννη- σαν ἱκανὸν ὃν κατέχειν ἄνω· ὅθεν οὐδ' ἂν ἐκπέσοι ψυχὴ νοῦ ἐξηρητημένη πολὺ μᾶλλον ἢ ἡλῖος ἂν ἔχοι ἐξ ἑαυτοῦ ὅσον αὐ- τὸν περιλάμπει φῶς τὸ ἐξ αὐτοῦ εἰς αὐτὸν συνηρητημένον. Ἐφεπομένη δὴ τῷ Κρόνῳ ἢ, εἰ βούλει, τῷ πατρὶ τοῦ Κρόνου Οὐρανῷ ἐνήργησέ τε πρὸς αὐτὸν καὶ ᾤκειώθη καὶ ἐρασθεῖσα Ἔρωτα ἐγέννησε καὶ μετὰ τούτου πρὸς αὐτὸν βλέπει, καὶ ἢ ἐνέργεια αὐτῆς ὑπόστασιν καὶ οὐσίαν εἰργάσατο, καὶ ἀμφω ἐκεῖ βλέπει, καὶ ἢ γειναμένη καὶ ὁ καλὸς Ἔρως ὁ γεγε- νημένος ὑπόστασις πρὸς ἄλλο καλὸν ἀεὶ τεταγμένη καὶ τὸ εἶναι ἐν τούτῳ ἔχουσα μεταξὺ ὡσπερ ποθοῦντος καὶ ποθουμέ- νου, ὀφθαλμὸς ὁ τοῦ ποθοῦντος παρέχων μὲν τῷ ἐρῶντι δι' αὐτοῦ τὸ ὄραν τὸ ποθούμενον, προτρέχων δὲ αὐτὸς καὶ πρὶν ἐκείνῳ παρασχεῖν τὴν τοῦ ὄραν δι' ὄργανου δύναμιν αὐτὸς

πιμπλάμενος τοῦ θεάματος, πρότερος μὲν, οὐ μὴν ὁμοίως ὀρῶν τῷ ἐνστηρίζειν μὲν ἐκείνῳ τὸ ὄραμα, αὐτὸν δὲ καρποῦσθαι τὴν θέαν τοῦ καλοῦ αὐτὸν παραθέουσιν.

3

Ἐπίστασιν δὲ εἶναι καὶ οὐσίαν ἐξ οὐσίας ἐλάττω μὲν τῆς ποιησαμένης, οὐσαν δὲ ὅμως, ἀπίστειν οὐ προσήκει. Καὶ γὰρ ἡ ψυχὴ ἐκείνη οὐσία ἦν γενομένη ἐξ ἐνεργείας τῆς πρὸ αὐτῆς καὶ ζῶσα καὶ τῆς τῶν ὄντων οὐσίας καὶ πρὸς ἐκεῖνο ὀρώσης, ὁ πρῶτη ἦν οὐσία, καὶ σφόδρα ὀρώσης. Καὶ πρῶτον ἦν ὄραμα αὐτῇ τοῦτο καὶ ἑώρα ὡς πρὸς ἀγαθὸν αὐτῆς καὶ ἔχειρεν ὀρώσα, καὶ τὸ ὄραμα τοιοῦτον ἦν, ὡς μὴ πάρεργον ποιεῖσθαι τὴν θέαν τὸ ὀρῶν, ὡς τῇ οἶον ἡδονῇ καὶ τάσει τῇ πρὸς αὐτὸ καὶ σφοδρότητι τῆς θέας γεννησαί τι παρ' αὐτῆς ἀξίον αὐτῆς καὶ τοῦ ὀράματος. Ἐξ οὖν τοῦ ἐνεργούντος συντόνως περὶ τὸ ὀρούμενον καὶ ἐκ τοῦ οἶον ἀπορρέοντος ἀπὸ τοῦ ὀρωμένου ὄμμα πληρωθέν, οἶον μετ' εἰδώλου ὀρασις, Ἐρως ἐγένετο τάχα που καὶ τῆς προσηγορίας ἐντεῦθεν μᾶλλον αὐτῷ γεγενημένης, ὅτι ἐξ ὀράσεως τὴν ἐπίστασιν ἔχει· ἐπεὶ τό γε πάθος ἀπὸ τούτου ἔχει ἂν τὴν ἐπωνυμίαν, εἴπερ πρότερον οὐσία μὴ οὐσίας - καίτοι τό γε πάθος "ἐρᾶν" λέγεται - καὶ εἶπερ "ἔρως αὐτὸν ἔχει τοῦδε", ἀπλῶς δὲ οὐκ ἂν λέγοιτο ἔρως. Ὁ μὲν δὲ τῆς ἀνω ψυχῆς Ἐρως τοιοῦτος ἂν εἴη, ὀρῶν καὶ αὐτὸς ἀνω, ἀτε ὀπαδὸς ὦν ἐκείνης καὶ ἐξ ἐκείνης καὶ παρ' ἐκείνης γεγενημένος καὶ θεῶν ἀρκούμενος θεῶν. Χωριστὴν δὲ ἐκείνην τὴν ψυχὴν λέγοντες τὴν πρῶτως ἐλλάμπουσιν τῷ οὐρανῷ, χωριστὸν καὶ τὸν Ἐρωτα τοῦτον θησόμεθα - εἰ καὶ ὅτι μάλιστα οὐρανίαν τὴν ψυχὴν εἶπομεν· ἐπεὶ καὶ ἐν ἡμῖν λέγοντες τὸ ἐν ἡμῖν ἀριστον εἶναι χωριστὸν ὅμως τιθέμεθα αὐτὸ εἶναι - μόνον ἐκεῖ ἐστῶ, οὐ ἡ ψυχὴ ἡ ἀκήρατος. Ἐπεὶ δὲ καὶ τοῦδε τοῦ παντὸς ψυχὴν εἶναι ἔδει, ὑπέστη μετὰ ταύτης ἤδη καὶ ὁ ἄλλος Ἐρως ὄμμα καὶ ταύτης, ἐξ ὀρέξεως καὶ αὐτῆς γεγενημένος. Τοῦ δὲ κόσμου οὐσα ἡ Ἀφροδίτη αὕτη καὶ οὐ μόνον ψυχὴ οὐδὲ ἀπλῶς ψυχὴ καὶ τὸν ἐν τῷδε τῷ κόσμῳ Ἐρωτα ἐγεννήσατο ἐφαπτόμενον ἤδη καὶ αὐτὸν γάμων καί, καθ' ὅσον ἐφάπτεται καὶ αὐτὸς τῆς

ὀρέξεως τῆς ἄνω, κατὰ τοσοῦτον κινουῦντα καὶ τὰς τῶν νέων ψυχὰς καὶ τὴν ψυχὴν ἢ συντέτακται ἀναστρέφοντα, καθ' ὅσον καὶ αὐτὴ εἰς μνήμην ἐκείνων πέφυκεν ἰέναι. Πᾶσα γὰρ ἐφίεται τοῦ ἀγαθοῦ καὶ ἡ μεμιγμένη καὶ ἡ τινὸς γενομένη· ἐπεὶ καὶ αὐτὴ ἐφεξῆς ἐκείνη καὶ ἐξ ἐκείνης.

#### 4

Ἄρ' οὖν καὶ ἐκάστη ψυχὴ ἔχει ἔρωτα τοιοῦτον ἐν οὐσίᾳ καὶ ὑποστάσει; Ἡ διὰ τί ἡ μὲν ὅλη ἔξει καὶ ἡ τοῦ παντὸς ὑποστατὸν ἔρωτα, ἡ δὲ ἐκάστου ἡμῶν οὐ, πρὸς δὲ καὶ ἡ ἐν τοῖς ἄλλοις ζώοις ἅπασι; Καὶ ἄρα ὁ ἔρως οὗτός ἐστιν ὁ δαίμων, ὃν φασιν ἐκάστῳ συνέπεσθαι, ὁ αὐτοῦ ἐκάστου ἔρως; Οὗτος γὰρ ἂν εἴη καὶ ὁ ἐμποιῶν τὰς ἐπιθυμίας κατὰ φύσιν ἐκάστης τῆς ψυχῆς ὀριγνωμένης ἀνάλογον ἐκάστης πρὸς τὴν αὐτῆς φύσιν καὶ τὸν ἔρωτα γεννώσης εἰς τε ἀξίαν καὶ πρὸς οὐσίαν. Ἐχέτω δὴ μὲν ὅλη ὅλον, αἱ δ' ἐν μέρει τὸν αὐτῆς ἐκάστη. Καθ' ὅσον δὲ ἐκάστη πρὸς τὴν ὅλην ἔχει οὐκ ἀποτετμημένη, ἐμπεριεχομένη δέ, ὡς εἶναι πάσας μίαν, καὶ ὁ ἔρως ἕκαστος πρὸς τὸν πάντα ἂν ἔχοι· συνεῖναι δ' αὐτὸν καὶ τὸν ἐν μέρει τῇ ἐν μέρει καὶ τῇ ὅλην τὸν μέγαν ἐκείνον καὶ τὸν ἐν τῷ παντὶ τῷ παντὶ πανταχοῦ αὐτοῦ· καὶ πολλοὺς αὐτὸν ἐνα τοῦτον γίνεσθαι καὶ εἶναι, φαινόμενον πανταχοῦ τοῦ παντὸς οὐ ἂν θέλη, σχηματιζόμενον μέρεσιν ἑαυτοῦ καὶ φανταζόμενον, εἰ θέλοι. Οἴεσθαι δὲ χρὴ καὶ Ἀφροδίτας ἐν τῷ ὅλῳ πολλὰς, δαίμονας ἐν αὐτῷ γενομένας μετ' Ἐρωτος, ῥυείσας ἐξ Ἀφροδίτης τινὸς ὅλης, ἐν μέρει πολλὰς ἐκείνης ἐξηρητημένας μετὰ ἰδίων ἐρώτων, εἶπερ ψυχὴ μῆτηρ ἔρωτος. Ἀφροδίτη δὲ ψυχὴ, ἔρως δὲ ἐνέργεια ψυχῆς ἀγαθοῦ ὀριγνωμένης. Ἄγων τοίνυν ἐκάστην οὗτος ὁ ἔρως πρὸς τὴν ἀγαθοῦ φύσιν ὁ μὲν τῆς ἄνω θεὸς ἂν εἴη, ὃς αἰεὶ ψυχὴν ἐκείνην συνάπτει, δαίμων δ' ὁ τῆς μεμιγμένης.

#### 5

Ἄλλὰ τίς ἡ δαίμωνος καὶ ὅλως ἡ δαιμόνων φύσις, περὶ ἧς καὶ ἐν Συμποσίῳ λέγεται, ἢ τε τῶν ἄλλων καὶ ἡ αὐτοῦ τοῦ Ἐρωτος, ὡς ἐκ Πενίας καὶ Πόρου Μήτιδος ἐστὶ γεγεννημένος ἐν τοῖς Ἀφροδίτης γενεθλοῖσι; Τὸ μὲν οὖν τὸν κόσμον



ὑπονοεῖν λέγεσθαι τόνδε τῷ Πλάτῳ τὸν Ἔρωτα, ἀλλὰ μὴ τοῦ κόσμου τὸν ἐν αὐτῷ ἐκφύντα Ἔρωτα, πολλὰ τὰ ἐναντιούμενα τῇ δόξῃ ἔχει, τοῦ μὲν κόσμου λεγομένου *εὐδαίμονος θεοῦ* καὶ αὐτάρκους εἶναι, τοῦ δὲ Ἔρωτος τούτου ὁμολογουμένου τῷ ἀνδρὶ οὔτε θεοῦ οὔτε αὐτάρκους, αἰεὶ δὲ ἐνδεοῦς εἶναι. Εἶτα ἀνάγκη, εἴπερ ὁ κόσμος ἐστὶν ἐκ ψυχῆς καὶ σώματος, ἢ δὲ ψυχὴ τοῦ κόσμου ἢ Ἀφροδίτη ἐστὶν αὐτῷ, μέρος τὸ κύριον τοῦ Ἔρωτος τὴν Ἀφροδίτην εἶναι· ἢ, εἰ κόσμος ἢ ψυχὴ ἐστὶν αὐτοῦ, ὡσπερ καὶ ἄνθρωπος ἢ ἀνθρώπου ψυχὴ, τὸν Ἔρωτα τὴν Ἀφροδίτην εἶναι. Εἶτα διὰ τί οὗτος μὲν δαίμων ὢν ὁ κόσμος ἐσται, οἱ δ' ἄλλοι δαίμονες - δῆλον γὰρ ὅτι ἐκ τῆς αὐτῆς οὐσίας εἰσὶν - οὐ καὶ αὐτοὶ ἐσονται, Καὶ ὁ κόσμος ἐσται σύστασις αὐτὸ τοῦτο ἐκ δαιμόνων. Ὁ δὲ *ἔφορος καλῶν παίδων* λεχθεὶς εἶναι πῶς ἂν ὁ κόσμος εἴη; Τὸ δὲ *ἀστρωτον* καὶ *ἀνυπόδητον* καὶ *ἀοικον* πῶς ἂν ἐφαρμόσειε μὴ οὐ γλίσχρος καὶ ἀπαρόντως;

6

Ἄλλὰ τί δὴ χρὴ λέγειν περὶ τοῦ Ἔρωτος καὶ τῆς λεγομένης γενέσεως αὐτοῦ; Δῆλον δὲ ὅτι δεῖ λαβεῖν τίς ἢ Πενία καὶ τίς ὁ Πόρος, καὶ πῶς ἀρμόσουσιν οὗτοι γονεῖς εἶναι αὐτῷ. Δῆλον δὲ ὅτι δεῖ καὶ τοῖς ἄλλοις δαίμοσι τούτους ἀρμόσαι, εἴπερ δεῖ φύσιν εἶναι καὶ οὐσίαν μίαν καθὸ δαίμονες δαιμόνων, εἰ μὴ κοινόν ὄνομα ἔξουσι μόνον. Λάβωμεν τοίνυν πῆ ποτε διορίζομεν θεοὺς δαιμόνων, καὶ εἰ πολλάκις καὶ δαίμονας θεοὺς λέγομεν εἶναι, ἀλλ' ὅταν γε τὸ μὲν ἕτερον, τὸ δὲ ἕτερον λέγωμεν αὐτῶν εἶναι γένος. Τὸ μὲν δὴ θεῶν ἀπαθὲς λέγομεν καὶ νομίζομεν γένος, δαίμοσι δὲ προστίθεμεν πάθη, αἰδίους λέγοντες ἐφεξῆς τοῖς θεοῖς, ἤδη πρὸς ἡμᾶς, μεταξὺ θεῶν τε καὶ τοῦ ἡμετέρου γένους. Πῆ δὴ οὐκ ἐμείναν ἀπαθεῖς οὗτοι, πῆ δὲ κατέβησαν τῇ φύσει πρὸς τὸ χεῖρον; Καὶ δὴ καὶ τοῦτο σκεπτέον, πότερα δαίμων ἐν τῷ νοητῷ οὐδὲ εἰς καὶ αὐτὸ ἐν τῷ κόσμῳ τῷδε δαίμονες μόνον, θεὸς δὲ ἐν τῷ νοητῷ ἀφορίζεται, ἢ *εἰσὶ καὶ ἐνταῦθα θεοὶ* καὶ ὁ κόσμος θεός, ὡσπερ σύνηθες λέγειν, *τρίτος* καὶ οἱ μέχρι σελήνης ἕκαστος θεός. Βέλτιον δὲ μηδένα ἐν τῷ νοητῷ

δαίμονα λέγειν, ἀλλὰ καὶ εἰ αὐτοδαίμων, θεὸν καὶ τοῦτον εἶναι, καὶ αὐτὸν ἐν τῷ αἰσθητῷ τοὺς μέχρι σελήνης θεοὺς τοὺς ὄρατους θεοὺς δευτέρους μετ' ἐκείνους καὶ κατ' ἐκείνους τοὺς νοητοὺς, ἐξηρητημένους ἐκείνων, ὡσπερ αἴγλην περὶ ἕκαστον ἄστρον. Τοὺς δὲ δαίμονας τί; Ἄρα γε ψυχῆς ἐν κόσμῳ γενομένης τὸ ἀφ' ἐκάστης ἰχνης; Διὰ τί δὲ τῆς ἐν κόσμῳ; Ὅτι ἢ καθαρὰ θεὸν γεννᾷ, καὶ θεὸν ἐφάμεν τὸν ταύτης ἔρωτα. Πρῶτον δὴ διὰ τί οὐ πάντες οἱ δαίμονες ἔρωτες; Εἶτα πῶς οὐ καθарοὶ καὶ οὗτοι ὕλης; Ἡ ἔρωτες μὲν, οἱ γεννῶνται ψυχῆς ἐφιεμένης τοῦ ἀγαθοῦ καὶ καλοῦ, καὶ γεννῶσι πᾶσαι τοῦτον τὸν δαίμονα αἰ ἐν τῷδε· οἱ δὲ ἄλλοι δαίμονες ἀπὸ ψυχῆς μὲν καὶ οὗτοι τῆς τοῦ παντός, δυνάμεσι δὲ ἑτέροις γεννῶμενοι κατὰ χρεῖαν τοῦ ἄλου συμπληροῦσαν καὶ συνδιοικοῦσαν τῷ παντὶ ἕκαστα. Ἐδει γὰρ ἀρκεῖν τὴν ψυχὴν τοῦ παντός τῷ παντὶ γεννήσασαν δυνάμεις δαιμόνων καὶ προσφόρους τῷ ἑαυτῆς ὄλῳ. Ἀλλὰ πῶς καὶ τίνος ὕλης μετέχουσιν; Οὐ γὰρ δὴ τῆς σωματικῆς, ἢ ζῶα αἰσθητὰ ἔσται. Καὶ γὰρ εἰ σώματα προσλαμβάνουσιν ἀέρινα ἢ πύρινα, ἀλλὰ δεῖ γε πρότερον διάφορον αὐτῶν τὴν φύσιν εἶναι, ἵνα καὶ μετάσχωσι σώματος· οὐ γὰρ εὐθύς τὸ καθαρὸν πάντῃ σώματι μίγνυται, καίτοι πολλοῖς δοκεῖ ἢ οὐσία τοῦ δαίμονος καθ' ὅσον δαίμων μετὰ τινος σώματος ἢ ἀέρος ἢ πυρὸς εἶναι, Ἄλλὰ διὰ τί ἢ μὲν σώματι μίγνυται, ἢ δὲ οὐ, εἰ μὴ τις εἴη τῆ μίγνυμένη αἰτία; Τίς οὖν ἡ αἰτία; Ὑλὴν δεῖ νοητὴν ὑποθέσθαι, ἵνα τὸ κοινωνῆσαν ἐκείνης ἦκη καὶ εἰς ταύτην τὴν τῶν σωμάτων δι' αὐτῆς.

7

Διὸ καὶ ἐν τῇ γενέσει τοῦ Ἐρωτος ὁ Πλάτων φησὶ τὸν Πόρον τὴν μέθην ἔχειν τοῦ νέκταρος οἴνου οὐπω ὄντος, ὡς πρὸ τοῦ αἰσθητοῦ τοῦ Ἐρωτος γενομένου καὶ τῆς Πενίας μετεχούσης φύσεως νοητοῦ, ἀλλ' οὐκ εἰδώλου νοητοῦ οὐδ' ἐκεῖθεν ἐμφαντισθέντος, ἀλλ' ἐκεῖ γενομένης καὶ συμμιχθείσης ὡς ἐξ εἶδους καὶ ἀοριστίας, ἣν ἔχουσα ἢ ψυχὴ πρὶν τυχεῖν τοῦ ἀγαθοῦ, μαντευομένη δέ τι εἶναι κατὰ ἀόριστον καὶ ἀπειρον φάντασμα, τὴν ὑπόστασιν τοῦ Ἐρωτος τεκούσης.

Λόγος οὖν γενόμενος ἐν οὐ λόγῳ, ἀορίστῳ δὲ ἐφέσει καὶ ὑποστάσει ἀμυδρᾷ, ἐποίησε τὸ γενόμενον οὐ τέλος οὐδὲ ἱκανόν, ἐλλιπὲς δέ, ἅτε ἐξ ἐφέσεως ἀορίστου καὶ λόγου ἱκανοῦ γεγεννημένον. Καὶ ἐστὶ λόγος οὗτος οὐ καθαρὸς, ἅτε ἔχων ἐν αὐτῷ ἐφесὶν ἀορίστον καὶ ἀλογον καὶ ἀπειρον· οὐ γὰρ μήποτε πληρώσεται, ἕως ἂν ἔχη ἐν αὐτῷ τὴν τοῦ ἀορίστου φύσιν. Ἐξήρηται δὲ ψυχῆς ὡς ἐξ ἐκείνης μὲν γενόμενος ὡς ἀρχῆς, μίγμα δὲ ὦν ἐκ λόγου οὐ μείναντος ἐν αὐτῷ, ἀλλὰ μιχθέντος ἀοριστίᾳ, οὐκ αὐτοῦ ἀνακραθέντος ἐκείνη, ἀλλὰ τοῦ ἐξ αὐτοῦ ἐκείνη. Καὶ ἐστὶν ὁ ἔρως οἶον ὁ ἔρως οἶον *οἰστρυς* ἀפורος τῇ ἑαυτοῦ φύσει· διὸ καὶ τυγχάνων ἀפורος πάλιν· οὐ γὰρ ἔχει πληροῦσθαι διὰ τὸ μὴ ἔχειν τὸ μίγμα· μόνον γὰρ πληροῦται ἀληθῶς, ὅτιπερ καὶ πεπλήρωται τῇ ἑαυτοῦ φύσει· ὁ δὲ διὰ τὴν συνοῦσαν ἔνδειαν ἐφίεται, κἂν παραχρῆμα πληρωθῆ, οὐ στέγει· ἐπεὶ καὶ τὸ εὐμήχανον αὐτῷ διὰ τὴν *ἐνδειαν*, τὸ δὲ ποριστικὸν διὰ τὴν τοῦ λόγου φύσιν.

Δεῖ δὲ καὶ πᾶν τὸ δαιμόνιον τοιοῦτον νομίζειν καὶ ἐκ τοιούτων· καὶ γὰρ ἕκαστον ἐφ' ᾧ τέτακται ποριστικὸν ἐκείνου καὶ ἐφιέμενον ἐκείνου καὶ συγγενὲς καὶ ταύτῃ τῷ Ἐρωτι καὶ οὐ πλήρες οὐδ' αὐτό, ἐφιέμενον δέ τινος τῶν ἐν μέρει ὡς ἀγαθῶν. Ὄθεν καὶ τοὺς ἐνταῦθα ἀγαθοὺς, ὃν ἔχουσιν ἔρωτα, τοῦ ἀπλῶς ἀγαθοῦ καὶ τοῦ ὄντως ἔχειν οὐκ ἔρωτά τινα ἔχοντας· τοὺς δὲ κατ' ἄλλους δαίμονας τεταγμένους κατ' ἄλλον καὶ ἄλλον δαίμονα τετάχθαι, ὃν ἀπλῶς εἶχον ἀργὸν ἀφέντας, ἐνεργοῦντας δὲ κατ' ἄλλον δαίμονα, ὃν εἴλοντο κατὰ τὸ σύμφωνον μέρος τοῦ ἐνεργοῦντος ἐν αὐτοῖς, ψυχῆς. Οἱ δὲ κακῶν ἐφιέμενοι ταῖς κακαῖς ἐγγενομέναις ἐπιθυμίαις ἐπέδησαν πάντας τοὺς ἐν αὐτοῖς ἔρωτας, ὡσπερ καὶ λόγον τὸν ὀρθόν, ὅστις σύμφυτος, κακαῖς ταῖς ἐπιγενομέναις δόξαις. Οἱ μὲν οὖν φύσει ἔρωτες καὶ κατὰ φύσιν καλοὶ· καὶ οἱ μὲν ἐλάττωνος ψυχῆς ἐλάττους εἰς ἀξίαν καὶ δύναμιν, οἱ δὲ κρείττους, πάντες ἐν οὐσίᾳ. Οἱ δὲ παρὰ φύσιν σφαλέντων πάθη ταῦτα καὶ οὐδαμῆ οὐσία οὐδὲ ὑποστάσεις οὐσιώδεις οὐ παρὰ ψυχῆς ἐτι γεννώμενα, ἀλλὰ συνυφιστάμενα κακίᾳ ψυχῆς ὁμοια γεννώσης ἐν διαθέσει καὶ ἔξεσιν ἤδη. Καὶ γὰρ ὅλως κινδυνεύει τὰ μὲν ἀγαθὰ τὰ ἀληθῆ κατὰ φύσιν ψυχῆς ἐνερ-

γούσης ἐν ὠρισμένοις οὐσία εἶναι, τὰ δ' ἄλλα οὐκ ἐξ αὐτῆς ἐνεργεῖν, οὐδὲν δ' ἄλλο ἢ πάθη εἶναι· ὡσπερ ψευδῆ νοήματα οὐκ ἔχοντα τὰς ὑπ' αὐτὰ οὐσίας, καθάπερ τὰ ἀληθῆ ὄντως καὶ αἰδία καὶ ὠρισμένα ὁμοῦ τὸ νοεῖν καὶ τὸ νοητὸν καὶ τὸ εἶναι ἔχοντα οὐ μόνον ἐν τῷ ἀπλῶς, ἀλλὰ καὶ ἐν ἐκάστῳ περὶ τὸ νοητὸν ὄντως καὶ νοῦν τὸν ἐν ἐκάστῳ εἶδει. Καὶ ἐν ἐκάστῳ ἡμῶν τίθεσθαι καθαρῶς νόησιν καὶ νοητόν, καὶ μὴ ὁμοῦ καὶ ἡμῶν τοῦτο καὶ ἀπλῶς· ὅθεν καὶ τῶν ἀπλῶν ἡμῖν ὁ ἔρως· καὶ γὰρ αἱ νοήσεις· καὶ εἰ τινος τῶν ἐν μέρει, κατὰ συμβεβηκός, ὡσπερ, εἰ τόδε τὸ τρίγωνον, δύο ὀρθὰς θεωρεῖ, καθ' ὅσον ἀπλῶς τρίγωνον.

## 8

Ἄλλὰ τίς ὁ Ζεὺς, οὗ τὸν κῆπον λέγει, εἰς ὃν εἰσηλθεν ὁ Πόρος, καὶ τίς ὁ κῆπος οὗτος; Ἡ μὲν γὰρ Ἀφροδίτη ψυχὴ ἦν ἡμῖν, λόγος δὲ ἐλέγετο τῶν πάντων ὁ Πόρος. Ταῦτα δὲ τί δεῖ τίθεσθαι, τὸν Δία καὶ τὸν κῆπον αὐτοῦ; Οὐδὲ γὰρ ψυχὴν δεῖ τίθεσθαι τὸν Δία τὴν Ἀφροδίτην τοῦτο θέντας. Δεῖ δὴ λαβεῖν καὶ ἐνταῦθα παρὰ Πλάτωνος τὸν Δία ἐκ μὲν Φαίδρου ἡγεμόνα μέγαν λέγοντος αὐτοῦ τοῦτον τὸν θεόν, ἐν ἄλλοις δὲ τρίτον, οἶμαι, τοῦτον· σαφέστερον δὲ ἐν τῷ Φιλήβῳ, ἡνίκ' ἂν φῆ ἐν τῷ Διὶ εἶναι βασιλικὴν μὲν ψυχὴν, βασιλικὸν δὲ νοῦν. Εἰ οὖν ὁ Ζεὺς νοῦς ἐστὶ μέγας καὶ ψυχὴ καὶ ἐν τοῖς αἰτίοις τάττεται, κατὰ δὲ τὸ κρεῖττον δεῖ τάττειν διὰ τε τὰ ἄλλα καὶ ὅτι αἴτιον καὶ τὸ βασιλικὸν δὲ καὶ τὸ ἡγούμενον, ὁ μὲν ἐστὶ κατὰ τὸν νοῦν, ἡ δὲ Ἀφροδίτη αὐτοῦ οὐσα καὶ ἐξ αὐτοῦ καὶ σὺν αὐτῷ κατὰ τὴν ψυχὴν τετάξεται κατὰ τὸ καλὸν καὶ ἀγαθὸν καὶ τὸ τῆς ψυχῆς ἀκακὸν καὶ ἄβρὸν Ἀφροδίτη λεχθεῖσα. Καὶ γὰρ εἰ κατὰ μὲν τὸν νοῦν τοὺς ἄρρενας τάττομεν τῶν θεῶν, κατὰ δὲ τὰς ψυχὰς αὐτῶν τὰς θηλείας λέγομεν, ὡς νῶ ἐκάστῳ ψυχῆς συνουσίας, εἴη ἂν καὶ ταύτη ἡ ψυχὴ τοῦ Διὸς ἢ Ἀφροδίτη πάλιν μαρτυρούντων τούτῳ τῷ λόγῳ ἱερέων καὶ θεολόγων, οἱ εἰς ταῦτον Ἦραν καὶ Ἀφροδίτην ἀγοῦσι καὶ τὸν τῆς Ἀφροδίτης ἀστέρα ἐν οὐρανῷ Ἦρας λέγουσιν.

Ὁ οὖν Πόρος λόγος ὢν τῶν ἐν τῷ νοητῷ καὶ νῷ καὶ μᾶλλον κεχυμένος καὶ οἶον ἀπλωθεὶς περὶ ψυχὴν ἂν γένοιτο καὶ ἐν ψυχῇ. Τὸ γὰρ ἐν νῷ συνεσπειραμένον, καὶ οὐ παρὰ ἄλλου εἰς αὐτόν, τούτῳ δὲ μεθύοντι ἐπακτόν τὸ τῆς πληρώσεως. Τὸ δ' ἐκεῖ πληροῦν τοῦ νέκταρος τί ἂν εἴη ἢ λόγος ἀπὸ κρείττονος ἀρχῆς πεσὼν εἰς ἐλάττονα; Ἐν οὖν τῇ ψυχῇ ἀπὸ νοῦ ὁ λόγος οὗτος, ὅτε ἡ Ἀφροδίτη λέγεται γεγονέναι, εἰσρueis εἰς τὸν κῆπον αὐτοῦ. Κῆπος δὲ πᾶς ἀγλαίσμα καὶ πλοῦτου ἐγκαλλώπισμα. Ἀγλαίζεται δὲ τὰ τοῦ Διὸς λόγῳ, καὶ τὰ καλλώπισματα αὐτοῦ τὰ παρὰ τοῦ νοῦ αὐτοῦ εἰς τὴν ψυχὴν ἐλθόντα ἀγλαίσματα. Ἡ τί ἂν εἴη ὁ κῆπος τοῦ Διὸς ἢ τὰ ἀγάλματα αὐτοῦ καὶ τὰ ἀγλαίσματα; Τί δ' ἂν εἴη τὰ ἀγλαίσματα αὐτοῦ καὶ τὰ κοσμήματα ἢ οἱ λόγοι οἱ παρ' αὐτοῦ ῥυέντες; Ὁμοῦ δὲ οἱ λόγοι ὁ Πόρος, ἡ εὐπορία καὶ ὁ πλοῦτος τῶν καλῶν, ἐν ἐκφάνσει ἤδη· καὶ τοῦτό ἐστι τὸ μεθύειν τῷ νέκταρι. Τί γὰρ θεοῖς νέκταρ ἢ ὁ τὸ θεῖον κομίζεται; Κομίζεται δὲ τὸ ὑποβεβηκὸς νοῦ λόγον· νοῦς δὲ ἑαυτὸν ἔχει ἐν κόρῳ καὶ οὐ μεθύει ἔχων. Οὐ γὰρ ἐπακτόν τι ἔχει. Ὁ δὲ λόγος νοῦ γέννημα καὶ ὑπόστασις μετὰ νοῦν καὶ οὐκέτι αὐτοῦ ὢν, ἀλλ' ἐν ἄλλῳ, ἐν τῷ τοῦ Διὸς κῆπῳ λέγεται κείσθαι τότε κείμενος, ὅτε ἡ Ἀφροδίτη ἐν τοῖς οὖσιν ὑποστῆναι λέγεται.

Δεῖ δὲ τοὺς μύθους. εἶπερ τοῦτο ἔσονται, καὶ μερίζειν χρόνοις ἃ λέγουσι, καὶ διαιρεῖν ἀπ' ἀλλήλων πολλὰ τῶν ὄντων ὁμοῦ μὲν ὄντα, τάξει δὲ ἢ δυνάμεσι διεστῶτα, ὅπου καὶ οἱ λόγοι καὶ γενέσεις τῶν ἀγεννήτων ποιούσι, καὶ τὰ ὁμοῦ ὄντα καὶ αὐτοὶ διαιροῦσι, καὶ διδάξαντες ὡς δύνανται τῷ νοήσαντι ἤδη συγχωροῦσι συναιρεῖν. Ἡ δὲ συναίρεσις· ψυχὴ νῷ συνοῦσα καὶ παρὰ νοῦ ὑποστᾶσα καὶ αὐτῶν λόγων πληρωθεῖσα καὶ καλῇ καλοῖς κοσμηθεῖσα καὶ εὐπορίας πληρωθεῖσα, ὡς εἶναι ἐν αὐτῇ ὄραν πολλὰ ἀγλαίσματα καὶ τῶν καλῶν ἀπάντων εἰκόνας, Ἀφροδίτη μὲν ἐστὶ τὸ πᾶν, οἱ δὲ ἐν αὐτῇ λόγοι πάντες εὐπορία καὶ Πόρος ἀπὸ τῶν ἀνω ῥυέντες τοῦ ἐκεῖ νέκταρος· τὰ δὲ ἐν αὐτῇ ἀγλαίσματα ὡς ἂν ἐν ζωῇ κείμενα κῆπος Διὸς λέγεται, καὶ εὔδειν ἐκεῖ ὁ Πόρος οἷς ἐπληρώθη

βεβαρημένος. Ζωῆς δὲ φανείσης καὶ οὐσης αἰεὶ ἐν τοῖς οὐσίαν ἔστι ἄσθαι οἱ θεοὶ λεγόνται ὡς ἂν ἐν τοιαύτῃ μακαριότητι ὄντες. Ἄει δὲ οὕτως ὑπέστη ὁδε ἐξ ἀνάγκης ἐκ τῆς ψυχῆς ἐφέσεως πρὸς τὸ κρεῖττον καὶ ἀγαθόν, καὶ ἦν αἰεὶ, ἐξ οὐπερ καὶ ψυχῆ, Ἔρως. Ἔστι δ' οὗτος μικτόν τι χρῆμα μετέχον μὲν ἐνδείας, ἢ πληροῦσθαι θέλει, οὐκ ἀμοιρον δὲ εὐπορίας, ἢ οὐ ἔχει τὸ ἐλλείπον ζητεῖ· οὐ γὰρ δὴ τὸ πάμπαν ἀμοιρον τοῦ ἀγαθοῦ τὸ ἀγαθὸν ἂν ποτε ζητήσειεν. Ἐκ Πόρου οὖν καὶ Πενίας λέγεται εἶναι, ἢ ἡ ἐλλειψις καὶ ἡ ἐφῆσις καὶ τῶν λόγων ἢ μνήμη ὁμοῦ συνελθόντα ἐν ψυχῇ ἐγέννησε τὴν ἐνέργειαν τὴν πρὸς τὸ ἀγαθόν, ἔρωτα τοῦτον ὄντα. Ἡ δὲ μήτηρ αὐτῷ Πενία, ὅτι αἰεὶ ἡ ἐφῆσις ἐνδεοῦς. Ὑλη δὲ ἡ Πενία, ὅτι καὶ ἡ ὑλὴ ἐνδείη τὰ πάντα, καὶ τὸ ἀόριστον τῆς τοῦ ἀγαθοῦ ἐπιθυμίας - οὐ γὰρ μορφή τις οὐδὲ λόγος ἐν τῷ ἐφιεμένῳ τούτου - ὑλικώτερον τὸ ἐφιέμενον καθ' ὅσον ἐφίεται ποιεῖ. Τὸ δὲ πρὸς αὐτὸ εἶδός ἐστι μόνον ἐν αὐτῷ μένον· καὶ δέξασθαι δὲ ἐφιέμενον ὑλὴν τῷ ἐπιόντι τὸ δεξόμενον παρασκευάζει. Οὕτω τοι ὁ Ἔρως ὑλικὸς τίς ἐστι, καὶ δαίμων οὗτός ἐστιν ἐκ ψυχῆς, καθ' ὅσον ἐλλείπει τῷ ἀγαθῷ, ἐφίεται δέ, γεγενημένος.

თარგმანი:

### III 5 (50)

#### ეროსის შესახებ

#### 1

< უნდა გამოვიკვლიოთ ეროსის შესახებ,<sup>80</sup> არის ის ღმერთი, ღმერთი თუ რაღაც სულიერი განცდა, ან ნაწილობრივ ღმერთი და ღმერთი, ნაწილობრივ კი განცდა, და როგორია [მასში] თითოეული ეს [წილი].

<sup>80</sup> აქ და ბევრ სხვა შემთხვევაში შეიძლება „ეროსის“ ნაცულად გვეხმარა სიტყვა „სიყვარული“, მაგრამ ვინაიდან უმეტეს შემთხვევაში სიყვარული როგორც განცდა პერსონიფიცირებულია ეროსის როგორც ღმერთისა თუ ღმერთის სახით, ამიტომ ვამჯობინე, სიტყვა „ეროსი“ მეხმარა.

გასათვალისწინებელია სხვა ადამიანთა შეხედულებებიც, აგრეთვე ის თეორიები, რომლებიც ფილოსოფიაში გაჩნდა ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი ღვთაებრივი პლატონის თვალსაზრისი, რომელმაც ბევრჯერ წერილობით გამოხატა თავისი შეხედულება ეროსის შესახებ: მისი აზრით, [ეროსი] არა მარტო სულებში ჩასახული რაღაც განცდაა, არამედ დემონიც არის.<sup>81</sup> პლატონმა მისი გაჩენის შესახებაც მოგვითხრო, როგორ და საიდან გაჩნდა ის.

რაც შეეხება განცდას, რომლის [გაჩენის] მიზეზად ეროსს მიიჩნევთ,<sup>82</sup> ყველამ იცის, რომ ის სულებში ჩაისახება, რომლებიც მშვენიერთან შერწყმისკენ მიისწრაფიან. ეს მისწრაფება იმ გონიერულობას ახასიათებს, რომელიც მშვენიერებას არის მიარებული, თუმცა, საბოლოო ჯამში, [ის შეიძლება] რაღაც მახინჯი საქმისკენაც მიიქცეს. ახლა ფილოსოფიის გზით უნდა გამოვიკელიოთ, თუ საიდან იღებს დასაბამს [ეროსის] ეს ორივე [სახეობა].

თუკი ვინმე [ეროსის] საწყისად მიიჩნევდა სულთა თავდაპირველ მისწრაფებას მშვენიერებისკენ, [მის] ცნობას, [მასთან] ნათესაობას და [მასთანვე] ახლობლობით [გამსჭვალულ] გაუცნობიერებულ კავშირს, ეუფრობ, ჭეშმარიტების მიგმვს მიაგნებდა. რაც შეეხება სიმახინჯეს, ის როგორც ბუნების, ასევე ღმერთის საწინააღმდეგოა.<sup>83</sup> სული ხომ მშვენიერებას ჭერეგს და [ისე] ქმნის, და ის განსაზღვრულს უჭერეგს, რაც „სიკეთის რიგს მიეკუთვნება“.<sup>84</sup> რაც შეეხება განუსაზღვრელს, ის მახინჯია და სხვა რიგისაა. ბუნება დასა-

<sup>81</sup> მდრ. Plat., Smp. 202 d 13.

<sup>82</sup> არმსტრონგის შენიშვნის თანახმად, პლოტინი მიუთითებს, რომ სიყვარული არის ის ზეადამიანური ღვთაებრივი თუ დემონური საწყისი, რომელიც ადამიანურ სულში სასიყვარულო გრძნობის ჩასახვის საფუძველია. იხ. Plotinus, ed. Armstrong, ტ. III, გვ. 167.

<sup>83</sup> მდრ. Plat., Smp. 206 d 1-2; იხ. Plotinus, ed. Armstrong, ტ. III, გვ. 168.

<sup>84</sup> მდრ. Arist., EN I, 4, 1096 b 6; Metaph. I, 5, 986 a 22 - 26; იხ. Plotinus, ed. Armstrong, ტ. III, გვ. 168-169.

ბამს სიკეთიდან და, ცხადია, მშვენიერებიდან იღებს. ვისაც რა უყვარს და რაც ენათესაება, ის იმის ხატებსაც ითავისებს.

თუკი ამ მიზეზს უგულბებლვეყოფთ, ველარ ვიტყვი, საიდან და რა მიზეზით ჩნდება განცდა, მათ შორის იმათთან, ვისაც [სქესობრივი] კავშირის მიზნით უყვარს [ერთმანეთი]; მათაც ხომ სურთ „მშვენიერებაში შობონ“.<sup>85</sup> ამიტომ უაზრობა იქნებოდა, რომ ბუნებას, რომელსაც მშვენიერის ქმნა სურს, სიმახინჯეში დაბადება ესურვა.

ვისაც ამქვეყნიური [ეროსი] უბიძგებს შობისკენ, [იმისთვის] საკმარისია, ფლობდეს ამქვეყნიურ მშვენიერებას, რომელიც ხატებსა და სხეულებშია მოცემულია, ვინაიდან მას ხელთ არა აქვს [ის] არქეტეიპი, რომელიც მიზეზია იმისა, რომ ამქვეყნიური უყვარს. [ზოგიერთი ადამიანი] ამქვეყნიურის საფუძველზე იმქვეყნიურის გახსენების გზას ადგას, და მათთვის ამქვეყნიური ძვირფასია, როგორც ხატი; მაგრამ ისინი, ვინც [შენა სამყაროს] ვერ იხსენებენ, განცდაში ვერ ერკვევიან და [მას] ჭეშმარიტებად წარმოიღგენენ. თავისთავად ამქვეყნიურ მშვენიერებასთან ურთიერთობა ცოდვა არ არის, თუკი მას გონივრულად ვეკიდებით, მაგრამ ის ცოდვაა, თუ [მხოლოდ სქესობრივი] კავშირისკენ არის მიღრეკილი.

ვისაც მშვენიერების წმინდა სიყვარული სჩვევია, [მისთვის] საყვარელია მხოლოდ [თავად] მშვენიერება, მიუხედავად იმისა, ახსენდება თუ არა მას [შენა მშვენიერება]; ხოლო ვინც [სქესობრივი] კავშირისკენ [მიისწრაფვის] და მიილტვის, რომ იყოს „უკვდავი, რამდენადაც ეს მოკვდავს შეუძლია“, ის მშვენიერებას მარადიულსა და მუდმივში ეძიებს;<sup>86</sup> ის ბუნების შესაბამის გზას მიჰყვება, თესავს და შობს მშვენიერებაში. ის თესავს მარადიულობისთვის და მშვენიერებაში მშვენიერთარ კავშირის გამო, რადგან მარადიული მონათესავეა მშვენიერი-

---

<sup>85</sup> Plat., Smp. 206 c 4-5.

<sup>86</sup> შტრ. Plat., Smp. 206 e 8.



სა და მარადიული ბუნება არის ის რაც უპირველეს ყოვლისა მშვენიერია, და მშვენიერი რაც არის, მისგან მომდინარეობს.

ამგვარად, ის, რასაც არ სურს, რომ შეას, უფრო თვითკმარია მშვენიერებით, ხოლო ის, რაც შექმნისკენ მიიღგვის, მას მშვენიერების შექმნა [თავისი] ნაკლოვანების გამო სურს და იმიტომ, რომ თვითკმარი არ არის. და თუკი რაიმე ამდაგვარს ქმნის, მიაჩნია, [რომ თვითკმარია], რადგან მშვენიერებაში შობს.<sup>87</sup> ხოლო ვისაც კანონისა და ბუნების საწინააღმდეგოდ შობა სურს, მათი გმის სათავე მაინც ბუნებას შეესაბამება, მაგრამ ისინი თითქოსდა გმას ასცდნენ, ფეხი მოუსხლგათ და ძირს დაეცნენ; მათ ვერ გაიგეს, საით მიჰყავს ისინი ეროსს, [ვერ გაიგეს, რა არის] შობისკენ ლგოლვა, [ვერ მიხვდნენ], როგორ უნდა მშვენიერების ხაგს მოხმარება, და [ვერც ის გაიგეს], რა არის თავად მშვენიერება. ხოლო მათ, ვისაც მშვენიერი სხეულები უყვარს, [და ამ სიყვარულს სქესობრივი] კავშირიც განაპირობებს, ისინი მათი მშვენიერების გამო უყვარს. ასეთები არიან ისინი, ვისაც ე.წ. შერეული სიყვარულით უყვარს. მათ უყვართ ქალები იმისათვის, რომ [თავად] მარადიულნი [იყვნენ], მაგრამ თუ ასეთებს [ვერ შეხვდნენ, თავის მიგანს] ვერ მიადწევენ. უკეთესია ის, [ვისაც არა შობის გულისთვის უყვარს],<sup>88</sup> თუმცა [სიყვარულის ორივე სახეობის წარმომადგენელი] კეთილგონიერია. [მათ შორის განსხვავება ის არის, რომ] ზოგიერთი ამქვეყნიურ მშვენიერებას ეთაყვანება და ამით კმაყოფილდება, ზოგი-

---

<sup>87</sup> არმსტრონგის აზრით, თუმცა ეს ადგილი პლატონის „ნაღმის“ (Sym. 206 c) ვადმოცემაა, პლოტინის ერთი მნიშვნელოვანი ცელილება შემოაქვს სიყვარულის ვაგებაში: მასთან სიყვარულის უმაღლესი სახე არ არის. ქვედა საფეხურის სიყვარულისგან განსხვავებით, წარმოქმნისკენ მიდრეკილი, მამის როცა პლატონთან სიყვარულის ყველა სახეობა არსებითად წარმოქმნისკენ მიისწრაფვის. იხ. Plotinus, ed. Armstrong, გ. III, გვ. 170-171.

<sup>88</sup> მთელი ეს მონაკვეთი საკმაოდ რთულია ვასაგებად. მე ამ შემთხვევაში ძირითადად არმსტრონგისეულ წაკითხვას მიყვები.

ერთი კი იმასაც [ანუ ზენა მშვენიერებასაც ეთაყვანება]; მათ ის [ზენა მშვენიერება] ახსოვთ, თუმცა ისინი არც ამქვეყნიურ [მშვენიერებას] ექცევიან უპატივცემულოდ, რადგან ისიც ზენა [მშვენიერების] ერთგვარი ქმნილება და გათამაშებაა.<sup>89</sup> ასეთი [შეყვარებულები] მშვენიერებას სიმახინჯის გარეშე [უკავშირდებიან], სხვები კი მშვენიერების გამო სიმახინჯეში ვარდებიან, რადგან ხშირად ხდება, რომ სიკეთისკენ მისწრაფება ბოროტებაში გვაგდებს.

ეს იყო, რაც სულის განცდას შეეხება.

## 2

ხოლო იმას რაც შეეხება, რომ [ეროსი] ღმერთია, ამას ფიქრობენ არა მხოლოდ სხვა ადამიანები, არამედ თეოლოგებიც, და პლატონიც მრავალგან ახსენებს „აფროდიტეს [ძის] ეროსს და ამბობს, რომ მისი საქმეა, იყოს „ლამაზი ბიჭების მეთვალყურე“, და სულებს აღძრავდეს იმქვეყნიური მშვენიერებისკენ, ან ზრდიდეს [და მიმართავდეს] იქითკენ უკვე აღმოცენებულ მისწრაფებას.<sup>90</sup> ამას ფილოსოფიური განხილვა სჭირდება. ყურადღება უნდა მივაქციოთ „ნადიმში“ ნათქვამსაც, რომლის თანახმად [ეროსი] [იშვა] არა [აფროდიტესგან], არამედ აფროდიტეს დაბადების დღეზე, პენიასა [„საჭიროება“] და პოროსისგან [„სიმდიდრე“].<sup>91</sup>

როგორც ჩანს, [ჩვენი] კელევა მოითხოვს, აფროდიტეს შესახებაც ვთქვათ ორიოდ სიტყვა, სულერთია, მიგვანია თუ არა, რომ ეროსი მისგან იშვა თუ მისი თანამდგომია. უპირველეს ყოვლისა, ვიკითხოთ: ეინ არის აფროდიტე? შემდეგი კითხვაა: როგორ გამოდის, რომ [ეროსი] მისი შვილია,

---

<sup>89</sup> „თამაში“ ძალიან საინტერესო და ცალკე შესასწავლი თემაა პლოტინთან. გაეიხსენოთ, რომ ის ნახსენები იყო „ჭვრეტის შესახებ“ გრაფიკატშიც.

<sup>90</sup> ib. Plat., Phdr. 242 d 9, 265 c 2-3.

<sup>91</sup> Plat., Smp. 203 d 7.

ან მისი თანამდგომია, ან როგორღაც ერთდროულად მისი შეილიც არის და თანამდგომიც.

მიგვაჩნია, რომ აფროდიტე ორია:<sup>92</sup> „ზეციური“ აფროდიტე ზეციურია, ხოლო [მეორე აფროდიტე] ზეესისა და დიონეს [ასულია], ის ამქვეყნიურ ქორწინებათა მეთვალყურეა. რაც შეეხება პირველ აფროდიტეს, მას ღედა არა ჰყავს და ქორწინებებთან საქმე არა აქვს, რადგან ზეცაში ქორწინებები არ არსებობს. „ზეციურად“ წოდებული [აფროდიტე წარმოდგება] კრონოსისგან, რომელიც არის გონება;<sup>93</sup> ამიგომ [ზეციური აფროდიტე] აუცილებლად არის საღმრთო სული, რომელიც უშუალოდ [გონებისგან წარმოდგება]; წმინდაა [კრონოსი] და წმინდაა [თავად ზეციური აფროდიტეც], ის მუდამ ზენა სამყაროშია. მას არ სურს და არც შეუძლია ამქვეყნად ჩამოსვლა, რადგან ქვემოთ ჩამოსვლა მისი ბუნებისთვის უცხოა, – მას განყენებული ჰიპოსტასი გააჩნია და მისი არსება მაგერიას არ არის მიარებული – ამიგომაც უწოდებენ მას „უღელს“;<sup>94</sup> სამართლიანი იქნება, მას „ღმერთი“ ვუწოდოთ, და არა „ღემონი“, რადგან [მისი არსება] შერეული არ არის, ის წმინდაა და თავისთავადი. უშუალოდ გონებისაგან შობილი, ის თავადაც წმინდაა, რადგან თავისთავადაც ძლიერია, [გონებასთან] სიახლოვის გამო; ამიგომ მისთვის დამახასიათებელი მისწრაფება და მისი ადგილსამყოფელიც, [რომელიც მას] მშობელთან ახლოს [გააჩნია], საკმარისია მის ზენა სამყაროში დასამკვიდრებლად; გონებასთან დაკავშირებული სული იქიდან გაცილებით უფრო არ ჩამოვარდება, ვიდრე მშვეს ძალუძს შუქი, რომელსაც ის თავის გარშემო ასხივებს, თავისთან შეაკავოს.

[აფროდიტე] მისღევს კრონოსს, ან, თუ ვნებავთ, კრონოსის მამას ურანოსს; [აფროდიტემ] მიმართა თავისი მოქმედება

<sup>92</sup> Plat., Smp. 180 d 7-8.

<sup>93</sup> შღრ. Plat., Cra. 396 b.

<sup>94</sup> Plat., Smp. 180 d 7.

მასზე, დაუკავშირდა მას, შეიყვარა და შვა ეროსი. ამიერიდან ის მას ეროსთან ერთად შესცქერის. [აფროდიტეს] მოქმედება [„ენერგია“] წარმოქმნის ჰიპოსტასსა და არსებას; ორივენი [ის და ეროსი] იქით იყურებიან, – მშობელი [აფროდიტე] და მშვენიერი ეროსი, შობილი ჰიპოსტასად, რომელიც მუდამ სხვა მშვენიერებაზეა მიმათული; მისი არსებობა შუალედურია მოსურნესა და სურვილის ობიექტს შორის. [ეროსი] თვალთა მოსურნისა, რომელიც შეყვარებულს თავისი [ძალით] სასურველი ობიექტის ხილვას ანიჭებს. მაგრამ [თვითონ ეროსი] წინ გარბის და სანამ [შეყვარებულს] [თვალის, როგორც] ორგანოს მეშვეობით, ხედვის [უნარს] მიანიჭებდეს, თავადვე, [შეყვარებულზე] უფრო ადრე, ხილვით თავს იკმაყოფილებს; თუმცა, ის სხვაგვარად ხედავს: [შეყვარებულში] მტკიცედ არის აღბეჭდილი ხედვის ობიექტი, ხოლო თავად [ეროსი] ტკბება მშვენიერის [ისეთი] ხილვით, რომელიც მას [ეროსს] ჩაუქროლებს.

### 3

[ეროსი] არის ჰიპოსტასი და არსება, არსებიდან [წარმოდგარი], [თუმცა] ნაკლები იმ არსებაზე, რომელმაც ის შექმნა; და მაინც ის [არსებაა] – ეს საეჭვო არ არის.

[შენა] სულიც იყო არსება, წარმოქმნილი მასზე უწინარესი ენერგიიდან და მყოფთა არსებიდან; ის უყურებდა პირველ არსებას, ინტენსიურად უყურებდა. ეს [პირველი არსება სულისთვის] ხედვის პირველი ობიექტი იყო. სული მას შესცქეროდა, როგორც თავის პირველ სიკეთეს და ხედვით ხარობდა. მან რაც ნახა, ისეთი იყო, რომ [მისთვის, როგორც] მჭვრეტელისთვის ხედვა ფუჭ საქმედ არა ქცეულა: ერთგვარი სიამოვნებითა და [ხედვის ამ ობიექტზე] მიმართულობით, აგრეთვე ჭვრეტის ინტენსივობით, [სულმა] თავისგან შვა რაღაც, რაც მისი და [მისი] ხედვის ობიექტის ღირსია. ხედვის საგანზე კონცენტრირებული მოქმედებიდან და იქიდან, რაც

თითქოსდა ხედვის ობიექტიდან გამოედინა, იშვა ეროსი: საესე თვალი, რომელსაც ხედავთ თითქოსდა [იმ] გამოსახულებასთან ერთად გააჩნია, [რომელიც საგნის დანახვის შედეგად მიიღება]. [ეროსის] სახელიც აქედან წარმოდგება,<sup>95</sup> იმიტომ რომ [მას] ჰიპოსტასი ხედიდან გააჩნია. [ადამიანურ] განცდასაც<sup>96</sup> აქედან უნდა შეეძინა სახელწოდება, რაკი არსება წინ უსწრებს არა-არსებას; ამიტომ [ამ] განცდასაც „სიყვარული“<sup>97</sup> ეწოდება; თუმცა, როდესაც [ვამბობთ], „მას გააჩნია სიყვარული ვინმეს მიმართ“ – აქ არ უნდა ვიგულისხმოთ სიყვარული როგორც ასეთი.<sup>98</sup> მაშინ ხომ ეს იქნებოდა ზენა სულის ეროსი, რომელიც თავადაც ზემოთ იყურება, რადგან თანამდევია [სულისა], მისგან და მის მიერ მობილი, რომელიც ამის გამო ღმერთების ჭვრეგით კმაყოფილდება.

„განყენებულს“ იმ სულს ეუწოდებთ, რომელიც პირველად გაბრწყინდა ცაში, და განყენებულად მივიჩნევთ შესაბამის ეროსსაც – იმიტომაც, რომ [იმ] სულს „ბეციურს“ ეუწოდებთ. ჩვენ ხომ იმასაც ვამბობთ, რომ ჩვენშიც არის საუკეთესო [ნაწილი], – ის [ხომ] ჩვენშია, თუმცა მაინც განყენებულად მიგვაჩნია.

ვინაიდან ამ სამყაროსაც სული უნდა ჰქონოდა, ამიტომ [მის სულთან] ერთად სხვა ეროსიც წარმოდგა, რომელიც [არის], ამასთანავე, ამ [სულის] თვალი; თავად ეს [ეროსიც] მისწრაფებიდან იშვა. ამქვეყნიურმა აფროდიტემ, რომელიც კოსმოსს განეკუთვნება და არ არის მხოლოდ სული და სული როგორც ასეთი, ამ კოსმოსში შვა ეროსი, რომელიც თავად არის დაკავშირებული ქორწინებასთან; და რამდენადაც მასაც ასახიათებს ზემოთკენ მისწრაფება, ამდენად აღძრავს ის ახალ-

<sup>95</sup> იგულისხმება: „ეროს“ (ἔρως) მომდინარეობს „ორასის“-იდან (ῥάσις), რაც „ხედვას“ ნიშნავს.

<sup>96</sup> იგულისხმება სიყვარული (ἔρως) როგორც ადამიანური განცდა.

<sup>97</sup> ბერძნ. ზმნა ἔρῃν „სიყვარულს“ ნიშნავს.

<sup>98</sup> მღრ. Plat., Smp. 199 d 1-2.

გამრდების სულესაყ [ამ მისწრაფებისკენ] და ზემოთკენ მიმართაყ სულს, რომელსაყ გვერდში უდგას, იმდენად, რამდენადაყ თავად ამ [სულს] იმ [ზენა არსთა] ხსოვნისკენ სულა ძალუძს. რადგან ყველა [სული] მიისწრაფეის სიკეთისკენ, ისიყ, რომელიყ შერეულია [სხეულთან] და ის, რომელიყ ვინმე [ინდივიდუალური არსების სულად] არის ქცეული; იმიტომ რომ ასეთი [სულიყ] მისდევს [ზენა სულს] და მისგან [წარმოადგება].

4

აქვს თუ არა თითოეულ სულს ამგვარი ეროსი არსები-სეულად და ჰიპოსტასის სახით? ან რაგომ უნდა ჰყავდეს უნივერსალურ [სულს] და კოსმოსის [სულს] ჰიპოსტასური ეროსი, ხოლო თითოეული ჩვენგანის [სულს] ასეთი [ეროსი] არ [ჰყავდეს], შემდეგ კი იმ [სულსაყ არ ჰყავდეს], რომელიყ სხვა ყველა ცხოველშია?

ან არის თუ არა ეს ეროსი დემონი, რომლის შესახებ ამბობენ, რომ ის თითოეულ [ადამიანს] თან სდევს და ყოველი ჩვენგანის ეროსია?<sup>99</sup> ის იწვევს ბუნების შესაბამს მისწრაფებებს თითოეულ სულში; ცალკეული სული, შესაბამისად, მიმართულია საკუთარ ბუნებაზე და შობს ეროსს [თავისი] ღირსებისა და არსების მიხედვით.

მაშ, საყოველთაო [სულს] უნდა ჰქონდეს საყოველთაო [ეროსი], ხოლო ნაწილებითი სულებიდან თითოეულს – თავთავისი. ხოლო რამდენადაყ ცალკეული [სული] საყოველთაო [სულისგან] გამიჯნული კი არ არის, არამედ გარემოცულია [მისგან], ისე, რომ ყველა [სული] ერთ [საყოველთაო სულს წარმოადგენს], ასეთივე [მიმართებაში უნდა იყოს] თითოეული ეროსი საყოველთაო [ეროსთან]. ნაწილებითი [ეროსი] გვერდში უდგას ნაწილებით [სულს], საყოველთაო [სულს

---

<sup>99</sup> მღრ. Plat., Phd. 113 d 2.

გვერდში უდგას] ის [ანუ ზენა] დიდი [ეროსი], ხოლო კოსმოსის [ეროსი გვერდში უდგას] კოსმოსს მის ყველა ნაწილში. და ეს ერთი [ეროსი] ხდება მრავალი და არის [ასეთი], ის კოსმოსის ყველა ადგილას ჩნდება, თუკი მოისურვებს.

უნდა ვიფიქროთ, რომ აფროდიტეებიც მრავალნი არიან უნივერსუმში, [ანუ ის ქალი] დემონები, რომლებიც მთელ [უნივერსუმში] არიან ეროსთან ერთად, გამოსულნი საყოველთაო აფროდიტედან; ისინი მრავალნი არიან ინდივიდუალური სახით და [საყოველთაო აფროდიტეზე] არიან დამოკიდებულნი საკუთარ ეროსთან ერთად; [ეს ასეა], თუკი სული მართლაც დედაა ეროსისა, ხოლო აფროდიტე – სულია და ეროსი – ენერჯიაა სულისა, რომელიც სიკეთისკენ მიისწრაფვის.

თუკი ამგვარი ეროსი თითოეულ [სულს] სიკეთის ბუნებისკენ უძღვება, მაშინ ზენა [სულის] ეროსი ღმერთი უნდა იყოს, რომელიც სულს მარადიულად უკავშირებს [სიკეთეს], ხოლო შერეული [სულისა] კი – დემონი.<sup>100</sup>

## 5

მაგრამ რას წარმოადგენს დემონის და, საერთოდ, დემონების ბუნება?

მის შესახებ „ნაღიმშიც“ არის საუბარი, [ეგულისხმობ] სხვა დემონების და თავად ეროსის [ბუნებას], რომელიც პენიასა

---

<sup>100</sup> პლოტინი მკაფიოდ განასხეავენს ზენა სულს ინდივიდუალური სულების-გან. ამ გრადიციას პლატონმა დაუღო საფუძველი, პლოტინმა ის ამკარად გამოკვეთა, გვიანდელმა ნეოპლატონიზმმა ის კიდევ უფრო გააღრმავა. არმსტრონგის აზრით, ამ ადგილას პლოტინი ერთგვარად „შეათანხმებს“ ერთმანეთთან პლატონის „ნაღიმსა“ და „ფედროსს“. პლატონის ეს ორი დიალოგი ერთგვარ წინააღმდეგობაში იყო ერთმანეთთან (რაც პლატონთან სხვა შემთხვევებშიც შეინიშნება); „ნაღიმში“ ეროსი დემონია, „ფედროსში“ კი ღმერთი. აქვე პლოტინი აჩვენებს, რომ „ეროსი“ არ არის მხოლოდ ისეთი ლტოლვა, რომელიც დაკმაყოფილებით მიიღწევა, არამედ ის მაშინაც განაგრძობს არსებობას, როდესაც შეყვარებული აღწევს თავის მიზანს: სიყვარულის ობიექტთან სრულ ერთიანობას. იხ. Plotinus, ed. Armstrong, გ. III, გვ. 182.

და მეტისის ძის პოროსისგან იშვა აფროდიტეს დაბადების ღღებე.<sup>101</sup>

ის შესედულება, რომ პლატონი ეროსში გულისხმობს ამ კოსმოსს, მაგრამ არა კოსმოსის იმ [ნაწილს], რომელშიც ეროსი იშვა, მრავალ წინააღმდეგობას შეიცავს: [პლატონი] კოსმოსს უწოდებს „ნეტარ ღმერთს“ და [ამბობს], რომ ის თვითეკმარია,<sup>102</sup> ხოლო ეროსის შესახებ ის მიიჩნევს, რომ ის არც ღმერთია და არც თვითეკმარია, არამედ [პირიქით], მუდამ [რალაც] სჭირდება.<sup>103</sup> შემდეგ, თუკი კოსმოსი სულისგან და სხეულისგან შედგება, ხოლო აფროდიტე [პლატონისთვის] კოსმოსის სულს წარმოადგენს, მაშინ ეროსის უმთავრესი ნაწილი აფროდიტე უნდა იყოს. ანუ, თუკი კოსმოსი მისი სულია, ისევე როგორც ადამიანია ადამიანის სული, მაშინ ეროსიც აფროდიტე უნდა იყოს. და კიდევ, რატომ უნდა იყოს ეს [ეროსი], რომელიც ღემონია, კოსმოსი, ხოლო სხვა ღემონები – ცხადია, რომ ისინი იმავე არსებობისანი არიან – [კოსმოსს] არ წარმოადგენდნენ? გამოდის, კოსმოსი ღემონების ნაერთია.

ან ის, ვისაც „ლამამ ბიჭთა მეთვალყურე“ ეწოდა,<sup>104</sup> კოსმოსი როგორ იქნება? ან გამონათქვამები: „ადგილსამყოფელის გარეშე“, „ფეხშიშველი“ და „უსახლკარო“<sup>105</sup> როგორ შეეფერება [ამ აზრს] თუ არა გაჭირვებითა და შეუსაბამოდ?

6

მაგრამ რაღა უნდა ვთქვათ ეროსისა და მისი ე.წ. დაბადების შესახებ?

---

<sup>101</sup> შტრ. Plat., Smp. 203 bc.

<sup>102</sup> Plat., Ti. 34 b 8.

<sup>103</sup> შტრ. Sympos. 202 d.

<sup>104</sup> Plat., Phdr. 265 c 2-3.

<sup>105</sup> Plat., Smp. 203 d 1-2.



რა თქმა უნდა, უნდა გავარკვიოთ, ვინ არის პენია და ვინ – პოროსი, და რატომ არის, რომ სწორედ ისინი არიან ეროსის მშობლები.

ცხადია, რომ ისინი სხვა ღემონების მშობლებიც უნდა იყვნენ, თუკი ღემონებს ბუნება და არსება – რამდენადაც ისინი ღემონთა [გვარისანი] არიან, – ერთი აქეთ, და თუ მათ მხოლოდ სახელი არა აქეთ საერთო.

ვნახოთ, როგორ განვასხვავებთ ღმერთებს ღემონებისგან, და თუმცა ხშირად ღემონებს „ღმერთებს“ ვუწოდებთ, აქ [ის შემთხვევები განვიხილოთ], როდესაც სხვადასხვაგვარად განვიხილავთ მათ გვარს.

ღმერთების გვარს ვუწოდებთ „განცლებისგან თავისუფალს“, და ის ასეთად მიგვაჩნია, ხოლო ღემონებს განცდას მივაწერთ; ისინი ღმერთების შემდგომ მარადიულებად მიგვაჩნია, თუმცა [ეს მარადიულობა მხოლოდ] ჩვენს მიმართ ნიშნავს მარადიულობას; მიგვაჩნია, რომ ისინი არიან შუაში ღმერთებსა და ჩვენს გვარს შორის.<sup>106</sup>

მაგრამ როგორ მოხდა, რომ მათ ვერ შეინარჩუნეს განცლებისგან თავისუფლება, რატომ ჩამოვიდნენ ისინი ბუნებაში უარესისკენ?

ისიც განსახილველია, არის თუ არა გონით [კოსმოსში] რომელიმე ღემონი? არიან თუ არა ამ კოსმოსში მხოლოდ ღემონები, ღმერთი კი გონითი [კოსმოსით] შემოიფარგლება? თუ ამქვეყნადაც არიან ღმერთები,<sup>107</sup> და კოსმოსი, როგორც იტყვიან სოლმე, „მესამე ღმერთია“,<sup>108</sup> და მთვარემდე თითოეული [არსი] ღმერთია.

---

<sup>106</sup> მდრ. Plat., Smp. 202 d 11.

<sup>107</sup> Heraclit., fr. A 9 DK = Arist. PA I, 5, 645 a 21.

<sup>108</sup> არმსტრონგი მიუთითებს, როს ეს გამონათქვამი ნუმენიოსს ეკუთვნის და ის შემონახულია პროკლეს კომენტარში პლატონის ტიმაიოსზე: Procl., In Ti. I 303, 27-304, 1 ed. Diehl. იხ. Plotinus, ed. Armstrong, გ. III, გვ. 187.

ყველას ჯობს, ვთქვათ, რომ გონით [კოსმოსში] არცერთი დემონი არ არის, და გინდაც [იქ იყოს] თვით-დემონი [ანუ დემონის იდეა], ისიც, [თავის მხრივ], ღმერთი იქნება, ხოლო გრძნობად [სამყაროში] მთვარემდე [მყოფი] ღმერთები, [რომლებიც] ხილული ღმერთები [არიან], მეორეული [ღმერთები არიან]; [ისინი გონითი კოსმოსის ღმერთებს] მისდევენ, მათი მიხედვით [არსებობენ] და მათზე არიან დამოკიდებული, ისევე, როგორც ბრწყინვალეა თითოეული ვარსკვლავის გარშემო.

მაშ რაღა [არიან] დემონები? იქნებ, ეს კოსმოსში მოხვედრილი ცალკეული სულის კვალია? მაგრამ რატომ [მაინცდამაინც] იმ [სულისა], რომელიც კოსმოსში მოხვდა?

იმიტომ რომ წმინდა [სული] ღმერთს შობს, და მის ეროსს „ღმერთს“ ეუწოდებთ.

მამინ პირველი კითხვა [ასეთი იქნება]: რატომ ყველა დემონი ეროსი არ არის? მეორე: რატომ არის, რომ ისინიც არ არიან მაგერიისგან განწმენილი?

[პასუხი ასეთია:] ეროსები ხომ ისინი არიან, ვისაც შობს სული, რომელიც სიკეთისა და მშვენიერებისკენ მიისრწაფვის, და ყველა სული შობს ამ დემონს, რომელიც აქაურ [სამყაროშია]; რაც შეეხება სხვა დემონებს, ისინი, პირიქით, [თუმცა კი არიან] კოსმოსის სულისგან [წარმომდგარი], [მაგრამ] სხვა ძალებით არიან შობილნი: ისინი უნივერსუმს ავსებენ და კოსმოსთან ერთად წარმართავენ ცალკეულ [არსს]. საქმე ის არის, რომ კოსმოსის სულის ფუნქცია იმით განისაზღვრა, რომ მას კოსმოსისთვის უნდა გაეჩინა დემონთა ძალები [რომლებიც, ამავე დროს], თავად მისი, [სულის], მთლიანობას უწყობენ ხელს.

მაგრამ როგორ ეზიარებიან ისინი მაგერიას და თან – რომელ [მაგერიას]?

რა თქმა უნდა, არა სხეულებრივს, რადგან [ასეთ შემთხვევაში] გრძნობის მქონე ცხოველები იქნებოდნენ. გინ-

დაც მათ შეიმოსონ პაეროვანი ან ცეცხლოვანი სხეულები,<sup>109</sup> მაინც უნდა მანამდე მათი ბუნება იყოს განსხვავებული, რათა თუნდაც სხეულთან ბიარება შეძლონ. რადგან რაც წმინდაა, მაშინვე არ ერევა სხეულს. თუმცა, ბევრი ფიქრობს, რომ დემონის არსება – რამდენადაც ის დემონია – [გულისხმობს] რაიმე სხეულთან კავშირს, [იქნება ეს სხეული] პაერი თუ ცეცხლი.

მაგრამ რაგომ ერევა ეს არსება ერთ შემთხვევაში სხეულს, სხვა შემთხვევაში კი არა, თუკი შერევის რაიმე მიზეზი არ არის? და რა არის ეს მიზეზი?

უნდა დაეუშეათ გონითი მაგერია, რათა მასთან ურთიერთობაში მყოფი [არსება] მისი მეშვეობით აქაურ, სხეულთა [მაგერიამდეც] ჩამოვიდეს.

7

ამიგომ ამბობს პლატონი ეროსის დაბადების შესახებ მონათხრობში, რომ პოროსის სიმთვრალე ნექტარით არის: გამოწვეული, ხოლო „დევინო ჯერ არ არსებობდა“.<sup>110</sup> [ეს მიანიშნებს], რომ ეროსი გრძნობად [სამყაროზე] აღრე გაჩნდა და პენია გონით ბუნებას იყო ნაბიარები, მაგრამ არა გონითის ანარეკლს ან იქიდან წარმოსახულ სურაოს, არამედ ის იქ [გონით სფეროში] გაჩნდა და წარმოადგენს ნაბავს ფორმისა და უსაზღვრობის; ეს უკანასკნელი სულს ახასიათებს, სანამ სიკეთეს მიაღწევს; [ამ დროს სული თითქოს] მარჩიელობს, როცა განუსაზღვრელი და უსაზღვრო წარმოსახვით ეროსის ჰიპოსტასს შობს.

მამ, ლოგოსი [ანუ გონიერულობა] მოხვდა არა-ლოგოსში [არა-გონიერულობაში] – განუსაზღვრელ მისწრაფებასა და დაბინდულ ჰიპოსტასში და შექმნა [არსება, რომელიც]

---

<sup>109</sup> პლატონური გრადიციის თანახმად, დემონური სულები საუკეთესო პაერისგან შედგებიან. იხ. Plotinus, ed. Armstrong, გ. III, გვ. 188-189.

<sup>110</sup> Plat., Smp. 203 b 5-6.

ქმნილია, – ის არც სრულყოფილია და არც კმარია, არამედ ნაკლებია, იმიტომ რომ განუსაზღვრელი მისწრაფებიდან და კმარი ლოგოსიდან [გონიერულობიდან] წარმოიქმნა. ეს ლოგოსი [გონიერულობა] არ არის წმინდა, რადგან თავად აქვს თავის თავში განუსაზღვრელი, ა-ლოგიური [არა-გონიერული] და უსაზღვრო მისწრაფება. ის არასოდეს არ აივსება, რამდენადაც თავად გააჩნია განუსაზღვრელი ბუნება. ის სულზეა დამოკიდებული: მისგან წარმოიშვა, როგორც საწყისიდან; ის [იმ] ლოგოსის [გონიერულობის] ნაბაჟია, რომელიც თავის თავში კი არ არის დამკვიდრებული, არამედ განუსაზღვრელობასთან არის შერეული. ოღონდ თავად ლოგოსი [გონიერულობა] კი არ შეემაფა [განუსაზღვრელობას], არამედ [განუსაზღვრელობას შეემაფა ის, რაც] მისგან [ანუ ლოგოსისგან: გონიერულობისგან] [გამოედინა]. ასე რომ ეროსი თავისი ბუნებით ერთგვარად უქონელი ნესტარივითაა;<sup>111</sup> ამიტომ, [მიზანს] როცა მიაღწევს, კელაუ უქონელია.<sup>112</sup> მას არ ძალუძს აივსოს, რადგან ნაბაჟს ეს არ შეუძლია. ჭეშმარიტად მხოლოდ ის ივსება, რაც საკუთარი ბუნებით ივსება. ხოლო ეროსი [სულ რადაცისკენ] მიილგვის, იმიტომ რომ მას მულამ რადაც სჭირდება; გინდაც მომენტალურად აივსოს, ეს დიდხანს ვერ გასტანს. ამგვარად, [ეროსს] უძალობა [ახასიათებს] იმის გამო, რომ ის შეჭირვებულია, ხოლო მის მოხერხებულობას ლოგოსის [გონიერულობის] ბუნება განაპირობებს.<sup>113</sup>

მთელი დემონების [გვარი] ასეთად უნდა მივიჩნიოთ და მას ასეთი წარმომავლობა უნდა ჰქონდეს. თითოეული [დემონი] აღწევს იმას, რასაც მიზნად ისახავს და იმისკენ მიისწრაფვის. ამამიც ის ეროსს ენათესავენ. [ეროსის მსგავსად, დემონიც] არ არის დაკმაყოფილებული და მიისწრაფვის რადაც კონკრეტულისკენ, როგორც კეთილისკენ. ამიტომ ამ-

<sup>111</sup> οἶστρος ἄπορος. nb. Plat., Phdr. 240 d 1.

<sup>112</sup> ἄπορος.

<sup>113</sup> Plat., Smp. 203 d 3.

ქვეყნადაც კარგ [აღამიანებს] ის ეროსი [სიყვარული] გააჩნიათ, რომელიც მარტივ და ჭეშმარიტ სიკეთეება მიმართული, და არა ნებისმიერი ეროსი [სიყვარული].

ხოლო ისინი, ვინც სხვა დემონებს ექვემდებარებიან, თითოეული – სხვა [არა თავის] დემონს ექვემდებარება, ხოლო იმ [დემონს], [რომელიც საკუთრივ მათია], უბრალოდ ფლობენ და უმოქმედოდ ამყოფებენ, მოქმედებას კი სხვა დემონისადმი დაქვემდებარებით განახორციელებენ – იმ [დემონისა], რომელიც აირჩიეს მათში მოქმედი სულის შესაბამისი წილის მიხედვით.<sup>114</sup> მათ, ვინც ბოროტებისკენ მიისწრაფვის, მათში ჩაბუღებული ბოროტი მისწრაფებებით თავად მათშივე არსებული ყველა ეროსი შებოჭეს, ისევე როგორც სწორ განსჯას<sup>115</sup>, რომელიც თანდაყოლილია, შემდგომში გაჩენილი ბოროტი შეხედულებებით [ვბოჭავთ].

ბუნებრივი და ბუნების შესაბამისი ეროსები მშვენიერნი არიან. უფრო სუსტ სულში ისინი უფრო სუსტნი არიან ღირსებითა და ძალით, [უფრო ძლიერში კი] – უფრო ძლიერნი, თუმცა ყველა არსებისეულია. ხოლო ბუნების საწინააღმდეგო [ეროსები] დაცემაა – ეს განცდება, რომლებიც არაფითარ შემთხვევაში არ წარმოადგენენ არსებებს და არსებისეული ჰიპოსტაზებს, რადგან სულის მიერ კი არ არიან წარმოქმნილნი, არამედ სულის სიკუდესთან ერთად გაჩნდნენ, როცა [სული] გარკვეულ მდგომარეობასა და განწყობაში [მისივე] მსგავსს წარმოქმნის.

სამოგადოდ, ჩანს, რომ [ყველაფერი] ჭეშმარიტად კეთილი, რაც გარკვეულ [სფეროში] ბუნების თანახმად მოქმედი სულის [გან მომდინარეობს], არსებას წარმოადგენს, ხოლო დანარჩენი ქმედება სულიდან კი არ [მომდინარეობს], არამედ სხვა არაფერია, თუ არა განცდა. ასევე ცრუ ამბებს სა-

114 შტრ. Plat., R. X, 620 d 8.

115 λόγους τὸν ὁρθόν. ეს უნდა იყოს პეტრიწის მიერ ხმარებული გამოთქმის „მართალი სიტყვა“ შესატყვისი.

ფუძელად არსება არ უღევთ, ხოლო მართლაც ჭეშმარიტ, მარადიულ და განსაზღვრულ [აზრებს] ერთბაშად აქვთ აზროვნება, გონით საწვდომი საგანი და არსებობა; და ეს ახასიათებს არა მხოლოდ მარტივ [აზროვნებას წმინდა სახით], არამედ თითოეულ [აზრსაც], რომელიც ჭეშმარიტად გონით საწვდომ საგანს ეხება, და თითოეულ გონებას.

თითოეულ ჩვენგანში უნდა დაეუშვათ წმინდა სახით გონისმიერი აზროვნება და გონით საწვდომი ობიექტი, თუმცა [ისინი არ არის] ერთად და მარტივად [აბსოლუტური სახით] ჩვენი [კუთვნილება]. ამიგომ ჩვენი ეროსი მარტივისკენ [ანუ თავისთავადისკენ, აბსოლუტურისკენ არის მიმართული]. ასევეა აზროვნება. და თუკი ის რაღაც ნაწილზეა [მიმართული], ეს შემთხვევითია. ასევე, თუკი მოცემული სამკუთხედის [კუთხეების ჯამს] ორი სწორი [კუთხის ჯამში] ვხედავთ, ეს იმიგომ, რომ ასეთია სამკუთხედი თავისთავად.<sup>116</sup>

## 8

მაგრამ ვინ არის ზევსი, რომლის „ბადის“ შესახებ საუბრობს [პლატონი], რომელშიც „შემოვიდა პოროსი“<sup>117</sup> და რა არის ეს ბაღი?

აფროდიტე ჩვენი სულია, ხოლო პოროსი ყველაფრის ლოგოსია. ზევსი და მისი ბაღი რაღაა? ზევსს სულად ვერ მივიჩნევთ, რაკი აფროდიტე მივიჩნიეთ სულად.

აქაც პლატონს უნდა გავყვეთ, რომელიც „ფედროსში“ ამღმერთს – ზევსს – „დიდ წინამძღოლს“ უწოდებს.<sup>118</sup> სხვა ადგილას კი, ვფიქრობ, ის მას „მესამეს“ უწოდებს.<sup>119</sup> უფრო

---

<sup>116</sup> იხ. Arist., Metaph. IV, 30, 1025 a 32.

<sup>117</sup> Plat., Smp. 203 b 5-6.

<sup>118</sup> Plat., Phdr. 246 e 4.

<sup>119</sup> შტრ. Plat., Ep. II, 312 e 4.

ნათლად [პლატონი] „ფილებოსში“ ამბობს, რომ ზევსში არის „მეფური სული და მეფური გონება“.<sup>120</sup>

თუკი ზევსი არის ღიდი გონება და სული, და ის მიზეზთა [რიგს] მიეკუთვნება, ის საუკეთესოდ უნდა მივიჩნიოთ, განსაკუთრებით იმიტომაც, რომ „მეფე“ და „მეთაური“ „მიზეზს“ ნიშნავს. აქედან მეფე [ზევსი] გონების გამო არის, ხოლო აფროდიტე, მისი ასული და მისგან გამოსული, მასთან ერთად მყოფი, სულის რიგს განეკუთვნება; ის „აფროდიტედ“ იწოდა სილამაზის, ბრწყინვალების, სულიერი უბოროტობისა და სინაზის გამო.

და თუკი გონებას ღმერთებში მამრებს შევესაბამებთ, სულებს კი მდედრებს – ისე, რომ თითოეულ გონებას გვერდში სული ედგას – მაშინ ამ შემთხვევაშიც ზევსის სული იქნება აფროდიტე. ამ აზრს მოწმობენ ქურუმები და თეოლოგები, რომლებიც პერასა და აფროდიტეს აიგივებენ და აფროდიტეს ვარსკვლავს ცაში პერას უწოდებენ.

## 9

პოროსი არის ლოგოსი [ანუ: გონიერული, რაციონალური წესრიგი] იმისა, რაც არსებობს გონით სფეროსა და გონებაში. ის „გადმოღვრილია“ და ერთგვარად გაერცობილია, ამიტომ სულს უკავშირდება და სულშია.

გონებაში რაც არსებობს, [მასშია] ჩათესილი და მასში სხვა რაიმედან არ შემოდის; ხოლო დამთვრალი [პოროსისთვის] სისაესე გარედან შეძენილია. იქ [ზენა სამყაროში] ნექტარით რაც ივსება, სხვა რა შეიძლება იყოს თუ არა ლოგოსი [გონიერულობა], რომელიც უმჯობესი საწყისიდან უფრო მდარეში ჩამოდის? ამგვარად, სულში ეს ლოგოსი გონებიდან [მოდის], მაშინ, როდესაც, როგორც ამბობენ, აფროდიტე იშვა; [ამ დროს] ლოგოსი შემოიჭრა [ზევსის] ბაღში.

---

<sup>120</sup> Plat., Phlb. 30 d 1-2.

ხოლო ბაღს რაყ შეეხება, ის სრული ბრწყინვალება და სიმდიდრის მშვენიერებაა. ის ბრწყინავს ზევისს ლოგოსით [გონიერულობით, გონიერული გეგმით], ხოლო მისი მშვენიერება თავად გონებიდან სულისკენ მომავალი ბრწყინვალებაა. ან სხვა რა უნდა იყოს ზევისს ბაღი თუ არა მისი ხატება და ბრწყინვალება? მისი ბრწყინვალება და მორთულება სხვა რა უნდა იყოს თუ არა მისგან მომდინარე ამრები [„ლოგოსები“]? ეს ამრები [„ლოგოსები“] ერთად წარმოადგენენ პოროსს, სილამაზეს, სიმდიდრესა და სიუხვეს, რომელიც უკვე გამოვლინდა. სწორედ ეს არის ნექტარით დათრობა. რადგან რა არის ღმერთებისთვის ნექტარი თუ არა ის რასაც ღვთაება იმკის? ხოლო იმკის იმას, რაც გონების შემდგომ არის – ლოგოსს. თავად გონება სიმამღრეში იმყოფება; ის მფლობელია დათრობის გარეშე. მას გარედან [შემოსული] არაფერი აქვს. ლოგოსი [ამრი] კი გონების წარმონაშეია, ის არის ჰიპოსტასი გონების შემდეგ და გონებისა კი აღარ არის, არამედ სხვაშია; [ლოგოსის] შესახებ ნათქვამია, რომ ის ზევისს ბაღში წევს, მაშინ როდესაც აფროდიტეს შესახებ ითქმის, რომ ის არსებულთა [სფეროში] შემოვიდა.

აუცილებელია, რომ მითებში – რამდენადაც ისინი მითებია – დროში იყოს დანაწევრებული ის, რასაც ისინი მოგვითხრობენ, და ერთმანეთისგან იყოს გამიჯნული მრავალი არსი, რომლებიც ერთად არიან, თუმცა ერთმანეთისგან რიგით ან ძალით განსხვავდებიან;<sup>121</sup> მეცნიერული მსჯელობებიც [„ლოგოსები“] ხომ იმათ წარმოქმნაზე მოგვითხრობენ, ვინც წარმოქმნილი არ არის; და რაც ერთად არის, ისინი იმას მიჯნავენ, და შესაბამისად გვასწავლიან, გონებით [კელავ] როგორ შეეკრიბოთ [დანაწევრებული].

---

<sup>121</sup> მომავალში მითის ამგვარ თავისებურებაზე პროკლეც არაერთხელ მიგვანიშნებს. მიზეზიდან წარმოქმნა მითში დროში გაჩენის სახით არის გამოხატული.



რაც შეეხება შეკრებას: სული, გონებასთან თანამყოფი და გონებიდან წარმომდგარი, ლოგოსებით [აზრებით] აღესილი, [თავად] მშვენიერია – მშვენიერებით შემკულია და სიმდიდრით აღესილია. [სულში] მრავალგვარი ბრწინვალება და ყველა მშვენიერების ხატი ჩანს. ის, მთლიანობაში, აფროდიტა, ხოლო მასში არსებული ყველა ლოგოსი [რაციონალური საწყისი] არის სიუხვე და პოროსი, რომელიც ზემოდან იქ შემომდინარე ნექტარიდან [წარმოიქმნება]. მასში არსებული ბრწყინვალება – რამდენადაც ის სიცოცხლეშია [შემოსული] – „ზევის ბაღად“ იწოდება, იქ „სპინავს“ პოროსს,<sup>122</sup> რადგან ის [ამ ბრწინვალებით] აივსო და დამძიმდა. სიცოცხლე ელინდება და მუდამ არის მყოფებში, და ის, რომ ღმერთების შესახებ ნათქვამია, რომ ისინი „შიერთმევენ“,<sup>123</sup> ნიშნავს, რომ ისინი ნეტარებაში არიან.

ასე, აუცილებლობით, [ეროსი] მუდამ წარმოდგება სულის მისწრაფებიდან, რომელიც უმჯობესი და კეთილი [პრინციპისკენ] არის მიმართული; ეროსი, ისევე როგორც სული, ხომ მუდამ იყო.

მაგრამ ეროსი ნაზავი რამ არის: ის ნაკლოვანებას არის ზიარებული, ამიტომ ავსება სურს, [და, ამავე დროს], მისთვის არც სიუხვე არის უცხო, რის გამოც იმას ეძიებს, რის ნაკლსაც განიცდის. სიკეთეს რაც სრულებით არ არის ნაზიარები, ის სიკეთის ძებნას არც არასდროს დაიწყებდა. ამიტომ ნათქვამია, რომ [ეროსი] პოროსიდან და პენიადან [წარმოიშვა]; ნაკლოვანებამ, ლგოლვამ და ლოგოსთა [ანუ გონიერ პრინციპთა] ხსოვნამ სულში ერთად მოიყარა თავი და წარმოიქმნა სიკეთებზე მიმართული ენერჯია, რომელიც არის ეროსი. მისი დედა პენია არის, რადგან ლგოლეა მუდამ შეჭირვებულს [ახასიათებს], ხოლო პენია – მატერიაა, იმიტომ რომ მატერიას ყველა [საგანი] სჭირდება, და [იმიტომაც], რომ

---

<sup>122</sup> Plat., Smp. 203 b 5-7.

<sup>123</sup> Plat., Smp. 203 b 2.

სიკეთისკენ ლტოლვის განუსაზღვრელობა (რადგან იმაში, რაც მიილტვის, რაიმე სახონება ან ლოგოსი არ არის) უფრო მატერიალურს ხდის ლტოლვაში იმას, რაც მიილტვის. მასთან მიმართებაში [ლტოლვის საგანი] მხოლოდ ფორმაა, საკუთარ თავში არსებული. ხოლო ის, რაც მისაღებად მიილტვის, [თავისი] მომავალი მიმღებელობით მატერიას განუმზადებს მოახლოებულ [არსს].

ამგვარად, ეროსი ერთგვარად მატერიალური [არსებაა] და თან ღემონია, სულიდან წარმომდგარი, რადგანაც მას სიკეთე აკლია, [რომლისკენაც] გაჩენისთანავე მიილტვის. >

\* \* \*

### ფრაგმენტები

*მოგვეყავს რამდენიმე ნაწყვეტი პლოტინის ტექსტებიდან და ერთი ნაწყვეტი პორფირიოსის „პლოტინის ცხოვრებიდან“, რომლებიც პლოტინის ცხოვრების წესსა და ფილოსოფიაზე (პლოტინის შემთხვევაში ეს ორი რამ განსაკუთრებით მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული) ვარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის.*

\*\*\*

პორფირიოსი, პლოტინის ცხოვრება 2, 26-27: *პლოტინის მოსწაულე პორფირიოსი გადმოგვცემს მის უკანასკნელ სიტყვებს. მათი თარგმნა და განმარტება სხვადასხვაგვარად შეიძლება. ერთი რამ უდავოა: ეს სიტყვები პლოტინის ხედვისა და ცხოვრების მთავარ პრინციპს გამოხატავენ.*

ტექსტი:

...καὶ φήσας πειράσθαι τὸ ἐν ἡμῖν θεῖον ἀνάγειν πρὸς τὸ ἐν τῷ παντὶ θεῖον.

თარგმანი:

< ...და თქვა, რომ ცდილობს აიყვანოს ჩვენში საღმრთო საყოველთაო საღმრთომდე. >

\*\*\*

პლოტინი, VI, 9, 11, 49-51: *ეს არის პლოტინის ცნობილი (რიგით მეცხრე) გრაქტაგის „ერთის ანუ სიკეთის შესახებ“ უცნაური, ერთი შეხედვით ასკეტური (მაგრამ ეს ისეთი ასკეტიზმია, რომელიც განმარტოებით ჭერეგით მთელ უნივერსუმს მოიყავს თავის თავში) და მისტიკური დასასრული.*

ტექსტი:

καὶ οὕτως θείων καὶ ἀνθρώπων θείων καὶ εὐδαιμόνων βίος ἀπαλλαγῆ τῶν ἀλλαν τῶν τῆδε, βίος ἀνήδονος τῶν τῆδε, φύγῃ μόνου πρὸς μόνου.

თარგმანი:

< ეს არის ღმერთებისა და ღვთაებრივი და ნეგარი ადამიანების ცხოვრება: განდგომა ყოველივე აქაურისგან, ცხოვრება, რომელიც აშქვეყნიური სიამოვნებებისკენ არ მიისწრაფვის, გაქცევა მარტოსი მარტოსთან. >

\*\*\*

პლოტინი, IV, 7: *პლოტინის ამ რიგით მეორე გრაქტაგს „სულის უკედავების შესახებ“ ეწოდება. ის დაგვანახებს, რა მნიშვნელოვანია ჩვენი სული, რომელიც მთელ სამყაროსთან გვაკავშირებს. სამყაროს ჩვენივე სულში ეპოვებთ, თუ საკუთარ თავში ჩავლრმავლებით და მოვიცილებთ ყველაფერ „გელმეტს“, რაც წმინდა ჭერეგას უშლის ხელს. პლოტინის თანახმად, ჩვენში უნივერსუმისა და ღვთაებრივი საწყისის არსებობა და დანახვა, ანუ ამგვარი იმანენტიზმი არა თუ ვამორიციხავს, არამედ, პირიქით, წინაპირობად გულისხმობს გრანსცენდენტური აბსოლუტის არსებობას. ტექსტში საუბა-*

რია გონისეული და სულიერი საწყისების კავშირზე. პლოტინი სეაშს კითხვას: ადამიანი უკვდავია თუ მოკვდავი? ვიცი, რომ ის მოკვდავია; მაშინ ვიკითხოთ: ის ნაწილობრივ მოკვდავია თუ მთლიანად? ადამიანი სულისა და სხეულის ერთიანობაა. სხეული წარმავალია. ადამიანის თვითობა მის სულშია, და არა სხეულში. სული არის ან არ არის სხეული. პლოტინი გამორიცხავს მის სხეულოვნებას. ის გამორიცხავს აგრეთვე სგოელთა შეხედულებას სულზე როგორც ჰარმონიაზე და არისტოტელიკოსთა განმარტებას სულისა, რომლის თანახმად სული არის სხეულის ენტელექია. პლოტინის აზრით, სული არც სხეულია და არც რაღაც სხეულთან დაკავშირებული. სული მოძრაობისა და სიყოცხლის პრინციპია და, ამდენად, ის აუცილებლობით არის წარუვალნი. სიყოცხლე, უპირველეს ყოვლისა, პირველ მყოფს გააჩნია, რომელიც არის ღვთაებრივი. მასთან სული არსებობისეულად არის დაკავშირებული. უკვდავება არა მარტო უნივერსალურ სულს ახასიათებს, არამედ ცალკეულ სულებსაც, თანაც არა მარტო ადამიანისას, არამედ ცხოველებისა და მცენარეებისა. რით აიხსნება სულთა ჩამოსვლა სხეულებში? გონება საკუთარი თავიდან ვასელისკენ მიისწრაფვის. მისი ხილვა სულში შექმნის სურვილს ბადებს. სული თავის ნაწილს გრძნობად სამყაროში მიაველენს, მისი მეორე ნაწილი კი მუდამ ზემოთ რჩება.<sup>124</sup>

მეორე ფრაგმენტში, რომელიც ან ტექსტიდან მოვეყავს, სულის სხეულებში ჩამოსვლა, მაგერიალური კოსმოსის მართვა და ამ „პროცესში“ სულის გონებასთან მიმართებაა წარმოდგენილი.

---

<sup>124</sup> ამ ენაღის შინაარსის მოკლე გაღმოყემისთვის იხ. Plotin, ed. Beutler/Theiler/Harder, გ. 1b, გვ. 383-387.

δσδδδδ:

Δεί δὲ τὴν φύσιν ἐκάστου σκοπεῖσθαι εἰς τὸ καθαρὸν αὐτοῦ ἀφορῶντα, ἐπεὶπερ τὸ προστεθὲν ἐμπόδιον αἰεὶ πρὸς γνώσιν τοῦ ᾧ προσετέθη γίγνεται. Σκόπει δὴ ἀφελῶν, μᾶλλον δὲ ὁ ἀφελῶν ἑαυτὸν ἰδέτω καὶ πιστεύσει ἀθάνατος εἶναι. ὅταν ἑαυτὸν θεάσῃται ἐν τῷ νοητῷ καὶ ἐν τῷ καθαρῷ γεγενημένον. Ὁψεται γὰρ νοῦν ὀρῶντα οὐκ αἰσθητὸν τι οὐδὲ τῶν θνητῶν τούτων, ἀλλὰ αἰδίῳ τὸ αἰδίον κατανοοῦντα, πάντα τὰ ἐν τῷ νοητῷ, κόσμον καὶ αὐτὸν νοητὸν καὶ φωτεινὸν γεγενημένον, ἀληθεία καταλαμπόμενον τῇ παρὰ τοῦ ἀγαθοῦ, ὃ πᾶσιν ἐπιλάμπει τοῖς νοητοῖς ἀλήθειαν· ὡς πολλάκις αὐτῷ δόξαι τοῦτο δὴ καλῶς εἰρησθαι· *χαίρετ', ἐγὼ δ' ὑμῖν θεὸς ἀμβροτος* πρὸς τὸ θεῖον ἀναβὰς εἰς τὴν πρὸς αὐτὸ ὁμοιότητα ἀτεισίας. Εἰ δ' ἡ κάθαρσις ποιεῖ ἐν γνώσει τῶν ἀρίστων εἶναι, καὶ αἱ ἐπιστῆμαι ἐνδον οὔσαι ἀναφαίνονται, αἱ δὴ καὶ ὄντως ἐπιστῆμαί εἰσιν. Οὐ γὰρ δὴ ἔξω που δραμοῦσα ἡ ψυχὴ *σωφροσύνην καθορᾶ* καὶ *δικαιοσύνην*, ἀλλ' αὐτὴ παρ' αὐτῇ ἐν τῇ κατανοήσει ἑαυτῆς καὶ τοῦ ὃ πρότερον ἦν ὡσπερ ἀγάλματα ἐν αὐτῇ ἰδρυμένα ὀρῶσα οἶα ὑπὸ χρόνου ἰοῦ πεπληρωμένα καθαρὰ ποιησαμένη· οἶον εἰ χρυσὸς ἐμψυχος εἶη, εἶτα ἀποκρουσάμενος ὅσον γεγερὸν ἐν αὐτῷ, ἐν ἀγνοίᾳ πρότερον ἑαυτοῦ ὦν, ὅτι μὴ χρυσὸν ἑώρα, τότε δὴ αὐτὸν ἤδη τοῦ χρήματος θαυμάσειεν ὀρῶν μεμονωμένον, καὶ ὡς οὐδὲν ἄρα ἔδει αὐτῷ κάλλους ἐπακτοῦ ἐνθυμοῖτο, αὐτὸς κρατιστεύων, εἰ τις αὐτὸν ἐφ' ἑαυτοῦ ἐφή εἶναι.

Περὶ τοιούτου χρήματος τίς ἂν ἀμφισβητοίη νοῦν ἔχων, ὡς οὐκ ἀθάνατον; Ὡς πάρεστι μὲν ἐξ ἑαυτοῦ ζωὴ, ἣν οὐχ οἶόν τε ἀπολέσθαι· πῶς γὰρ οὐκ ἐπίκτητόν γε οὔσαν οὐδ' αὐ οὕτως ἔχουσαν, ὡς τῷ πυρὶ ἡ θερμότης πάρεστι; Λέγω δὲ οὐχ ὡς ἐπακτόν ἡ θερμότης τῷ πυρὶ, ἀλλ' ὅτι, εἰ καὶ μὴ τῷ πυρὶ, ἀλλὰ τῇ ὑποκειμένῃ τῷ πυρὶ ὕλη. Ταύτη γὰρ καὶ διαλύεται τὸ πῦρ. Ἡ δὲ ψυχὴ οὐχ οὕτω τὴν ζωὴν ἔχει, ὡς ὕλην μὲν οὔσαν ὑποκεῖσθαι, ζωὴν δὲ ἐπ' αὐτῇ γενομένην τὴν ψυχὴν ἀποδείξει.

თარგმანი:

< იმისათვის, რომ [საგნის] ბუნება დაინახოთ, უნდა შეეხელოთ იმას, რაც მასში არის წმინდა. დანამატი მულამ ხელს უშლის იმის წვდომას, რასაც ის ემატება. ამიტომ მოაცილე [საგანს ზედმეტი] და დააკვირდი. მეტიც: მოაცილე [ზედმეტი]<sup>125</sup> და შეხედე საკუთარ თავს. მაშინ ირწმუნებს [ადამიანი], რომ უკედავია, იმიტომ რომ დაინახავს, რომ თავად ყოფილა გონისეული და წმინდა [სამყარო]. ის გონებას დააკვირდება და დაინახავს, რომ ის არც გრძნობით აღსაქმელი [საგანია] და არც ამქვეყნიური წარმავალი [არსებაა]. მაშინ შეიცნობს [ადამიანი] მარადიულს მარადიულის მეშვეობით [ანუ თავისთავად მარადიულს – მასში, ადამიანში არსებული მარადიული საწყისის საშუალებით]. მაშინ [ადამიანი], თავადაც გონისეულ და ნათელ კოსმოსად ქცეული, ჭეშმარიტებით გაბრწყინებული, [შეიცნობს] ყოველივეს, რას არის გონისეულ [კოსმოსში]. ხოლო [ეს ჭეშმარიტება] იმ სიკეთიდან [მომდინარეობს], რომელიც ყველა გონისეულ [არსებას] ნათელს ჰყენს. და მაშინ ასეთი [ადამიანი] გაიფიქრებს ხოლმე, რომ ლამაზად არის ნათქვამი:

„იხარეთ! მე ვარ თქვენი უკედავი ღმერთი“.<sup>126</sup>

[ეს მაშინ ხდება, როცა ადამიანი] საღმრთო საწყისისკენ ამაღლდება და მასთან მსგავსებისკენ მიისწრაფვის. და თუკი განწმენდა იმის შემეცნებაა, რაც [ჩვენს საკუთარ თავში] არის საუკეთესო, მაშინ ცხადია, რომ მეცნიერებანი [ჩვენს] შიგნით არიან. ვგულისხმობ ნამღვილ მეცნიერებებს. რადგან სული გარემუსკენ კი არ მიისწრაფვის, რომ იქ „ჭვრიტოს სიბრძნე, სამართლიანობა და მეცნიერება“,<sup>127</sup> არამედ [ამას] საკუთარ თავში, თვითშემეცნებაში [ახორციელებს]. ის

<sup>125</sup> შტრ. Plat., R. VII, 534 b 9.

<sup>126</sup> Empedocles, fr. B 112, 4 DK.

<sup>127</sup> Plat., Phdr. 247 d 6.

თითქოს უმზერს მასშივე აღმართულ ქანდაკებებს,<sup>128</sup> დროთა ვითარებაში დაქანგულს, რომლებსაც ისევ განწმენდს. თითქოს ოქრო იყოს განსულიერებული, რომელიც თავიდან იმორებს მასზე ზედმოკიდებულ მიწას. უწინ ის თავის თავს არ იცნობდა,<sup>129</sup> რადგან [საკუთარ თავს] არა როგორც ოქროს ჭერეტდა. შემდეგ კი, როდესაც ის საკუთარ თავს განმარტოებული შეხედავს, გაუკვირდება [სიმდიდრე], რომელიც თავად გააჩნია, და [ისიც გაუკვირდება], რომ [თურმე] გარემო მშვენიერება არ სჭირდებოდა, რადგან თვითონ არის ყველაზე უფრო დიდებული, თუკი დაუშვებს თავის მარტო ყოფნას.

ასეთი [საგნის] უკედაებაში რომელი ჭკუათმყოფელი დაეჭვდება? მას ხომ სიცოცხლე თავისთავად ახასიათებს. [მას სიცოცხლე] ვერ წაერთმევა, რადგან [სიცოცხლე სულისთვის] გარეგანი არ არის. აბა როგორ [ჩაქრება სიცოცხლე], ის ხომ არ არის გარეგანი! მაგრამ [სულს] არც იმგვარად აქვს [სიცოცხლე], როგორც ეცხლს გააჩნია სითბო. ვგულისხმობ არა იმას, რომ სითბო ეცხლისთვის გარეგანია, არამედ – ეცხლისთვის თუ არა – [ის ხომ გარეგანია] ეცხლის ქვემდებარე მაგერიისთვის. ამიტომაც ქრება ეცხლი. ხოლო სულს იმ გაგებით კი არა აქვს სიცოცხლე, რომ თავად [სული], როგორც მაგერია, ქვემდებარეა, ხოლო სიცოცხლე მასში შემოდის [და მხოლოდ] მაშინ აელენს მას როგორც სულს. [არა, ეს ასე არ არის: სულს სიცოცხლე არსებისეულად აქვს]. >

\* \*

#### IV 7, 13, 1-9

##### ტექსტი:

Πῶς οὖν τοῦ νοητοῦ χαριστοῦ ὄντος ἦδε εἰς σῶμα ἔρχεται;  
 Ὅτι, ὅσος μὲν σοῦς μόνος, ἀπαθῆς ἐν τοῖς νοητοῖς ζῆν

<sup>128</sup> შლრ. Plat., Smp. 216 a 6.

<sup>129</sup> შლრ. Plat., Sph. 228 d 10.

μόνον νοεράν ἔχων ἐκεῖ ἀεὶ μένει - οὐ γὰρ ἐνὶ ὀρμῇ οὐδ' ὀρεξίς - ὁ δ' ἂν ὀρεξίην προσλάβῃ ἐφεξῆς ἐκείνῳ τῷ νῷ ὅν, τῇ προσθήκῃ τῆς ὀρέξεως οἶον πρόρισιν ἤδη ἐπιπλέον καὶ κοσμεῖν ὀρεγόμενον καθὰ ἐν νῷ εἶδεν, ὡσπερ κυοῦν ἀπ' αὐτῶν καὶ ὠδινον γεννήσαι, ποιεῖν σπεύδει καὶ δημιουργεῖ. Καὶ τῇ σπουδῇ ταύτῃ περὶ τὸ αἰσθητὸν τεταμένη, μετὰ μὲν πάσης τῆς τῶν ὄλων ψυχῆς ὑπερέχουσα τοῦ διοικουμένου εἰς τὸ ἔξω καὶ τοῦ παντὸς συνεπιμελουμένη, μέρος δὲ διοικεῖν βουλευθεῖσα μονουμένη καὶ ἐν ἐκείνῳ γιγνομένη, ἐν ᾧ ἐστίν, οὐχ ὅλη οὐδὲ πᾶσα τοῦ σώματος γενομένη, ἀλλὰ τι καὶ ἔξω σώματος ἔχουσα. Οὐκ οὐν οὐδὲ ὁ ταύτης νοῦς ἐμπαθῆς· αὐτῇ δὲ ὅτε μὲν ἐν σώματι, ὅτε δὲ σώματος ἔξω, ὀρμηθεῖσα μὲν ἀπὸ τῶν πρώτων, εἰς δὲ τὰ τρίτα προελθοῦσα εἰς τὰ ἐπίταδε νοῦ, ἐνέργεια νοῦ μένοντος ἐν τῷ αὐτῷ καὶ διὰ ψυχῆς πάντα καλῶν πληροῦντος καὶ διακοσμοῦντος, ἀθανάτου δι' ἀθανάτου, εἴπερ ἀεὶ καὶ αὐτὸς ὣν ἔσται δι' ἐνεργείας ἀπαύστου.

#### თარგმანი:

< მამ რალატომ შემოდის [სული] სხეულში, თუკი გონისეული [საწყისი] განცალკევებულია? გონება, რადგანაც ის მარტივია, მარადიულად არსებობს გონისეულთა [სფეროში] და მხოლოდ გონისმიერ ცხოვრებას ეწევა. მას არ ახასიათებს მისწრაფება და ლტოლვა. ხოლო რასაც ლტოლვა მოეკიდება, ის, როგორც შემდგომი [საფეხური], გონებას [მოსდევს], და ლტოლვის შექმნის შედეგად ერთგვარად სიმრავლეში გამოდის. ის მიილტვის, რათა მოაწესრიგოს [საგნები] იმის მიხედვით, რაც მან გონებაში იხილა. ამათ გამო ის თითქოსდა წარმოშობისკენ, შექმნისა და შემოქმედებისკენ მიილტვის. ამ მონდომების გამო [სული] გრძნობადი [სამყაროსკენ] განეუინა. მსოფლიო სულთან ერთად, ის გარეისწრაფვის იქიდან, რასაც განაგებს, და კოსმოსისთვის თანამზრუნვას კისრულობს. მას სურს, [ერთი] ნაწილით მართოს. ის განცალკევდება და ხედება იმაში, რაშიც არის [ანუ სხეულში]. მაგრამ ის მთლიანად კი არ [შემოდის] სხეულში, არამედ მას



რალაც [კიდევე] აქვს სხეულის გარეთ. ამგვარად, ამ [სულის] გონება არ არის ვნებადი. ხოლო თავად სული ხან სხეულშია, ხან მის გარეთ არის. ის იძვრის პირველ[საწყისებიდან] და მესამე [საფეხურამდე] გამოდის, ანუ ამქვეყნიურობამდე. ეს [ხდება] გონების მეშვეობით, რომელიც ამავე [საწყისში] იმყოფება. ამასთანავე, [გონება] სულის მეშვეობით ყველაფერს მშენიერებით ავსებს და ამკობს. [გონება] უკვდავია უკვდავი [სულის] მეშვეობით, ისევე, როგორც თავად [გონება] მუდამ არის და იქნება [თავისი] უწყვეტი მოქმედების გამო. >

\*\*\*

პლოტინი, I, 1, 8, 1-8: *პლოტინის ამ რიგით 53-ე გრაქტაგის სახელწოდებაა „რა არის ცოცხალი არსება და რა არის ადამიანი“. მისი მთავარი თემა არის ცოცხალი არსება, იქნება ის ადამიანი თუ ცხოველი. სიცოცხლის პრინციპი სულია, ამდენად, პლოტინის ამ გრაქტაგის თემავე სულია. პლოტინის აზრით, სული როგორც ასეთი თავისუფალია აფექტებისგან (ვნებებისგან). მას არც ვრძნობადი აღქმა და მისგან მომდინარე განსჯა ახასიათებს. სული, რომელიც სხეულს ინსტრუმენტად („ორგანონად“) იყენებს, სხეულით მართული არ არის. ფილოსოფია სულის სხეულისგან გამიჯნვის საშუალებაა. პლოტინი რამდენიმე შესაძლებლობას განიხილავს, რა შეიძლება იყოს ცოცხალი არსება: (1) გარკვეული გიპის სხეული; (2) სულისა და სხეულის ერთობლიობა; (3) შეზღუდვების ნაწილებიდან წარმოქმნილი ახალი, მესამე საწყისი. მაშინაც, როცა სხეული ვნებას (აფექტს, გემოქმედებას) განიცდის, სიცოცხლის მიღები ვნებათაგან თავისუფალი რჩება. საკუთრივ „ჩვენ“, პლოტინის აზრით, სულის უმაღლესი ნაწილია, რომელიც ცოცხალი არსების სხეულისგან (ეს უკანასკნელი სულთან ერთად არსებული ერთგვარი კომბინაციაა) გამიჯნვადია. სულზე კიდევე უფრო მაღლა გონება და ღმერთია. „ჩვენ“ ეს ერთგვარი მესამე წევრია, რომელიც განუყოფელ*

და დანაწილებად არსებას წარმოადგენს. სული სხეულში ბრწყინავს. სული, თუკი მას მცდარი შეხედულება აქვს, შეუმცდარი არ არის, ხოლო გონება შეუცდომელია. ჭეშმარიტი სული გამიჯნულია სხეულისგან. „ჩვენ“ – ორმაგია, იმისდა მიხედვით, მას „ეოცხალ არსებასა“ მივაკუთვებით, თუ მხოლოდ წმინდა სულს. მაგრამ თუ სული წმინდა სახით შეუმცდარია, რაგომ არსებობს სასჯელი? საქმე ის არის, რომ სასჯელი ეხება მხოლოდ სხვა სულს – იმას, რომელიც „ვნებას“ – ანუ შემოქმედებას განიცდის. სულს ქვენა საფეხურებისკენ ჭვრეტა და მათკენ მიმართვა ახასიათებს. ეს არის ხლომილებისა და ახლის გაჩენის საფუძველი, სფერო, რომელშიც თეორიული ჭვრეტა პრაქტიკულ ქმნაში გადადის. ჩვენს საკუთარ თავს სულის მეშვეობით ვაკვირდებით.<sup>130</sup>

მოგვეყავს პლოტინის ამ ენეალიდან ის ნაწყევები, რომელიც ჩვენში, აღამიანებში, გონების მნიშვნელობასა და ფუნქციას გვაუწყებს, ჩვენს სულთან მის კავშირსა და განსხვავებაზე მიგვანიშნებს.

### ბექსტი:

Πρὸς δὲ τὸν νοῦν πῶς; Νοῦν δὲ λέγω οὐχ ἢ ἡ ψυχὴ ἔχει ἔξιν οὖσαν τῶν παρὰ τοῦ νοῦ, ἀλλὰ' αὐτὸν τὸν νοῦν. Ἡ ἔχομεν καὶ τοῦτον ὑπεράνω ἡμῶν. Ἐχομεν δὲ ἢ κοινὸν ἢ ἴδιον, ἢ καὶ κοινὸν πάντων καὶ ἴδιον· κοινὸν μὲν, ὅτι ἀμέριστος καὶ εἰς καὶ πανταχοῦ ὁ αὐτός, ἴδιον δέ, ὅτι ἔχει καὶ ἕκαστος αὐτὸν ὅλον ἐν ψυχῇ τῇ πρώτῃ. Ἐχομεν οὖν καὶ τὰ εἶδη διχῶς, ἐν μὲν ψυχῇ οἷον ἀνειλιγμένα καὶ οἷον κεχωρισμένα, ἐν δὲ νῷ ὁμοῦ τὰ πάντα.

<sup>130</sup> ამ ტრაქტატის შინაარსის მოკლედ ვადმოცემისთვის გამოვიყენე პლოტინის გერმანული გამოცემა: Plotin, ed. Beutler/Theiler/Harder, ტ. Vb, გვ. 438-439.

## თარგმანი:

< მაგრამ როგორ ვართ გონებასთან დაკავშირებული? „გონებაში“ ვგულისხმობ არა სულის მდგომარეობას, რომელიც ერთი ისეთი რამ არის, რაც გონებიდან მომდინარეობს, არამედ თავად გონებას. ჩვენ მასაც [თავად გონებას] უფლობთ ჩვენს მიღმა. ჩვენ ის გაგვაჩნია ან როგორც [ყველასთვის] საერთო ან როგორც კერძო, ან [უფრო] როგორც საერთოც და კერძოც. საერთო, რადგან ის განუყოფელია, ერთია და ყველგან იგივეა, ხოლო კერძო იმიგომ, რომ თითოეულს ის მთლიანად გააჩნია [თავისი] სულის პირველად [ანუ საუკეთესო ნაწილში]. ჩვენ [გონისეული] ფორმებიც ორგვარად გაგვაჩნია: სულში – დანაწევრებულ-დაყოფილად, ხოლო გონებაში – ყველაფერი ერთად. >

\*\*\*

პლოტინი, IV, 4, 2, 24–32: *პლოტინის რივით 28-ე ტრაქტატს „სულის შესასებ აპორიები (ნაწილი მეორე)“ ეწოდება. მასში განხილულია უნივერსალური სულისა და ინდივიდუალური სულების ურთიერთმიმართება, სულის კავშირი სხეულოვან სამყაროსთან, სულისა და გონების მიმართება. აქ მოგვყავს ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო და საოცარი ნაწყვეტი, რომელიც სულისა და გონების კავშირის პლოტინისეულ გაგებას გვამცნობს: სულის ინდივიდუალობა, მისი თავისთავადობა მის ორობაში მდგომარეობს: სული არის თავისი თავი ანუ ის არის სული და, ამავე დროს, ის არის გონებაც.<sup>131</sup> სულის ასეთი გაგება პლოტინის ხედვის თავისებურებაა. გვიანდელ ნეოპლატონიზმში სული დარჩება სულად, გონება –*

<sup>131</sup> ამ ტექსტის ინტერპეტაციისათვის იხ. ბრწინვალე სტაგია: C. D'Ancona Costa, "To Bring Back the Divine in Us to the Divine in the All". Vita Plotini 2, 26-27 once again, - in: *Metaphysik und Religion. Zur Signatur des spätantiken Denkens. Akten des internationalen Kongresses vom 13.-17. März 2001 in Würzburg*, hrsg. von Th. Kobusch und M. Erler. München, Leipzig 2002, p. 517-565.

გონებად, ერთი – ერთად. პლოტინთან კი სული ვაკილეებით უფრო „მობილურია“: ის თავისთავადობას ინარჩუნებს და თან თავისმე უფრო მაღალ ღონეებსაც აღწევს.

**ტექსტი:**

Ἡ καθαρῶς ἐν τῷ νοητῷ οὐσα ἔχει τὸ ἀμετάβλητον καὶ αὐτῆ. Καὶ γὰρ αὐτῆ ἐστὶν ἃ ἐστὶν· ἐπεὶ καὶ ὅταν ἐκείνῃ ἢ τῷ τόπῳ, εἰς ἕνωσιν ἔλθειν τῷ νῷ ἀνάγκη, εἰπερ ἐπεστράφη· στραφείσα γὰρ οὐδὲν μεταξὺ ἔχει, εἰς τε νοῦν ἔλθουσα ἡρμοσται, καὶ ἄρμοσθείσα ἦσται οὐκ ἀπολλυμένη, ἀλλ’ ἐν ἐστὶν ἄμφω καὶ δύο. Οὕτως οὖν ἔχουσα οὐκ ἂν μεταβάλλοι, ἀλλὰ ἔχοι ἂν ἀτρέπτως πρὸς νοήσιον ὁμοῦ ἔχουσα τῆν συναίσθησιν αὐτῆς, ὡς ἐν ἅμα τῷ νοητῷ ταῦτόν γενομένη.

**თარგმანი:**

< როდესაც [სული] არის წმინდად გონისეულ [სფეროში], ის თავადაც უცვლელია, რადგან ისიც არის [იგივეობრივი ყოველივე იმისა], რაც [თავად] არის. როდესაც [სული] ამ ადგილას არის, ის აუცილებლად უნდა შეუერთდეს გონებას, რაკი [მისკენ] შებრუნდა. ხოლო შებრუნების შემდეგ მას შუაში [გზად] აღარაფერი უდგას, ის [უშუალოდ] გონებასთან მიდის და [მას] ეწყობა. [გონებასთან] შეწყობილი [სული] [გონებასთან] არის შეერთებული და, [ამავე დროს], თავადაც [როგორც სული], არ იშთობა, არამედ [ისეა], რომ ორივე [მათგანი: გონება და სული] არის ერთიც და ორიც. ამგვარ მდგომარეობაში [მყოფი სული] ვერ შეიცვლება, ის შეუქცევლად იქნება გონითი ჰერეტიკენ მიმართული, და, ამავ დროს, საკუთარ თავსაც გააცნობიერებს, რადგან ის გახდა იგივე, რაც არის გონით საწვდომი [სფერო]. >

\*\*\*

პლოტინი, III, 1, 10, 4-11: პლოტინის ამ რიგით მესამე ტრაქტატს „ბედისწერის შესახებ“ ეწოდება. მასში პლოტინი განასხვავებს მიზეზოვნებას მარადიულ, ღვთაებრივ სფეროში

მიზეზოვნებისგან მატერიალურ სამყაროში. ღვთაებრივ სფეროში პირველსაწყისი უმიზეზოა, მომდევნი საფეხურებისთვის მიზეზი წინამავეალ საფეხურში მდგომარეობს, ხოლო მოქმედება არსებით განისაზღვრება და მისი იდენტურია. მატერიალურ კოსმოსში სრული მიზეზოვნება სუფევს, უმიზეზო აქ არაფერია. პლოტინი განასხვავებს სხვადასხვა ტიპის მიზეზებს. ის ეწინააღმდეგება სტოიკოსების შეხედულებას სრულიად გამჭოლი მიზეზოვნების შესახებ, რომელიც, ფაქტობრივად, ადვილს აღარ უტოვებს ადამიანის ნების თავისუფლებას. პლოტინის აზრით, სულია ყველაფრის საფუძველი. სხეულის გარეშე ის სრულიად თავისუფალია, სხეულში მყოფი სული კი ერთგვარად გარემოს გაულებას ექვემდებარება; ამიტომ შეიძლება ის უნებლიე მოქმედებაში ჩაებას. მაგრამ სული თავისუფალია, როცა ის გონებას მისდევს. ამგვარად, ორგვარი მიზეზოვნება არსებობს: სულიერი და გარეგანი. სული, რომელიც გონებას მისდევს, საკუთრივ სულია და ის თავისუფალია. მისი საუკეთესო ქმედებები მისივე არსებიდან მომდინარეობს.<sup>132</sup>

### ტექსტი:

Πρατούσας δὲ ψυχὰς ὅσα πράττουσι κατὰ μὲν λόγῳ ποιούσας ὀρθῶν παρ' αὐτῶν πράττειν, ὅταν πράττωσι, τὰ δ' ἄλλα ἐμποδιζόμενας τὰ αὐτῶν πράττειν, πάσχειν τε μᾶλλον ἢ πράττειν. "Ὡστε τοῦ μὲν μὴ φρονεῖν ἄλλα αἴτια εἶναι· καὶ ταῦτα ἴσως ὀρθῶν καθ' εἰμαρμένῃν λέγειν πράττειν, οἷς γε καὶ δοκεῖ ἔξωθεν τὴν εἰμαρμένῃν αἴτιον εἶναι· τὰ δὲ ἀρίστα παρ' ἡμῶν· ταύτης γὰρ καὶ τῆς φύσεώς ἐσμεν, ὅταν μόνοι ᾶμεν.

<sup>132</sup> ამ ენეადის შინაარსის მოკლე გადმოცემისთვის იხ. Plotin, ed. Beutler/Theiler/Harder, გ. Ib, გვ. 410-412.

## თარგმანი:

< როდესაც სულები ჭეშმარიტ გონიერებას მისდევენ და მის შესაბამისად აკეთებენ იმას, რასაც აკეთებენ, [მაშინ] ისინი თავად აკეთებენ იმას, რასაც აკეთებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში კი მათ ხელი ეშვებათ აკეთონ ის, რასაც თავად აკეთებენ, და ისინი უფრო ზემოქმედებას განიცდიან, ვიდრე [თავად] მოქმედებენ. ამიტომ, როდესაც სული არ ამბროვნებს, მაშინ [მოქმედების] მიზეზი სხვა არის. შეიძლება, სწორი იყოს, ასეთ [ქმედებებს] „საბედისწერო“ ეუწოდოთ, თუკი ვფიქრობთ, რომ ბედისწერა გარეგანი მიზეზია. ხოლო საუკეთესო ქმედებები ჩვენგან [მომდინარეობენ], რადგან ასეთი ბუნებისანი ვართ, როცა ვართ მარტო. >

\*\*\*

პლოტინი, IV, 8: *ქვემოთ მოვეყავს პლოტინის რიგით მეექვსე ტექსტიდან რამდენიმე ნაწყვეტი. მისი სათაურია „სულის სხეულებში ჩამოსვლის შესახებ“. ტექსტის თავისებურება ის არის, რომ პლოტინი აქ საკუთარი თავის შესახებ საუბრობს. ჩვენ სულ ბოლოს მოვიყვანთ ტექსტის დასაწყისს – ფრაგმენტს, რომელიც საოცარ სულიერ გამოცდილებაზე, თან ძალიან პიროვნულზე მიგვანიშნებს. ტექსტის თემა ჩვენი „მე“-ობის ღვთაებრივ საწყისთან ურთიერთკავშირია. აქ ძალიან ნათლად არის გადმოცემული პლოტინის ფილოსოფიის ის პრინციპი, რომელიც მას, როგორც აღვნიშნეთ, სხვა პლატონიკოსებისგან განასხვავებს: სხეულში მყოფი სულიც, პლოტინის რწმენით, მე-ინდივიდუალურ გონებაშია დამკვიდრებული. ამავე ტექსტში პლოტინი გამოხატავს თავის შეხედულებას ქვეყნობიერის (თუ გაუყნობიერებელის) შესახებ: მაშინაც, როცა აღამიანი ვერ აყნობიერებს თავის კავშირს ზენა სამყაროსთან, ის მაინც არის მასთან კავშირში. პლოტინი მსჯელობს სულისა და სხეულის მიმართებაზე: კოსმიური სული ძალდაუტანებლად მართავს კოსმიურ სხეულს, ინდი-*

ვიდეალურ სულს ეს უჭირს და მისი ურთიერთობა შესაბამის სხეულთან უფრო პრობლემურია. თავისთავად სულს არ შეუძლია წმინდა ამროვნებაში იყოს დამკვიდრებული და მისი გამოსვლა რეალობის საფეხურების სახით არსებისეული აუცილებლობაა. ინდივიდუალურ სულს შეუძლია იყოს მსოფლიო სულთან და მასთან ერთად მართოს კოსმოსი, მაგრამ ის სხეულებში ეშვება. თუმცა, მას კელავ შეუძლია ამაღლდეს, რადგან მთლიანად ის არასოდეს ჩამოდის დაბლა. ამდენად, სული – ორმაგი არსებაა, ის ხან ზემოთ არის და ხან ქვემოთ. ჩამოსვლა – სასჯელია (როგორც ეს ბევრ ბერძენ ფილოსოფოსს მიაჩნდა) და ბუნების კანონი. სული, რომელიც არის ღმერთი, ჩამოდის სხეულში. ამით ის ხელს უწყობს სინამდვილის გაშლას. ასე იქმნება ამქვეყნიურობა, რომელიც ადამიანს ზენა სამყაროს არსებობაზე მიანიშნებს. ისევე, როგორც ერთს არ უნდა ეარსება მარგო, არამედ მისგან შემდგომი საფეხურები უნდა გამოსულიყო, ასევე სულებიდან უნდა გამოსულიყო სხეულოვანი არსება, რადგან ყოველი არსება შემდგომი საფეხურის შექმნისკენ მიისწრაფვის. ერთი თავის თავში რჩება, მაგრამ მისი უსასრულო ძალა და სიკეთე შემდეგ საფეხურებს ქმნის. მაგერიასაც კი წილი აქვს არსებობაში. ამდენად, სივრცეში განფენილი სამყარო გონითი სამყაროს გამოვლინებაა, ისინი ერთმანეთთან კავშირში არიან, ორივე მარადიულია. ამიგომ სულს არ უნდა აბრა-მებდეს ის, რომ ის ხან ზემოთ არის და ხან ქვემოთ. ქვემოთ სული იძენს იმის გამოცდილებას, რაც ცუდია და კარგს უფრო აფასებს. ისევე, როგორც გონება არა მარგო ზემოთკენ მიე-მართება, არამედ ქვემოთაც – სულისკენ უნდა დაეშვას, ასევე სულია მიმართული ზემოთკენ და ქვემოთკენ. ინდი-ვიდუალური სული ნაკლებადაა ზემოთ მიმართული, უნივერ-სალური სული კი, ფაქტობრივად, ორივე ფუნქციას ასრულებს, თუმცა ის, პრინციპში, რეალურად დაბლა არც ეშვება. მა-გრამ, როგორც ითქვა, არც ინდივიდუალური სული ეშვება

დაბლა მთლიანად, მისი რაღაც „ნაწილი“ ზემოთ რჩება, თუმცა ჩვენ ამას ყოველთვის ვერ ვაყენობიერებთ, რადგან ვაყენობიერება მაშინ შეგვიძლია, როცა რეალობა მთლიანად მოგვეყვება შევრძნებებსა და აღქმაში. ამგვარად, ნებისმიერი სული დაკავშირებულია, ერთი მხრივ, სხეულთან, მეორე მხრივ კი ვონებასთან. მსოფლიო სული სხეულს „არადისკურსიულად“ – განსჯის, ფიქრის (ეჭვის) გარეშე მართავს. ქვენა სულები ვაცილებით უფრო „მოყოყმანე“ არსებები არიან, მათ სხეული ხიბლავს და აყთუნებს, თუმცა მათი ზენა ნაწილი მშვიდობაში სუფევს და წამიერ ზემოქმედებას არ ექვემდებარება.<sup>133</sup>

#### IV, 8, 5, 1-16

ბექსტი:

Ὅν τοῖνυν διαφωνεῖ ἀλλήλοις ἢ τε εἰς γένεσιν σπορά ἢ τε εἰς τελείωσιν κάθοδος τοῦ παντός, ἢ τε δίκη τό τε σπήλαιον, ἢ τε ἀνάγκη τό τε ἑκούσιον, ἐπεὶπερ ἔχει τὸ ἑκούσιον ἢ ἀνάγκη, καὶ τὸ ἐν κακῷ τῷ σώματι εἶναι· οὐδ' ἢ Ἐμπεδοκλέους φυγῆ ἀπὸ τοῦ θεοῦ καὶ πλάνη οὐδ' ἢ ἀμαρτία, ἐφ' ἣ ἢ δίκη, οὐδ' ἢ Ἡρακλείτου ἀνάπαυλα ἐν τῇ φυγῇ, οὐδ' ὅπως τὸ ἑκούσιον τῆς καθόδου καὶ τὸ ἀκούσιον αὐτῆς. Πᾶν μὲν γὰρ ἰὸν ἐπὶ τὸ χεῖρον ἀκούσιον, φορᾶ γε μὴν οἰκεία ἰὸν πάσχον τὰ χεῖρω ἔχειν λέγεται τὴν ἐφ' οἷς ἐπραξε δίκην. Ὅταν δὲ ταῦτα πάσχειν καὶ ποιεῖν ἢ ἀναγκαῖον αἰδίως φύσεως νόμῳ, τὸ δὲ συμβαῖνον εἰς ἄλλου του χρεῖαν ἐν τῇ προσόδῳ ἀπαντᾶ καταβαῖνον ἀπὸ τοῦ ὑπὲρ αὐτόν, θεὸν εἰ τις λέγοι καταπέμψαι, οὐκ ἂν ἀσύμφωνος οὔτε τῇ ἀληθείᾳ οὔτε ἑαυτῷ ἂν εἴη. Καὶ γὰρ ἀφ' ἧς ἀρχῆς ἕκαστα, εἰ καὶ τὰ μεταξὺ πολλά, καὶ τὰ ἔσχατα εἰς αὐτὴν ἀναφέρεται.

<sup>133</sup> ამ ენეადის შინაარსის მოკლე გადმოცემისთვის იხ. Plotin, ed. Beutler/Theiler/Harder, გ. Ib, გვ. 438-443.



თარგმანი:

< ასე რომ ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება [სულის] მითესვა ქმნადობაში და სამყაროს სრულქმნისთვის მისი შთამოსვლა, გასამართლება და გამოქვაბული, აუცილებლობა და ნებაყოფლობა, რადგან ნებაყოფლობა აუცილებლობასაც გააჩნია, და სხეულში, როგორც ბოროტებაში, [მისი] ყოფნა; [არც] ემპედოკლესეული გაქცევა ღმერთისგან, ხეგიალი და ცოდვა, რომელსაც სასჯელი მოსდევს, არც პერაკლიტესეული შესვენება სრბოლაში, არც საერთოდ შთამოსვლის ნებაყოფლობითი და უნებლიე [ხასიათი]. რადგან ყველაფერი, რაც ცუდისკენ მიემართება, ამას უნებლიედ [აკეთებს], ხოლო რადგანაც ის საკუთარი მოძრაობით მიემართება, ბოროტებას, რომელსაც [ის ამ დროს] დაითმენს, მიიჩნევენ სასჯელად იმ საქციელისთვის, რომელიც მას ჩაუდენია. ბუნების კანონის თანახმად, ამის მოთმენა და ქმნა [სულელებისთვის] მუდამ აუცილებელია, ხოლო ის, რაც ამ სვლაში [სულს] შეემთხვევა – სხვისთვის [ანუ სხეულისთვის] სასარგებლოა. ამიგომ გემდგომი საფეხურიდან [სულის] ჩამოსვლის შესახებ კაცმა შეიძლება თქვას, ის ღმერთმა გამოგზავნაო ქვემოთ, და ეს აზრი არ იქნება არც ჭეშმარიტების, არც საკუთარი თავის საწინააღმდეგო. რადგან პირველსაწყისისკენ – იმისკენ, საიდანაც წარმოიშენენ – უკანასკნელნიც ამაღლდებიან, თუნდაც [მათ შორის] ბევრი შუალედური საფეხური იყოს. >

\* \*

#### IV, 8, 7, 11-17

გექსტი:

καὶ δυσπᾶτον αὐτῇ πάλιν ἐξαναδύναι, ἱστορίαν ἄν ἐνταῦθα εἰδέ τε καὶ ἐπάθε προσλαβούση καὶ μαθούση, οἷον ἄρα ἐστὶν ἐκεῖ εἶναι, καὶ τῇ παραθέσει τῶν οἷον ἐναντίων οἷον σαφέστερον τὰ ἀμείνω μαθούση. Γνωστὸς γὰρ ἐναργεστέρᾳ

τάγαθόν ἢ τὸν κακὸν πείρα οἷς ἡ δύναμις ἀσθενεστέρα, ἢ ὥστε ἐπιστήμη τὸ κακὸν πρὸ πείρας γυνῶναι.

თარგმანი:

< [სულს] შეუძლია, კვლავ ამაღლდეს, მან იცის იმის აზბავი, რაც იქ ნახა და განიცადა, და გაიგო, რას ნიშნავს იქ [ზენა სამყაროში] ყოფნა. დაპირისპირებულთა შედარების საფუძველზე მან უკეთესად გაიგო ის, რაც უმჯობესია. რადგან სიკეთის უფრო ცხად ცოდნას ცუდის გამოცდილებით მიიღებენ ისინი, ვისაც ძალა არ ყოფნის, რომ ცუდს [წმინდა] მეცნიერებით – გამოცდილების მიღებამდე – სწვდეს. >

\* \*

#### IV, 8, 8, 1-9

ბექსტი:

Καὶ εἰ χρὴ παρὰ δόξαν τῶν ἄλλων τολμήσαι τὸ φαινόμενον λέγειν σαφέστερον, οὐκ πᾶσα οὐδ' ἡ ἡμετέρα ψυχὴ ἔδου, ἀλλ' ἔστι τι αὐτῆς ἐν τῷ νοητῷ αἰεῖ· τὸ δὲ ἐν τῷ αἰσθητῷ εἰ κρατοῖ, μᾶλλον δὲ εἰ κρατοῖτο καὶ θορυβοῖτο, οὐκ ἔβ' αἰσθησιν ἡμῖν εἶναι ὧν θεᾶται τὸ τῆς ψυχῆς ἄνω. Τότε γὰρ ἐρχεται εἰς ἡμᾶς τὸ νοηθῆν, ὅταν εἰς αἰσθησιν ἡκῆ καταβῶν· οὐ γὰρ πᾶν, ὃ γίγνεται περὶ ὄτιοῦν μέρος ψυχῆς, γινώσκομεν, πρὶν ἂν εἰς ὄλην τῆς ψυχῆς ἡκῆ.

თარგმანი:

< და თუკი უნდა გავებლო სხვათა შეხედულების საწინააღმდეგოდ ნათლად გამოვთქვა ჩემი აზრი, [ვიტყვი], რომ არც ჩვენი სული ჩამოვიდა მთლიანად: მისი რაღაც ნაწილი მუდამ არის გონისეულ [სფეროში], ხოლო მეორე ნაწილი გრძნობით აღსაქმელ [სამყაროშია]. და თუ ამ უკანასკნელმა იმარჯვა (ანუ, უფრო სწორად, დამარცხდა და ძალაღობა განიცადა), ის აღარ მოგვეცემს საშუალებას შევიგრძნოთ ის, რასაც სული მემოთ ჭკერეგდა. რადგან გონით საწველოში მა-

შინ შემოდის ჩვენში, როდესაც გრძნობადისკენ დაღმა მივე-  
მართებით: ყველაფერს, რაც სულის ნებისმიერ ნაწილში  
ხდება, მხოლოდ მას მერე ვაყენობიერებთ, როდესაც ის  
მთელს სულს მოიქცის. >

\* \*

#### IV, 8, 8, 13-15

ტექსტი:

Καὶ ἡ μὲν ὅλη καὶ ὅλου τῷ αὐτῆς μέρει τῷ πρὸς τὸ σῶμα  
τὸ ὅλον κοσμεῖ ὑπερέχουσα ἀπόνως, ὅτι μὴδ' ἐκ λογισμοῦ, ὡς  
ἡμεῖς, ἀλλὰ νῶ.

თარგმანი:

< უნივერსალური სული მართავს მთელ [სამყაროს] იმ  
ნაწილით, რომელიც სხეულს უკავშირდება, და [ამასთანავე]  
ძალდაუტანებლად იმყოფება გვეით, იმიტომ რომ [ის ამას  
აკეთებს] არა განსჯით, როგორც ჩვენ, არამედ გონებით. >

\* \*

#### IV, 8, 8, 16-23

ტექსტი:

Αἱ δ' ἐν μέρει γινόμεναι καὶ μέρους ἔχουσι μὲν καὶ αὐταὶ  
τὸ ὑπερέχον, ἀσχοιοὶ δὲ τῇ αἰσθήσει καὶ ἀντιλήψει πολλῶν  
ἀντιλαμβανόμεναι τῶν παρὰ φύσιν καὶ λυπούντων καὶ ταρατ-  
τόντων, ἅτε οὐκ ἐπιμέλονται μέρους καὶ ἔλλειπούς καὶ πολλὰ  
ἔχοντος τὰ ἀλλότρια κύκλω, πολλὰ δὲ ὧν ἐφίεται· καὶ ἡδέται  
δὲ καὶ ἡδονῇ ἡπάτησε. Τὸ δὲ ἐστὶ καὶ ἀηδονον ὄν τὰς προσ-  
καίρους ἡδονάς, ἡ δε, διαγαγῆ ὁμοία.

თარგმანი:

< ნაწილებში შემოსულ სულებსაც [გააჩნია] ის, რაც [ამ-  
ქვეყნიურზე] აღმატებულია, თუმცა მათ ხელს უშლის შეგ-  
რძნება და მრავალი [საგნის] აღქმა, რომლებიც [სულებისთ-  
ვის] ბუნების საწინააღმდეგოა, მტკივნეულია და დამაბ-

ნვეელი. საქმე ის არის, რომ მისი ზრუნვის საგანი არის ნაწილი, ის ნაკლულია და გარშემო ბევრი უცხო რამ აკრავს, რომლისკენაც ის მიისწრაფვის. მას სიამოვნებაც იტაცებს. ხოლო [სულის ზენა ნაწილი] შემთხვევითი სიამოვნებებისადმი გულგრილია, და მისი არსებობაც ამის შესაბამისია. >

\* \*

#### IV, 8, 1, 1-11

##### ტექსტი:

Πολλάκις ἐχειρόμενος εἰς ἑμαυτὸν ἐκ τοῦ σώματος καὶ γινόμενος τῶν μὲν ἄλλων ἕξω, ἑμαυτοῦ δὲ εἰσω, θαυμαστὸν ἠλίκον ὄρωσιν κάλλος, καὶ τῆς κρείττους μοίρας πιστεύσας τότε μάλιστα εἶναι, ζῆν τε ἀρίστην ἐνεργήσας καὶ τῷ θεῷ εἰς ταῦτόν γεγενημένος καὶ ἐν αὐτῷ ἰδρυθεὶς εἰς ἐνέργειαν ἔλθων ἐκείνην ὑπὲρ πᾶν τὸ ἄλλο νοητὸν ἑμαυτὸν ἰδρύσας, μετὰ ταύτην τὴν ἐν τῷ θεῷ στάσιν εἰς λογισμὸν ἐκ νοῦ καταβὰς ἀπορῶ, πῶς ποτε καὶ νῦν καταβαίω, καὶ ὅπως ποτέ μοι ἔνδον ἢ ψυχῇ γεγένηται τοῦ σώματος τοῦτο οὐσα, οἷον ἐφάνη καθ' ἑαυτῆς, καίπερ οὐσα ἐν σώματι.

##### თარგმანი:

< ხშირად, როცა ვიღვიძებ [და] სხეულიდან საკუთარ თავს [ვუბრუნდები], [ვეილდები იმას], რაც გარეთ არის და გარეშეა, და შინ – ჩემში შემოვდივარ, ვხედავ უზარმაზარ მშვენიერებას და მჯერა, რომ ამ დროს უკეთესი ხვედრი მერგო: ვიცხოვრე საუკეთესო ცხოვრებით, შევერწყი ღვთაებრივს და მასში დაემკვიდრდი. ასე განხორციელდა [ჩემი] ენერგია, და მე დაემკვიდრდი სხვა ყველაფერზე მაღლა, რაც გონისეულ [სფეროში] არის. მაგრამ საღმრთო [სფეროში] ყოფნის შემდეგ, გონებიდან განსჯისკენ ჩამოსულს, [ყოველთვის] მიკვირს, ახლა როგორღა ჩამოვდივარ, ან როგორ მოხვდა ჩემი სული სხეულში, [სული], რომელმაც თავი იმაღ მაჩვენა, რაც ის არის თავისთავად, იმის მიუხედავად, რომ სხეულში იყო. >

\*\*\*

# იამბლიქოსი

*Iamblicus Chalcidensis*



იამბლიქოს ქალკისელი (III-IV სს.), სირიელი ნეოპლაგონიკოსი, პორფირიოსის მოწაფე, რომელმაც ათენის ნეოპლაგონურ სკოლაზე დიდი გავლენა მოახდინა, არა მარტო ქრონოლოგიურად, არამედ შემოქმედებით და აზროვნებით მართლაც „შუა“ წევრია ანტიკურობის ნეოპლაგონიკოსთა ჯაჭვში. მან თავისებურად უცვალა სახე პლოტინისა და პორფირიოსის მიერ ჩამოყალიბებულ თუ მინიმუმ მდგომარეობულ ონტოლოგიურ სისტემას, რაც შემდეგ ათენელმა ნეოპლაგონიკოსებმა, სირიანემ და მისმა მოწაფე პროკლემ განაგრძეს, დახვეწეს და გააღრმავეს. ცელილება, ძირითადად, შემდეგში მდგომარეობდა: იამბლიქოსამდე წარმოდგენა ონტოლოგიაზე ერთგვარად „ტელესკოპური“ იყო. ეს სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული ტერმინია, რომელიც იმას ნიშნავს, რომ არსთა და გე-არსთა იერარქიაში, ანუ მთლიანობაში აღებულ უნივერსუმში ყოველი იერარქიულად მომდევნო საფეხური წინამაჟღერებსაე რეალურად, ანუ არსობრივად, ონტოლოგიურად შეიცავს და მათში განიჭვრიტება. დაახლოებით ასე იყო პლოტინთან და პორფირიოსთან. ასეთი წარმოდგენა უზრუნველყოფდა პასუხს შეკითხვებზე: რა ანიჭებს უნივერსუმს მთლიანობას? რა განაპირობებს გადასვლის თანმიმდევრობას ერთი არსიდან მეორეზე? ხომ არა გვაქვს საქმე ისეთ ნახტომთან, რომელიც გვაიძულებს სიყარიელის ან არარაღან რაიმის წარმოქმნის დაშვებას? რა არის ჩვენს მიერ გე-სხეულებრივ არსთა შეცნობის საფუძველი? „ტელესკოპური“ თვალთახედვით დანახული უნივერსუმი, უხეშად რომ ეთქვათ და ამ წარმოდგენის ვიზუალურად გამოხატვა რომ ვცადოთ, იყო არსთა და გე-არსთა ერთგვარი იერარქიული გირლიანდა, რომელიც, საახალწლო ნაძვის ხის ქალაღდის გირლიანდასავით, შეგვეძლო გვეხილა როგორც სიგრძეში გაშლილ მდგომარეობაში, ასევე ბრტყელ პოზიცი-აშიც (ოღონდ, ქალაღდის გიარლიანღდისღან განსხვავებით, ორივე ეს მდგომარეობა ერთღროულადაე წარმოსაღგენა

იყო), სადაც ვირლიანდის ერთი რგოლი მეორეში იყო მოცემული და მასში განიჭვრიტებოდა.

რა გააკეთა იამბლიქოსმა? მან ეს ვირლიანდა „გაშალა“ ისე, რომ ამიერიდან ვირლიანდამ უფრო გრძივი სახე მიიღო, ნაყელად ბრტყელისა; ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოიხსნა „ტელესკოპირება“: ონგოლოგიურ იერარქიაში ყოველი მომდევნი საფეხური დამოუკიდებელი, თვითკმარი, თვითმდგომი პიპოსტასი იყო. ისინი ერთმანეთში რეალურად, ონგოლოგიურად კი არ არსებობდნენ, არამედ ერთმანეთთან სხვა საშუალებებით ურთიერთობდნენ (მათგან ერთ-ერთი იყო ნეოპლაგონიზმში ცნობილი – და მოგჯერ საკმაოდ ბუნდოვანი „ზიარება“). ანუ: ნეოპლაგონიკოსებისთვის ძვირფასი პრინციპი: „ყველაფერია ყველაფერში, ოღონდ თითოეულში თავისებურად“, ძალაში დარჩა, ოღონდ თუ ადრეული ნეოპლაგონიზმში მეტ აქცენტს ამ პრინციპის პირველ ნახევარზე აკეთებდა („ყველაფერია ყველაფერში“), იამბლიქოსიდან მოყოლებული, უფრო მეტი ყურადღება დაეთმო პრინციპის მეორე ნახევარსაც („ოღონდ თითოეულში თავისებურად“). ეს, სხვათა შორის, ყველაფერში გამოვლინდა, მათ შორის პლაგონის დიალოგების განმარტებაში: თუ ჯერ კიდევ პორფირიოსს მიაჩნდა, რომ თითოეული ნაწარმოები ყველა თემას არეკლავს, იამბლიქოსი გაცილებით უფრო სისტემატიკოსი იყო ამ თეალსაზრისით. მისი აზრით, ყოველ დიალოგს ერთი კონკრეტული მიზანი აქვს, თუმცა, რა თქმა უნდა, ირიბად და დამატებით მასში სხვა სფეროს საკითხებიც არის წარმოდგენილი. განსხვავებით წინამორბედებისგან, რომლებისთვისაც ერთთან ანუ ღმერთთან „მისვლის“ მთავარი გზა ინტელექტუალური ჰერეზა და, ამდენად, ერთგვარი მჭკრეტელობითი პასიურობა, მოსვენებულობა, მოყალეობა იყო (ამის საფუძველს სწორედ „ტელესკოპირების“ პრინციპი განაპირობებდა: ადამიანის სულში იმთავითვე არის გონება და ერთი; ჩვენ „მხოლოდ“ ის გვინდა, რომ საკუთარ თავში ჩაღრმავებით, ისინი ხელახლა მოვიპოვოთ და, ასე, გავხდეთ

ჩვენი ნამღვილი „მე“), იამბლიქოსი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რელიგიურ პრაქტიკას, თეურგიას, რომელიც ღვთაებრივ სამყაროსთან ადამიანის „შეხების“ (ეს პლოტინურ-იამბლიქოსური ტერმინია) შესაძლებლობას იძლეოდა. ისევ და ისევ, „ტელესკოპირების“ გამორიცხვა ონტოლოგიიდან იმასაც ნიშნავდა, რომ ადამიანის სული მხოლოდ სულია და არა გონება და არც, მითუმეტეს, ერთი, თუმცა გარკვეულად მათთან ნაზიარებია. ამიტომ „მხოლოდ“ ინტელექტუალური ჩაღრმავება საკუთარ თავში უზენაეს პრინციპთან მისაახლებლად, იამბლიქოსის აზრით, აღარ კმაროდა. სამყაროში არსებული „სიმპათიის“ და არსთა ურთიერთკავშირის გამო, რიტუალური პრაქტიკა უზრუნველყოფდა კონტაქტს ღვთაებრივ სამყაროსთან. ასეთი წარმოდგენა, იამბლიქოსის აზრით, რა თქმა უნდა, არა თუ არ გამორიცხავდა, არამედ აუცილებლად წინაპირობად მოითხოვდა ინტელექტუალურ ჭერეგას და შეშეცნებას. ფაქტიურად, როგორ პარადოქსულადაც არ უნდა ეღერდეს, თეურგიის მნიშვნელობის აღიარებაზე იამბლიქოსი მისთვის – და საერთოდ ანტიკურობისადმი დამახასიათებელმა – ინტელექტუალიზმმა მიიყვანა. რაე უფრო მეტად მუშავდებოდა თეორიულად ცალკეული ონტოლოგიური ჰიპოსტასის (გონება, ერთი, სული და სხვა) შინაარსი, ფუნქცია, მოქმედება, შედეგი, მით უფრო მეტად ხდებოდნენ ისინი დამოუკიდებელნი და თავისთავადი; და რაე უფრო მეტ დამოუკიდებლობას იძენდნენ ისინი, მით უფრო მეტი ახალი ჰიპოსტასის შემოყვანა ვახდა საჭირო, ისევ და ისევ იმისთვის, რომ უნივერსუმში ერთიანობა, ვადასელის თანმიმდევრობა, თანდათანობა დაეუღიყო და „არარადაც წარმოქმნის“ დაშვების საფრთხე თავიდან აცილებულიყო. ასე, „ნოეტური“ (გონების ჭერეგის შედეგი) და „ნოერული“ (გონების მოქმედება) ჰიპოსტასების გვერდით, იამბლიქოსთან გაჩნდა ის, რაე ერთდროულად „ნოეტურიც არის და ნოერულიც“. აქვე დაეასახელოთ კიდევ რამდენიმე დეგალი იამბლიქოსის ონტოლოგიური ნოვაციებიდან: მან უზენაესი ერთი



მიიჩნია სრულიად შეუცნობლად და გამოუთქმელად და ამ ერთის შემდეგ დაუშვა მეორე ერთი, რომელიც ერთგვარად აბსოლუტური ერთიდან სიმრავლეზე გადასვლის საფუძველს ქმნიდა. იამბლიქოსმა დახვეწა გრიადული სისტემა ონტოლოგიურ იერარქიაში, „ყოფნა-გამოსვლა-დაბრუნების“ პრინციპი და აგრეთვე ის, რომ თითოეული პიპოსტასი, რომელიც არსი იყო, წარმოადგენდა სამობით ერთიანობას: არსს, სიყოცხლეს და გონებას. ეს და იამბლიქოსის მიერ ფორმულირებული ბევრი სხვა პრინციპი შემდგომში, როგორც ვთქვით, პროკლემ კიდევ უფრო მეტად დახვეწა და ისინი, ნაწილობრივ, ალბათ, იამბლიქოსის, მაგრამ ძირითადად მაინც პროკლეს გზით, იოანე პეტრიწის კომენტარშიც აისახა.<sup>1</sup>

ყალკე საინტერესო თემაა ენისაღმი და სახელებისაღმი იამბლიქოსის დამოკიდებულება: მისი აზრით, სიტყვა გამოხატავს საგნის ჭეშმარიტ ბუნებას, თუმცა ეს ჩვენთვის შეიძლება დაფარული იყოს (დაახლოებით ასეთივე იყო პროკლესა და პეტრიწის პოზიციაც). იამბლიქოსს თავისებური შეხედულება ჰქონდა თარგმანში სიტყვათა მნიშვნელობისა და მათი გემოქმედების უნარის შესაძლო ცვლილების შესახებ. როგორც ბერძნულენოვანი ავტორი, ის აკრიტიკებდა „ელინთა“ ლინგვისტურ ნოეატიებს და აქებდა „ბარბაროსთა“ კონსერვატიულობას ენის დარგში (de mysteriis, VII, 5). გაეხსენოთ ქართული პეტრიწის შებრუნებული – და თან ანალოგიური – პოზიციაც ამავე საკითხზე: „ელინთა ენამშეობას“ ის უპირისპირებდა ქართული ენის მოუმბადებლობას, აღეკავებურად

<sup>1</sup> იამბლიქოსის, როგორც პეტრიწის წყაროს შესახებ იხ. ჩემი დისერტაცია: ანტიკურობა და ქრისტიანობა: ბერძნული ფილოსოფია იოანე პეტრიწისა და (ფს.) მაქსიმე აღმსარებლის კომენტარებში, თბილისი 1997, გვ. 59-70, სტატია: Griechische Philosophie in den Kommentaren des Ioane Petrizi, in: Oriens Christianus 81 (1997), გვ. 148-168, განსაკუთრებით გვ. 164-166, და წიგნი: იოანე პეტრიწი და ანტიკური ფილოსოფია, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2008, გვ. 122-133, 346-349.

გამოეხატა საგანთა არსი. ქვემოთ მოვიყვანთ მესაბამის ფრაგმენტებს იამბლიქოსის „ეგვიპტური მისტერიებიდან“.

### ეგვიპტური მისტერიები (ფრაგმენტები)

იამბლიქოსის დიდი ნაშრომი, რომელსაც „ეგვიპტურ მისტერიებს“ უწოდებენ, ნეოპლატონური თეოლოგიისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტექსტი იყო. ამ შემთხვევაში „თეოლოგიაში“ ეგულისხმობთ არა მხოლოდ „პირველ ფილოსოფიას“ ან „მეტაფიზიკას“, არამედ რელიგიურ პრაქტიკასაც, რომელსაც „თურგიას“ უწოდებენ. იამბლიქოსი, თავის წინამორბედ პლოტინსა და პორფირიოსზე გაცილებით უფრო მეტად იყო თურგიული პრაქტიკის აპოლოგეტი და მის აუცილებლობას ის თეორიულად, ფილოსოფიურად ამართლებდა. საერთოდ, თურგიაში, ანუ რიტუალურმა პრაქტიკამ, რომლის მიზანი ღვთაებასთან ურთიერთობა იყო, განსაკუთრებით ფეხი მოიკიდა მას შემდეგ, რაც გავრცელდა ე.წ. ქალდეური ორაკულები – ლექსთა კრებული, რომელიც, სავარაუდოდ, II საუკუნის მიწურულს შეიქმნა. პორფირიოსის შემდეგ ნეოპლატონიკოსები განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ ქალდეურ ორაკულებს (ქალდეური ორაკულები, ისევე როგორც ორფიკული ტექსტები, მათ პლატონამდელ ქმნილებებად მიაჩნდათ) და მასში პლატონური ფილოსოფიის საფუძვლებს ამოიკითხავდნენ. ეს განსაკუთრებით ცხადი ვახდა პროკლესთან, რომელიც ბევრ საკითხში იამბლიქოსის მიმდევარი იყო.<sup>2</sup>

<sup>2</sup> ქალდეური ორაკულების პირდაპირი თუ ირიბი, უშუალო თუ ნეოპლატონიზმის გზით გამუალეული გავლენის შესახებ პეტრიწის ფილოსოფიაზე იხ. ჩემი სტატია: ქალდეურ ორაკულები იოანე პეტრიწის კომენტარებში. კრებულში: ფილოსოფია, ღვთისმეტყველება, კულტურა. საიუბილეო კრებული მიძღვნილი გურამ თეუბაძის 75 წლისთავისადმი. რედ. თ. ირემაძე, თ. ცხადაძე, გ. ხეომელი. თბილისი 2007, გვ. 52-65

„ეკვიპტური მისტიკების“ ნამდვილი სათაურია „მოძღვარი აბამონის პასუხი პორფირიოსის წერილზე ანებოსადმი და პასუხები მასში დასმულ პრობლემებზე“. თავად იამბლიქოსი აბამონის ფსევდონიმით მსჯელობს. აბამონი, გექსტის თანახმად, იყო ანებოს მოძღვარი ეკვიპტური ქურუმების სკოლაში. თხზულება შედგება ათი წიგნისგან და წარმოადგენს კითხვა-პასუხს, რომელიც რელიგიურ პრაქტიკასა და ღმერთებს ეხება. იყო თუ არა წერილის ადრესატი რეალური პიროვნება, უცნობია.

„ეკვიპტური მისტიკებიდან“ ფრაგმენტები მოგვყავს აკადემიური გამოცემიდან: *Jamblique, Les mystères d'Égypte. Texte établi et traduit par Édouard des Places. Paris 1966.*<sup>3</sup> თარგმანიც ამავე გამოცემის საფუძველზეა შესრულებული.

\*\*

**De Mysteriis, I 3 (7, 2 - 8, 4), p. 41-42 des Places:** წიგნის მიზანი ასეთია: კითხვებზე პასუხი საკელევი თემის შესაბამისად უნდა გაიკეს. ეს ნიშნავს შემდეგს: თეოლოგიურ საკითხებზე თეოლოგიურად უნდა ვიმსჯელოთ, თეურგიულზე – თეურგიულად, ფილოსოფიურზე – ფილოსოფიურად. ღმერთების შესახებ ცოდნა ჩვენს ბუნებას იმთავითვე ღმერთებისგანვე გააჩნია, თუმცა ღეთაებრივთან შეხება ცოდნაც კი არ არის: ის მეტია, რადგან ცოდნაში იგულისხმება ერთგვარი განსხვავება მცოდნესი შესამეცნებელი სავნისგან.

**გექსტი:**

Τὸ δ' οἰκεῖον ἐπὶ πάνσι ἀποδᾶσσομέν σοι προσηκόντως, καὶ τὰ μὲν θεολογικὰ θεολογικῶς, θεουργικῶς δὲ τὰ θεουργικὰ ἀποκρινοῦμεθα, φιλοσόφως δὲ τὰ φιλόσοφα μετὰ σοῦ συζητάσομεν· καὶ τούτων μὲν ὅσα εἰς τὰ πρῶτα αἴτια

---

(რეზიუმე ინგლისურად). აგრეთვე წიგნში: იოანე ჯეგრიწი და ანტიკური ფილოსოფია, თბილისი 2008, გვ. 91-105; 341-342.

<sup>3</sup> შემდგომი დამოწმებისას: Jambli., De mysteriis, ed. des Places.

διήκει κατὰ τὰς πρώτας ἀρχὰς συνακολουθοῦντες εἰς φῶς προάξομεν, ὅσα δὲ περὶ ἡθῶν ἢ περὶ τελῶν εἴρηται κατὰ τὸν ἡθικὸν τύπον διατήσομεν δεόντως, καὶ ἄλλα ὡσαύτως κατὰ τὸν οἰκεῖον τρόπον ἐν τάξει διαθησόμεθα· ἤδη δὲ ἀψάμεθα τῶν σῶν ἐρωτήσεων.

Φῆς τοῖσιν πρῶτον διδόναι εἶναι θεοὺς· τὸ δ' ἐστὶν οὐκ ὀρθὸν οὕτως λεγόμενον. Συσυπάρχει γὰρ ἡμῶν αὐτῇ τῇ οὐσίᾳ ἢ περὶ θεῶν ἐμφυτος γνῶσις, κρίσεώς τε πάσης ἐστὶ κρείττων καὶ προαιρέσεως, λόγου τε καὶ ἀποδείξεως προῦπαρχει· συνηῶνται τε ἐξ ἀρχῆς πρὸς τὴν οἰκείαν αἰτίαν, καὶ τῇ πρὸς τὰγαθὸν οὐσιῶδει τῆς ψυχῆς ἐφέσει συσφέστηκεν.

Εἰ δὲ δεῖ τάληθές εἰπεῖν, οὐδὲ γνῶσις ἐστὶν ἢ πρὸς τὸ θεῖον συναφή.

### თარგმანი:

< ჩვენ ყველაფერზე შესაფერის [პასუხს] ვაცემთ, ისე, როგორც საჭიროა. თეოლოგიურ [საკითხებზე] თეოლოგიურად გიპასუხებთ, თეურგიულად თეურგიულზე, ხოლო ფილოსოფიურ [საკითხებს] შენთან ერთად ფილოსოფიურად გამოვიკვლევთ. მათგან იმ [საკითხებს], რომლებიც პირველმიზეზებს შეეხება, ნათელს მოუფენთ პირველმიზეზთა მიხედვით. ის, რაც ეთიკას ან [უზენაეს] მიზნებს შეეხება, განვიხილავთ, შესაბამისად, ეთიკურ ჭრილში, და სხვა [თემებსაც] ასევე რიგ-რიგობით შესაფერისი გზით განვიხილავთ. ახლა კი შენს შეკითხვებს შევეხობ.

შენ, უპირველეს ყოვლისა, ამბობ, რომ უშვებ ღმერთების არსებობას. მაგრამ ასე თქმა სწორი არ არის. ჩვენს არსებას იმთავითვე თანასდევს ღმერთების შესახებ ბუნებრივად თანდაყოლილი ცოდნა. ის მეტია, ვიდრე ნებისმიერი განსჯა და არჩევანი და წინ უსწრებს მსჯელობასა და მტკიცებას. [ეს ცოდნა] დასაბამითგანვე ერთობაშია საკუთარ მიზეზთან, და თანაარსებობს სიკეთისკენ სულის მისწრაფებასთან, რომელიც მას არსებისეულად გააჩნია.

სიმართლე რომ ვთქვათ, ღვთაებრივთან შეხება ცოლნაც კი არ არის, რადგან [ცოლნა და მცოლნე] განსხვავდება [თაიესი საგნისგან] ერთგვარი სხვაობით. >

\*\*

**De Mysteriis, I 3 (9, 10 – 10, 12), p. 42-43 des Places:**  
*ღმერთების შესახებ ცოლნა მათი შესაფერისი უნდა იყოს, ის განსხვავდება სხვა საგანთა ცოლნისგან.*

**ტექსტი:**

Ἐοικέτω δὴ οὖν τοῖς αἰδίοις τῶν θεῶν συνοπαδοῖς καὶ ἡ σύμφυτος αὐτῶν κατανόησις· ὥσπερ οὖν αὐτοὶ τὸ εἶναι ἔχουσιν αἰεὶ ὡσαύτως, οὕτω καὶ ἡ ἀνθρωπίνη ψυχὴ κατὰ τὰ αὐτὰ τῇ γνώσει πρὸς αὐτοὺς συναπτέσθω, εἰκασίᾳ μὲν ἢ δόξῃ ἢ συλλογισμῶ τιμῇ, ἀρχομένοις ποτὲ ἀπὸ χρόνου, μηδαμῶς τὴν ὑπὲρ ταῦτα πάντα οὐσίαν μεταδιώκουσα, ταῖς δὲ καθαραῖς καὶ ἀμέμπτοις νοήσεσιν αἷς εἰληφεν ἐξ αἰδίου παρὰ τῶν θεῶν, ταύταις αὐτοῖς συνηρημένη· σὺ δ' εἰκας ἡγεῖσθαι τὴν αὐτὴν εἶναι τῶν θείων καὶ τῶν ἄλλων ὁποῖωνοῦν γυνῶσιν, δίδοσθαί τε ἀπὸ τῶν ἀντικειμένων τὸ ἕτερον μόριον, ὥσπερ εἶωθε καὶ ἐπὶ τῶν ἐν ταῖς διαλέκτοις προτεινομένων· τὸ δ' οὐκ ἔστιν οὐδαμῶς παραπλήσιον· ἐξήλλακται γὰρ αὐτῶν ἡ εἶδησις, ἀντιθέσεώς τε πάσης κεχώρισται, καὶ οὐκ ἐν τῷ συγχωρεῖσθαι νῦν ἢ ἐν τῷ γίγνεσθαι ὑφέστηκεν, ἀλλ' ἦν ἐξ αἰδίου μονοειδῆς ἐπὶ τῇ ψυχῇ συσπάρχουσα.

Περὶ μὲν οὖν τῆς πρώτης ἀρχῆς ἐν ἡμῖν, ἀφ' ἧς ὀρμᾶσθαι δεῖ τοὺς ὀτιοῦν λέγοντάς τε καὶ ἀκούοντας περὶ τῶν κρείττονων ἢ καθ' ἡμᾶς, τοιαῦτα πρὸς σὲ λέγω.

**თარგმანი:**

< ღმერთების მარადიულ თანამგზავრებს უნდა შეეფერებოდეს მათ შესახებ ის ცოლნა,<sup>4</sup> რომელიც ბუნებრივად [გვაქვს] თანდაყოლილი. ისევე, როგორც ისინი არიან მარა-

<sup>4</sup> κατανόησις.

დიულად იგივენი, ასევე ადამიანის სული უნდა იყოს მათთან [მუღმივად] დაკავშირებული ცოდნით.<sup>5</sup> მან არავეითარ შემთხვევაში არ უნდა იკვლიოს ვარაუდით, შეხედულებით ან რაღაც სილოგიზმით, რომლებიც დროში იღებენ დასაბამს,<sup>6</sup> [ის] არსება,<sup>7</sup> რომელიც ამ ყველაფერზე მალაა; [სული] ღმერთებთან დაკავშირებულია წმინდა და უმაღლო გაგონებით<sup>8</sup>, რომელიც მათგანვე მარადიულად [იმთავითვე] აქვს მიღებული. შენ კი, როგორც ჩანს, მიგაჩნია, რომ ერთი და იგივეა ცოდნა ღვთაებრივისა და რაიმე სხვა საგნის შესახებ, და რომ საპირისპიროთაგან მეორე წვერი მიიღება, როგორც ეს, ჩვეულებრივ, დიალექტიკურ საკითხებში ხდება. მაგრამ აქ არაფერი მსგავსი არ არის. [ღმერთების შესახებ] ცოდნა განსხვავებულია, ის გამიჯნულია ყოველგვარი დაპირისპირებისგან. ამიგომ ის ამჟამინდელ შეთანხმება-დაშვებაში არ მდგომარეობს და ქმნადობის პროდუქტი არ არის; ის იმთავითვე მარადიულად არსებობს სულში და ერთგვაროვანია.

აი, რას გუებნები შენ ჩვენში არსებულ პირველსაწყისზე, რომელიც უნდა იყოს ამოსავეალი მათთვის, ვინც საუბრობს

---

<sup>5</sup> γνῶσις.

<sup>6</sup> იგულისხმება, რომ ამ გიპის ცოდნა ყოველთვის დროში მიმდინარეა და გარკვეულ დროს იწყება, რაც ღვთაებრივი არსების შესაცნობად შეუფერებელია, რადგან მარადიულის შესახებ ცოდნაც მარადიული უნდა იყოს (აქ, როგორც ეს ხშირად ხდება ანტიკურ ფილოსოფიურ მსჯელობებში შემეცნების შესახებ, თავისებურად მოქმედებს ემპედოკლესეული პრინციპი „მსგავსი მსგავსს შეიცნობს“). შედარებისთვის გაუიხსენოთ პეტრიწის მიერ სულისმიერი და გონისმიერი შემეცნების სახეობებს შორის განსხვავება, რაც მისი კომენტარის წინასიტყვაობაშია მოცემული, შემდეგ კი თავად კომენტარშიც. ამ საკითხში პეტრიწი ეყრდნობოდა პორფირიოსს (და მას პირდაპირ იმომწმება), აგრეთვე პლოტინს, იამბლიქოსს, პროკლეს.

<sup>7</sup> ὄντως, ანუ არსება სუბსტანციის მნიშვნელობით.

<sup>8</sup> აქ ეხმარობ ამ პეტრიწულ სიტყვას, რომ ცხადი ვახდეს განსხვავება გონისეული შემეცნებისა („გაგონება“, νοῦσις) სხვა, უფრო დაბალი გიპის ცოდნისგან.

ან რაიმეს ისმენს იმ საგანთა შესახებ, რომლებიც ჩვენზე უმჯობესია. >

\*\*

De Mysteriis, II 11 (96, 13 – 98, 15), p. 96-97 des Places: *თეურგიის მნიშვნელობის შესახებ; მისი ძალა ღმერთებისგან გვენიჭება. ამროვნებით თეურგი ღმერთებს ვერ დაუკავშირდება.*

**ტექსტი:**

οὐδὲ γὰρ ἡ ἐννοια συνάπτει τοῖς θεοῖς τοὺς θεουργοὺς· ἐπεὶ τί ἐκώλυε τοὺς θεωρητικῶς φιλοσοφοῦντας ἔχειν τὴν θεουργικὴν ἐνωσιν πρὸς τοὺς θεοὺς; νῦν δ' οὐκ ἔχει τὸ γε ἀληθὲς οὕτως· ἀλλ' ἡ τῶν ἔργων τῶν ἀρρήτων καὶ ὑπὲρ πᾶσαν νόησιν θεοπρεπῶς ἐνεργουμένων τελεσιουργία ἢ τε τῶν νοουμένων τοῖς θεοῖς μόνον συμβόλων ἀφθέγκτων δύνამις ἐντίθησι τὴν θεουργικὴν ἐνωσιν. Διόπερ οὐδὲ τῷ νοεῖν αὐτὰ ἐνεργοῦμεν· ἔσται γὰρ οὕτω νοεῖν αὐτῶν ἢ ἐνέργεια καὶ ἀφ' ἡμῶν ἐνδιδομένη· τὸ δ' οὐδέτερόν ἐστιν ἀληθές. Καὶ γὰρ μὴ νοούντων ἡμῶν αὐτὰ τὰ συσθήματα ἀφ' ἑαυτῶν δρᾷ τὸ οἰκεῖον ἔργον, καὶ ἡ τῶν θεῶν, πρὸς οὓς ἀνήκει ταῦτα, ἀρρητος δύνამις αὐτὴ ἀφ' ἑαυτῆς ἐπιγιγνώσκει τὰς οἰκείας εἰκόνας, ἀλλ' οὐ τῷ διεγείρεσθαι ὑπὸ τῆς ἡμετέρας νοήσεως. [...]

'Αλλ' οὐκ ἀνευ μὲν τοῦ γινῶναι παραγίγνεται ποτε ἡ δραστηκὴ ἐνωσις, οὐ μὴν ἔχει γε πρὸς αὐτὴν ταυτότητα· [...] Οὐδ' ἄλλο τοῖσιν οὐδὲν τῶν ἐν ἡμῖν τοιοῦτον ὑπάρχον, ὅποια τὰ ἀνθρώπινα, συνεργεῖ τι πρὸς τὸ τέλος τῶν θείων πράξεων.

**თარგმანი:**

< და ეს არც ამროვნებაა, რომელიც თეურგებს ღმერთებთან აკავშირებს. რადგან რა შეუძლიდა თეორეტიკოს ფილოსოფოსებს იმაში, რომ ჰქონოდათ ღმერთებთან თეურგიული კავშირი? მაგრამ სინამდვილეში საქმე სხვაგვარადაა: თეურგიული ერთობის მიმნიჭებელი არის გამოუთქმელ და

ყოველგვარ გაგონებაზე<sup>9</sup> ამაღლებულ საქმეთა ღვთისმოსავალ აღსრულება, აგრეთვე მხოლოდ ღმერთებისთვის საცნაურ უხმო სიმბოლოთა ძალა. ამიგომ ამგვარ ქმედებას გაგონებით ვერ გამოვიწვევთ; ასეთ შემთხვევაში მათი მოქმედება [ენერგია, ქმედითობა] ვოჭისმიერი იქნებოდა და ჩვენზე იქნებოდა დამოკიდებული; აქედან კი არც ერთი სწორი და არც მეორე. თავად ნიშნები ხომ ჩვენი აზოვნების გარეშეც აკეთებენ თავის საქმეს, ისინი ღმერთებისკენ არიან მიმართული, ხოლო ღმერთების გამოუთქმელი ძალა თავისთავად შეიყნობს საკუთარ გამოხატულებებს, ისე, რომ ჩვენი გაგონების მიერ გამოღვიძებას არ [საჭიროებს]. [...]

მაგრამ ქმედითი ერთიანობა არც შემეყნების გარეშე წარმოიქმნება, თუმცა მისი იგივეობრივი მაინც არ არის. [...] სხვა არაფერი, რაც ჩვენში არის, ვგულისხმობ ადამიანურს, ხელს არ უწყობს ღვთაებრივ საქმეთა ასრულებას. >

\*\*

De Mysteriis, VII 4 - 5 (254, 15 - 260, 3), p. 191-195 des Places: *სახელთა მნიშვნელობის შესახებ. ამ ტექსტის შინაარსს შესავალ ნაწილში შევხებით.*

ტექსტი:

Τὶ γὰρ βούλεται τὰ ἄσημα ὀνόματα πυσθάνη· τὰ δὲ οὐκ ἔστιν ἄσημα, ὁ σὺ νενόμικας· ἀλλ' ἡμῖν μὲν ἀγυσστα ἔστω ἢ καὶ γυσσὰ ἕνια, περὶ ὧν παρεδεξάμεθα τὰς ἀναλύσεις παρὰ θεῶν, τοῖς μέντοι θεοῖς πάντα σημαντικά ἔστιν οὐ κατὰ ῥητὸν τρόπον, οὐδ' οἷός ἐστιν ὁ διὰ τῶν φαντασιῶν παρ' ἀνθρώποις σημαντικός τε καὶ μηυστικός, ἀλλ' ἦτοι νοερῶς [κατὰ τὸν θεῖον αὐτὸν ἀνθρώπειον νοῦν] ἢ καὶ ἀφθέγκτως καὶ κρειττόνως καὶ ἀπολουστέρως [καὶ] κατὰ νοῦν τοῖς θεοῖς συνηαμένος· ἀφαιρεῖν μὲν οὐκ χρὴ πάσας ἐπινοίας καὶ λογικὰς διεξόδους ἀπὸ τῶν θείων ὀνομάτων, ἀφαιρεῖν δὲ καὶ

---

<sup>9</sup> ანუ გონისეულ შემეყნებაზე.



τὰς συμφυομένας τῆς φωνῆς πρὸς τὰ ἐν τῇ φύσει πράγματα φυσικὰς ἀπεικασίας. Ὅσπερ δὲ ἐστὶ νοερὸς καὶ θεῖος τῆς θείας ὁμοιότητος συμβολικὸς χαρακτήρ, τοῦτον ὑποθετέον ἐν τοῖς ὀνόμασιν. Καὶ δὴ κἄν ἀγνωστος ἡμῖν ὑπάρχη, αὐτὸ τοῦτό ἐστιν αὐτοῦ τὸ σεμνότατον· κρείττων γὰρ ἐστὶν ἢ ὥστε διαιρεῖσθαι εἰς γνώσιν. Ἐφ' ὧν γε μὴν παρειλήφαμεν τὴν ἐπιστήμην τῆς ἀναλύσεως, ἐπὶ τούτων τῆς θείας οὐσίας καὶ δυνάμεως καὶ τάξεως ἔχομεν ὅλης ἐν τῷ ὀνόματι τὴν εἶδῃσιν. Καὶ ἐτι ἀθρόαν τὴν μυστικὴν καὶ ἀπόρρητον εἰκόνα τῶν θεῶν ἐν τῇ ψυχῇ διαφυλάττομεν, καὶ τὴν ψυχὴν δι' αὐτῶν ἀνάγομεν ἐπὶ τοὺς θεοὺς, καὶ ἀναχθεῖσαν κατὰ τὸ δυνατόν τοῖς θεοῖς συνάπτομεν.

Ἄλλὰ διὰ τί τῶν σημαντικῶν τὰ βάρβαρα πρὸ τῶν ἐκάστῳ οἰκείων προτιμῶμεν; ἐστὶ δὲ καὶ τούτου μυστικὸς ὁ λόγος. Διότι γὰρ τῶν ἱερῶν ἔθνῶν, ὥσπερ Ἀσσυρίων τε καὶ Αἰγυπτίων, οἱ θεοὶ τὴν ὅλην διάλεκτον ἱεροπρεπῆ κατέδειξαν, διὰ τοῦτο καὶ τὰς κοινολογίας οἰόμεθα δεῖν τῇ συγγενεῖ πρὸς τοὺς θεοὺς λέξει προσφέρειν, καὶ διότι πρῶτος καὶ παλαιότερός ἐστὶν ὁ τοιοῦτος τρόπος τῆς φωνῆς, καὶ μάλιστα ἐπειδὴ οἱ μαθόντες τὰ πρῶτα ὀνόματα περὶ τῶν θεῶν μετὰ τῆς οἰκείας γλώττης αὐτὰ συμμίζαντες παραδεδώκασιν ἡμῖν, ὡς οἰκείας καὶ προσφόρου πρὸς αὐτὰ ὑπαρχούσης, ἀκίνητον διατηροῦμεν δεῦρο ἀεὶ τὸν θεσμόν τῆς παραδόσεως. Εἶπερ γὰρ τι τοῖς θεοῖς ἄλλο προσήκει, δηλονότι καὶ τὸ αἰδίον καὶ ἀμετάβλητον αὐτοῖς ἐστὶ συγγενές.

Ἄλλ' ὁ ἀκούων, φῆς, πρὸς τὰ σημαινόμενα ἀφορᾷ, ὥστε αὐτάρκης ἢ αὐτὴ μένουσα ἐννοία, κἄν ὅποιον οὖν ὑπάρχη τούνομα. Τὸ δ' οὐ τοιοῦτον ἐστὶν οἶον σὺ προσεδόκησας· εἰ μὲν γὰρ ἦν κατὰ συνθήκην κείμενα τὰ ὀνόματα, οὐδὲν διέφερε τὰ ἕτερα ἀντὶ τῶν ἑτέρων μεταλαμβάνειν· εἰ δὲ τῇ φύσει συνήρτηται τῶν ὄντων, τὰ μᾶλλον αὐτῇ προσεικότα καὶ τοῖς θεοῖς ἐστὶ δῆπου προσφιλέστερα· ἐκ δὲ τοῦδε καταφαίνεται ὡς εὐλόγως καὶ ἡ τῶν ἱερῶν ἔθνῶν προκέκριται φωνὴ πρὸ τῶν ἄλλων ἀνθρώπων· οὐδὲ γὰρ πάντως τὴν αὐτὴν διασώζει διάνοιαν μεθερμηνευόμενα τὰ ὀνόματα, ἀλλ' ἐστὶ τινὰ καθ' ἕκαστον ἔθνος ἰδιώματα, ἀδύνατα εἰς ἄλλο ἔθνος

διὰ φωνῆς σημαίνεσθαι· ἔπειτα κἀν εἰ οἶόν τε αὐτὰ μεθερμηνεύειν, ἀλλὰ τὴν γε δύναμιν οὐκέτι φυλάττει τὴν αὐτὴν· ἔχει δὲ καὶ τὰ βάρβαρα ὀνόματα πολλὴν μὲν ἔμφασιν πολλὴν δὲ συντομίαν, ἀμβιβολίας τε ἐλάττονος μετέσχηκε καὶ ποικιλίας καὶ τοῦ πλήθους τῶν λέξεων· διὰ πάντα δὴ οὖν ταῦτα συναρμόζει τοῖς κρείττοσιν.

Ἄνελε οὖν ἐκ μέσων τὰς ἀποπιπτούσας τῆς ἀληθείας ὑπονοίας, ἢ ὡς Αἰγύπτιοις ἢ αἰγυπτία φωνῇ χρώμενός ἐστιν ὁ καλούμενος· ἀλλὰ μᾶλλον ἐκεῖνο ὑπολάμβανε, ὡς Αἰγυπτίων πρῶτων τὴν μετουσίαν τῶν θεῶν διακληρωσαμένων, καὶ οἱ θεοὶ χαίρουσι τοῖς Αἰγυπτίων θεσμοῖς καλούμενοι· οὐδ' αὖ γοήτων ἐστὶ ταῦτα πάντα τεχνάσματα· πῶς γὰρ ἂν τὰ μάλιστα συνηνωμένα τοῖς θεοῖς καὶ ἡμᾶς πρὸς αὐτοὺς συνάπτοντα καὶ μόνον οὐχὶ τὰς ἴσας δυνάμεις ἔχοντα τοῖς κρείττοσι, φανταστικὰ ἂν εἰ πλάσματα, ὧν χωρὶς οὐδὲν ἱερατικὸν ἔργον γίνεταί; ἀλλ' οὐδὲ προκαλύμματα ταῦτα διὰ τῶν ἐπιφημιζομένων τῷ θεῷ τῶν περὶ ἡμᾶς γίνεταί παθῶν. Οὐ γὰρ ἀφ' ὧν ἂν ἡμεῖς πάθωμεν, τούναντίον δὲ ἀπὸ τῶν οἰκείων τοῖς ὀρμώμενοι τὰς προσφόρους αὐτοῖς λέξεις κατὰ φύσιν προσφέρομεν· οὐδ' ἐναντίας ποιούμεθα περὶ τοῦ θείου τὰς ἐννοίας ἢ αὐτὸ τῷ αὐτὸ τῷ ὄντι διάκειται· ἀλλ' ἥπερ ἔχει φύσεως, καὶ ὡς τετυχήκασι τῆς περὶ αὐτοῦ ἀληθείας οἱ πρῶτοι καταστησάμενοι τοὺς νόμους τῆς ἱερᾶς ἀγιστείας, οὕτως ἐν αὐτοῖς ἐμμένομεν· εἶπερ γὰρ τι τῶν ἄλλων τῶν ἱεροπρεπῶς νομίμων, καὶ τὸ ἀμετάπτωτον αὐτοῖς συναρμόζει· καὶ δεῖ τὰ τῶν παλαιῶν εὐχῶν, ὡσπερ ἱερὰ ἄσυλα, τηρεῖσθαι κατὰ τὰ αὐτὰ καὶ ὡσαύτως, μήτε ἀφαιροῦντάς τι ἀπ' αὐτῶν μήτε προστιθέντας τι αὐταῖς ἀλλαχόθεν. Σχεδὸν γὰρ καὶ τοῦτο αἴτιον νυνὶ γέγονε τοῦ πάντα ἐξίτηλα καθεστηκέναι καὶ τὰ ὀνόματα καὶ τὰ τῶν εὐχῶν, διότι μεταβαλλόμενα αἰεὶ διὰ τὴν καινοτομίαν καὶ παρανομίαν τῶν Ἑλλήνων οὐδὲν παύεται. Φύσει γὰρ Ἑλληνές εἰσι νεωτεροποιοὶ καὶ ἄπτοιτες φέρονται πανταχῇ, οὐδὲν ἔχοντες ἔρμα ἐν ἑαυτοῖς· οὐδ' ὅπερ ἂν δέξωνται παρά τινων διαφυλάττοντες, ἀλλὰ καὶ τοῦτο ὀξέως ἀφιέντες, πάντα κατὰ τὴν ἀστατον εὐρεσιολογίαν μεταπλάττουσιν· βάρβαροι δέ, μόνιμοι τοῖς ἥθεσιν ὄντες, καὶ

τοῖς λόγοις βεβαίως τοῖς αὐτοῖς ἐμμένουσιν· διόπερ αὐτοὶ τέ εἰσι προσφιλεῖς τοῖς θεοῖς καὶ τοὺς λόγους αὐτοῖς προσφέρουσι κεχαρισμένους· διαμείβειν τε αὐτοὺς κατ' οὐδένα τρόπον οὐδενὸν ἀνθρώπῳ θεμιτόν ἐστιν. Τοιαῦτα καὶ περὶ τῶν ὀνομάτων τῶν τε ἀφθέγκτων καὶ τῶν βαρβάρων μὲν καλομένων ἱεροπρεπῶν δὲ ὄντων πρὸς σέ ἀποκρινόμεθα.

თარგმანი:

< რა უნდა გვაუწყონ სახელებმა, რომლებიც მნიშვნელობას არიან მოკლებულნი? მაგრამ სინამდვილეში ისინი მნიშვნელობას არ არიან მოკლებულნი, იმ გაგებით, როგორც ეს შენ მიგაჩნია. ჩვენთვის თუ უცნობნი არიან, ან [მხოლოდ] ზოგიერთია ცნობილი (ისინი, რომელთა განმარტება ღმერთებისგან მივიღეთ), ღმერთებისთვის მაინც ყველა მათგანი მნიშვნელობის მქონეა, მაგრამ არა გამოთქმულად, და არა როგორც აღნიშნვა და განმარტება იმისა, რასაც ადამიანები წარმოიდგენენ, არამედ ან გონიერულად, [ადამიანური გონების თანახმად, რომელიც თავად არის ღვთაებრივი],<sup>10</sup> ან წარმოუთქმულად, ძლიერად, მარტივად და გონების თანახმად, რომელიც ღმერთებთან არის კავშირში. ღვთაებრივ სახელებს უნდა მოვაცილოთ ყოველგვარი განსჯა და ლოგიკური წიაღსვლები, აგრეთვე მოვაცილოთ ხმის ბუნებრივი გამომსახველობა, რომელიც ბუნების საგნებს შეეფერება. სახელებში უნდა დავინახოთ ღვთაებრივი მსგავსების სიმბოლური ხასიათი, რომელიც არის გონიერი და ღვთაებრივი. და თუკი ის ჩვენთვის შეუცნობელია, სწორედ ეს არის მასში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი; ის მეტისმეტად დიდებულია იმისათვის, რომ ცოდნაში დანაწევრდეს.<sup>11</sup> მაგრამ იმ სახელების შემთხ-

<sup>10</sup> კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული გექსგი განმარტებაა, რომელიც სქოლიოს სახით თავად ბერძნულ გექსგს ახლავს ხელნაწერებში, იხ. Jambli., De mysteriis, p. 192, ed. des Places.

<sup>11</sup> ცოდნის მაღალი საფეხურებიც დანაწევრებაა იამბლიქოსისთვის, იმ გაგებით, რომ ისინი მთლიანად და სრულყოფილად შემეცნების საგანს

ვევაში, რომელთა შესახებ გვერგო ანალიზური მეცნიერება, ჩვენ გაგვაჩნია ცოდნა ღვთაებრივი არსების, ძალისა და რიგის შესახებ. ამასთანავე, ჩვენ განსაკუთრებით ძლიერად ვიცავთ სულში ღმერთების სრულიად საიდუმლო და გამოუთქმელ ხატებას, [სახელების] მეშვეობით ავამაღლებთ სულს ღმერთებთან და, როცა ის ამაღლებულია, შეძლებისდაგვარად ვუკავშირდებით ღმერთებს.

მაგრამ რატომ ვამჯობინებთ ბარბაროსთა ნიშნებს ჩვენს საკუთარს? ამას მისტიკური საფუძველი აქვს. ღმერთებმა გვასწავლეს, რომ მთლიანობაში ისეთი წმინდა ხალხის ენა, როგორებიც არიან ასურელები და ეგვიპტელები, შეეფერება წმინდა წეს-ჩვეულებებს. ამიგომ ვფიქრობთ, რომ ღმერთებს უნდა მივმართოთ ენით, რომელიც მათთვის არის შესაფერისი, იმიტომაც, რომ ამგვარი ბგერა არის პირველი და განსაკუთრებით ძველი, მითუმეტეს, რომ ვინც გაიგო ღმერთების შესახებ [გამოთქმული] პირველი სახელები, ისინი გადმოგვცა საკუთარ ენასთან შებავებული და ამ სახელებისთვის შესაფერისი ფორმით. ჩვენ დღემდე უცვლელად ვინახავთ ამ გრადიციის წესს. რადგან თუკი ღმერთებს რაიმე შეეფერება, ცხადია, მათთვის ის არის ბუნებრივი, რაც მარადიულია და უცვლელი.

მაგრამ მსმენელი, იცყვი შენ, დახედავს მნიშვნელობას: ხომ საკმარისია, რომ მნიშვნელობა იგივე იყოს, როგორიც არ უნდა იყოს სახელი. მაგრამ საქმე ისე არ არის, როგორც შენ წარმოგიდგენია. სახელები შეთანხმების შედეგი რომ ყოფილიყო, არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა, მათ ერთმანეთს თუ შევანაცვლებდით. მაგრამ თუკი ისინი ბუნებით არის არსებულ საგნებზე დამოკიდებული, მაშინ ისინი, რომლებიც ბუნებით უფრო შეეფერება ღმერთებს, მათთვის,

---

ვერ მოიცავენ. ეს არ ეხება თეურგის გმით ღვთაებრივთან „შეხებას“, რომელიც ცოდნაზე მაღლაა.

უფიქრობ, უფრო სასიამოვნო იქნება.<sup>12</sup> აქედან ცხადია, რომ გონიერულია, წმინდა ხალხების ენა სხვა ხალხების ენებს ვამჯობინოთ. რადგან თარგმანისას სახელები მთლიანად ვერ ინარჩუნებენ თავის შინაარსს: ყველა ხალხში არსებობს თავისებურებები, რომელთა გამოხატვა სხვა ხალხის ენაზე შეუძლებელია.<sup>13</sup> ვინმემ ისინი რომც თარგმნოს, ის ძალა, რო-

<sup>12</sup> ისევე, როგორც შემდგომში პროკლეს, იამბლიქოსსაც მიაჩნდა, რომ სახელები შემთხვევითი არ არის. თუკი ჩვენ ვერ განვჭვრეტთ სიგყვის ელერადობაში მის მნიშვნელობას, ეს ჩვენი შეშეცდომის სისუსტის ბრალია. ღმერთებისთვის მნიშვნელობა დაუფარავია. ისევე, როგორც ცოდნა შესაბამება საგანს (შემთხვევითი, წარმავალი საგნების შესახებ ცოდნა ცვალებადია და არამყარი, მარადიულს მყარი, უცვლელი ცოდნა შეუფერება), ასევე წარმავალ საგანთა სახელები ნაკლებად სრულყოფილია ფორმა-შინაარსის შესაბამისობის თეალსაშრისით და ცვალებადობის შესაძლებლობის გამო, ვიდრე ღმერთებისა. ამ შეხედულებას, გარკვეულწილად, პეტრიწი იზიარებდა. იხ. ლ. ალექსიძე, სახელდება ნეოპლატონურ გრადიციამი: პეტრიწი, პროკლე, არეოპაგიტული კორპუსი. კრებულში: ფილოსოფია და თანამედროვეობა. მიხეილ მახარაძის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. რედ. თ. ირემიძე, კ. ქეცბაია. თბილისი 2007, გვ. 160-176.

<sup>13</sup> ეს არის ის პრინციპი, რომელსაც პეტრიწი თავისი საქმიანობით დაუპირისპირდა, როცა ინება და შეეცადა, ბერძნული ფილოსოფიური ცნებებისთვის ქართული – მანამდე ენაში არარსებული – შესატყვისი გამოეძებნა. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ პეტრიწი იამბლიქოსს არ ეთანხმებოდა? უფიქრობ, არა, და აი რატომ: პეტრიწს გადმოჰქონდა ფილოსოფიური ცნებები და არა ის სიგყვეები, რომლებიც იამბლიქოსის გაგებით, უმაღლეს რელიგიურ პრაქტიკას უკავშირდებოდა. ამასთანავე, პეტრიწი ხშირად უცვლელად გოვებდა სიგყვას ბერძნული ფორმით, მაშინ, როცა ეს, მისი ამრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. მან ღმერთის სახელის ფორმა „ღია“-ც კი უცვლელი დატოვა. ეს გვაფიქრებინებს, რომ მისი შეხედულება იამბლიქოსისგან „მეორადი“ ენის სისუსტის თაობაზე ღიდად განსხეავებული არ იქნებოდა, თუმცა, ამ ფაქტის მიუხედავად, პეტრიწი მაინც შეეცადა, თავისი მთარგმნელობითი მოღვაწეობით ეს გარდაუვალი სინამდვილე ცოტა „გაეუმჯობესებინა“. ოღონდ ერთი განსხეავეება (და თან მსგავსება) მათ შორის, რა თქმა უნდა, არის: როგორც იამბლიქოსი აკრიტიკებდა ბერძნულ ენას ეგვიპტელებისა და ასურელების ენასთან შედარებით, დაახლოებით ასევე აკრიტიკებდა პეტრიწი ქართულ ენას ბერძნულთან შედარებით...

მელიც მათ გააჩნდა, ვერ შენარჩუნდება. ბარბაროსულ სახე-  
ლებს აქვთ დიდი გამომეტყველება და დიდი სისხარტე, მათ  
ნაკლებად ახასიათებთ ორამროვნება, სიჭრელე და გა-  
მოთქმათა სიმრავლე [ერთი მნიშვნელობის გამოსახატავად].  
ყოველივე ამის გამო ისინი შეეფერება მათ, ვინც უკეთესია.

[ გარდა ამისა, მოიშორე ის აზრები, რომლებიც ჭეშმარიტე-  
ბას არ შეესაბამება, თითქოსდა [ღმერთი], რომელსაც მი-  
მართავენ, ეგვიპტელი იყოს ან ეგვიპტურ ენაზე საუბრობდეს!  
ჯობია, ის იფიქრო, რომ ეგვიპტელებს პირველებს ერგოთ  
ღმერთებთან ურთიერთობა, და რომ ღმერთები ხარობენ  
იმით, რომ მათ ეგვიპტელთა წესებით მოუწოდებენ. ეს არ  
არის ჯადოქართა ხრიკები. რადგან შეუძლებელია, რომ [სა-  
ხელები], რომლებიც განსაკუთრებით მჭიდროდ არიან ღმერ-  
თებთან დაკავშირებული და ჩვენც მათთან გვაკავშირებენ, და  
რომლებსაც აქვთ ძალა, ლამის უმენაეს [არსთა] ძალის  
თანასწორი, წარმოსახვითი გამონაგონი ყოფილიყო, მაშინ  
როცა მათ გარეშე არავეითარი წმინდა საქმე არ სრულდება.  
ეს არ არის არც ღვთაებისადმი განკუთვნილი სახელწოდებე-  
ბით ჩვენი ვნებების დაფარვა. არა იქიდან, რასაც ჩვენ გან-  
ვიცდით, არამედ, პირიქით, იქიდან, რაც ღმერთებს შეეფე-  
რება, მათ ვუძღვნით გამონათქვამებს, რომლებიც მათ ბუნე-  
ბით შეესაბამება. ჩვენ ღვთაების შესახებ არ გამოვთქვამთ  
აზრებს, რომლებიც სინამდვილეს ეწინააღმდეგება. ჩვენ ვი-  
ნახავეთ იმას, რაც ბუნებას შეეფერება და რაც ჭეშმარიტების  
შესახებ თქვეს წმინდა წესის პირველმა დამწესებლებმა.  
თუკი ამ კანონთაგან კიდევ რაიმე არის წმინდა წესების  
შესაბამისი, ეს არის უცვლელობა. ძველი ლოცვები, როგორც  
წმინდა ადგილები, უნდა დავიცვათ მუდამ უცვლელად და  
იგივედ, მათ არც არაფერი არ უნდა მოვაკლოთ და არც და-

უმატოთ რაიმე სხვა მხრიდან.<sup>14</sup> ახლა რომ სახელებიდან და ლოცვებიდან რაღაც არის გამქრალი, მათი მუღმივი ცვალებადობის მიზეზი ის არის, რომ დასასრული არა აქვს ელინთა განახლების სურვილსა და აჩქარებას. ბუნებით ელინებს სი-ახლეები უყვართ და აქეთ-იქით მიისწრაფვიან, მათ საკუთარ თავში სიმყარე არ გააჩნიათ. ისინი არც იმაზე ზრუნავენ, რაც სხვებისგან მიიღეს, ამასაც სწრაფად მიაგლებენ და ყველაფერს გარდაქმნიან თავისი განუწვეტელი გამომგონებლობით. ხოლო ბარბაროსები, თავისი მნე-ჩვეულებებით ურყეენი, ასევე ურყევად ინახავენ სიტყვებს. ამიტომ მათ ღმერთები წყალობენ და მათი სიტყვებით, ღმერთებისადმი მიმართული, ღმერთებისთვის საამურია. არცერთ ადამიანს არა აქვს მათი შეუკლის უფლება. ამას გაასუხობ შენ გამოუთქმელი სახელებისა და მათ შესახებ, ვისაც ბარბაროსებს უწოდებენ, სინამდვილეში კი წმინდა წეს-ჩვეულებების აღმსრულებელნი არიან. >)

\*\*

**De Mysteriis, VIII 2 (261, 9 – 262, 9), p. 195-196 des Places:**  
*ონტოლოგიური საკითხები: უპირველესი არის ღმერთი – ერთი, სრულიად გრანსცენდენტური. მის შემდეგ არის ღმერთი, რომელიც გარკვეულ კავშირშია ქვემდგომ არსებებთან, რადგან არის საფუძველი და ღმერთი ღმერთებისა, მონადა, უმენაესი ერთიდან გამოსული. ის წინ უსწრებს ყოველგვარ არსებას და მისი საფუძველია. ის არის აგრეთვე გონითი პრინციპების საწყისი.*

**ტექსტი:**

Πρὸ τῶν ὄντων ὄντων καὶ τῶν ὄλων ἀρχῶν ἔστι θεὸς εἷς, πρῶτιστος καὶ τοῦ πρῶτου θεοῦ καὶ βασιλέας, ἀκίνητος ἔν

<sup>14</sup> წეს-ჩვეულებები და ლოცვები უსველი უნდა იყოს, მდრ. Plat., Lg., II, 656 d – 657 a, იხ. Jambl., p. 194 des Places.

μονότητι τῆς ἑαυτοῦ ἐνότητος μένων. Οὐτε γὰρ νοητὸν αὐτῷ ἐπιπλέκεται οὔτε ἄλλο τι· παράδειγμα δὲ ἰδρυται τοῦ αὐτοπάτορος αὐτογόνου καὶ μονοπάτορος θεοῦ τοῦ ὄντως ἀγαθοῦ· μείζων γάρ τι καὶ πρῶτον καὶ πηγὴ τῶν πάντων καὶ πημὴν τῶν νοουμένων πρῶτων ἰδεῶν ὄντων. Ἄπο δὲ τοῦ ἐνὸς τούτου ὁ αὐτάρκης θεὸς ἑαυτὸν ἐξέλαμψε, διὸ καὶ αὐτοπάτωρ καὶ αὐτάρκης· ἀρχὴ γὰρ οὗτος καὶ θεὸς θεῶν, μόνος ἐκ τοῦ ἐνός, προσύσιος καὶ ἀρχὴ τῆς οὐσίας. Ἄπ' αὐτοῦ γὰρ ἡ οὐσιότης καὶ ἡ οὐσία, διὸ καὶ οὐσιοπάτωρ καλεῖται· αὐτὸς γὰρ τὸ προόντως ὄν ἐστι, τῶν νοητῶν ἀρχὴ, διὸ καὶ νοητάρχης προσαγορεύεται. Αὐταὶ μὲν οὖν εἰσιν ἀρχαὶ πρεσβύταται πάντων.

### თარგმანი:

< ჭეშმარიტ არსთა და უნივერსალურ მიმემთა უწინ არის ღმერთი, ერთი, უპირველესი პირველ ღმერთსა და მეფესთან შიმართებაში. ის უძრავად განისვენებს თავისი ერთობის მარგობაში. მას არც გონითი რაიმე მიეხება, არც სხვა რამ. ის დაფუძნებულია როგორც პარადიგმა ღმერთისა, რომელიც არის თავისი თავის მამაც და შვილიც, ის არის ჭეშმარიტი სიკეთის ერთადერთი მამა. ის არის რაღაც უდიდესი და პირველი, ყველაფრის წყარო და პირველი არსებული გონითი იდეების საფუძველი.<sup>15</sup> ამ ერთიდან თვითკმარმა ღმერთმა თავად გამოაბრწყინა საკუთარი თავი. ამიგომ ის არის თავისი თავის მამა და საწყისი. ის არის საწყისი და ღმერთი ღმერთებისა, მონადა, ერთიდან მომდინარე, წინარეარსება და არსების საწყისი. მისგან არის არსებითობა და არსება, ამიგომ „არსების საწყისად“ იწოდება. ის არის აგრეთვე მყოფობამდე მყოფი, გონისეულთა საწყისი, ამიგომ

---

<sup>15</sup> „არსებული“ აქ ზედმეტი სიგყვა არ არის, მას სრული შინაარსობრივი დაგვირთვა აქვს: „არსებული“ ანუ „მყოფი“ შემდგომი საფეხურია ზე-არსებულის (ან ზე-არსებულთა) შემდეგ. „არსებული“ საზღვრისა და განუსაზღვრელობის ერთიანობა და პირველი გონითი პრინციპია.



იწოდება „გონისეულთა დასაბამად“. აი, ესენი არიან ყვე-  
ლაფრის უძველესი საწყისები. >

\*\*

**De Mysteriis, X 5 (290, 11 – 291, 16), p. 213-215 des Places:**  
*ღვთაებრივ ბუნებასთან ნაზიარები ადამიანი მიწიერ ცხოვე-  
ლებას ეზიარება, ის სხვა – საკუთრივ ადამიანურ სულს იძენს  
და აუცილებლობისა და ბელისწერის ბორკილებში ექცევა. ამ  
ტყვეობიდან თავდახსნა მხოლოდ ღმერთების შემეცნებით  
შეიძლება. ეს გონით ჭეშმარიტებაზე ამაღლებას მოითხოვს.  
ბელნიერების არსება ბელნიერების ცოდნაშია.*

**ტექსტი:**

λέγω τοίνυν ὡς ὁ θεωτὸς νοούμενος ἄνθρωπος, ἡνωμένος  
τὸ πρόσθεν τῆ θέα τῶν θεῶν, ἐπεισῆλθεν ἑτέρα ψυχῇ τῇ περὶ  
τὸ ἀνθρωπίνον μορφῆς εἶδος συνηρμοσμένη, καὶ διὰ τοῦτο ἐν  
τῷ τῆς ἀνάγκης καὶ εἰμαρμένης ἐγένετο δεσμῷ.

Σκοπεῖν δὴ δεῖ τίς αὐτοῦ γίνεται λύσις καὶ ἀπαλλαγὴ  
τῶν δεσμῶν. Ἔστι τοίνυν οὐκ ἄλλη τις ἢ τῶν θεῶν γνῶσις·  
ἰδέα γὰρ ἐστὶν εὐδαιμονίας τὸ ἐπίστασθαι τὸ ἀγαθόν, ὡσπερ  
τῶν κακῶν ἰδέα συμβαίνει ἢ λήθη τῶν ἀγαθῶν καὶ ἀπάτη περὶ  
τὸ κακόν· ἢ μὲν οὖν τῷ θείῳ σύνεστιν, ἢ δὲ χείρων μοῖρα  
ἀχώριστός ἐστι τοῦ θνητοῦ· καὶ ἢ μὲν τὰς τῶν νοητῶν οὐσίας  
ἱερατικαῖς ὁδοῖς ἀναμετρεῖ, ἢ δὲ, παρακρουσθεῖσα τῶν ἀρχῶν,  
προΐησιν ἑαυτὴν ἐπὶ τὴν καταμέτρησιν τῆς τοῦ σώματος  
ἰδέας· καὶ ἢ μὲν γνῶσις ἐστὶ τοῦ πατρός, ἢ δὲ παραγωγὴ ἀπ’  
αὐτοῦ καὶ λήθη τοῦ προουσίου ἀυταρχοῦντος πατρὸς θεοῦ· καὶ  
ἢ μὲν σώζει τὴν ἀληθινὴν ζωὴν ἐπὶ τὸν πατέρα αὐτῆς  
ἀνάγουσα, ἢ δὲ κατάγει τὸν γεναρχοῦντα ἄνθρωπον ἄχρι τοῦ  
μηδέποτε μένοντος ἄλλ’ αἰεὶ ῥέοντος. Αὕτη μὲν οὖν νοείσθω  
σοι ἢ πρώτη τῆς εὐδαιμονίας ὁδός, νοερὰν ἔχουσα τῆς θείας  
ἐνώσεως ἀποπλήρωσιν τῶν ψυχῶν· ἢ δ’ ἱερατικὴ καὶ θεουργικὴ  
τῆς εὐδαιμονίας δόσις καλεῖται μὲν θύρα πρὸς θεόν τὸν  
δημιουργὸν τῶν ὅλων, ἢ τόπος ἢ αὐτὴ τοῦ ἀγαθοῦ· δύναμιν δ’  
ἔχει πρώτην μὲν ἀγνείαν τῆς ψυχῆς πολὺ τελειότεραν τῆς

τοῦ σώματος ἀγνείας, ἔπειτα κατάρτυσιν τῆς διανοίας εἰς μετουσίαν καὶ θεάν τοῦ ἀγαθοῦ καὶ τῶν ἐναντίων πάντων ἀπαλλαγὴν, μετὰ δὲ ταῦτα πρὸς τοὺς τῶν ἀγαθῶν δοτήρας θεοὺς ἔνωσιν.

Ἐπειδὴν δὲ κατ' ἰδίαν ταῖς μοίραις τοῦ παντὸς συνάψῃ καὶ ταῖς διηκούσαις δι' αὐτῶν ὅλαις θείαις δυνάμεσι, τότε τῷ ὄλῳ δημιουργῷ τὴν ψυχὴν προσάγει καὶ παρακατατίθεται, καὶ ἔκτος πάσης ὑλῆς αὐτὴν ποιεῖ μόνῳ τῷ αἰδίῳ λόγῳ συνηνωμένην· οἶον, ὃ λέγω, τῇ αὐτογόνῳ καὶ τῇ αὐτοκινήτῳ καὶ τῇ ἀνεχούσῃ πάντα καὶ τῇ νοερᾷ καὶ τῇ διακοσμητικῇ τῶν ὄλων καὶ τῇ πρὸς ἀλήθειαν τὴν νοητὴν ἀναγωγῷ καὶ τῇ αὐτοτελεῖ καὶ τῇ ποιητικῇ καὶ ταῖς ἄλλαις δημιουργικαῖς δυνάμεσι τοῦ κατ' ἰδίαν συνάπτει, ὡς ἐν ταῖς ἐνεργείαις αὐτῶν καὶ ταῖς νοήσεσι καὶ ταῖς δημιουργίαις τελῶς ἴστασθαι τὴν θεουργικὴν ψυχὴν. Καὶ τότε δὴ ἐν ὄλῳ τῷ δημιουργικῷ θεῷ τὴν ψυχὴν ἐντίθησιν. Καὶ τοῦτο τέλος ἐστὶ τῆς παρ' Αἰγυπτίοις ἱερατικῆς ἀναγωγῆς.

Αὐτὸ δὲ τὰγαθόν τὸ μὲν θεῖον ἡγούνται τὸν προειννοούμενον θεόν, τὸ δὲ ἀνθρώπινον τὴν πρὸς αὐτὸν ἔνωσιν. [...]

Τοσαῦτά σοι καθ' ἡμετέραν δύναμιν ἀπεκρινάμεθα περὶ ὧν ἠπόρησας περὶ τῆς θείας μαντικῆς τε καὶ θεουργίας. Εὐχομαι δὴ οὖν τὸ λοιπὸν τοῖς θεοῖς ἐπὶ τῷ τέλει τῶν λόγων, τῶν ἀληθῶν νοημάτων ἐμοί τε καὶ σοὶ παρέχειν τὴν φυλακὴν ἀμετάπτωτον, εἰς τε τὸν αἰδίων αἰῶνα τῶν αἰώνιων ἀλήθειαν ἐντιθέσθαι, καὶ τελειοτέρων νοήσεων περὶ θεῶν χορηγεῖν μετουσίαν, ἐν αἷς δὴ καὶ τὸ μακαριστὸν τέλος τῶν ἀγαθῶν ἡμῖν πρόκειται καὶ αὐτὸ τὸ κύριον τῆς ὁμοιοσητικῆς φιλίας τῆς πρὸς ἀλλήλους.

**თარგმანი:**

< მე ვამბობ, რომ განღმრთობილად მიხნეული აღამიანი, მანამდე ღმერთების ჭერეგას მიცემული, სხვაგვარ სულში შემოვიდა, ისეთში, რომელიც აღამიანის სახოვნებას არის შეგუებული, და ამის გამო აუცილებლობისა და ბედისწერის ბორკილებში მოექცა.

უნდა განვიხილოთ, როგორ ხლება მისი გამოსხნა და ბორკილებისგან გათავისუფლება. ეს სხვა არაფერია, თუ არა ღმერთების შემეცნება. ბედნიერების არსი ხომ სიკეთის ცოდნაა, ისევე როგორც ბოროტების არსი სიკეთის დაეწეება და ბოროტებისკენ ფეხის დაცდენაა. პირველი [ხვედრი] კავშირშია ღვთაებრივთან, მეორე კი უფრო ცუდი ხვედრია და მოკვდავის კუთვნილებაა. პირველი [ხვედრი] ზომავს გონისეულთა არსებას წმინდა გზებით, მეორე [ხვედრი] კი საწყისებისგან განდგომას და სხეულოვნებისაკენ მიმართვას ნიშნავს. პირველი არის მამის ცოდნა, მეორე კი არის მისგან აცდენილი გზა და მამა ღმერთის დაეწეება, [მამისა], რომელიც არსებაზე უწინარესია და საკუთარი თავის დასაბამია. პირველი ინახავს ჭეშმარიტ ცხოვრებას, რადგან მას მამისკენ აღიყვანს, მეორეს კი ჩამოყავს ქმნალობის საფუძველდამდები ადამიანი<sup>16</sup> იმისკენ, რაც არასდროს ჩერდება და მუდმივად მიედინება.<sup>17</sup> წარმოიდგინე ბედნიერების პირველი გზა, როგორც ღვთაებრივი ერთობით სულთა გონისმიერი ავსება. ხოლო ბედნიერების პიერატიკული<sup>18</sup> და თურგიულ ძღვენად იწოდება კარი, [გახსნილი] ღმერთისკენ, უნივერსალურთა დემიურგისკენ, ადგილი ან წინა-ემო სიკეთისა.<sup>19</sup> ის, უპირველეს ყოვლისა, ფლობს ძალას სულისთვის სიწმინდის მინიჭებისა, რომელიც სხეულის სიწმინდეზე გაცილებით უფრო სრულია. შემდეგ, [ის უძღვება] განსჯას სიკეთის ზიარებისა და ჭვრეტისკენ, ათავისუფლებს მას ყოველგვარი წინააღმდეგობისგან, ამის მერე კი [მიჰყავს ის] ერთობისაკენ ღმერთთან, რომლებიც სიკეთეს გასცემენ.

16 γυναικῶν ἀνδραγαθίας ნიშნავს პირველ ადამიანს, შეესაბამება ვნოსტიკურ πρωτάνδραγαθίας-ს, იხ. Jambl., p. 213 des Places.

17 ეს არის პერაკლიტური გამოთქმა, იხ. Jambl., p. 213 des Places.

18 ანუ წმინდა, ქურუმებისთვის დამახასიათებელი.

19 ამგვარი გამოთქმები გვხვდება პლოტინთან, პროკლესა და პეტრიწთან.

მას შემდეგ, რაც [ამ ხეიდრმა სული] უნივერსუმის თითოეულ ნაწილს და მათ გამჭოლ უნივერსალურ ღვთაებრივ ძალებს დაუკავშირა, [მას] სული მიჰყავს საყოველთაო დემიურგამდე და მას მის გვერდით ამკვიდრებს; ის [სულს] მხოლოდ მარადიულ ლოგოსთან აერთიენებს, ყოველგვარი მაგერიის მიღმა. ანუ, ვიმეორებ, ის [სულს] სათითაოდ უკავშირებს თვითწარმომქნელ, თვითმამოძრავებელ, ყველაფრის მპყრობელ, გონმისმიერ, უნივერსალურ [საწყისთა] მომწესრიგებელ, გონითი ჭეშმარიტებისკენ ზეამყვან, თვითსრულ, შემოქმედებით [ძალებთან] და, აგრეთვე, სათითაოდ, ღმერთის სხვა დემიურგიულ ძალებთან, ისე რომ საბოლოოდ თეურგიული სული მკვიდრდება მათ ენერგიებში, გაგონებებსა<sup>20</sup> და დემიურგიებში [ანუ ქმნილებებში]. ასე რომ ეს [გმა] სულს ამკვიდრებს დემიურგში როგორც მთლიანობაში. ასე სრულდება ეგვიპტელებთან წმინდა აღსვლა.

ფიქრობენ, რომ თავად სიკეთე, თუ ის ღვთაებრივია, მაშინ ის ღმერთია, რომელიც ამროვნებაზე უწინარესია, ხოლო თუ აღამიანურია, მაშინ ის წარმოადგენს ერთობას ამ [ღმერთთან] [...]

ეს არის, რაც შეძლებისდაგვარად ვიპასუხეთ იმ კითხვებზე, რომლებიც ღვთაებრივ მანტიკასა<sup>21</sup> და თეურგიასთან დაკავშირებით დასვი. და ბოლოს, ამ მსჯელობათა დასასრულს ლოცვით მიემართავ ღმერთებს, რომ მათ მოგვანიჭონ, მეც და შენც, ჭეშმარიტი ამრების ურყევად დაცვის [ძალა], [უნარი], სამარადისოდ აღვიბეჭდოთ მარადიულ [არსთა] შესახებ მარადიული ჭეშმარიტება, აგრეთვე მოგვანიჭონ ღმერთების შესახებ სრულყოფილი ამრები, ის, რამიც მდგომარე-

<sup>20</sup> σοφειαι. „გაგონებებად“ ამ სიტყვას ისევ პეტრიწული მნიშვნელობით ვთარგმნი, რაც გონით ჭვრეტას, ინტელექტუალურ აქტივობას გულისხმობს.

<sup>21</sup> „მანტიკა“ ნიშნავს ორაკულურ, წინასწარმეტყველურ, ღვთაებრივთან ზიარების ხელოვნებას.

ობს ჩვენთვის სიკეთეთა უნეტარესი მიზანი და ერთმანეთთან ერთსულოვანი მეგობრობის უზენაესი უფლებამოსილება. >

\*\*\*

### სულის შესახებ (ფრაგმენტები)

„სულის შესახებ“ იამბლიქოსმა იმისათვის დაწერა, რომ ერთი მხრივ, გაეკრიტიკებინა ზოგიერთი წინამორბედი ფილოსოფოსის შეხედულება სულის შესახებ, რომელიც იამბლიქოსს მედარად მიაჩნდა, მეორე მხრივ კი გადმოეცა თავისი თეორია ამ საკითხზე. იამბლიქოსის ამრით, ჰუმბარტი იყო ის ფილოსოფიური ტრადიცია, რომელიც მოიცავდა პლატონსა და არისტოტელეს, აგრეთვე ძველ წყაროებს: ეგვიპტელებს, ქალდეელებსა და ორფეეს. რაც შეეხება ფილოსოფიურ წყაროებს არისტოტელეს შემდეგ, ისინი იამბლიქოსს სულის საკითხთან დაკავშირებით არასწორად მიაჩნდა. „სულის შესახებ“ მიმართულია პერიპატეტიკოსების, სტოიკოსების, ეპიკურელების, სამუალო პლატონიკოსების, აგრეთვე ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსების: პლოტინის, ამელიოსისა და პორფირიოსის წინააღმდეგ.<sup>22</sup>

იამბლიქოსის „სულის შესახებ“ წიგნი შემდეგ საკითხებს მოიცავს:

არისტოტელური ტერმინოლოგიიდან ზოგიერთი საკითხის კრიტიკა;

---

<sup>22</sup> „სულის შესახებ“ იამბლიქოსის შემონახული ტექსტები იონანე სკობეოსის (V საუკუნე) ანთოლოგიიდან ამოკრიბეს, თარგმნეს და კრიტიკულად გამოსცეს ჯონ ფ. ფინამორმა და ჯონ მ. დილონმა: Iamblichus, De Anima. Text, Translation and Commentary by John F. Finamore and John M. Dillon. Leiden, Boston, Köln 2002 (შემდგომი დამოწმებისას: Iambli., De Anima, Finamore/Dillon (აქ: გვ. 10). „სულის შესახებ“ ფრაგმენტთა თარგმნისას ძირითადად ამ გამოცემით ვსარგებლობდი.

სულის წინამორბედი (იამბლიქოსის ამრით მცდარი) გან-  
მარტებები;

სულის ძალთა (შესაძლებლობის, პოტენციის) შესახებ  
ზოგადი მსჯელობა;

სულის კონკრეტულ პოტენციათა შესახებ მსჯელობა: მეხ-  
სიერება, გონება;

სულის ენერჯიები და ქმედებები;

არსებულ სულთა რაოდენობა;

სულთა დაბლა ჩამოსვლა და განსხეულება;

სულთა კავშირი ღმერთებთან;

ის რაე სიყოცხლეს ღირებულებას ანიჭებს;

სიკედილი;

სულის ბედი სიკედილის შემდეგ;

არსებები, რომლებიე შუამავალნი არიან სხეულსა და  
სულს შორის;

სულთა გასამართლება, სასჯელი, განწმენდა, საბოლოო  
სამლაური.<sup>23</sup>

სულის შესახებ იამბლიქოსის შეხედულების თავისებურება  
შემდეგშია: ნუმენიოსის, პლოტინის, ამელიოსისა და პორ-  
ფირიოსის ამრით, სულის სხვადასხვა სახეობას შორის  
ფაქტობრივად განსხვავება არ არის. იამბლიქოსის ამრით,  
ამას უპირისპირდება შეხედულება (რომელსაე ის თავად  
ემხრობა), რომლის თანახმად სული, თუმეა ის გარკვეულ-  
წილად დაკავშირებულია გონებასთან, მაინე არსებობს და-

---

<sup>23</sup> ჩამონათვალისათვის იხ. Iambli., De Anima, Finamore/Dillon, p. 11-12. გა-  
მომცემელთა ამრით, იამბლიქოსი ხშირად ამარტივებს განსხვავებული  
ამრის მქონე ფილოსოფოსთა შეხედულებებს, მათ შორის პლოტინისას,  
თუმეა ზოგჯერ თვითონეე აღიარებს, რომ პლოტინთან საქმე ისე მარ-  
ტივადე არ არის, როგორე ამას თავად იგი, იამბლიქოსი წარ-  
მოადგენს. იხ. Iambli., De Anima, Finamore/Dillon, p. 13. ამასთანაეე, იამ-  
ბლიქოსი ერიდება ხოლმე საკუთარი შეხედულებების პირველ პირში  
გადმოცემას; ის მათე უფრო მეტად პლატონის და ძველი მოაზროვნეების  
მემეეობით გამომხატაეს.

მოუკიდებლად და თავისთავად; ის ემიჯნება არსებულთა ყველა ბემდგომ საფეხურს. მას ეკუთვნის შუა ადგილი, რომელიც მოიყავს როგორც განუყოფელ, ასევე დანაწევრებად არსებას, უსხეულოსა და სხეულოვანს, ლოგოსთა (ანუ გონისეულ პრინციპთა) ერთობლიობას, რომელიც, იდეათა მემდეგ, საფუძვლად უდევს ქმნადობას. სული არის სიყოცხლე თავისთავად, რომელიც გონების სფეროდან მომდინარეობს. ამასთანავე, ის გამოხატავს კემშარიგი არსის სახეობათა გამოსელას უფრო დაბალი ღონეებისკენ.<sup>24</sup>

იამბლიქოსის აზრით, სული არის შუამავალი ორ უკიდურესობას, გონებასა და სხეულს შორის. განსაკუთრებულ ყურადღებას იამბლიქოსი ადამიანის სულის „ადგილს“ აქეევს: ის მას გონებისგან „მიჯნავს“, თუმეცა, ქლოგინის მსგავსად, გონებიდან მომდინარედ მიაჩნია. ადამიანის სულს იამბლიქოსი „მიჯნავს“ ავრეთვე სულთა უფრო მაღალი სახეობებისგან, როგორიეცაა დემონების, გმირებისა და წმინდა სულები.<sup>25</sup> ადამიანურ სულს, იამბლიქოსის თანახმად, საკუთარი პომიეცა უკავია, ის მეღიაცორია უფრო მაღალ ძრსებებსა და სხეულებრივ არსთა შორის. მავრამ მიუხედავად იმისა, რომ იამბლიქოსი თითქოს ამ საკითხში ქლოგინსა და პორფირიოსს უპირისპირდებოდა, სინამღვილეში ისინიე ასევე ფიქრობდნენ, ანუ მათთანეც ადამიანურ სულს ერთგეარად საშუალო პომიეცა ეკავა.<sup>26</sup>

ფინამორისა და დილონის აზრით, სულის შესახებ იამბლიქოსის შეხედულების თავისებურება უფრო სხეე კუთხით უნდა დავინახოთ: იამბლიქოსს მხოლოდ ის კი არ მიაჩნდა, რომ სული საშუალებაა, არამედ ისიე, რომ სულის მოქმედება

<sup>24</sup> იხ. Iambli., De Anima, Finamore/Dillon, p. 15.

<sup>25</sup> სულთა ამგეარი იერარქია ნეოპლაგონური ფილოსოფიის ცნობილი თემაა, რომელიც თავისებურად აირეკლა პროკლეს „თეოლოგიის საფუძვლების“ იონანე პეტრიწისეული თარგმანის 129-ე თავში და იმ კომენტარში, რომელიც პეტრიწმა ამ თავს დაურთო.

<sup>26</sup> Iambli., De Anima, Finamore/Dillon, p. 15.

ჯანსხვავებულია მამინ, როცა ის „გაიგონებს“ (ანუ გონის-მიერად ამროვნებს) იმისგან, როცა ის სხეულში მოქმედებს. უს იმას ნიშნავს, რომ თავად არსება სულისა ორმაგია. ალა-ჰიანის სული ერთდროულად გონებისმსგავსიყ არის და ცხოველის მსგავსიყ, მაგრამ არცერთი მათგანი არ არის მუდმივად. სული თავისი არსებით მუდმივად მოამროვნე რომ ყოფილიყო, ის გონება იქნებოდა, ხოლო მუდმივად ბუნების მოქმედებებში რომ ყოფილიყო ჩართული, მამინ ის მხოლოდ ცხოველური სული იქნებოდა. ამდენად, სული ორივეა ერთსა და იმავე დროს. ეს შუამავლობა სულის მუდმივი მდგომარეობაა, და სწორედ ეს არის იამბლიქოსის თეორიის თავისებურება.<sup>27</sup>

ადამიანური სულის ორმაგი არსების გამოსული აუცილებლობით იმყოფება სხეულში და ამაღლება (წინააღმდეგ შემთხვევაში მისი არსება განუხორციელებელი დარჩებოდა). სულის ამაღლება ხდება ან სიკვდილის შემდეგ ან ამქვეყნად თეურგის მეშვეობით. ამგვარად, თეურგია ადამიანის ბუნებრივი ნაწილია, ბუნებაშივე მოცემული. ბრძენი ადამიანები მას იყენებენ იმისათვის, რომ მათი სულები უმაღლეს დონემდე ამაღლდნენ და შუამავლის ფუნქცია შეასრულონ.<sup>28</sup>

რაც შეეხება სულთა ჩამოსვლას მაგერიალურ სამყაროში, იამბლიქოსის თანახმად, დემიურგი ყველა სულს აგზავნის კოსმოსში. ყველა სული მისდევს წარმმართველ დემეროსს, ანუ ერთ-ერთ პლანეტას ან ვარსკვლავს ყველა თანმხლები ანგელოზით, დემონითა და გმირით. ჩამოსულ სულთა სვედრი სხვადასხვაა. მათგან ზოგი განწმენდილია, თუმცა ისინიყ ზოგჯერ სხეულში არსებობენ. მათ შეუძლიათ კვლავ დაუკავშირდნენ ბე-ციურ გონებას და წმინდა „გაგონებაში“ ჩაღრმავდნენ. ყველა სული უნდა ჩამოვიდეს, მაგრამ წმინდა სულები ამას წმინდად და ნებაყოფლობით აკეთებენ. უფრო

<sup>27</sup> Iambl., De Anima, Finamore/Dillon, p. 15.

<sup>28</sup> Iambl., De Anima, Finamore/Dillon, p. 16.



მდაბალი სულები შეიძლება დაემუნენ სასჯელისთვის იმ დანაშაულთა ვამო, რომლებიც მათ წინა ცხოვრებაში ჩაიდინეს. ისინი არა თავისი ნებით ჩამოდიან. იამბლიქოსი სულთა ჩამოსვლის სამ სახეს არჩევს: 1. წმინდა სულები ნებით და თავისუფლად ეშვებიან, იმისათვის, რომ სამყარო უკეთესი გახადონ. ისინი ამქვეყნად ცხოვრობენ, მაგრამ ამქვეყნიურნი არ არიან. ასეთი სულები გვეხმარებიან ჩვენ, მოკვდავებს, რომ ხელახლა ავმალდეთ და ჩვენი ცხოვრება გაავუმჯობესოთ. 2. სულები, რომლებიც სასჯელს იმსახურებენ, იძულებულნი არიან დაბლა დაემუნენ და ამ ცხოვრებაში წარსული დანაშაულებისთვის მღონ. 3. ამ ორ უკიდურესობას შორის არის სულის ისეთი სახეობა, რომელმაც ვარკვეულ ვაუმჯობესებას მიაღწია წარსულ ცხოვრებაში, მაგრამ წმინდა სულის სტატუსს ჯერჯერობით ვერ მიაღწია. ის ნაწილობრივ თავისუფლად ეშვება, რადგან მაინც უნდა მღოს წინარე შეუდომებისთვის. მაგრამ, მეორე მხრივ, მას სურს კიდევ ჩამოსვლა, იმისათვის, რომ თავისი ხვედრი გაავუმჯობესოს და იღვაწოს იმისათვის, რომ წმინდა სულის სტატუსამდე ავალღეს.<sup>29</sup>

სიოცხლის თავისებურება განსაზღვრავს სულის ბედს სიკვდილის შემდგომ. იამბლიქოსის თანახმად, სული გაიელის გასამართლების, სასჯელისა და განწმენდის საფეხურებს. ეს მხოლოდ უკანასკნელი ორი გიჟის სულებს ეხება. წმინდა სული ამ სამივე სტადიისგან თავისუფალია, რადგან ის ისედაც წმინდაა. საბოლოოდ, განწმენდილი სულები ავალღებიან გონების სფეროში. ისინი ანგელოზების საფეხურზე იმყოფებიან და ღმერთებს სამყაროს მართვაში ეხმარებიან.<sup>30</sup>

ღმერთებთან და გონებასთან სულთა საბოლოო კავშირი იამბლიქოსისთვის არ ნიშნავს იმას, რომ სული იქცევა ღმერთად. ის მხოლოდ ავალღება ღმერთების სფერომდე.

<sup>29</sup> Iambl., De anima, Finamore/Dillon, p. 16-17.

<sup>30</sup> Iambl., De anima, Finamore/Dillon, p. 17-18.

სული მათ უკავშირდება ისე, რომ თავის იდენტურობას არ კარგავს. ის რომ გონება ან ღმერთი გამხდარიყო, თავის არსებას დაკარგავდა, ეს კი შეუძლებელია. ღმერთებთან ერთობის და ანგელოზთა სფეროში ყოფნის გარკვეული დროის შემდეგ სულები კვლავ დაბლა უნდა დაეშვან, იმისათვის, რომ თავისი არსებითი ფუნქციის მეორე ასპექტიც – ადამიანად ყოფნა და სხეულთან კავშირში არსებობა განახორციელონ.<sup>31</sup>

მოგვყავს რამდენიმე ფრაგმენტი იამბლიქოსის „სულის შესახებ“ ნაშრომიდან. ტექსტი მითითებულია და თარგმანი შესრულებულია ფინამორისა და დილონის ზემოთ აღნიშნული გამოცემის მიხედვით. ფრაგმენტების ნუმერაციაც ამავე გამოცემის მიხედვით არის მოცემული.

\*\*

Iambl., De Anima, Finamore/Dillon, p. 30, §§6-7: თუ სული უსხეულო არსებად მიგვაჩნია, ისმის კითხვა: არის თუ არა ყველაფერი სულში, მათ შორის გონითი სამყარო? ამ შეხედულებას მეტ-ნაკლებად ემხრობოდნენ, იამბლიქოსის თანახმად, ნუმენიოსი (საშუალო პლატონიზმის წარმომადგენელი), პლოტინი, ამელიოსი და პორფირიოსი (ნეოპლატონიკოსები). ასეთი თეალსაზრისი გულისხმობს იმას, რომ სული თავისი არსებით არაფრით განსხვავდება გონებისგან და ღმერთებისგან და არსთა უზენაეს გეართავან. საპირისპირო შეხედულების თანახმად, რომელსაც თავად იამბლიქოსი ემხრობა და გამოხატავს, სული წარმოადგენს დამოუკიდებელ პიქოსტასს, თუმცა ის მართლაც დაკავშირებულია გონებასთან. სულს გააჩნია საკუთარი არსება, ის არ არის გონება. სულის არსება გულისხმობს შუამავლობას განყოფად და განუყოფელ, სხეულებრივსა და უსხეულო სფეროებს შორის. ის არის უნივერსალური რაციონალური პრინციპების („ლოგოსების“)

<sup>31</sup> Iambl., De anima, Finamore/Dillon, p. 18.

ერთობლიობა, რომელიც სამყაროში ქმნადობის საფუძველია. იამბლიქოსის აზრით, ასეთია პლატონის, არისტოტელესა და „ძველთა“ შეხედულება. თავად ის, იამბლიქოსიც, მისივე თქმით, მას გამოხატავს.

### ტექსტი:

6. Ἰθι δὴ οὖν ἐπὶ τὴν καθ' αὐτὴν ἀσώματον οὐσίαν ἐπανίω-  
μεν, διακρίνοντας καὶ ἐπ' αὐτῆς ἐν τάξει τὰς περὶ ψυχῆς  
πάσας δόξας. Εἰσὶ δὴ τινες, οἱ πᾶσαν τὴν τοιαύτην οὐσίαν  
ὁμοιομερῆ καὶ τὴν αὐτὴν καὶ μίαν ἀποφαίνονται, ὡς καὶ ἐν  
ὄψοις αὐτῆς μέρει εἶναι τὰ ὅλα· οἵτινες καὶ ἐν τῇ μεριστῇ  
ψυχῇ τὸν νοητὸν κόσμον καὶ θεοὺς καὶ δαίμονας καὶ τάγαθὸν  
καὶ πάντα τὰ πρεσβύτερα ἐν αὐτῇ ἐνιδρύνουσι καὶ ἐν πᾶσιν  
ὡσαύτως πάντα εἶναι ἀποφαίνονται, οἰκείως μέντοι κατὰ τὴν  
αὐτῶν οὐσίαν ἐν ἑκάστοις. Καὶ ταύτης τῆς δόξης ἀναμ-  
φισβητήτως μὲν ἐστὶ Νουμῆνιος, οὐ πάντῃ δὲ ὁμολογουμένως  
Πλωτῖνος, ἀστάτως δὲ ἐν αὐτῇ φέρεται Ἀμέλιος· Πορφύριος  
δὲ ἐνδοιάζει περὶ αὐτὴν, πῇ μὲν διατεταμένως αὐτῆς ἀφισ-  
τάμενος, πῇ δὲ συνακολουθῶν αὐτῇ, ὡς παραδοθείη ἀνωθεν.  
Κατὰ δὴ ταύτην νοῦ καὶ θεῶν καὶ τῶν κρειττόνων γενῶν οὐδὲν  
ἢ ψυχῇ διενήνοχε κατὰ γε τὴν ὅλην οὐσίαν.

7. Ἄλλὰ μὴν ἢ γε πρὸς ταύτην ἀνθισταμένη δόξα χωρίζει  
μὲν τὴν ψυχὴν, ὡς ἀπὸ νοῦ γενομένην δευτέραν καθ' ἑτέραν  
ὑπόστασιν, τὸ δὲ μετὰ νοῦ αὐτῆς ἐξηγεῖται ὡς ἐξηρημένον  
ἀπὸ τοῦ νοῦ, μετὰ τοῦ κατ' ἰδίαν ὑφεστηκέναι αὐτοτελῶς,  
χωρίζει δὲ αὐτὴν καὶ ἀπὸ τῶν κρειττόνων γενῶν ὅλων, ἰδιον  
δὲ αὐτῇ τῆς οὐσίας ὄρον ἀπονέμει ἢτοι τὸ μέσον τῶν  
μεριστῶν καὶ ἀμερίστων <τῶν τε σωματικῶν καὶ ἀ>σωμάτων  
γενῶν, ἢ τὸ πλήρωμα τῶν καθόλου λόγων, ἢ τὴν μετὰ τὰς  
ιδέας ὑπηρεσίαν τῆς δημιουργίας, ἢ ζωὴν παρ' ἑαυτῆς  
ἔχουσαν τὸ ζῆν τὴν ἀπὸ τοῦ νοητοῦ προελθοῦσαν, ἢ τὴν αὐ-  
τῶν γενῶν ὅλου τοῦ ὄντως ὄντος πρόοδον εἰς ὑποδεεστέραν  
οὐσίαν. Περὶ δὴ ταύτας τὰς δόξας ὁ τε Πλάτων αὐτὸς καὶ ὁ  
Πυθαγόρας, ὁ τε Ἀριστοτέλης καὶ ἀρχαῖοι πάντες, ὧν  
ὀνόματα μέγαλα ἐπὶ σοφία ὑμνεῖται, τέλεως ἐπιστρέφονται,  
εἰ τις αὐτῶν τὰς δόξας ἀνιχνεύει μετ' ἐπιστήμης· ἡμεῖς τε

περὶ αὐτὰς τῆς μετ' ἀληθείας πραγματείας πάντων πει-  
ρασόμεθα ἐνστήσασθαι.

თარგმანი:

6. < მოდით, ახლა თავისთავად უსხეულო არსების განხილ-  
ვას შევედგეთ და მასთან მიმართებაში რიგ-რიგობით გავარ-  
ჩიოთ სულის შესახებ არსებული ყველა შეხედულება.  
მოგიერთს მიაჩნია, რომ მთელი ეს არსება ერთგვაროვანია  
და იგივეობრივი, რამდენადაც მის ნებისმიერ ნაწილში  
მთელიც მოიპოვება. ისინი ინდივიდუალურ სულშიც კი გონით  
კომოსს, ღმერთებს, ღემონებს, სიკეთესა და ყველა [სულზე]  
უწინარეს [არსს] ათავსებენ და, ამგვარად, აცხადებენ, რომ  
ყველაფერში არის ყველაფერი, ხოლო თითოეულში ის მათი  
არსების შესაბამისად [არის მოცემული]. ამ შეხედულების  
უღაო მომხრეა ნუმენიოსი, არც მთლად თანმიმდევრულად –  
პლოტინი, ხოლო ამელიოსი კი არც თუ მთლად მტკიცედ დგას  
ამ აზრზე. პორფირიოსს რაც შეეხება, ის ამ შეხედულებასთან  
დაკავშირებით გაორებულია, მას ხან მტკიცედ განუდგება,  
ხან კი ამ შეხედულებას იზიარებს, როგორც ზემოდან გადმო-  
ცემულს. ამ თვალსაზრისის მიხედვით, სული, მთლიანობაში  
თავისი არსებით, სულ არ განსხვავდება გონების, ღმერთე-  
ბისა და [მასზე] უფრო უკეთესი გვარებისგან.<sup>32</sup>

<sup>32</sup> იამბლიქოსი აკრიტიკებდა პლოტინს, რომელსაც სწამდა, რომ ადა-  
მიანის სულის ნაწილი მუდამ ზენა სამყაროში – გონით სფეროსთან  
მუდმივ კავშირში არსებობს (Iambli., De Anima, Finamore/Dillon, p. 90).  
იამბლიქოსის აზრს იზიარებდა პროკლე და, როგორც ჩანს, პეტრიწიყ.  
თავად პლოტინსაც თავისი ეს შეხედულება სხვებისგან განსხვავებუ-  
ლად, თავისებურად მიაჩნდა. პლოტინის „არათანმიმდევრობა“, ალბათ,  
იმას გულისხმობს, რომ ის, ერთი მხრივ, სულს გარკვეულწილად გო-  
ნითი სფეროს მკვიდრად მიიჩნევდა, მეორე მხრივ კი ამ პიპოსტასებს  
ერთმანეთისგან ასხვავებდა. რაც შეეხება პორფირიოსს, ფინამორისა  
და დილონის აზრით, იამბლიქოსი მას გადაჭარბებულად აკრიტიკებს:  
პორფირიოსის მე-10 სენტენციის თანახმად, „ყველაფერია ყველაფერში,  
მაგრამ თითოეულის არსების შესაბამისი სახით: გონებაში გონისეუ-  
ლად, სულში დისკურსიულად, მეცნარეებში თესლებრივად, სხეულებში

7. მოძღვრება, რომელიც ამას უპირისპირდება, ერთ-მანეთისგან განასხვავებს, ერთი მხრივ, სულს (ის გონებიდან წარმოიქმნა, მის შემდგომ არის და ჰიპოსტასით [გონებისგან] განსხვავებულია), მეორე მხრივ კი [სულის იმ ასექტს], რომელიც გონებასთან ერთად სულს უძღვება (ის გონებაზე და-მოკიდებული, თუმცა სრულიად თავისთავად არსებობს); [ეს მოძღვრება] აგრეთვე განასხვავებს სულს ყველა შემდგომი გვარისგან. საკუთრივ სულის განსაზღვრებად მას მიაჩნია შუამავლობა დაყოფად და განუყოფელ, სხეულოვან და უსხეულო გვართა შორის, ან უნივერსალურ პრინციპთა [„ლოგოსების“] სისაესე, ან იდეათა შემდეგ<sup>33</sup> დემიურგიისათვის [სამყაროს ქმნადობა-ჩამოყალიბებისათვის] ხელშეწყობა, ან სიციოცხლე, რომელსაც თავისთავად გააჩნია გონითი სფეროდან [მომდინარე] სიციოცხლე, ან კიდევ მთლიანად აღებული ჭეშმარიტად არსებულის<sup>34</sup> გვართა გამოსვლა უფრო დაბალი

სახონებით, ხოლო გრანსცენდენტურში – არა-გონისეულად და გუარსებითად“ (Iambli., De Anima, Finamore/Dillon, p. 90). პორფიროსის ამ შეხედულებისგან თითქოს არ განსხვავდება პროკლეს (და, მასთან ერთად, პეტრიწის) პრინციპი. საინტერესოა, გააკრიტიკებდა თუ არა იამბლიქოსი პროკლესაც, მისი თანამედროვე ან მასზე უმცროსი რომ ყოფილიყო? რაც შეეხება ამელიოსს, მას, პროკლეს თანახმად, მიაჩნდა, რომ სული შეიცავს კოსმოსში არსებულ ყველა არსს – ღმერთებს, დემონებს, ადამიანებს, პირუტყვებს. შეიძლება, ამას გულისხმობდა იამბლიქოსი, როცა სულთან მიმართებაში „ყველაფერია ყველაფერში“ პრინციპის განხილვისას ამელიოსი კრიტიკულად ახსენა. იხ. Iambli., De Anima, Finamore/Dillon, p. 91.

<sup>33</sup> „იდეაში“ იგულისხმება წინადა გონების სფეროს პრინციპები, რომლებიც გრანსცენდენტურად არიან ყველაფრის საფუძვლები. „ლოგოსები“, იამბლიქოსის მიხედვით, „იდეათა“ შემდგომი პრინციპებია, რომლებიც ქმნად სამყაროს უღვეს საფუძვლად, თუ შეიძლება ასე ითქვას, „იდეებთან“ შედარებით უფრო ნაკლებად გრანსცენდენტური სახით.

<sup>34</sup> პლატონიდან მომდინარე ტრადიციით, ნეოპლატონიკოსებთან ეს გერმინი აღნიშნავს პირველ არსებულს, მყოფს, რომელსაც უნივერსალურ იერარქიაში პირველი ადგილი უკავია ერთის, ქენადების, საზღვარუსაზღვრობის შემდეგ. „ჭეშმარიტად არსებული“ (ზუსტი თარგმანი იქნებოდა: „არსებულად არსებული“) გონით სფეროს მიეკუთვნება. იოანე პეტრიწი მას „ნამდულმყოფს“ უწოდებდა.

არსებისკენ. ამ მოძღვრებას საესეებით იზიარებდნენ თავად პლატონი და პითაგორა, აგრეთვე არისტოტელე და ყველა ძველი [მოაზროვნეები], რომელთა სახელები სიბრძნითაა განთქმული. ვინც მათ შეხედულებებს მეცნიერულად გამოიკვლევს [ამაში დარწმუნდება]. ჩვენ კი შევეცდებით მთელი ნაშრომი, რომელიც ჭეშმარიტებას შეეხება, ამ შეხედულებებზე დაეაფუძნოთ.<sup>35</sup> >

\*\*

Iambl., De Anima, Finamore/Dillon, p. 32, §§8-9: *იაზბლიქოსი განიხილავს სხვადასხვა ფილოსოფოსის შეხედულებას სულის აგებულების შესახებ.*

**გეუსტი:**

8. Τινὲς δὲ τῶν φυσικῶν σύννοδον τῶν ἐναντίων συνυφαίνουσιν, οἷον θερμοῦ καὶ <ψυχῶν>, ξηροῦ καὶ ὑγροῦ. [...] ἢ τὸν ἀναπνεόμενον ἀέρα ψυχὴν νομίζουσιν· ὡσπερ Ἀριστοτέλης μὲν ἐν τοῖς Ὀρφικοῖς ἐπεσὶ φησι λέγεσθαι τὴν ψυχὴν εἰσιέναι ἐκ τοῦ ὄλου ἀναπνεόντων ἡμῶν φερομένην ὑπὸ τῶν ἀνέμων· εἰοικε γε μὴν αὐτὸς ὁ Ὀρφεὺς χωρὶς ὑπολαμβάνειν εἶναι καὶ μίαν τῆς ψυχῆς, ἀφ' ἧς πολλὰς μὲν εἶναι διαιρέσεις, πολλὰς δὲ καὶ μέσας ἐπιπνοίας καθήκειν ἐπὶ τὰς μεριστὰς ψυχὰς ἀπὸ τῆς ὅλης ψυχῆς.

9. Τινὲς μὲν τῶν Ἀριστοτελικῶν αἰθέριον σῶμα τὴν ψυχὴν τίθενται· ἕτεροι δὲ τελειότητα αὐτὴν ἀφορίζονται κατ' οὐσίαν τοῦ θειοῦ σώματος, ἢ ἐντελέχειαν καλεῖ Ἀριστοτέλης.

**თარგმანი:**

8. < მოვიერთ ფიზიკოსს<sup>36</sup> მიაჩნია, რომ [სული] საპირისპირო [თვისებათა] ერთობაა, ისეთის, როგორიც არის თბილი

<sup>35</sup> იამბლიქოსის მიერ პლატონის და პორფიროსის შეფასება ამ საკითხში. გენდენციურია: ისინი, ალბათ, მის ღეფინიციებს დაეთანხმებოდნენ, იხ. Iambl., De Anima, Finamore/Dillon, p. 91-93.

<sup>36</sup> „ფიზიკოსი“, ანტიკური გრადიციით, იმ ფილოსოფოსს აღნიშნავს, ვინც ფსიქსის-ის, ანუ ბუნების შესახებ მსჯელობს.

და ცივი, მშრალი და სველი. [...] ან [სხეულში] შემონახვერ პა-  
ერს „სულს“ უწოდებენ. ასე, მაგალითად, არისტოტელეს თანა-  
ხმად, ორფიკულ ლექსებში ნათქვამია, რომ სული, ქარით მონა-  
ბერი, შემოდის [სხეულში] უნივერსუმიდან, როდესაც ესუნთ-  
ქათ. როგორც ჩანს, თავად ორფეუსს შიამჩნდა, რომ სული გან-  
ცალკევებულია და ერთია, და რომ მისგან მრავალი განაყოფი  
გამომდინარეობს, ხოლო მრავალი შუალედური სუნთქვა ინდი-  
ვიდუალურ სულებში ჩაეშვება უნივერსალური სულიდან.

9. ზოგიერთი არისტოტელეს მიმდევარი სულს წარმო-  
ადგენს ეთერულ სხეულად, ზოგიერთი კი მას განსაზღვრავს  
ღვთაებრივი სხეულის არსებისეულ სრულყოფილებად, რო-  
მელსაც არისტოტელე „მუღმივობას“ უწოდებს. >

\*\*

Iambl., *De Anima, Finamore/Dillon*, p. 34, §§10: როგორია  
მიმართება სულის არსებასა და მის პოტენციას (შესაძლე-  
ბლობას, ძალას) მორის? იამბლიქოსი სხვადასხვა შეხედულე-  
ბას განიხილავს. მსჯელობის წანამძღვარია პლატონურ-  
არისტოტელური თეალსაზრისი, რომლის თანახმად ყოველი  
არსი სამი ასპექტის ერთობლიობას წარმოადგენს. ეს არის  
არსება (სუბსტანცია, ბერძნ. οὐσία), ძალა (პოტენცია,  
შესაძლებლობა, ბერძნ. δύναμις) და მოქმედება (ენერჯია,  
განხორციელება, ბერძნ. ἐνέργεια). სულის შემთხვევაში სა-  
კითხს ის ართულებს, რომ ის ხშირად სხეულთან ერთობაში  
იმყოფება და საკამათო საკითხია, არის ის მარტივი სუბსტან-  
ცია თუ არა. პეტრიწული გრადიციით, ჩვენ ამ სამ სიგყვას  
(თუ საგანგებოდ სხვა შესაგყვისზე არ მივეთუთეთ)  
ვთარვზნით „არსებად“, „ძალად“ და „მოქმედებად“. სულის  
მოქმედების გარდა, მომდევნო ქვეთავებში (§§17-19) იამ-  
ბლიქოსი განიხილავს სულის ქმედებებსაც (აქტებს, „საქმე-  
ებს“, ბერძნ. τὰ ἔργα). სულის ძალთა განხილვისას იამ-  
ბლიქოსი უპირსიპირებს პლატონისა და არისტოტელეს

მეხედულებებს (ისინი მას მართებულად მიაჩნია), რომელთა თანახმად სული არ არის შედგენილი არსება და ძალები თავად სულს განეკუთვნება, სტოიკოსებისა და გვიანდელი პერიოდის პერიპატეტიკოსების მეხედულებებს (იამბლიქოსს ისინი არასწორად მიაჩნია), რომლებიც ამტკიცებენ, რომ სული სხეულია.<sup>37</sup>

### ბექსტი:

10. Πλάτων μὲν οὖν οὐχ ὡς ἑτέρας τὰς δυνάμεις ἐν ἑτέρα τῇ ψυχῇ ἐνεῖναι ἡγείται, συμφύτους δ' αὐτὰς καὶ κατὰ μίαν ἰδέαν συνσφεσθηκέναι λέγει διὰ τὴν ἀσύνθετον οὐσίαν τῆς ψυχῆς. Ἀριστοτέλης δὲ ὡσαύτως ἀπλὴν οὐσίαν, ἀσώματον, εἶδους τελεσιουργὸν τὴν τῆς ψυχῆς ὑποθέμενος, οὐ ποιεῖ τὰς δυνάμεις ὡς ἐν συνθέτῳ τινὶ τῇ ψυχῇ παρούσας. Ἀλλὰ μὴν οἷγε ἀπὸ Χρυσίππου καὶ Ζήνωνος φιλόσοφοι καὶ πάντες ὅσοι σῶμα τὴν ψυχὴν νοοῦσι τὰς μὲν δυνάμεις ὡς ἐν τῷ ὑποκειμένῳ ποιότητος συμβιβάζουσι, τὴν μὲν δυνάμεις ὡς οὐσίαν προϋποκειμένην ταῖς δυνάμεσι προτιθέασιν, ἐκ δ' ἀμφοτέρων τούτων σύνθετον φύσιν ἐξ ἀνομοίων συνάγουσιν.

Ταύτη τοίνυν αἱ δυνάμεις αὐτῆς τῆς ψυχῆς καθ' αὐτὴν ἢ τοῦ ἔχοντος τοῦ κοινοῦ μετὰ τοῦ σώματος θεωρουμένου ζῶου, καθ' οὗς μὲν ψυχὴ διττὴν ζῶην ζῆ, καθ' αὐτὴν τε καὶ μετὰ τοῦ σώματος, ἄλλως μὲν πάρεισι τῇ ψυχῇ, ἄλλως δὲ τῷ κοινῷ ζῶα, <ὡς> κατὰ Πλάτωνα καὶ Πυθαγόραν · καθ' οὗς δὲ μία ζῶη τῆς ψυχῆς ἐστὶν ἢ τοῦ συνθέτου, συγκεκραμένης τῆς ψυχῆς τῷ σώματι, ὡς οἱ Στωικοὶ λέγουσιν, ἢ δούσης ὅλην τὴν ἑαυτῆς ζῶην εἰς τὸ κοινὸν ζῶον, ὡς οἱ Περιπατητικοὶ διισχυρίζονται, κατὰ τούτους εἰς ἐστὶν ὁ τρόπος τῆς παρουσίας αὐτῶν ὁ ἐν τῷ μετέχουσιν ἢ ἐν κεκράσθαι τῷ ὅλῳ ζῶα.

### თარგმანი:

10. < პლატონს > არ მიაჩნია, რომ ძალები სულში მისგან განცალკავებულნი არიან. ის ამბობს, რომ ძალები სულთან

<sup>37</sup> Iambli., De Anima, Finamore/Dillon, p. 101.



ბუნებრივად არიან შერწყმული და მასთან ერთად ერთიანი ფორმის სახით არსებობენ, რადგან სულის არსება შედგენილი არ არის.<sup>38</sup> ასევე არისგოგელე, რომელსაც მიაჩნია, რომ [სულის] არსება არის მარტივი, უსხეულო, [სიცოცხლის] ფორმის შემქმნელი, არ უშეებს, რომ ძალები მოცემულია სულში როგორც ერთგვარ კომპოზიციში.<sup>39</sup> განსხვავებულია ქრისტიანობისა და ბენონის<sup>40</sup> მიმდევარ ფილოსოფოსთა და სხვა ყველას თვალსაზრისი, ვინც სულს სხეულად მოიაზრებს, ძალებს წარმოადგენს თვისებებად, რომლებიც ქვემდებარეში [ანუ სუბსტრატში] არის თავმოყრილი, ხოლო სულს მიიჩნევს ქვემდებარედ, რომელიც ძალებს უღევს საფუძვლად, და შედგენილ ბუნებას ამ ორი განსხვავებული [საწყისის, ანუ, ერთი მხრივ, ძალებიდან, მეორე მხრივ კი სულიდან წარმომდგარ] ნაერთად წარმოადგენს.

ამგვარად, ძალები [განეკუთვნება] თავად სულს ან იმ ზიარ ცოცხალ არსებას, რომელიც, როგორც ფიქრობენ,

<sup>38</sup> პლატონის „ფედროსი“ (Phdr. 78 b) თანახმად, სული არ არის შედგენილი, თუმცა სხვაგან პლატონი სულთა ნაწილებზე მიუთითებს: R. 435 a-442 d, 580 de, Phdr. 246 ab, 253 c-e, Ti. 89 e. „ტიმეოსში“ ნათქვამია, რომ სულის სამი ნაწილი სხეულის სამ სხედასხვა ნაწილს შეესაბამება (Ti., 69 b-71 a). მიუთითებულია წიგნიდან Iambli., De Anima, Finamore/Dillon, p. 101.

<sup>39</sup> გექსტის გამომცემელთა აზრით, ეს არის არა არისგოგელე თავისთავად. არამედ არისგოგელე იამბლიქოსის ინტერპრეტაციით. საქმე ის არის, რომ არისგოგელეს განსაზღვრებით, სული არის პირველი ენტელექტია ბუნებრივი სხეულისა, რომელსაც პოგენციურად გააჩნია სიცოცხლე“; *Actus de An.* 412 a 27. ამგვარად, იამბლიქოსის აზრით, არისგოგელე და პლატონი ერთმანეთს ეთანხმებიან იმაში, რომ სულის არსება მარტივია და ის სხეულოვან ძალებთან დროებით ერთობაში შედის. სული სხეულს მთლიანად არ ეძლევა, ის სხეულისგან განცალკავებულია და მისგან საბოლოოდაც განცალკავებულია. ეს თვალსაზრისი განსხვავდება სტოიკოსებისა და მაკრიიალისტების შეხედულებებისგან, რომელთა თანახმად სული არის კომპოზიტი: თავად სულისა და სხეულოვანი ძალების ერთობლიობა, რომელიც მთლიანად სხეულშია მოცემული. იხ. Iambli., De Anima, Finamore/Dillon, p. 101.

<sup>40</sup> სტოიკოსებისა შეხედულებისთვის იხ. *Stoicorum veterum fragmenta* (შემოკლებულად: SVF) II, 826. მიუთითებულია Iambli., De Anima, Finamore/Dillon, p. 101.

[სული] სხეულთან ერთად ფლობს. ვისაც მიაჩნია, რომ სული ორმაგი ცხოვრებით ცხოვრობს (ანუ [ის ცხოვრობს] თავის-თავადაც და სხეულთან ერთადაც), მათი აზრით, [ეს ძალები] სხვაგვარად არის მოცემული სულში და სხვაგვარად ზიარ ცოცხალ არსებაში; ასე ფიქრობენ პლატონი და პითაგორა. ხოლო ვისაც მიაჩნია, რომ არსებობს სულის ერთიანი ცხოვრება და ის არის კომპოზიტი (იმიტომ რომ სული სხეულთან არის შერწყმული, როგორც ეს სტოიკოსებს მიაჩნიათ, ან იმიტომ, რომ [სული] საკუთარ სიცოცხლეს [მასთან] მოზიარე ცოცხალ არსებას ანიჭებს, როგორც ამას პერიპატეტიკოსები ამტკიცებენ), მათი შეხედულებით, სახეზეა [ძალთა] არსებობის ერთი გზა, რომელიც ზიარებაში ან მთელ ცოცხალ არსებასთან შერწყმაში გამოიხატება. >

\*\*

Iambl., De Anima, Finamore/Dillon, p. 39-41, §§13-15: *სულის რომელი ძალები ეკუთვნის სულის არსებას და რომელი – არა? ანუ რომელი ძალები ეკუთვნის სულსა და სხეულს ერთად? იამბლიქოსი განიხილავს სულის არა-გონისეულ (ირაკიონალურ) ძალებს: მეგრძნებას, წარმოსახვას, მეხსიერებას და განსჯას, და ადარებს სხვადასხვა ფილოსოფოსთა შეხედულებებს მათ შესახებ სულის არსებასთან მიმართების თვალსაზრისით.*

**ტექსტი:**

13. Πλωτίνος αὐτῆς ἀφαιρεῖ τὰς ἀλόγους δύναμεις, τὰς αἰσθήσεις, τὰς φαντασίας, τὰς μνήμας, τοὺς λογισμοὺς· μόνον δὲ τὸν καθαρὸν λογισμὸν εἰς τὴν καθαρὰν οὐσίαν αὐτῆς ἀνατείνει, ὡς ἔχοντα συμφυῆ δύναμιν πρὸς αὐτὴν τὴν τῆς οὐσίας ἰδέαν.

Οἱ δὲ περὶ Δημόκριτον Πλατωνικοὶ πάντα ταῦτα τὰ εἶδη τῶν δυνάμεων εἰς τὴν οὐσίαν αὐτῆς συνάγουσιν.

Ὁ δὲ Πλάτων καὶ αὐτὰς ἑαυτῶν ποιεῖ καὶ τῶν ζώων, καθ' ἑτέραν ἑτέραν ζῆν διοριζόμενος ἑκάτερον.

Οἱ δὲ περὶ Πορφύριον καὶ Πλωτῖνον ἐκάστω μέρει τοῦ παντὸς τὰς οἰκείας δυνάμεις προβάλλεσθαι ὑπὸ τῆς ψυχῆς ἀποφαίνονται, καὶ ἀφίεσθαι μὲν καὶ μηκέτι εἶναι τὰς ζωὰς τὰς ὀπωσοῦν προβληθείσας [οἱ περὶ Πορφύριον καὶ Πλωτῖνον Πλατωνικοὶ] ἀφορίζονται παραπλησίως τοῖς ἀπὸ τοῦ σπέρματος φυομένοις, ὅπουταν εἰς ἑαυτὸ ἀναδράμη τὸ σπέρμα· εἶναι δὲ καὶ ταύτας ἐν τῷ παντὶ καὶ μὴ ἀπόλλυσθαι τάχα ἀντις ἐπινοήσῃε καινότερον, οὐκ ἀπιθάνως.

14. Τούτων οὐσῶν τῶν κοινοτάτων δυνάμεων εἰσὶ καὶ ἄλλαι τῆς ψυχῆς δυνάμεις, κατ' αὐτὴν μὲν, οὐ μὴν συμπληρωτικαὶ αὐτῆς, ὡς ἡ μνήμη κατυχὴ οὐσα φαντάσματος.

15. Πάλιν τοίνυν περὶ τοῦ νοῦ καὶ πασῶν τῶν κρειττόνων δυνάμεων τῆς ψυχῆς οἱ μὲν Στωικοὶ λέγουσι μὴ εὐθὺς ἐμφύεσθαι τὸν λόγον, ὕστερον δὲ συναθροίζεσθαι ἀπὸ τῶν αἰσθήσεων καὶ φαντασιῶν περὶ δεκατέσσαρα ἔτη.

Οἱ δ' ἀπὸ Πλάτωνος καὶ Πυθαγόρου παρῆναι μὲν καὶ ἐν τοῖς ἀρτιγενέσι τὸν λόγον φασί, ἐπισκοτεῖσθαι γε μὴν [ἐν] τοῖς ἔξωθεν καὶ μὴ ἐνεργεῖν τὴν οἰκείαν ἐνέργειαν, ἀλλ' ἡσυχάζειν.

Ἦδη τοίνυν περὶ τοῦ νοῦ πολλοὶ μὲν Περιπατητικοὶ τὸν ἐκ σπέρματος καὶ [τὸν] ἀπὸ τῆς φύσεως ἄλλον νοῦν ὑποθέμενοι, ὡς αὐτίκα μάλα ἀποβλαστάνοντα ἀπὸ τῆς πρώτης γενέσεως, καὶ χωριστὸν καὶ θύραθεν ἐπικαλούμενον ἕτερον παραγίγνεσθαι λέγουσιν ὀψιμαίτατα, ἐπειδὴν τελειωθῆ μὲν ὁ κατὰ δύναμιν νοῦς, ἐπιτηδείως δὲ μετέχη τῆς κατ' ἐνέργειαν νοήσεως.

Πολλοὶ δὲ αὐτῶν τῶν Πλατωνικῶν καὶ τὸν νοῦν τῇ ψυχῇ ἅμα τῇ πρώτῃ εἰσόδῳ αὐτῆς εἰς τὸ σῶμα συνεισάγουσιν, οὐδὲ εἶναι ὕλως ἑτέραν μὲν αὐτὴν, ἕτερον δὲ αὐτῆς τὸν νοῦν.

თარგმანი:

13. < პლოტინი სულის აზროებს არავინისეულ ძალებს [პოტენციებს], ისეთებს, როგორცაა შეგრძნება, წარმოსახვა, მუხსიერება, განსჯა. ის მხოლოდ წმინდა აზროვნებას მიაკუთვნებს სულის წმინდა არსებას, იმიტომ, რომ მას გააჩნია

ძალა [პოტენცია], რომელიც დაკავშირებულია [სულის] არსების თავისებურებასთან.<sup>41</sup>

დემოკრიტე და მისი მიმდევარი პლატონიკოსები კი ძალთა ყველა ამ გვარს სულის არსებას მიაკუთვნებენ.<sup>42</sup>

პლატონის აზრით კი ეს ძალები თავად სულებსაც განეკუთვნება და ცოცხალ არსებებსაც; ის თითოეულ მათგანს მისთვის დამახასიათებელი ცხოვრების მიხედვით განასხვავებს.<sup>43</sup>

პორფირიოსისა და პლოტინის მიმდევრებს მიაჩნიათ, რომ სული თავის ძალებს უნივერსუმის ყველა ნაწილში ავრცელებს. მათი აზრით, სიცოცხლეები, რა სახითაც არ უნდა იყვნენ ისინი გავრცელებულნი, მიწელებიან და ქრებიან, თესლიდან აღმოცენებული მცენარეების მსგავსად იმ მომენტში, როცა თესლი საკუთარ თავში უკუიქცევა.<sup>44</sup> შეიძლება კაც-

---

<sup>41</sup> ანალოგიური აზრი პლოტინმა გამოთქვა I. I ენეადაში. იამბლიქოსის ამ ტექსტის გამომცემელთა აზრით, იამბლიქოსი აქაც, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, მეტისმეტად მარტივად წარმოადგენს პლოტინის თეალ-საზრისს, რომელიც სულ არ არის ერთმნიშვნელოვანი. სხვაგან პლოტინი ახასიათებს სულს, როგორც „ერთგვარ ჟორმას“ (I, 1, 2), რომელიც მუდამ ის არის, რაც არის, და მას არაფერი არ აქვს გარედან მიყენებული, მათ შორის დისკურსიული აზროვნება ან შეხედულება. სხვაგან კი პლოტინი ამბობს, რომ შეგრძნება საკუთრივ სულის კუთვნილება არ არის (I, 1, 7). იხ. Iambli., De Anima, Finamore/Dillon, p. 114.

<sup>42</sup> პლატონიკოსი დემოკრიტე, ეს საკმაოდ უცნობი პიროვნება, საინტერესო ფიგურად მიაჩნიათ საქცილისკებს. მის შესახებ ცნობებს გვაწვდიან ლონგინოსი, პროკლე, დამასკიოსი, ოლიმპიოდორე. იხ. Iambli., De Anima, Finamore/Dillon, p. 115.

<sup>43</sup> იამბლიქოსის აზრით (რაც, მისი თქმით, პლატონის აზრია), ზოგიერთი ირაციონალური ძალა თავად სულის კუთვნილებაა, ზოგიერთი კი სულისა და სხეულის ერთობლიობას ახასიათებს.

<sup>44</sup> თესლისთვის ამ ცოცხალ ურთულ მოქმედების გასაგებად გამომცემლები ასეთ შედარებას ვეთავაზობენ: თესლი წარმოვიდგინოთ ბოლქვად. ავიღოთ, მაგალითად, გიგის ბოლქვი: ის შეიძლება შევადაროთ სულს, რომელიც საკუთარ თავში ყოფნის მდგომარეობაშია, ხოლო გიგა, როგორც მცენარე და მისი ყვაილი – ირაციონალური ძალებია. ბოლქვი მცენარეს „გამოუშვებს“, ასევე სული თავის ძალებს „ასხივებს“. როცა ბოლქვი „საკუთარ თავს უბრუნდება“, მცენარე ჭკნება, ისევე, როგორც სულის ძალები მიწელება, მაგრამ თვითონ ბოლქვი განაგრძობს

მა არცთუ არაღამაჯერებლად წამოაყენოს ახალი თეორია იმის შესახებ, რომ ეს ძალები უნივერსუმში [კელაეაქ] არსებობენ და არ ისპობიან.<sup>45</sup>

14. ეს არის ყველაზე უფრო საზოგადო ძალები, მაგრამ არსებობს სულის სხვა ძალებიც, რომლებიც საკუთრივ სულისაა, თუმცა მის [ძირითად] შემადგენელ [ნაწილს] არ წარმოადგენს; ასეთია ხსოვნა, რომელიც წარმოსახვის მეჩერებაა.<sup>46</sup>

15. და ისევე, რაც შეეხება გონებასა და სულის საუკეთესო ძალებს, სტოიკოსები ამბობენ, რომ ამროვნება იმთავითვე კი არ არის [სულში] აღმოცენებული, არამედ მისი შექმნა ხდება თოთხმეტი წლის ასაკში შეგრძნებებისა და წარმოსახვის საფუძველზე.<sup>47</sup>

ხოლო პლაგონისა და პითაგორელების მიმდევრები ამბობენ, რომ ამროვნება იმთავითვე ახალშობილს თანა სდევს, თუმცა ის გარეგანი ზემოქმედებით არის დაბინდული და საკუთარი ენერგიით კი არ მოქმედებს, არამედ განისვენებს.<sup>48</sup>

ახლა კი, რაც შეეხება გონებას, მრავალი პერიპატეტიკოსი მიიჩნევს, რომ თესლიდან და ბუნებიდან სხვა გონება აღმოცენდება, რომელიც დაბადებისთანავე იჩენს თავს. ხოლო განცალკავებადად და გარედან შემოსულად<sup>49</sup> იწოდება მეო-

---

სიუცხლეს და შემდეგ მისგან ახალი მცენარე აღმოცენდება. იხ. Iambli., De Anima, Finamore/Dillon, p. 116.

<sup>45</sup> იამბლიქოსის ამრით, ირაციონალური ძალები განაგრძობენ არსებობას სხეულის სიკედილის შემდეგაც და ისინი სამყაროში არიან გავრცელებული. თავისთავად, სული არის მარტივი და შეუღვენელი არსება. ის სხეულში შემოსულისას ცვლილებას განიცდის. იხ. Iambli., De Anima, Finamore/Dillon, p. 117.

<sup>46</sup> შტრ. Arist., Mem., 451 a 14. იმბლიქოსისთვის მესხიერება საკუთრივ სულის ძალაა, თუმცა მისი არსებითი ნაწილი არ არის. იხ. Iambli., De Anima, Finamore/Dillon, p. 117.

<sup>47</sup> სტოიკოსებისთვის იხ. SVF 2, 841. იხ. Iambli., De Anima, Finamore/Dillon, p. 117.

<sup>48</sup> Plat., Tim. 43 d-44 a, Procl., In Ti., III, 348, 6 – 21 ed. Diehl. იხ. Iambli., De Anima, Finamore/Dillon, p. 118.

<sup>49</sup> ἄρσθεν: გარედან, „კარიდან“, ე.ი. არა თანდაყოლილი, არამედ გარედან მონიჭებული. ეს არის არისტოტელური ვამოთქმა, რომელსაც ბერძნული ფორმით („თურათენ“) პეტრიწიუ ხმარობს. იხ. Arist., GC 736 b 28.

რე [გონება], რომელიც მაშინვე წარმოიქმნება, მაგრამ გვიან აღმოცენდება, მაშინ, როდესაც აღსრულების ფაზაში შედის პოტენციური გონება. და სათანადოდ მონაწილეობს მოქმედ აზროვნებაში<sup>50</sup>.

მეორე მხრივ, თავად პლატონიკოსთა შორის მრავალი მიიჩნევს, რომ გონება მოცემულია სულში მაშინვე, იმ დროს, როდესაც [სული] პირველად შემოდის სხეულში; და მათ არ მიაჩნიათ, რომ სული და გონება სრულიად სხვადასხვა რამ არის. >

\*\*

Iambl., *De Anima, Finamore/Dillon*, p. 44, §§17-19: *სულის ძალების (პოტენციების) განხილვიდან იამბლიქოსი სულიერ ქმედებაზე ვადადის. აქვს თუ არა ყველა სულს ერთნაირი ქმედება, თუ სულთა ქმედებები განსხვავდება სულთა რანგის მიხედვით, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი და იგივეა თუ არა უნივერსალური და ინდივიდუალური სულების ქმედებები? ამ საკითხთან დაკავშირებითაც იამბლიქოსი სხვადასხვა შეხედულებას იხილავს.*

ტექსტი:

17. Πότερον οὖν πασῶν τῶν ψυχῶν τὰ αὐτὰ ἔργα ἀποτελεῖται, ἢ τὰ μὲν τῶν ὀλων τελεώτερα, τὰ δὲ τῶν ἄλλων ὡς ἕκασται διειλήχασιν τὴν προσήκουσαν ἑαυταῖς τάξιν; Ὡς μὲν οἱ Στωικοὶ λέγουσιν, εἷς τὲ ἔστιν ὁ λόγος καὶ ἡ αὐτὴ πάντως διανόησις καὶ τὰ κατορθώματα ἴσα καὶ αἱ αὐταὶ ἀρεταὶ τῶν τε μεριστῶν καὶ τῶν ὀλων· καὶ πού Πλωτῖνος καὶ Ἀμέλιος ἐπὶ ταύτης εἰσὶ τῆς δόξης (ἐνίοτε γὰρ < οὐχ > ὡς ἄλλην τὴν μεριστὴν ψυχὴν παρὰ τὴν ὀλην, μίαν δὲ αὐτὴν πρὸς ἐκείνην εἶναι ἀφορίζονται)· ὡς δ' ἂν εἴποι Πορφύριος,

<sup>50</sup> ანუ ისეთ აზროვნებაში, რომელიც პოტენციური აზროვნება კი აღარ არის, არამედ მოქმედი, „უერვიაში მყოფი“, აქტუალური, განხორციელებული აზროვნებაა.

πάντη κεχώρισται τὰ τῆς ὅλης ψυχῆς παρὰ τὴν μεριστὴν ἐνεργήματα.

18. Γένοιτο δὲ κἂν ἄλλη δόξα οὐκ ἀπόβλητος, ἢ κατὰ γένη καὶ εἶδη τῶν ψυχῶν ἄλλα μὲν τὰ τῶν ὄλων παντελῆ, ἄλλα δὲ τὰ τῶν θείων ψυχῶν ἀχραντα καὶ ἄσφαλα, ἕτερα δὲ τὰ τῶν δαιμονίων δραστήρια, τὰ δὲ τῶν ἥρωικῶν μεγάλα, τὰ δὲ τῶν ἐν τοῖς ζώοις καὶ τοῖς ἀνθρώποις θνητοειδῆ καὶ τὰ ἄλλα ὡσαύτως ἔργα διαιρουμένη. Τούτων δὲ διωρισμένων καὶ τὰ ἐχόμενα τούτων τὴν ὁμοίαν λήψεται διάκρισιν.

19. Οἱ μὲν γὰρ μίαν καὶ τὴν αὐτὴν πανταχοῦ ψυχὴν διατείνοντες ἦτοι γένει ἢ εἶδει, ὡς δοκεῖ Πλωτίνω, ἢ καὶ ἀριθμῷ, ὡς νεανιεύεται οὐκ ὀλιγάκις Ἀμέλιος, εἶναι αὐτὴν ἐροῦσιν ἄπερ ἐνεργεῖν. Οἱ δ' ἀσφαλέστερον τούτων διατατόμενοι καὶ προόδους προχωρεῖν εἰς τὸ πρόσω, οἷους ἂν τις θείῃ τοὺς καινῶς μὲν ἀπταίστως δὲ ἀντιλαμβανομένους τῶν λόγων, τὰ μὲν τῶν ὄλων ψυχῶν καὶ θείων καὶ ἄσλων ἐνεργήματα ἐροῦσιν οὗτοι πάντως δῆπου καὶ εἰς οὐσίαν ἀποτελεῦσιν· τὰ δὲ τῶν μεριστῶν κρατουμένων ἐν ἐνὶ εἶδει καὶ διαιρουμένων περὶ τοῖς σώμασιν οὐδαμῶς συγχωρήσουσιν εὐθὺς εἶναι ταῦθ' ἄπερ ἐνεργοῦσι.

### თარგმანი:

17. < ყველა სული ერთსა და იმავე ქმედებებს ასრულებს? თუ უნივერსალური სულების [ქმედებები] უფრო სრულყოფილია, დანარჩენი სულებისა კი ისეთია, როგორი რიგიც ერთ მათ წილად? სტოიკოსები ამბობენ, რომ ინდივიდუალური და უნივერსალური სულების რაციონალური საწყისი ერთია, [მათი] განსჯა სრულიად იგივეა, სწორი ქმედებები ერთნაირია და სიქველენიც ერთი და იგივეა. როგორც ჩანს, პლოტინი და ამელიოსიც ამ ამრს [იზიარებენ], რადგან ზოგჯერ ისინი ინდივიდუალურ სულს განსაზღვრავენ არა როგორც უნივერსალური სულისგან განსხვავებულს, არამედ როგორც მასთან მიმართებაში იგივეს. თუმცა, პორფიროსის

თანახმად, უნივერსალური სულის ქმედებები სრულიად განსხვავდება ინდივიდუალური სულისგან.<sup>51</sup>

18. სხვა შეხედულებაც არსებობს, რომლის უგულებელყოფა არ შეიძლება.<sup>52</sup> ის განასხვავებს სულებს გვარ-სახეობათა მიხედვით და მიიჩნევს, რომ ერთმანეთისგან განსხვავებულია უნივერსალური სულების სრულყოფილი ქმედებები, ღვთაებრივ სულთა წმინდა და არამატერიალური ქმედებები, ღმონურ სულთა ქმედითობა, გმირულ სულთა დიდებული ქმედებები, ცხოველებისა და ადამიანების სულთა მოკვდავობით დაღდასმული ქმედებები და ასე შემდეგ.<sup>53</sup> ხოლო მათი ერთმანეთისგან განსხვავება-განსაზღვრების საფუძველზე განისაზღვრება ისიც, რაც მათი მფლობელია.

19. ვინც ფიქრობს, რომ სული ყველგან ერთი და იგივეა, როგორც გვართ, ასევე სახეობით (ასეთია პლოტინის შეხედულება), ან რიცხოვრივად (როგორც ამას არც თუ იმ-

---

<sup>51</sup> ტექსტის გამომკვემელთა თქმით, ვერ ეიგყვიოთ, რომელ წყაროებს ეყრდნობა იამბლიქოსის ეს ფრაგმენტი. საქმე ის არის, რომ პორფირიოსის შეხედულება სულთა სხვადასხვაობის შესახებ განსხვავდება პლოტინის შეხედულებისგან. პორფირიოსი განასხვავებს სულს, როგორც მთელს, მრავალი ინდივიდუალური სულისგან, იმ აზრით, რომ სული როგორც მთელი არ არის ინდივიდუალური სულების უბრალო ჯამი. მაგრამ ეს თეალსაზრისი, რომელსაც პორფირიოსი თავის „სენტენციებში“ გამოთქვამდა, თავის მხრივ, ეყრდნობოდა პლოტინის ენეალებს, 6, 4, 4. იხ. Iambli., De Anima, Finamore/Dillon, p. 126.

<sup>52</sup> ერთგვარი ანონიმურობით, იამბლიქოსი საკუთარი შეხედულების გადმოცემას იწყებს.

<sup>53</sup> ღვთაებრივ, ღმონურ („ემმაკებრივ“) და გმირთა („იროთა“) სულების განსხვავებისთვის გაეიხსენოთ პროკლეს „თეოლოგიის საფუძვლების“ იოანე პეტრიწისეული თარგმანის 129-ე თავი და მისივე კომენტარი ამ თავზე. იამბლიქოსი განასხვავებს, ერთი მხრივ, წმინდა, ტრანსცენდენტურ სულებს, ხოლო მეორე მხრივ, ციურ ღმერთთა სულებს, ღმონურ, გმირებისა და, ბოლოს, მოკვდავთა სულებს. ანალოგიური კლასიფიკაცია მოცემულია იამბლიქოსთან „მისტერიების შესახებ“ წიგნში (Iambli., De Mysteriis, 1, 5-7), მას პროკლეს გადმოსცემს „ტიმპიონის“ კომენტარში (Procl., In Ti. III, 245, 19 – 246, 4; 247, 16-25 ed. Diehl). იხ. Iambli., De Anima, Finamore/Dillon, p. 126-128.



ვითადა ამელიოსი აცხადებს ინფანტილურად), ის იცყვის, რომ სული იგივეა, რაც მისი მოქმედება.<sup>54</sup> ხოლო სხეები უფრო მეტი სიმუსტიტით განასხვავებენ [სულებს] და აღგენენ, რომ სულის არსებათა პირველადი, მეორადი და მესამე რანგის გამოსვლა არსებობს, რომლითაც სულები წინ მიიწევენ [ქმნილებათა სამყაროში].<sup>55</sup> ვინც ხედავს, რომ ამ შეხედულებების მიმდევარნი ახლებურ, მაგრამ საფუძველიან არგუმენტებს წამოაყენებენ მოცემულ საკითხებზე, იცყვის, რომ უნივერსალურ, ღვთაებრივ და არამატერიალურ სულთა ქმედებები მთლიანად სრულდება მათ არსებაშიც. მაგრამ ისინი არასდროს დათანხმდებიან იმაზე, რომ ინდივიდუალური სულები, რომლებიც ერთ [გარკვეულ] ფორმამია მოცემული და სხეულებზეა დანაწილებული, მყისიერად იგივეა, რაც მათი ქმედებები.<sup>56</sup> >

\*\*

<sup>54</sup> იამბლიქოსი უპირისპირდება იმ ფილოსოფოსებს, რომლებსაც ყველა სული არსებითად იდენტურად მიაჩნდათ. ამელიოსის შესახებ წყარო ჯერ-ჯერობით დაუდგენელია. გამომცემელთა აზრით, ის შეხედულება, რომელსაც იამბლიქოსი ამელიოსს მიაწერს, გამოთქმულია ქონდა თეოდორე ასინელს, რასაც „ტიმაიოსზე“ პროკლეს კომენტარი ადასტურებს (Procl., In Ti. III, 246, 23 – 28 ed. Diehl). იხ. Iambli., De Anima, Finamore/Dillon, p. 128-129.

<sup>55</sup> ისევ ერთგვარი ანონიმურობით და ფრთხილად (თან შეფარული ქებით) იამბლიქოსი საკუთარი თეალსაზრისის გამოხატვას შეუდგება.

<sup>56</sup> სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წმინდა, ღვთაებრივ სულთა ქმედებები სხვა იდენტურა მათ არსებებში და ეს ქმედებები შესაბამისი არსებების იდენტურია, ხოლო ინდივიდუალური სულები (პეტრიწის ენით რომ ვთქვათ, „ნაწილებითი“ სულები) არსებით თავისი ქმედებების იგივეობრივნი არ არიან, ანუ მათი ქმედებები იგივე არ არის, რაც მათი არსება. ღვთაებრივი სულების ქმედება მუდამ სრულდება, ინდივიდუალურებისა კი – არა. თუ რატომ არის ეს ასე, თავისებურად ახსნილი აქვს პლოტინს: იმიტომ, რომ ყველაფერს, რაც სულშია მოცემული, ჩვენ მაშინათვე ვერ ვწვდებით, ვერ ვაყნობიერებთ (Plot., V, 1, 12). იხ. Iambli., De Anima, Finamore/Dillon, p. 129.

Iambl., De anima, Finamore/Dillon, p. 56-58, §§28-30: ამ პარაგრაფებში იამბლიქოსი ეხება სულისა და სხეულის კავშირსა და მათი ურთიერთმიმართების საკითხებს. ყველა სული ერთნაირად უკავშირდება თავის სხეულს თუ არა? განსხვავებულია თუ არა ამ თვალსაზრისით ინდივიდუალური სულები უნივერსალური სულისგან? ისევე, როგორც სულთა არსებისა და ქმედებების მიმართების საკითხში, იამბლიქოსი აქაც სულთა ღიფერენციაციის მომხრეა სხეულთან მათი ურთიერთობის თვალსაზრისით. სულების მიერ სხეულის „შემოსვის“ საკითხი, ამავე ღროს, არის მათი მიწიერ სამყაროში „ჩამოსვლის“ თემა: ერთნაირია თუ არა მათი ჩამოსვლის მიზეზები? ერთნაირი იყო თუ არა სულთა სიცოცხლეები მათ ჩამოსვლამდე? იამბლიქოსი ყველა ამ საკითხში ღიფერენციაციის მომხრეა.

### ბექსტი:

28. Οὐχ ἡ αὐτὴ ἐστὶ πασῶν τῶν ψυχῶν κοινωρία πρὸς τὰ σώματα, ἀλλ' ἡ μὲν ὅλη, ὥσπερ καὶ Πλωτίνῳ δοκεῖ, προσιὸν ἑαυτῇ· τὸ σῶμα ἔχει ἐν ἑαυτῇ, ἀλλ' οὐκ αὐτὴ πρόσεισι τῷ σώματι, οὐδὲ περιέχεται ὑπ' αὐτοῦ· αἱ δὲ μερισταὶ προσέρχονται τοῖς σώμασι καὶ τῶν σωμάτων γίγνονται καὶ ἤδη κρατουμένων τῶν σωμάτων ὑπὸ τῆς τοῦ παντὸς φύσεως εἰσοκίζονται εἰς αὐτὰ. Καὶ αἱ μὲν τῶν θεῶν θεία σώματα, νοῦν μιμούμενα, ἐπιστρέφουσι πρὸς τὴν ἑαυτῶν νοερὰν οὐσίαν· αἱ δὲ τῶν ἄλλων θείων γενῶν, ὡς ἕκασται ἐτάχθησαν, οὕτω κατευθύνουσιν ἑαυτῶν τὰ ὀχήματα. Ἔτι γε μὴν αἱ καθαρὰι ψυχαὶ καὶ τέλειαι καθαρῶς εἰσοικίζονται εἰς τὰ σώματα ἀνευ παθημάτων καὶ τῆς στερήσεως τοῦ νοεῖν· αἱ δ' ἐναντία ἐναντίως. [...]

29. Οἶμαι τοίνυν καὶ τὰ τέλη διάφορα ὄντα καὶ τοὺς τρόπους τῆς καθόδου τῶν ψυχῶν ποιεῖν διαφέροντας. Ἡ μὲν γὰρ ἐπὶ σωτηρία καὶ καθάρσει καὶ τελειότητι τῶν τῆδε κατιούσα ἀχραντον ποιεῖται καὶ τὴν κάθοδον· ἡ δὲ διὰ γυμνα-

σίαν καὶ ἐπανόρθωσιν τῶν οἰκείων ἡθῶν ἐπιστρεφομένη περὶ τὰ σώματα οὐκ ἀπαθῆς ἐστὶ παντελῶς, οὐδὲ ἀφείται ἀπόλυτος καθ' ἑαυτὴν· ἡ δὲ ἐπὶ δίκη καὶ κρίσει δεῦρο κατερχομένη συρομένη πως εἴοικε καὶ συνελαυνομένη.

< Τινὲς δὲ τῶν νεωτέρων οὐχ οὕτως > διακρίνουσιν, οὐκ ἔχοντες δὲ σκοπὸν τῆς διαφορότητος εἰς ταῦτ' ὁμοίως τὰς ἐνσωματώσεις τῶν ὄλων, κακὰς τε εἶναι πάσας δυσχερίζονται καὶ διαφερόντως οἱ περὶ Κρόνον τε καὶ Νουμήριον καὶ Ἀρποκρατίωνα.

30. Δεῖ δὲ πού τις καὶ τοὺς βίους τῶν ψυχῶν κατανοεῖν πρὶν ἔλθειν εἰς σῶμα, ὡς ἄρα καὶ οὗτοι πολλὴν ἔχουσιν ἐν ἑαυτοῖς διάστασιν· ἀπὸ δὲ διαφορῶν τρόπων ζωῆς διάφορον ποιοῦνται ἑαυτῶν καὶ τὴν πρώτην σύνοδον. Οἱ τε γὰρ νεοτελεῖς καὶ πολυθεάμονες τῶν ὄντων, οἱ τε συνοπαδοὶ καὶ συγγενεῖς τῶν θεῶν, οἱ τε παντελεῖς καὶ ὀλόκληρα τὰ εἶδη τῆς ψυχῆς περιέχοντες, πάντες ἀπαθεῖς καὶ ἀκήρατοι ἐμφύονται πρώτως εἰς τὰ σώματα· οἱ δὲ ἀπὸ τῶν ἐπιθυμιῶν ἄδη ἀναπεπλησμένοι καὶ ἄλλων παθῶν μεστοὶ μετὰ παθῶν συνέρχονται πρώτως τοῖς σώμασι.

### თარგმანი:

28. < ყველა სულის ურთიერთობა სხეულებთან ერთნაირი არ არის. უნივერსალური სული, როგორც ეს პლოტინსაყ მიაჩნია, საკუთარ თავში ფლობს სხეულს, რომელიც მისი დანამაგია, მაგრამ თავად სული არ არის სხეულის დანამაგი და ის არც სხეულის მიერ არის გარემოცული.<sup>57</sup> ხოლო ინდივიდუალური სულები სხეულებს ემაგებიან, სხეულის კუთვნილებად იქცევიან და სხეულებში სახლდებიან, რომლებსაც უკვე წარმართავს უნივერსუმის ბუნება. ხოლო ღმერთების სულები მიმართავენ ღვთაებრივ სხეულებს, რომლებიც გონე-

<sup>57</sup> ცნობილია პლოტინის შეხედულება კოსმოსის სულის კოსმიურ სხეულთან მიმართების შესახებ, რომელსაც იამბლიქოსიც იზიარებს: კოსმიურ სულს იდეალური ურთიერთობა აქვს თავის სხეულთან: მას უყვრია კოსმიური სხეული, მაგრამ სხეული სულს არა უყრობს (იხ. Plot., IV, 3, 9). იხ. Iambli., De Anima, Finamore/Dillon, p. 157.

ბას ბაძავენ, მათივე გონისმიერი არსებისკენ. სხვა ღვთაებრივ გვართა სულები ისე წარმართავენ თავის ეტლებს,<sup>58</sup> როგორც ეს თითოეულ მათგანს ხვდა წლად. წმინდა და სრულყოფილი სულები წმინდა სახით მკვიდრობენ სხეულებში, ვნებათა გარეშე და გონითი ამროვნებისგან მოუკლებლად. ხოლო მათგან რადიკალურად განსხვავებულ სულებს ესეც რადიკალურად განსხვავებულად ახასიათებთ. [...]

29. ვფიქრობ, რომ სხვადასხვაა სულთა ჩამოსვლის მიზნები და სხვადასხვაა ის გზებიც, [რომლითაც ისინი ჩამოდიან]. სული, რომელიც ჩამოდის აქაურობის გამოსახსნელად, განწმედისთვის და სრულყოფისთვის, ის თავად ჩამოსვლასაც უმწიკვლოდ ახორციელებს. ხოლო ის სული, რომელიც სხეულებისკენ მიიქცევა სავარჯიშოდ და საკუთარ მწეჩვეულებათა გამოსასწორებლად, ვნებათაგან სრულიად თავისუფალი არ არის, და არც როგორც სრულიად თავისუფალი იქნა მოვლენილი. ხოლო სული, რომელიც გასამართლებისა და სასჯელისთვის ჩამოდის აქ, როგორც ჩანს, ერთგვარ ძალდაგანებასა და იძულებას განიცდის.<sup>59</sup>

[ზოგიერთი უფრო ახალი დროის ფილოსოფოსი კი ასე არ<sup>60</sup> განასხვავებს; მათ არ გააჩნიათ განსხვავების კრიტერიუმი, ისინი აიგივებენ ყველა სულის განსხვავებას და

---

<sup>58</sup> „ეტლი“ (ბერძნ. ἔθλια, პეტრიწულად „ოქიმა“) შუამავალია სულსა და სხეულს შორის. მის შესახებ იხ. ქვემოთ, § 38.

<sup>59</sup> იამბლიქოსი განსაწმენდელი სულების ორ სახეობას არჩევს: ცოდვილი ადამიანები, რომლებიც სხეულებში ჩამოდიან სასჯელისათვის წარსულში ჩადენილი ცოდვების გამო, და უფრო წმინდა სულები, რომლებიც იმისთვის ჩამოდიან, რომ გაუმჯობესდნენ. იამბლიქოსის აზრით, ყველა სული აუცილებლობით ჩამოდის. ადამიანთა სულის უშაღლეს ორ სახეობას გაცნობიერებული აქვს, რომ მათი ჩამოსვლა სასიკეთოა, ამიტომ ისინი ნებაყოფლობით ჩამოდიან – ანუ ნებით აკეთებენ იმას, რაც აუცილებელია. ხოლო უფრო დაბალი სახეობის სულებს არ ესმით, რომ სასჯელისთვის ჩამოსვლა კარგია, ამიტომ მათი ჩამოსვლა ნებაყოფლობითი არ არის. იხ. Iambli., De Anima, Finamore/Dillon, p. 159.

<sup>60</sup> ფრჩხილებში ჩასმა ჩემი არ არის, ასეა ის იამბლიქოსის ფრაგმენტების გამოცემაში მოცემული.

მიიჩნევენ, რომ ყველა განსხეულება ცუდია. ასე უიქრობენ კრონიოსის, ნუმენიოსისა და პარპოკრაგიონის მიმღევრები.

30. უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე სულთა სიცოცხლეები, რომლებიც მათ სხეულებში შემოსულამდე გააჩნდათ, რადგან ისინიც დიდად განსხეავდებიან ერთმანეთისგან. სულთა ცხოვრება სხვადასხვაა და ამიგომ სხვადასხვაგვარია მათი პირველი შეხვედრა [სხეულებთან]. ისინი, ვინც ახალ-ზიარებულია და არსთა მრავლისმჭკრეგელია, ვინც ღმერთების თანამგზავრია და მონათესავე, ვინც სრულყოფილია და სრულად მოიყავს სულის სახეობებს, ის ვნებებისგან სრულიად თავისუფალია და წმინდაა, და პირველადვე ასე შეერწყმის სხეულს. ხოლო ვინც სურვილებით არის ძლეული და სხვადასხვა ვნებით აღსავეს, ის სხეულს პირველად ვნებებით მოცული ხვდება. >

\*\*

Iambl., De anima, Finamore/Dillon, p. 66, §38: *რა აკავშირებს სულს სხეულთან? უშუალოდ არის სული სხეულთან დაკავშირებული თუ არსებობს მათ შორის შუამავალი?*

ბექსტი:

38. Κατὰ ταῦτὰ δὴ οὖν καὶ περὶ τῶν μέσων οὐσιῶν ψυχῆς τε καὶ σώματος πολὺν διαφερόντως διατάττονται. Οἱ μὲν γὰρ εὐθὺς αὐτὴν τῆς ψυχῆς αὐτῷ τῷ σώματι τῷ ὀργανικῷ συνοικίζουσιν, ὥσπερ οἱ πλείστοι τῶν Πλατωνικῶν · οἱ δὲ μεταξὺ τῆς τε ἀσωμάτου ψυχῆς καὶ τοῦ ἀγχειώδους αἰθέρια καὶ οὐράνια καὶ πνευματικὰ περιβλήματα περιამπέχοντα τὴν νοερὰν ζῆν <τίθενται> προβεβλήσθαι μὲν αὐτῆς φροῦρας ἔνεκεν, ὑπηρετεῖν δὲ αὐτῇ καθάπερ ὀχήματα, συμμέτρως δ' αὖ καὶ πρὸς τὸ στερεὸν σῶμα συμβιβάζειν μέσοις τισὶ κοινοῖς συσδέσμοις αὐτὴν συσάπτουτα.

თარგმანი:

38. < ასევე არსებობს ბევრი სხეადასხვა შეხედულება, რომელიც ეხება სულსა და სხეულს შორის შეამავალ არსებებს. ზოგიერთი უშუალოდ უკავშირებს სულს ორგანულ სხეულს; ასე ფიქრობს პლატონიკოსების უმეტესობა. სხვები კი ამბობენ, რომ უსხეულო სულსა და [სხეულოვან] ჭურჭელს შორის არის ეთერული, ზეციური და პნეუმატური საბურავები, რომლებიც გარემოიცავს გონისმიერ ცხოვრებას და მის დასაცავად არის წარმომდგარი. ის მას ემსახურება როგორც ეტლი,<sup>61</sup> მას თანაბარზომიერად აკავშირებს მყარ სხეულთან ერთგვარი მესამუაღე საერთო კავშირების მეშვეობით. >

\*\*

Iambl., *De Anima, Finamore/Dillon*, p. 66, §39: *რას წარმოადგენს სიკედილოს შემდგომი განწყობენდა? კერძოდ, რისი განწყობენდა ხდება ამ დროს?*

ტექსტი:

39. Πλωτῖνος δὲ καὶ οἱ πλείστοι τῶν Πλατωνικῶν ἀπόθεσιν τῶν παθῶν καὶ τῶν μορφωτικῶν διαγνώσεωσ, δόξης τε πάσης ὑπεροψίαν [τε] καὶ τῶν ἐνύλων διανοήσεωσ ἀπόστασιν, πλήρωσίν τε ἀπὸ νοῦ καὶ τοῦ ὄντος, ἀφομοίωσίν τε τοῦ κατανοουμένου πρὸς τὸ κατανοοῦν τῆς τελειωτάτης κάθαρσιν ὑπολαμβάνουσιν. Ἐνιοὶ δὲ καὶ τούτων πολλακίς ἀποφαίνονται περὶ τὴν ἄλογον ψυχὴν καὶ τὸν δοξαστικὸν λόγον ἐμφύεσθαι τὴν κάθαρσιν· τὸν δὲ λόγον αὐτὸν τὸν οὐσιώδη καὶ τὸν νοῦν τῆς ψυχῆς αἰεὶ ὑπερέχειν τοῦ κόσμου καὶ συνηθῆναι τοῖς νοητοῖς αὐτὸν καὶ οὐδέποτε δεῖσθαι τελειώσεωσ καὶ ἀπολύσεωσ τῶν περιττῶν.

---

<sup>61</sup> ὄχημα.

თარგმანი:

39. < პლოტინი და პლატონიკოსთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ყველაზე სრულყოფილი განწყვენდა გულისხმობს ენებათაგან და სახოვანი ცოდნისგან განთავისუფლებას, ყოველგვარი შეხედულებისადმი ქედმაღალ დამოკიდებულებას, განდგომას მაგერიალურობით მოცული ფიქრებისგან, გონებით აღვსებას, აგრეთვე მოაზროვნე სუბიექტის ამროვნების საგნისადმი დამსგავსებას. ზოგიერთი მათგანი ხშირად აცხადებს, რომ განწყვენდა შეეხება ირაციონალურ სულსა და იმ ირაციონალურ საწყისს, რომელიც შეხედულებას შეიმუშავებს. ხოლო არსებისეული რაციონალური საწყისი და სულის [უმადლესი საწყისი – ] გონება მუდამ აღემატება კოსმოსს. ის გონით [არსებთან] არის დაკავშირებული და არასდროს საჭიროებს სრულყოფასა და წარმავალი [ელემენტებისგან] განთავისუფლებას.<sup>62</sup> >

\*\*

Iambl., De Anima, Finamore/Dillon, p. 234-236: Pseudo-Simplicius, In De Anima: *ამ ფრაგმენტებში, რომელთა ავტორად ფსევდო-სიმპლიციოსს ასახელებენ, თავმოყრილია სულის შესახებ იამბლიქოსის შეხედულების ყველაზე არსებითი საკითხები. განსაკუთრებით ცხადად წარმოჩნდება სულის, როგორც საშუალო სუბსტანციის როლი არსთა უნივერსალურ იერარქიაში.*

**Appendix C: Pseudo-Simplicius, In De Anima 89, 33-90, 25:**

---

<sup>62</sup> აქ იამბლიქოსი გამოხატავს პლოტინის ცნობილ (და თავისებურ) შეხედულებას სულის უმადლესი საწყისის შესახებ. რომელიც „არასდროს ჩამოდის დაბლა“, მუდამ „ზემოთ“ რჩება და მიწიერობისგან სრულიად მიეხეხება.

### ბექტო:

εἰ δέ, ὡς τῷ Ἰαμβλίχῳ δοκεῖ, οὐκ ἂν ἐξ ἀπαθούς καὶ τελείας οὐσίας διεστραμμένη καὶ ἀτελής προῖτοι ἐνέργεια, εἴη ἂν παθαινομένη πως καὶ κατ' οὐσίαν· ὡς καὶ ταύτη εἶναι μέση οὐ τῶν μεριστῶν μόνον καὶ ἀμερίστων οὐδὲ τῶν μενόντων καὶ προεληλυθότων οὐδὲ τῶν νοερῶν καὶ ἀλόγων, ἀλλὰ καὶ τῶν ἀγενήτων καὶ γενητῶν, κατὰ μὲν τὸ μόνιμον ἑαυτῆς καὶ νοερὸν καὶ ἀμέριστον ἀγένητος οὐσα, κατὰ δὲ τὴν πρόοδον καὶ τὸ μεριστὸν καὶ τὴν πρὸς τὸ ἀλογον κοινωνίαν γινομένη, οὐδὲ τὸ ἀγένητον εἰλικρινὲς ἔχουσα, οἷον τὸ νοερὸν, ἐπειδὴ οὐδὲ τὸ ἀμέριστον ἢ τὸ μόνιμον, οὐδὲ τὸ γενητὸν τοῖς ἐσχάτοις ὁμοιον, τοῖς ὅλως ποτὲ μὴ οὖσιν· ἀλλὰ τὸ μὲν οἷον ἐξίστασθαι πως ἑαυτοῦ ποτε τῇ πρὸς τὴν γένεσιν κοινωνίᾳ καὶ οὐχ ἀπλῶς ἐτι μένειν, ἀλλὰ τὸ συναμφότερον ὁμοῦ μένειν τε ὅπερ ἐστὶ καὶ γίνεσθαι, τὸ δὲ οὐδέποτε τοῦ ἀγενήτου ἀπολειπόμενον, ἀλλ' αἰεὶ αὐτῷ συνηρητῆμενον καὶ ἐνδοθεν ἔχον τὸ διαμένειν καὶ οἷον ἐπιρρέον καὶ ἀναπληρωματικὸν τοῦ ἀπογινομένου. ἀλλὰ τὸ μὲν γενητὸν αὐτῆς καὶ προῖδον οὐδέποτε ἀνευ τοῦ μόνιμου καὶ ἀγενήτου, τὸ δὲ ἀγένητον αὐτῆς ποτε πάσης ἀπαλλάσσεται τῆς πρὸς γένεσιν κοινωνίας ἐν τῇ χωριστῇ ἀπὸ σωμάτων ζωῇ. διὸ καὶ ἀθάνατος ἢ ψυχὴ καὶ μόνιμος, αἰεὶ μὲν τῆς νοερᾶς ζωῆς ὑφειμένην ἔχουσα τὴν ἀθανασίαν καὶ μόνιμότητα, καὶ πρὸς ἑαυτὴν δὲ ἢ ἡμετέρα διαφορουμένη· καὶ ἀκραιφνὲς μὲν, ὅσον αὐτῇ προσήκει, τὸ ἀθάνατον καὶ μόνιμον καὶ ἀμέριστον ἀπολαμβάνουσα ἐν τῇ χωριστῇ καὶ νοερᾷ ζωῇ· χωρισθεῖσα γὰρ, ὡς ἔρεϊ, ἐστὶν ὅπερ ἐστίν· ἐν δὲ τῇ πρὸς τὰ ἕξω ῥοπήν οὐ παντελῶς μὲν ἀπολείπουσα ἑαυτὴν μένει [...] οὐκέτι τῇ οὐσίᾳ οὐσα ἐνέργεια, καθ' ὅσον αὐτῇ θέμις.

### თარგმანი:

< თუკი, როგორც იამბლიქოსი ფიქრობს, [სულის] გაბნეული და არანსრულყოფილი მოქმედება ვერ გამოვიდოდა ვნებისგან თავისუფალი და სრულყოფილი არსებიდან, მშშინ არსებიდან [სული] ერთგვარად ვნებული უნდა ყოფილიყო. ამ



თვალსაზრისითაც სული არის სამუაღი არა მარტო დაყოფადსა და განუყოფელს, მდგრადსა და გამომდინარეს, გონისმიერსა და განსჯის უნარის არმქონეს შორის, არამედ აგრეთვე წარმოუქმნელსა და წარმოქმნილს შორისაც; სიმდგრადით, გონისმიერობითა და განუყოფლობით სული წარმოუქმნელია, ხოლო ემანაციით, დანაწილებადობითა და ირაციონალურ საწყისთან ურთიერთობის გამო ქმნადია; ამგვარად, სულს არც წარმოუქმნელობა აქვს წმინდა სახით, როგორც ეს, მაგალითად, გონისმიერს ახასიათებს, რადგან ის არ არის განუყოფელი და მყარი, და არც ქმნადობა ახასიათებს, იმ სახით, როგორც ეს ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომ არსებს გააჩნიათ: რადგან ეს უკანასკნელები ხომ სრულად არასდროს არსებობენ. სული ზოგჯერ თითქოსდა ტოვებს საკუთარ თავს ქმნადობაში მონაწილეობის გამო და მხოლოდ მდგრადი კი არ არის, არამედ ერთდროულად კიდევ რჩება იმად, რაც არის და თან იქმნება; ის არასდროს მიატოვებს იმას, რაც ქმნადი არ არის, მუდამ არის მასთან დაკავშირებული და შინაგანად აქვს სიმდგრადე და, [ამავე დროს], ის ერთგვარად გამოედინება და ავსებს წარმოქმნადს. მაგრამ მისი ქმნადი და ემანირებადი [საწყისი] არასდროს არსებობს მყარი და უქმნელი [საწყისის] გარეშე, მაშინ როდესაც მისი უქმნელი [საწყისი] ზოგჯერ სრულიად მოცილებულია ქმნადობასთან ურთიერთობას სხეულებისგან მოწყვეტილ სიცოცხლეში. ამიგომ სული უკვდავიც არის და მუდმივიც, მას უკვდავება და მუდმივობა ყოველთვის გააჩნია გონისმიერ სიცოცხლეზე დაქვემდებარებით. ხოლო საკუთარ თავში ჩვენი სული განსხვავებულია: ის წმინდაც არის, ისე, როგორც ეს მას შეეფერება, რადგან უკვდავებას, მუდმივობასა და განუყოფლობას გონისმიერ სიცოცხლეში კპოვებს, ვინაიდან განცალკავების შემდეგ ის, როგორც [არისგოგელე]

ამბობს, არის ის, რაც არის.<sup>63</sup> მეორე მხრივ, სული გარე სამყაროსკენ არის მიქცეული და ამ დროსაც ისე არსებობს, რომ მთლიანად საკუთარ თავს არ მიაგოვებს [...] [ქმნადობაში გამოსვლის შედეგად სული] არსებით აღარ წარმოადგენს მოქმედებას,<sup>64</sup> რამდენადაც ეს მისთვის დასაშვებია. >

\*\*

#### Appendix D: Pseudo-Simplicius, In De Anima 240, 33-241, 20:

ტექსტი:

εἰ μὲν οὖν παντελῶς ἡ αὐτὴ μένει ἡ τῆς ψυχῆς ἀκροτάτη οὐσία, ἡ ἐνέργεια οὐχ ἡ αὐτὴ μένουσα οὐκ ἂν εἶη ὅπερ ἡ οὐσία, εἰ γε ὅτε μὲν νοεῖ, ὅτε δὲ οὐ νοεῖ. εἰ δὲ καὶ αὐτὴ ἡ ἀκρὰ αὐτῆς οὐσία οὐ μένει ἐν τῇ πρὸς τὰ δεύτερα ῥοπήν εἰλικρινῆς, ἵνα καὶ ταύτῃ ἡ μέση, ὡς καὶ τῷ Ἰαμβλίχῳ ἐν τῇ ἰδίᾳ Περὶ ψυχῆς πραγματεία δοκεῖ, οὐ μεριστῶν μόνον καὶ ἀμερίστων, ἀλλὰ καὶ γενητῶν καὶ ἀγενήτων καὶ φθαρτῶν καὶ ἀφθάρτων, καὶ ἵνα καὶ αὐτὸ τοῦτο ὅτε μὲν νοῖ ὅτε δὲ μὴ [...] (ὅπερ καὶ ὁ Ἀριστοτέλης ἐμφαίνει γράφων “χωρισθεῖς δὲ ἐστὶν ὅπερ ἐστίν,” ὡς τῆς ἐτι τῶν δευτέρων ἀχωρίστου ζῆς οὐκ οὐσης ὅπερ ἐστίν), εὐλογον ἄρα μᾶλλον δὲ ἀναγκαῖον οὐ τὴν ἐνέργειαν μόνην, ἀλλὰ καὶ τὴν οὐσίαν τῆς ψυχῆς καὶ αὐτὴν τὴν ἀκροτάτην, τῆς ἡμετέρας φημί, διαφορεῖσθαι πῶς καὶ χαλαῶσαι καὶ οἶον ὑφικάνειν ἐν τῇ πρὸς τὰ δεύτερα νεύσει, οὐ παντελῶς ἑαυτῆς ἐξισταμένην (οὐδὲ γὰρ ἂν ἔμενεν ἐτι ψυχῇ), ἀλλὰ τὸ ἀκραιφνὲς οὐκέτι σώζουσα, ὡς ἄμα τὴν αὐτὴν τε καὶ οὐ τὴν αὐτὴν φυλάττεσθαι, οὔτε τῆς ταυτότητος καθαρᾶς καὶ ἀνεξαλλάκτου μενούσης, καὶ οὕτω

<sup>63</sup> ფიქრობენ, რომ ეს არის მინიშნება არისტოტელეზე, De Anima 430a22-23: „განცალკავების შემდეგ ის [ანუ აქტიური ვონება] არის ის რაც ის არის, და მხოლოდ ის არის უკვდავი და მარადიული“. Iambli., De Anima, Finamore/Dillon, p. 255.

<sup>64</sup> იგულისხმება ის, რომ სულის მოქმედება აღარ არის მისი არსების იგივეობრივი, ისინი თითქოს სცილდებიან ერთმანეთს, იხ. შემდეგი ფრაგმენტი.

μερισθείσα ὅπως οὖν τῆ ἕξασταλγῆ καὶ οὖ μείνασα ὅπερ ἦν, ὑπομένει καὶ τὸν τῆς ἐνεργείας ἀπὸ τῆς οὐσίας μερισμὸν, ὡς καὶ ποτὲ μὴ ἐνεργεῖν. εἰς δὲ τὴν ἑαυτῆς εἰλικρινῶς ἀναδραμοῦσα οὐσίαν, ἀφιεῖσα μὲν πᾶσαν τὴν ἕξω προβολῆν, τῆ δὲ πρὸς ἑαυτὴν ῥασθείσα στροφῆ καὶ ἀναλαβοῦσα τὸ προσῆκον αὐτῆ μέτρον ἔστι τε ὅπερ ἔστι καὶ τῆ ἄκρα εἰς ἑαυτὴν στροφῆ ἀμερῶς συναιρουμένη καὶ τὴν ἐνέργειαν τῆ οὐσίᾳ ἑνοῖ.

### თარგმანი:

< თუკი სულის უმაღლესი არსება სრულიად იგივე რჩება, მაშინ მისი მოქმედება [ენერგია], რომელიც იგივედ არ რჩება, ისეთი არ იქნება, როგორც არსება, რადგან [სული] ხან ამროვნებს, ხან არა.<sup>65</sup> სულის უმაღლესი არსებაც არ ინარჩუნ-

---

<sup>65</sup> სულის არსება, უპირველეს ყოვლისა, სიცოცხლეა. სული თავისი უმაღლესი ასპექტით ამროვნებს, ის გონებასთან არის შეხებაში, ამდენად, მისი მოქმედება („ენერგია“) გონითი ამროვნების სახით ელინდება. მაგრამ საკუთრივ ამროვნება გონების არსებას წარმოადგენს და არა სულისა. ამიგომ სული ხან ამროვნებს და ხან არა, ან ზოგიერთ სულს ეს ახასიათებს, ზოგს კი არა. იმ შემთხვევაშიც, თუ სულის არსებად მის საუკეთესო ასპექტს – ამროვნებას, გონისმიერობას მივიჩნევთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ინდივიდუალური სული მას მოქმედების სახით ყოველთვის არ ახორციელებს, ანუ მოქმედება არსებას ყოველთვის სრულყოფილად არ გამოხატავს. არისტოტელესეულ მიმართებას არსებას, ძალასა და მოქმედებას შორის ძალიან კარგად იყენებდნენ ნეოპლატონიკოსები უნივერსუმის იერარქიული სტრუქტურის ასახსნელად, ერთი საფეხურიდან მეორეზე გადასვლის საჩვენებლად, მიზმმა და შედეგს შორის მჭიდრო კავშირის ცხადყოფისათვის, ახლის წარმოშობის თვალსაჩინოებისთვის. ყოველივე ეს აისახა იოანე პეტრიწის კომენტარში. პეტრიწი ძალიან ხშირად ეხება არსების, ძალისა და მოქმედების მიმართების საკითხს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რაც უფრო მაღალ იერარქიულ საფეხურზე ვართ ონტოლოგიურ სფეროში, მით უფრო ნაკლები განსხვავება არის ამ სამ ასპექტს შორის. საინტერესოა, რომ რაც უფრო მაღლა ავდივართ, ანუ ღეთაებრივ, მარადიულ არსთა სფეროში „ძალა“ (δύναμις) პოტენციის როგორც შესაძლებლობის მნიშვნელობიდან იძენს ძალის, პოტენციის, როგორც სიმძლავრის მნიშვნელობას. ამ საკითხს არაერთხელ ეხება იოანე პეტრიწი თავის კომენტარში.

